63

ლიტერატურა და ხელოვნება

N4
4/2007

1522
2007.

ერთმანეთი

გურამ დოჩანაშვილი ნატო ვაჩნაძე

ერთმანეთი

ჯემალ აჯიაშვილი სოფიკო
თეიმურაზ ლანჩავა ჭიაურელი

თანამედროვე მხატვრებს

ალბერ რენო
კამიუ თურქია





ეროვნული ბიბლიოთეკა

რენო თურქია

გალაკტიონი

ქეთევან ანანიაშვილი

პეიზაჟი

ლიტერატურა და ხელოვნება

N4(16)

04/2007

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

ISSN 1512-3189

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი
ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი
ზურაბ თორია

რედაქტორი
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი
მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა
რენო თურქია

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru
Web: www.litandart.com.ge

გამოცემის სპონსორია



მაგთიკომი

სარჩევი

პროზა, პოეზია

3 გუჩამ დოჩანაშვილი - ჩაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება /ჩომანი/

32 ჯემალ აჯიაშვილი - სონეტები

36 საღომე გოგოლაძე - მოთხრობები

40 თეიმურაზ ღანჩავა - ლექსები

42 ჯემალ მონია - ლექსები

თარგმანი

44 აღბერ ჯამიუ - შეუღლება ტიპასაში /თარგმნა ნატო ხევსურიშვილმა/

წერილები

48 ავთანდილ ვახთანგავა - იპოლიტე ვახთანგავა და ნიკოლოზ ნერეთელი

ესეური

54 ჯოტე ნინიკაშვილი - მრავალსახეობის ოსტატი /სოფიკო ქიაჩელი/

ლიტერატურული

61 გოგი დოლიძე - შტრიხები შემოქმედებითი პორტრეტისთვის /ნატო ვაჩნაძე/

69 ვერიკო ზამთარაძე - მოგზაურობა წარსულში

მხატვრობა

75 ნოდარ ტაბიძე - ფერისა და ზრის ჰარმონია /ჩენო თურქია/

77 ქეთევან ტომარაძე - უჯვარო მემკვიდრეობა

ინტერვიუ

81 ვაჟა-ფშაველა - რა არის თავისუფლება?

84 ფოტოარქივიდან

120

სულიერებისადმი სიტყვა:

ტაბლა ამოიჭრება, ხეხილი ბოლავდა, ნისლი ბოლავდა,
მოსაწმენდი ბოლოდ ეფინებოდა, ცისფერ ბოლტვენად, მაყვალებად ეფინებოდა,
ნისლებად ყოფილა, ჯანსაღი ჩასუნთქვისა, თოვლი ჩამოდა,
თაბაშირი ჩამოდგა, ეფთი ფერფლები.



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

გურამ დოჩანაშვილი

ჩას უფრო მახსოვს, და მეტად მაბრონდება:

(ეგრეთწოდებული „ავტობიოგრაფიული რომანი“)

(გაგრძელება)

თავი IV, სადაც:

თუ როგორ ვიგრძენი ის უდიადესი წყალობა რომ მეც კი შემიშინაურა მე-ყოვლად ულირსი თვით მან, იმან; და აქა-ამბავიც თუ როგორ დაბრუნდა გადასახლებიდან ბიძია კაკო და მისი კატორღელობის ბებიაჩემისეული აღწერა; დაჭრა-ჩემი როგორი ულვთო კი არა, ღვთიური, როგორ... დაჭერა, ჩვენი...

დასაწყისი იხ. №1,2,3/2007

„აქა, ცოტათიც დავისვენოთ-მეთქი... — რა დამასვენებს...

და აქ მხოლოდ შეკრთომით კი არა მთლადაც შიშით-როგორით დამაელვა იმან რომ, — და არ გეგონოთ რომ ეს მე შევძელი და შევუშინაურდი ნმიდასა-სულს — არა! — ღვთიურ-ბუნებით, იმმწყალობელით რომელიც „მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების“ — ეს თავად მანვე დამდო მხოლოდ უდიდესი პატივი კი არა და, როგორ გავბედო!.. — შემიშინაურა კიდეც ეს-მეულირსი, როგორი ძნელად აღსაზრდელი, მაგრამ — ადამიანებისათვის, ეს... მისით აღზრდა კი...

როგორი-ც — სხვაა, უჩვენოდაც და ჩვენიანადაც-ხანდისხანობით, მაღლ-ზესკნელები რა განუზომლად ამაღლებული ჩვენამდედაც კი დასვლით... შინაურიც კი, ეს-რა მაღალი, მაღალის-როგორ, თავმდაბლობით.

მამა-ღმერთს მე თუ მხოლოდ ლოცვასა და შეეედრებებში თუ შევბედავ; ქრისტესადმი კი... რა მტკივნეულ-ვარ, მისით, რა დიდძალიან, კი, რადგან როგორად ვრცელ-დამნაშავედ ვგრძნობ ამ ყოვლადდაბალ თავს მე, მისადმი რადგან სწორედაც იმ ჩემისთანა ორფეხებმა და ორხელაებმა და, ჩვენისთანებთან უგუნურობით და ბოროტებით აბა სად მოვა რომელი ოთხფეხი რადგან ჯვარს ვაცვით სწორედაც რაცგინდა მიუღებლებმა ჩემისთანებმა სუცოტა-მაინც აღნაგობით, მაინც, იგი, სწორედაც ჩვენი სიკეთისათვის ისიც ჩვენსავით აღნაგი, და რა უძნელესი-რამ აიღო თავის უხილავსაც თუ ხილულ-შარავანდედიან თავზე გადასარჩენად, ჩვენს, ხოლო ჩვენისთანები კი ყვიროდნენ მაშინ — უნაოჭებო-ტვინიანები და უგულონი, ყოვლად, როგორიბრაზით კრიჭა და სახედალმეჭილები: „ჯუარს აცუ, ჯუარს აცუ ეგე“ ეეეს, გაჰღღრიალებდნენ ჩვენისთანები გინდ-აღსხმულობით — ვაივ, სირცხვილო და დასაღუპავობისობავ, მაგრამ, თავად მან, ჯვარსგაკრულმა ავაზაკებ-შუა: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“... — ვინ ვაცვით ჯვარზე, — ბრმათა თვალებში სინათლის მდგმელი რომ დაენახათ მისით-სიტყვით ქმნილი ქვეყანა, — ჩვე-ბიწიერთა, ხოლოკი მაგრამ ავზნეიანთა კეთილადმომქცევი და ხეიბრებისა და დავრდომილთა აღმადგენელი ვრცელმიწაზე-სვლად, მაგრამ როგორა იმ-მწარედ-სა ეცვა ჯვარს თავად-ც, მამისა-ნებით, მისგან დროებით ადამიანმაც, და ეს კი თურმე გამოუსწორებელთათვის, ჩვენთვის, ისე იტანჯა რომ აქაური-სიკვდილისპირად ველარ დაითმინა და: „ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტეობ მე“ — შესჩივლა მამას, და, ვნების კვირაში, წითელ პარასკევს ჯოჯოხეთშიაც კი შთახდა იგი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

სნორედაც ჩვენთვის — ცოდვების მოსანანიებელთათვის ხსნა რომ ებოძა ჩვენთვის — „რომელთათვის განკაცენ, და ჯვარცმა და სიკვდილი თავს-იდევ ცხოვრებისათვის მართლ-მორწმუნეთა შენისა", — და „ჯოჯოხეთსა შინა შთასვლითა ეშმაკისა ძალისა დამთრგუნველისა, რომელმაცა მოგვანიჭა ჩვენ ჯვარი მისი ყოვლადპატიოსანი, განსადევნებლად ყოველთა წინააღმდგომთა ძალთა", და გვიბოძა, ც, ხსნა რამდენთ მაგრამ რამდენნმა ვერა და არ-მივიღეთ იგი ადამიანებმა, ჩვენ, აგერ-ბატონო: იაგოდა-ეჟოვ-ბერია კაგანოვიჩ-და-ცქვიტმიქოიანა და, ორჯონიკიძევაიდ და ვუიიივ, ვინ მოსთვლით და მაგრამ კიდევ კარგი — ერთმანეთს მტრობდნენ რადგანაც — ბოროტისეულები და, ჩვენ კი რომ კვლავ თვით მას რომ ვთხოვთ ხსნასა და შველას და შემწეობას გინდაც ძალიან მომნანიებლები ამისა როგორ მრცხვენიაან, როგორ, ხოლო შენ კიდე? შენ, სულო-წმიდავ, როგორ დამადექ მე როგორ-ძნელად აღსაზრდელს ეს რა მხსენლად და რა-სასოებად, შემივრდე გინდაც-მე უბოროტოდ და მაინც ბრიყვი რადგან რა-ბოროტობებს ჩავდიოდი ვითომი-ანცობით, და იმა-თამამი, უთამამესი გაფიქრების ღირსადაც კი ჩამთვალე და გამხადე რომ მე, ყოვლად უმწეო და უსუსური შევიქენ თვით ემაგ მაგ-შენსა დიდწყალობათა, ღირსად, და, რამდენისათვის, მე ვინა ვგდივარ — წინაპართაგან იქნებიან-ეს მეფეები დიდრონ-დიდრონნი საქართველოსათვის თუ თავადები გურამიშვილი, ილია, აკაკი და ვითო-გლეხუჭა სრულიად-ვაჟა, და ასევ გლეხუჭი-ფიროსმანი და დღეს რომ ერის ისეთი სულიერი წინამძღვარი და დიდი მეუფე გვყავს რომ... — უწმიდესი და უნეტარესი... — გინდაც ცოდვილოჩ-ვენ, სულო, და სულო!, და გულო, გულო! — ისეთი გვყავს რომ, სულოდაგულო, და ერისკაცობაშიაც გვირევიან ისეთები რომელთა გვერდობითობისაც ღირსი ეგებ-ცოტათი მაინცა ვარ, ცოტათი-მეთქი!, — ჩასაჭიდებლები, ისინი და, და ესაც მცირედ-მათნაირობა, ესაც ხომ — შენით,

დიდმოწყალეო,

შენ,

ხედავ, შენ-ობით მოგმართავ ისევე როგორც თქვენი სამების სამთავეს, რადგან

რა ახლობლები მაინც, როგორნი, ხართ, და ამას როგორ შეგბედავდით თუ არა დიდი წმიდანი სერაფიმე საროველი რომელმაც როგორ გამამხნევა და მიბიძგაცკი თქვენკენ ეს მე-ულირსი თავისი იმა-დიადი სიტყვებით რომ — ყველაში ხართ, ყველგან,

და შენ კი მაინც ვერ შეგბედავდი ასე და მაგრამ შენ კი, როგორის მადლით შემიშინაურე და, შემშინაურებელს გაგიბედ, გეტყვი, რომ ეს თავად შენ, სულო-წმიდავ, მომიძიე და შემიკედლე ეს თვით თავად შენ — ვისზედაც თავად უფალმა უთხრა თვით იმათ, თავდაპირველურად-მისებს, მისიანებს, მოციქულებს აგებულებით აგრეთვ-ჩვენნაირსთანებს: „ამისათვის გეტყვი თქუენ: ყოველი ცოდვაქ და გმობაქ მიეტეოს კაცსა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაქ არა მიეტეოს კაცთა", და

შენ რომ შენ-ნებით შეიკედლებ-შეითავისებ შენის როგორის-მომცველობით ვინმე-ბედოვლათს ჩემნაირგვარს თუნდაც, შენი როგორი მომცველობით და არაფერია ამაში რაიმ-ჩვენი დამსახურებისა, — ეს შენ უჯდები შიგანში ყველას და სიკეთეთი შენეულით გვუღენთ რარიგ, შენით — ესაც წმიდა სერაფიმ-საროველისაგან ვიცი თუ როგორ გგრძნობდა შენ იობი თავის დაძაბულ ნესტოებში, — მაგრამ რამდენს, კი, ველარ გვახსოვს და არცკი ვიცით, ეს, ვიღა გაფასებს ერისკაცობაში მთლად-ჯეროვნად შენ, — შენი ვრცელ-სიკეთეთით მიუწვდომელი ხარ, წმიდავ, შენ ასულდგმულებ ხორბლის მარცვალს რომელიცა-რომ, გარდაცვალებით აღსაზევებელი თავისი სიკვდილითაა მარცვალი-ისი რადგან ჯერ ჯეჯილად აღმოაცენებ და მერე რა ტენილ-თავთავებად — ოცდაათად და გასამოცებული რომ ამოიყრება მანათობელზე, მზეზე, შენია — იფქლი შენ ვისგანაც-რომ გამოდიხარ, ᲘᲛᲘᲗ, და თავთავისა-მიწაც — შენია, ᲘᲛᲘᲗ-ვ, შენი სულისა მოფენობით — რა პოხიერი, ეს პოხიერი, ეს ქუე-ყანა, შენი, იმწიფებ შენსას ვისთვის და — ჩვენთვის, თავად ხარ მარადსა-ყოველ მიწყივ-წელიწადს ამომყვანი ყოველი ხეხილის და ბაღჩეულთა და ზოგიც-ნაყოფის მეწლედ — ანუ ორ წელიწადში ერთხელ აღმომცენ-დამამწიფებელ ნაყოფებისაც შემქმნელი ხდები რომ დაასვენო და ამიტომაც უფრო ძალიან მოგვანატრო, უფრო, ღვთით-ჯილდო შენი და იმა მეწლედ-ნაყოფთა იმა-ხესა კი ხანგრძლივი დროით სვენა-დასვენა ვითო-უვარგისობისას მერე მაინცა-ღ რომ შეგიცნოთ თვით შენ, მწყალობელი და ვიხაროთა ჩვენ და ჩვენც აღვღორძინდეთ, ეს შენით მოდის — ღვთისმიერისაგან ზეცის მანანა და როდი მიგვივიწყებ თუნდა გაბმული გვალვებისას — მუდამ გახსოვართ და მოგვივლენ-მაინც თითქმისდა იმედგადაწყვეტილებს წვიმებს-შხაპუნათ და ულრუბლო მზეს რარიგ მკვახედ ჭახჭახა ყინვების შემდგომ და ულრუბლო მზეს დაგვანათებ ჩვენ — შენსა-ულირსთ, ადამიანებს, ეს ხომ შენ გვათოვ თოვლს რომელიც რომ ხანდახან თუ რა-როგორი იისფერი როგორ უყვარდა და უყვარსც ახლაც თავისი პნკარებით მთლადაც ბავშვობით-მარადიულით მთლადაც ბავშვივით შენით შენს მარადიულ ბავშვს — გალაკტიონს, — წყალობა-ესე როგორი

ვრცელი-განუზომლად, რა დიდ-ნობათი, შენი, ესე-ნაძღვენი შეენი-თ, და ვაჟასავით შენს რჩეულ პოეტს და პროზის დიდკაცსაც — როგორ უყვარდი შენით—ჩვენსაც-წილ ვაჟა ფშაველას როცა ესაც კი შეგბედა მან, ადამიანად მიწისაც კაცმა, ცით — „რად შემქმენ ადამიანად, რად არ მოვედი წვიმადა" — და ეს თვით თავად შენ აშოშმინებ შენივე ღვარცოფად შექმნილ მეცხრე ტალღებს და მერეკი ვრცლად მიმოაფენ მზის კაშკაშად წელადსა სხივებს ოკეანეურ სიმშვიდესა და სიწყნარეზე შენ, შენ ტოტებშუა რა სიმსუბუქით მიმომძრომიასიოდ და ქარად და ქარაშოტად თუ ნიავად შრიალით როგორ-მიმოძვრები თუ აცახცახებ კიდეც ღვთით ხეებს მაგრამ არ ვკვირვობთ ამას ჩვე-უგუნურები დაუკვირვებლობით და დაუდევრობით თუ უგულისყურიანობითამას, შენ სოფელ-სოფელ უფრო გიყვარს მეუფეური ტანტალ-წანწალი ანუ სილაღით-როგორ ფარფატი ღვთაებრივი-ეს და რა-როგორი ჩაბეჯითებით ამოგირჩევია ჩვენთაც-სულთათქმა: გურამიშვილი და ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა და ილია და აკაკი და თვით რუსთაველი, ეს ხომ სწორედ თავად შენ იყავ ვინც რომ შემოსე და გაჟღინთე მამულისათვის რა დიდშვილობით დავით IV, თამარი-მეფე და რამდენი მეფე-თავდადებული, სულ-მიძღვნილები, სულ-დადებულნი ჩვენი ერისათვის და ეს ხომ – შენით, მთლადაც თქვენით, ეს შენით იყვნენ, და არიან მამულისათვის როგორუბრალო სახელიანები ტატო, ნიკალა და რამდენნიცსხვები რომლებიცა რომ, როგორ ერთგულებმაშველებად დაბადე, შეგვიქმენ თვით თავად სიტყვით შემკულ-რა-მძიმედ-სუმბუქადც აღჭურვილები სწორედაც ისე روووم — სწორედ 300 არაგველივით, სამშობლოსათვის, საქართველოსათვის მებრძოლნი იყვნენ იმა დიადი ხმალით ხანდახან კალამ-კალმისტრად თუ ბატის ფრთადაც რომ გადაიქცეოდ-იყო და, არისც, ქცეული ახლაც ჩვენებურ-დაქცევისას — შაჰ-აბასს უთქვამს, ქართველები ჩვენ აქეთ აგვიღებენ ერთმანეთს რომ არ მტრობდნენ და კიდევ კარგი მტრობენო და თუ დიდად-მარგია შემომსევისათვის ჩვენი ეს მტრობა, დღევანდელური, ჩვენ — როგორ გვაქცევს, რამდენი მსხვილმან(თავიანთ ჭკუით)-გამყიდველი გამოგვერია მაგრამ ეს შენ გვპატრონობ — როგორძალიან ღვთისმშობლისავ ამ 80-ზე მეტწლიან ჩვენებურ-ასე-დაქცევისას შენ გვამაგდარობდი ქრისტესთან ერთად თქვენი მამით, ღვთით მთლადაც ახლახან სიტყვით-ქრისტეთი გამორჩეულებს შვება-რეზოსა-ინანიშვილს, შემართულ-გურამრჩეულიშვილს და ბრძენოსტატ-ჯემალ-ქარჩხაძეს, და მრავლისტანჯვით მაინც რარიგად გაშეუპოვრებულ-მზეჭაბუკ-ამირეჯიბს, შენ ჩურჩულებდი ანას ყურთან ის კი — რამადლიერი გიღებდა გულის კარს და ანა გვყავს, შენით, ნიშნიანიძე-შოთასი შუბლზე ვითო-უხილავ, საგრძნობთ-როგორ თითებს აბჯენდი, და ის მერე რა-ც თუ მოგვიმრავლდნენ ყრუები, ბრმები, და მთლადუარესი — ნებსით ყრუანჩელ-უსმები და თვალთსინათლე-დაშრეტილები მაგრამ დროებითია, ეს — ღრმად ვიცი რომ — ეს დაკნინება, გინდაც ძალიან გრძელწლად, წლებად, წლეებად და, წელიწადობებითაც გაგრძელდეს ეს უთავბოლოდ-უთავბოლობა, ეს უყურობა, უხელ-ფეხობა სისწორისაკენ რადგანაც არა, არ გაგვწირავს ის მშვიდზე მშვიდი და, უსათნოესი და მარადიული როგორიმძლავრად-ყოვლისშემძლე, სიკეთისათვის, თავად ქრისტესთან ჩვენს მწედ-მავალი შუამდგომლობისათვის, ქართველებისათვის, ქართველებისა-ჩვენი, ჩვენი მარიამ-ღვთისმშობელი, ჩვენ ხომ — იმისი ქვეყანა ვართ რაც მე-სა დურაქსა-გაუცნობიერებელს ადრე ლეგენდა მეგონა და თურმე მარად მას შევრდომილები ვართ, ვაართა თუგინდაც ბევრმა არ ვიცოდეთ ეს და, თუ, რამდენი იმპერია და მითომითი-ძლევამოსილება აკი როგორ უკვალოდ დაემხო და გადაშენდა და გაცამტვერდა და განქარდა არქეოლოგიურ მონაპოვრებსღა თუ არ ჩავთვლით თორემ უამისოდ მთლადაც გამოგონილები,ღა, გვეგონებოდნენ ჰიმპერიები-ის, მხოლოდ, სადღა არიან ის შუმერები, და აქადელები მთელს მათ ირგვლივეთს რა-საძრწოლად რომ აზანზარებდნენ, ანდაც ეგვიპტელები-ის, პირამიდების რა გოროზად ამაგებლები, უკვდავებისათვი-ვითო და, ყუჩად არიან როგორ ახლა წინაპრებითე ძველდამპყრობლები, აგრეთვე ისინიც წინაპრებად სუცოტა მეკობრეები რომ ჰყავდათა და ჰყვანდნენაც დასტურ-გვირგვინებით თავს-რიხითდადგმული მეფეები თუ კურფიურსტები — სადღა არიან, თუმცაღ — არიან, კიი, იმ შავბნელეთში მუდმივი ცეცხლი რომ გიზგიზებს და იქაურობას რომკი უფრო შავად, ანათებს; და როგორ ვყავდით ისე-ძალიან შევრდომილები ჩვენს თავებსა-ნადებ ხელისგულითა და გულით თვით-იმისისას, მთელით-მათთან თავად ღვთისმშობელს, მაას, ის რა-მტრებისაშემომსეველთა და დამპყრობლებისაგან როგორ დაგვიცვა და გადაგვარჩინა ისე რომ მოგვატანინა, სული, და დღესაც ჩვენს-ქართულს რომ, ვლაპარაკობთ, და ახლაც, უწმიდესისა და უნეტარესის, მართლაც-სრულიად-საქართველოსი კათოლიკოს-პატრიარქის, ჩვენი დიადი მეუფის ილია II-სი ნიადაგ-ლოცვით, ლოცვა-კურთხევით ისევ მისაკენ, ღვთისმშობელისაკენ ასაღორძინებლად, გინდ გამხდრები და ჩამომჭკნარები? — მაინც, კი, მაინც საღად ვიფურჩქნებით მომავალისათვის, ბო-

ლომდე კი არა გინდაც სულაც არ ვიცოდეთ, ისე, გადამვიწყებლები-ჩვე იმ 70-წლიანი განსაკუთრებული ათეისტობით ანუ სიავეს, უკულმართობას, სიყალბეებს როგორი დიდ-დაცემებით-შეგუებულები, ჩვენ, და მაინც, ამა-გაჭირვებებისაც კი რა ღვთის წყალობით აღდგა ჩვენში და შენდებაც დიდრონ-დიდრონი თუ მცირე-მცირე ეკლესიები, ეს, თუმცა — ესა-სიმცირე მხოლოდ თვალისათვის თორემ აბა ვინა თქვა ქრისტეს-სხეულის და, რამდენად მეტის, სულის — ეკლესიისი მომცროობა, — ქრისტეა ისი-ეკლესიები!

და, ადრეც როგორ რა-სასწაულად მოევლინე სულო-წმიდავ თვით ღვთით-მამათი და შენს ტყუპისცალთან, ქრისტესთან ერთად თვით იმ დიდ ცოდვილს ვისაც დიადად-დიადი მეფსალმუნეობა რომ დაბადებითგანვე შუბლზე ეწერა... რა-ცოდვებისა როგორი ჩამდენი, სწორედაც სამით-თქვენით აკი ხომ გაწვა, ხომ დაემხო რკინისწვეტება ლოდზე, და მონანიებით დაიდგა როგორ, მთლად დიად-დიდი უმაღლესი ტახტ-ტახტრევანი მონანიებითი მოწიწებისა და თავად თქვენდამი ღირსიც კი — სიტყვისმიერი აღზევება, კი, თქვენი შეიქნა და, — ესაც თქვენით!, — და ამ წყალობად მის დიდთა და მრავლად დამცემ სასტიკ ცოდვებზე მაინც რა დიდხანს დუმდა, თვით ღმერთი... მაგრამ როგორ, როგორ-ად გამოიძია და გამოირჩია! და ჩვენი, წმიდა სამების უდიადესი ტყუპისცალებისა-ღვთით და მათგან ერთ-ერთის ჩვე-აქაურთასაგანაც დედის, თვით მას, მარიამ-ქალწულად ღვთისმშობელს როგორ-რარიგად — არცრომ ვიცით! — შევრდომილები მისიანები, ჩვენ — როგორ ვხარობთ რომ ვიმეორებ რომ ისიცკი მერე რა რომ ყველამ როარ ვიცით სწორედაც მისი წილხვედრი ქვეყანა რომ ვართ და, უარესიც – ვიცით და მაგრამ სათანადოდკი ვერა და აღარ გვახსოვს, ჩვე-უმადურთა, ეს, და აბა როგორ გაიხარებს თვით ღვთისმშობელი უწმიდესისა და უნეტარესით, მისი როგორის-თავდადებით, სულის დადებით ლოცვებითა და ჩვენ-ყველანი, აქაურიც და გარეთულნიც მთელ-ქართველობა — მივხვდებით, ამას, მაგრამ სანამ მივადგებოდე ჩემსაც აღსარებას ერთგვარს და ჩემს მცირეს ანუ ადამიანურს მრწამსს-მარტივსა დიადი მრწამსის უუვრცელესი როგორი შვების-საჩრდილობელის ფერხთა მტვერსა და ნამცეცის მისხალს, მე-ს, რადგან მაშინ ხომ სულაც არ ვიცოდი თუ რა იყო ნამდვილი ანუ თქვენი, წმიდა-სამებით ჩამობოძებულ-ჩამოკარნახებული ჩვენ როგორძაან-ულირსებისათვის, უდაბნოებად, სა-მრწამსო როგორ, ის 10 მცნება, ხოლო მე, ვისაც ამ ცხოვრებაშიაც კი მომევლინა ისი დიადი სასწაული რომ შვილი — მამად გადამექცა რადგან შეძლებისდაგვარად ძალიან ვცდილობ რომ მარადიულს, უკუნითი-უკუნითისამდე მასთან რომ მოვხვდე ძალიან მინდა და ამიტომაც უფრო ხშირად სწორად მოვიქცე და, ათასში ერთხელ მგონი კიდევაც ვახერხებ ამას და, ვისი წყალობით, — თქვენით ეს,

და შვილით,ც,

და ერთი რამაც უნდა მოგახსენოთ — რომ მე აქ, ამ მოგონებებით ძალიანაც დარცხვენილი ვარ იმით რომ როგორლაც ბევრად უკეთესად გამოვიყურები, მე უკეთესი გამომყავს თავი ვიდრე სინამდვილეში ვიყავი და ვარ და ეს შეგნებულად იმიტომ რომ მინდა ამ-დროშიაც კი რაიმე-შვება მოგანიჭოთ და არ მინდა ჩემგანაც დაგემატოთ ისედაც აუარებად ათრგუნვა რადგან ჩაგვრები — ისედაც გვკმარა, და ჩემს ახლობლებზეც, და განსაკუთრებით შემთხვევით-შემოხვედრილებზედაც შეძლებისამებრ ვერ გეტყვით ვერავითარ აუგს — იგივე ნიშნით, — თქვენი ისედაც შემაწუხებლისა რადგან მკითხულობთ მაგრამ — ქართულად, ჩვენს იმ ენაზე, მკვდრეთით აღმდგარი-საზე ანუ სამარადისოდ... მარადიულზე; ვინ, ვილა აღარ გვესეოდა და მაინც — ქართულს ვლაპარაკობთ, ხოლო ვაი-რომ ბევრმაც სხვებმა, სადღაცას-ჯახნაბისაკენ მიმოშემჭვრიტინეებმა კი, სხვებმა, იციან თავისი საქმ... არა, იმათე ნაღდად არ იციან თავი-სი საქმე, თუ, ვაითუ მოეხსენებათ კიდეც თავიანთი ბნელ-საქმეებისა და მაინც, ამ-მართლაც წუთისსოფლისეული ვითო-ქონების მოხვეჭისა და დაგროვებისა მიზნით, მაინც მისდევენ, როგორ მისდევენა და მიერეკებიან ამა-ამეებს და ეს თუ რისთვის, სინამდვილეში? — ! — ჯოჯოხეთისათვის, ბნელ... და აღარ მიდა მეტად შეწუხება გინდაც თქვენი და ცოტაც იმათი — მე კი არა და, თვით წმიდა წერილს არ კითხულობენ, და მაგრამ არ გეგონოთ რომ ყოველთვის და ყველგან დაგიმალავთ შემაწუხებლობას, არა — მე ამისათვის როგორი გულის-გამწითლებადი აღსარება მეგულება ჩემიც და მაქვს შემონახული თქვენთვის, უფროდაც ვრცელი და გასაწითლებელი და რამდენად მნიშვნელოვანი აღსარებები კი მაქვს მეუფე დანიელისა და მამა ილიასადმი, მათთვის, როგორ-მიმტევებელთადმი სათქმელიცა და, თქმულიც, ასე რომ, — ვიმხნევოთ გული თუნდაც იმიტომ რომ — ხე შეძახილებით გახმაო და, არ შეგაჩეჩებთ ზედმეტად გლახა-ამბებს რადგან ვაითუ მეც გავხმე და დავბერწდე — სულისწმიდისაგან სიკეთით, და მაინც მოშორებული, თუმცა ის არავის სცილდება და არცაც შორდება, ეს მხოლოდ ჩვენით — თავად მისადმი, ეს ისიმისაგან განზე გასვლა და დაცემა იქნება ეს, ჩვენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ამიტომაც, ორ იმ ძალიან უსიამო რამ-ზე, რომლებიც ბიჭურ-ვითოკაცობით არამ-ცთუ ცოდვად არ მიმაჩნდა არამედ სადღაცას ტვინის ღრძუ კუნჭულში ვამაყობდი კიდევაც და მომქონდა თავი — იმ ორ-რამეზე, ძმაკა-ცებიანა ჩემს ჩხუბებსა და მეშვიდე მცნების დარღვევებზე? — არ მოგახსენებთ... თუმც, მე ყველა მცნება მაქვს დარღვეული, თითქმის უკლებლივ, და „არა კაც-ჰკლა"-სი არდარღვე-ვით რომ მოგვაქვს თავი იმიტომა რომ თავი არავისთვის მოგვიხერხია და არც მოგვი-წამლ-მიგვიხვრეტია ვინმე, ვერც ვერ-ამითი ვარხეინობდით ვითომც-სწორები, რადგან, აღსარების საიდუმლოების განმარტებაში ისიც სწერია „არა კაც-ჰკლა"-სა დარღვევებ-ში, რომ, —

„სიტყვით ხომ არ გიწყენინებია ვინმე" —

ანუ ხომ არ მოგიკლავს სიტყვით გული ვინ-მესათვის,ო, ესაც „კაც-ჰკლა", კი, ყოფილა თურმე, და ერთადერთი რაც მგონი დამიცავს ეს „არა იპარო"-ა, მაგრამაც ერთხელ...

მაგრამ, —

ეს კაიბლომა დასვენება არ გამოგვივიდა?

არ ვარგა ჩემო კაიბატონო არაფერი ნამე-ტანი, არ-ვარგანა, არა, არა და არა, — კი...

* * *

ჩემს პირველ დაპატიმრებაზე უკვე მოგახ-სენებთ — 3-4 წლისა კაპიტნის სამხრეებისა დაუმსახურებელი და უსაბუთოდ ტარები-სათვის ქ. თბილისისა ვერის ბაზარში საბჭო-თა ყოვლად ფხიზელ-ფხიზლურა პატრულმა სულ ხიშტებით რომ დამაკავა — ნახიშტარი, ვარ-მეთქი, აკი — ისეე, დიდი გასაკავებელი მე ვიყავი, კი..., ხოლო ასე IX-სა კლასში ვიქნე-ბოდი ანუ მგონი 1955 წელს, ზუსტად არ მახ-სოვს როდის დაიდგა ათეისტებისაგან დიდის ზარ-ზეიმით მთავარ-ათეისტ-კაენიტურისა იმ არ-სახსენებლის-აქა ძეგლი ახლანდელი თავისუფლების, მოედანზე — ეჰ, ბედი როარ ექნება აზატობაშიაც, ადამიანს... და აგრეთვე-ცა გარემოს, ტელე-ეკრანს... ჩვენი კლასელი ბიჭები ჩვენივ კლასელის, ია კვანტრიშვილის — ძალიან თბილი, სათნო, კეთილი გოგონას დღეობაზე ვიყავით, ვერცხლის ქუჩაზე, და საკმაოდ რომ შევზარხოშდით, შინისაკენ მი-მავალები „თავისუფლების" მოედანზე აღმოვ-ჩნდით ღამის ასე-ორ-სამ საათზე და, გამოვე-ყავით-რა ჩვენს-ისედაც ვაჟიკაცურსა ჯგუფს გივი ხომერიკი და მე, ავიღეთა და იმ უწმინდუ-რის მანამდე-შეკავებულს-სითხიურად ძლიე-რულადა შევურაცხჰყავით — თუმცა აბა რა-შეურაცხყოფაი იყო ესა — რაც ეკუთვნოდა, ის ჩავუდინეთ...

და, იქავ-იქვე დაგვაპატიმრესა-კიდეც ასევ-ფხიზელმა მესაზღვრეებ-პატრულებ-სავით სოც.-და-საბჭოთა „მე მიცავს ჩემი მი-ლიცია"-მ... ოღონდ გივი და მე კი არა, გაიოზ გალდავაძე და, მე...

გათენებისას მოცვიდნენ ჩვენი მშობლები და ბებიაჩემი, ახლობლები, კალინინ-კამაძა-კალინინისა (თვით სტალინისა იმა სოც.-გზა-ზე დამყენებელ-მასწავლებლისა) სახელობის საბჭ.-მილიციაში და, იყვნენ ძალიანაც თავ-ზარდაცემულები, ჩვენით, და ერთიც მშობ-ელი მოგვიანებით რომ მოვიდა, მამაჩემს — როგორც სამხედრო ანუ სანდო პირს — რომ ჰკითხა რა ჩაიდინეს ამ უსვინდისოებმაო, მა-ინც ისეთი,ო, მამაჩემს დიდად შეეუხერხულა ჩვენი ამ-საქციელისა სიტყვიერულად ხმამაღ-ლა თქმა, და დიდად შემცბარმა და აწურულმა — რადგან ქალბატონისადმი — ძლივს მოა-ხერხა და თავდახრილმა ხმადაბლა ჰსთქვა, რომ — ეე, ზედ იმის ძეგლს, ეე... დიდი ბოდი-შიც მაგრამ შარდი მიაქციესო მაგრამ ეს ვე-რა, ვერ იყო მთლად სწორი პასუხი რადგან იმ მართლაც ჯოჯოხეთამდე მართლაცდაქცეუ-ლისა ძეგლს შარდს აბა როგორ დავაქცევ-მი-ვაქცევდით — ათეისტებით დიდად-მაღლად იყო დადგმული სულ-რაღაც სამიოდ დღით ადრე, ხოლო ჩვენ კიდე ღამის-სიფთაზე ჩვენ მხოლოდ მისსა კვარცხლბეკსა-ღა ვაპკურეთ ერთ-რამ კინკილაი-რამ მაგრამ წვეთობრივო-ბით? — აურაცხელი ხოლო იმ ქალბატონს კი ერთმაც მშობელმა-ქალმა ასე მიახალა: „ამ გა-ფუჭებულებმა იმაზე შარდი დააქციეს კი არა და მთლადაც მიაფსეს ქალბატონო ლიზიკო ზედ მიაფსეს!"-ო, და, ამისი გაგონება და ამი-სა მომს(ფს)მენელ დეიდა ლიზიკოს კინაღამ გული წაუვიდა, თუმც ძალიან მტკიცე ქალ-ბატონი გახლდათ — აკი მოგახსენეთ, მგონი 1955 წელი იდგა, და მთის არწივი, კობ(რ)ა-სტალინი რაცხა-ახლახან იყო მომკვეტნარი მაგრამ იმისი ძალუმი სუსხი იმ ანტითათარი-ახნად შექმნილ კიარა არამედ ძაან-გაწელილ უმძიმეს წლებში კი არა, მგონი ახლაცაც კი დგას (— 2007 წ.) მისით სუსხი-ჭახჭახად და დაუნდობლობა და, ამიტომაც, რაც ჩვენ გვე-ლოდა? ჩვენს ხუთ-ექვს ძმაკაცსაც — თანად-გომისათვის აგრეთვ-დაპატიმრებულებს? — პოოლიტიკური გასამართლება, თვით, და ესა-ჩვენით ეს ერთგვარი დაქცევ-მიქცე-ვა რაღაც-უვერტიურისასავით წააგავდა იმა-იმისას რაც ჩვე-9 ძმაკაცმა 1956-ში მხო-ლოდ „დანაშაულებრივად" ჩავიდინეთ კი არა ის-რა-მართლიად მოვიქეცით ერთი წლით ადრეც ხოლო მილიციაში კი აკი გივისა ნაც-ვლად (რომელთანაც რომ ერთად შარდით ძალიანც-სწორა ვიმოღვაწევე ღვინურ-სითხ-ისა თვით ორგანიზმით გადამუშავებული სხვაგვარი სითხე-რომელიც ბოლო მისხალ-

წვეთამდე რომ მივაპკურ-მივღვარ-მივაქცმივაღვარ-ღვარე „საბჭოეთისა პირველს და დიადს“ ანუ ქვე-წარმავალსა ბელადს, თუმცა... მე აქა ვცდები — ქვე —წარმავალობაც რომ არ აღირსეს? როარ გახადეს, გადამეტებულ-პატივისცემით, ამისი ღირსი? — მიწისისა-ზედურად წევსა და წვანა, მგონია ახლაც, მარმარილოსა-მავზოლეაში... და რაცგინდა დიდადძვირფასისა, იმ მარმარილოს რა გოთურანსათავში იხლის, ანუ როგორც ზოგ-გურულებმა დიდის სიზუსტით დააფიქსირეს? — ის უბადრუკი „ადამიანის ჩირი“-ა, ახლა... ალბათ ეს „ჩირი“ სიტყვიდამ - „ჭირი“, რუსები აკი „ჭ“-სი მაგივრად „ჩ“-ს გამოჰსთქვამენ...) გაიოზ გალდავაძე და მე-დამსახურებული ამისა რადგან მე-ყოვლათ უსითხეოთე დარჩენილი მთლად დაწრეტილსა ჩემ-ორგანიზმში და გაიოზი კი უ-შარდდამქცევოდ-სითხიანი განსაკუთრებულ-საშიშროების წინარე, ვიდექთ, რა დაგვავიწყებს ამა-წვნიანსა საქციელს-ამას, ახლახანაც კი, გაიოზს — ახლაც როგორ ძმაკაცს და რა-ნაღდკაცს, ვუთხარი: „ბიჭო-გაიოზ (ესბებრები რომ მაინც „ბიჭო“თი ვესიტყვებით ერთმანეთს, კაცო), იმა-სულელურ ოსკარმოსკარებს რომ ყოველწლიურად ირიგებიან ფულებიანსა-ჰოლივუდში პირველ რიგში ხომ შენთვის უნდა მიეც-მიეჯილდოებინათ „ოსკარი“ მამაკაცისა როლის ისეთი საუკეთესო შესრულებისათვის რომ-რომ გივისა როლი იმდენად დამაჯერებლად შეასრულე რომ იმის მაგივრად შენ განსაკუთრებით დაგიჭირეს“, მეთქი...

მოკლედ, საციმბიროთე-გადადებულებივით ვიყავით იმ-ღამ, კი, კი, მაგრამ სისხლის (ხორცისაც) სამართლის კოდექსის უუმკაცრესი მუხლის — 50-10,11-ს — ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა და მერედა რითი — თანაც მოფსმითი-ს, ნაცვლად? დარეკეს თურმე მილიციიდგან მილიცანერებმა მათზე მაღალი-ჩინის უფროც-მაღალსა ინსტანციაში — აგრეთვ-სუკების სუკში, და, იმათ კი ერთხანს დიდ-დაძაბულად უთათბირნიათ და, გადმოურეკავთ მერე, ასე: ამ ამბავს მოდით ნუ გავახმაურებთ, ასე აჯობებს, რადგან მთელ საქართველოს შეგვირცხვება კი არა და მთლადაც მოგვეჭრ-მოგვეკვეთებათავითელ-სესერეკაში როგორ თუ ილიჩს ასეთი ცუდზღაპრულითი-მატერიალისტური (მატერიაა, შარდი-ც?.. რავი...) უმსგავსოებითი-შეურაცხჰყჰყოფა შეჰკადრეს გრუზიაშიო და, გაუშვით ეგკი ქვეშაფსიები (ისემც... ქვეში-ფსიები და, — ჩვენ? — აჰ! — მთლად პირიქით — ზედა-ფსიები უმფრო ვიყავით, კი...) ლაწირაკები ოლონდ იმ მკაცრად-უმკაცრესი პირობით რომ არსად არ დასძრან ამაზე კრინტი,ო — ასე უთქვამთ, კი, ამას თუ ვიტყუილებოდე ფინთი ვიყვე და, სუკა...

მოკლედ, ხახვივით შეგვრჩა ისი-სითხე, მაშ... თუმცა არა, ისი სითხე შეგვრჩა კი არა, მთლადაც-ძაანაც პირიქ-პირიქით.

გამოგვიშვეს, კი, მაგრამ რა იყო ესაცა და მერმისის-მიერი დაჭერები თუნდაც ბევრრიცხოვანნი სუმბუქურები და ხოლოკი-რომა 1956 წელს ზედაც მართლაცდა-სერიოზულად რომე-ვიყავით დაპატიმრებით როგორდა-მკაცრმკაცრსანქციაებულ-დადებულები, და მერეც, 1958-შიც აგრეთვე დიდ-საშიშრად რომ დაგვიჭირეს, ამა-ზე — შემდგომ, კი, მოგიყვებით, როდესაც შედარებით ძალიანსცოტას-ცოტათი გვაყურყუტეს „ციხეს რად უნდა რკინის კარები“-ში, ხოლო დაჭერა მართლა ის იყო, კაკო ბიძიასი, — სუცოტა მთელ ათ-წელიწადს რომ „ხეხა ნარები“; ძია კაკო რომ შორ-ციმბირიდან ჩამოვიდა, იმ ყინულოვანეთიდან, ბებიას რომ მარტო „ციმბირისი“ს გაგონებაზე ძალიან-რო აჟრიალებდა რადგან მცივანა იყო ისეთ-ისეთი, რომ, მერე, ტელევიზორი ვრცლად რომ შემოვიდა და იმის საინფორმაციო „ვრემიას“-ს რომ უსმენდა სადაც ყოველისფერი ტყუილი იყო ამინდის პროგნოზის გარდა, ხოლო იმ-“ვრემია“-ში ფინალისას — იქკი მეტადა-მხიარულ-ფონად-მუზიკისაქვეშ სერიოზნული დიქტატორი რა იყო არამედ დიქტორები რომკი გვამცნობდნენ აკადემიურ-ხმით ამ ჩვე-მზიურთ: „Якутия _ минус 53-58 „, ბებია მაშინვე ძლიერ გულდაგულ ღუმელს ან ელექტრო-ღუმელს მიეფიცხებოდა და ხმადაბლა მაგრამ ხმის დიდ-ჟღრიალით იტყოდა ხოლმე: „აიი, მაქანა უნდა დავბადებულიყავი მეე“... მეც კვერს ვუკრავდი — „აბა ადვილურ-საჭილაოში რა გინდოდა, ხო-მოდუნდებოდი, იქ“..., ხოლო კაკო-ბიძია იაკუტიისა-რაღაც-მაგვარივითი-დან რომ ჩამოვიდა, მაშინ ასე-VI კლასში ვიქნებოდი, და ბებიას შემოთავაზებულ „წამოდი ბიჭო კატუტასთან და ნახე კაკო“... — ვუარობდი, როგორ-მშობლიურ სამზარეულოში ასვლას, რადგან კაკო-ბიძია მე ერთი პირქუში და მკაცრად-ბრგე და უმძრახი-ვინმ მეგონა და ასეთად წარმომედგინა იმ ყინულეთში გა-ქვაკაცებული კაცი, მაგრამ როგორც იქნა და ხუთ-ექვს დღეში რომ გავბედე და, რომ შევაღე ფაცა-ბებიითურთ კატუტა-დეიდას სამზარეულოს (ანუ ჩვენი მთავარი გენერალური გენერალიტეტებიანი შტაბის) კარი, გაოცებისაგან პირი დამეღო და დავაფჩინე მე-აქეთ გაქვა-ბიჭებულმა პირი: „ნუთუ ესაა, ნუთუ ეს არის ბიძია კაკო“, იგი კი, ტანმორჩილი, გულაჩუყებისაგან თვალებზე ცრემლმომდგარი, მე — ანუ კვიდრიფაცას (მკვიდრია ცოლის დეიდაშვილიც რაარიაპა...) შვილიშვილს სიხარულისა და სინაზისაგან მთლად ათრთოლებული მიახლოვდება, — „უახლოვდება, სათნო, რბილი რომ მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ შეიძლება, თავს ახრევინებს და შუბლზე ჰკოცნის, მერე გახარებული შესცქერის, — როგორ-აშკარად კეთილია და ჩია, უკვე-ამსიგრძე სანდროთი აღფრთოვანებული, დროდადრო მოკეთეებს სიხარულის გასაზიარებლად შეავლებს თვალს, და ისევ სანდროს მიჩერებია ბედნიერებით პირთამდე სავსე, მაგრამ ლაპარაკი უჭირს, მხოლოდ ამასღა იმეორებს: „უყურე შენ... უყურე შენ"..., მაგრამ ვინ აცლის:

— ფაცა, ფაცა, გაფიცებ ყველაფერს გაცინე რა, გაცინე რა-როგორი გვეგონა რო იყო, გაფიცებთ ყველაფერს, გაცინე რა ფაცა!..

ამჯერად ბებიას დიდი ხვეწნა არ სჭირდება, ეტყობა სანაქებო ნომერი დაუმუშავებია წინა დღეებში, ოღონდ ამბობს:

— ბესოს ტელაგრეიკა მომიტანეთ აბა...

— არიქა გოგო ნანა!..

— შამეიხსნას ვახტანგმა ქამარი.

— ა-გენაცვალე, ფაცა!

— მომიტანეთ ქიმიური ფანქარი.

— არიქა ბიჭო ზურიკო!

— გამოართვით ვერა პაპავას ის თავისი ქუდი.

— მიდი ბიჭო შენ, რო მომჩერებიხარ ვარაშილოვის სურათივით!

— ის შენი კაზიროკიანი ქუდიც გამეიყოლე...

და ცოტათი ანურულ სანდროს გაკვირვებული მეზობელი ვერა პაპავა ეკითხება: — კი გენაცვალე, მარა... რათ უნდათ ამ სიცხეში ამ ბოლოდროს ასე წამდაუწუმ ეს მდულარე ქუდი?

— რა ვიცი...

— ა, გენაცვალე.

ბებიას კი ყველაფერი შეუგროვებია, მთელი სასურველი რეკვიზიტი, სანდროსღა უცდიან, — ოოო, ყოჩაღ... თელათ-კახური ბარაქალა შენ!

მერე, არტისტკა ოთახში შედის, და, პატარა ხანში, გამოდის ბებია ფაცა მაგრამ, რას გამოდის... —

ვერა პაპავას ძვირფასი, ბეწვის ქუდი ვითომც კატორღულად ჩამოუფხატია ცხვირამდე, საყელოაწეულ ტელაგრეიკაზე ვახტანგბიძიას ტყავის ფართო ქამარი შემოუჭერია, ხელის მტევნები ჯერ არ უჩანს, რადგან ტელაგრეიკისმიტყუპებულ,მოპირდაპირე-სახელოებში შეუძვრენია, დადგება ჯერ სამზარეულოს შუაგულში, და მერე უცებ, ღრმად და ხმაურით შეისუნთქვას და მხრებში ძალიან წახრილი, ბოლთისცემას იწყებს, თან იძახის: „ბრრ"..., — ცივა ძალიანი ციმბირში, შეწუხებულ ბოლთასა სცემს, გადადგამს სამ-ოთხ ნაბიჯს, ფეხსაცმელები გაუხდია და თბილწინდიან ფეხს იატაკზე ძალიან მაგრად, ქუსლით აბიჯებს, შეჩერდება კუთხესთან, მოტრიალდება, თავს ისე უკან გადასწევს, ქუდქვეშ ვითო-ბოროტად გაკვესებული თვალები რომ გამოუჩნდეს, იტყვის მერე: „ბრრ"..., და ისევ თავჩაღუნული და წახრილი გამოსწევს უკან, ისევ ქუსლებზე მოემართება, ისევ შეტრიალდება, ისევ ის „ბრრ"... და თვალთა ბრიალი ისეთი რომ, უკვე სიცილით დამწყდარია საზოგადოება, „შენ დეიღუპე... კაი გეყოფა, ეჟოვი გვიჩვენე ახლა... ეჟოვი დადგი ახლა ფაცა, პარალელურათ, თავის ბაღჩაში... თავის მოსათხრელ ბაღჩაში, ფაცა!"...

და ეშხში შესულ ფაცა-ბებიას სხვა რა უნდა: ქამარ-ტელაგრეიკას იმ ძვირფას-ქუდიანა იატაკზე აგდებს, გაქუცულ პატარა სავარძელს წამოავლებს ხელს და ტახტზე დგამს, და, „ჩეინიე ბიჭო, ჩემ ბაღჩაში ვარ", და ტახტზე ადის, სავარძელზე მაღლით ჯდება, სანდროს „თსს" ქუდს იხურავს, კოკარდიანია, რაც არ უნდა იყოს, მაინც ამაყი და შთაგონებულია-ვითომ ისე-რო? — მტრისას, „კლუბნიკა, კლუბნიკა არ დაგავიწყდეს ფაცა!", რა დაავიწყებს, და ბებია კოხტად დაკემსილწინდიან ერთ ფეხს მეორეზე გადაიკვანტილებს, აღიღინდება და ვითომც გვერდით მდგარ უხილავი თეფშიდან მარწყვს ორი თითით გაპრანჭულად იღებს და ქვედა ტუჩზე ნაზად იდებს, ვითო-გადაყლაპვისას კი თვალებს სიამოვნებით მილულავს, თითებს მუხლზე ითამაშებს, თანაც, პოპულარულსა-სიმღერას ჰღიღინებს: „ხარაშაა, სტრანა ბაალგაარიაა, აა რასია ლუუჩშე ვსეეხ"... „ოხ, შენ დეიღუპე და, დეინვი და მეისპე ფაცა, კაკოს დოუბრუნდი და დადგი ისევ, კაკო დადგი მუშაობის დროს, ჭირიმე შენი!"... ფაცა-ბებია კი ჯერ სანდროს ქუდს სავარძელზე ფრთხილად დებს, მერე ტახტიდან ფრთხილად, წელზე ხელმიდებული ჩამოხტება, მსწრაფლ შეიმოსება იატაკზე დროებით დაყრილი ტელაგრეიკა-ქამარ-ბეწვისქუდით და, ჯერ ისევ შეტყუპებულ სახელოებში ხელებშემძვრალი დადის, მერე ისე სწრაფად გაძუნძულდება, ვითომც ქეჩოში სტაცეს ხელი და სადღაც მიაპროწიალებენ, მაგრამ ადგილზე რბის, სად მიარბენინებენ და, ხე-ტყის საჭრელად, სხვაგან სად... ჰოდა, მოხრილა ორად ბებია ფაცა, ხერხის ტარი უპყრია ხელთ ვითომ და, „ვუხ-ვუხ, ვუხ-ვუხ, ვუუჰხხ!" — ხერხავს. ისე დამაჯერებლად ხერხავს, რომ, იატაკზე ნახერხიც რომ აღმოჩნდეს, სულე-არავის გუუკვირდება. მერე, ნამეტურ გადაღლილია ვითომ, ძლივს გამართავს წელს და, გამწარებული, ტახტზე მდგარი სავარძლისკენ, ანუ ეჟოვის ბაღჩიან-თანამდებობისაკენ და „კლუბნიკა"-სკენ, სულ ნერწყვებს გამალებული ყლაპავს და ისე იხედება... „ახლა შეთქმულება დადგი, შეთქმულება დადგი ფაცა!", და ფა-

ცა-ბებია მერე ისევ ვითომ.. ეე, ვითომ კი არა მართლა ხერხავს: „ვუხ-ვუხ, ვუხ-ვუხ, ვუჰხხ, და ისევ გახედავს ეჟოვის სავარძლიან სამფლობელოს, მერე, აქეთ-იქით ძლიერ ქურდულად და თან თვალებგაფაციცებული გაიხედგამოიხედება, პირზე თითს მიიდებს, „სსუ"-ო, უბიდან ჩანგალს იღებს, ტყავის ქამარს შემოიხსნის და, ჩანგალს ასალესად ისე უსვამს საგულდაგულოდ ზედ, „აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია, — იძახის სიცილით ცრემლებ-ღვარადდადენილი დეიდა ჭაპულა – ვაიჰ", მაგრამ ჯერ სად არიან, ტელაგრეიკიანი გულმოდგინედ რომ ალესავს ჩანგალს, ისევ „სსუ"-ო,და უფრო საიდუმლოდ გაყუჩებისათვის ხელისგულს მკაცრად აჩვენებს ხალხს, ხოლო დეიდა მერიას ჯერ ეუბნება: „მერივ ჩემო-მერივ, შენმეტი ვინე-ოხერი ქალი მინდა მე ჩემო კოპწიავ მზეთუნახავო მარა მზეთუნახავი მე-ვარ უფრო ამ-სიკტივკარში შენ ჩემო ყველავ"! და, მერე იმასაც სიფრთხილისათვის ხელისგულს ზედ ცხვირწინ მიუტანს, ხელისგულზე კი, შეჩვენებულს, იმა-საჭირო ქიმიურ-ფანქრით ვიტომც ტატუირება რამ დაუწერია მარა-ქართულათ: „მარუსია", „ვუხ შენ მეისპე და"... ბებია-კატორღელს კი ჩანგალი მაგრად ჩაუბღუჯავს, ისევ სავარძელ-ბალჩისაკენ მრისხანედ იმზირება, თვალებს აგიზგიზებს რომ, პაპიროსს მოუკიდებ ზედ, და უცებ, ჩანგლიან ხელს შემართავს და „კლუბნიკები" —ანისკენ გადაჭრით ამბობს:

— ეჟოვ, შენკი მოგითხარ იაგოდა და სუყველაფერი!..

აქ ზოგი მართლა ცუდად ხდება, დეიდა ჭაპულას საფეთქლებს უზელენ, სველ ცხვირსახოცს ადებენ შუბლზე, თვალს ახელს, ძლივასღა ამბობს: „არ შეიძლება... არ შეიძლება ამდენი და ასე"... „შენ თვითონ არ დამიკვეთ-შემიზაკაზე, შექალო?" „კი მარა... ზომაა ყოველისფერში საჭირო... გავალ მე ოთახში, უჩემოთ განაგრძეთ... მივწვები პატარათი ცოტა"...

დაოდნავროგორცმოითქვამენსულს,პატარა, სახელდახელო, შენიშვნებიან განხილვას აწყობენ: „კი მარა, რა უნდოდა მაშინ ეჟოვს, გასაღებული იყო უკვე"... „კვტნარი ხომ?" „აბა!" „ძაღლი მიაკვტნა სულში!" „ლავრენტი ეგდო მაშინ, პავლოვიჩი!" „სულერთი არაა? ერთი შკოლაა მაგინი ყველა"... „დავასხი თავსლაფი პოსლიკა თავზე!" „ხო ეტირათ სუყოველიგენს ყოფადაყოფვა!" „იერთი პოლიას იაგოდები იყვნენ მაგინი სუყველა-ყველა!.." „და რასაა რომ რა-სახელებს ვახსენებთ, ჯვარი აქაურობას", და, ისევ ატყდებიან:

— ახლა ის დადგი, როგორი ყოფილა!.. როგორი გვეგონა კაკო და ნამდვილი სინამდვილეში რავალი ყოფილა ის დადგი, ფაცა!

ახლა არც უნდა დიდი ხვეწნა, უკვე დაძრულშთაგონებულ-აღმამფრენილია, და უცებ ისეთი რბილი და თვინიერი ხდება, წარმოუდგენელია რის წყალობით თუ ხარჯზე, და ქამარს, ამ-როგორღაც სიმკაცრით ატრიბუტს, მაშინვე შემოიხსნის და ვახტანგ ბიძიას ათვალისწუნებით მიუგდებს, ცალი ხელით კაბა წელთან ჩაუბღუჯია და ზევითკენ ექიჩავება — ვითომც შარვალი უვარდება, — პატიმრებს აკი ართმევდნენ ქამარს თლათ-პირშიმთქმელი ნადზირატელები, და წინა-ქამრიანობა სულ აღარ სჭირდება, და ისეთ გამომეტყველებას იღებს? ყურებამდე-ღიმილადქმნილი,დაბნეული, დაბნეული და გახარებული სილენჩემდეც კი, ფეხისწვერებზე სულ ციმციმ შედგება და დაადებს თავს და მიდის დეიდა კატუტასთან, ჩაიხუტებს გულში და ისე ხმაურიანად რომ, სულ პროშტნით ჰხკოცნის, მერე მიდის ბესო ბიძიასთან, წყნართან, უთქმელთან, კეთილთან, და ისევ ისე აღფრთოვანებული და ლენჩურად შეაცქერდება, თვალებსაც ძლიერ იელამებს: „ისე ჩუმათ ხარ, ჩვენში შპიონი ხო არხარ ბესო შენ", და იმასაც ლოყაზე ხმაურიანა კოცნის, „ოო, ცალხელა მუზიკანტი, ჩვენი ცალხელა მუზიკანტი, ეს კაგანოვიჩის ფეხის მკვნეტელი, აი ვინ უნდა დიეჭირათ და ვინ დამიჭირეს, თუ, ინვალიდების კალონიაში იჯექი ჩემიდროშიც შენ?" და ვახტანგ-ბიძიასაც დიდის ამბით კოცნის, იმასაც ისევ-ისე თვალებგაელამებული და პირდაღებული მიჩერებია, მოკლე ჩაცინებები ისმის და მოუსვენარი დეიდა ჭაპულა, მაღვალაკობის ცნობისმოყვარე და წადილიანი, ოთახის კარს ჯერ შიგნიდან მომდგარა, სუულ-ცოტათი გამოულია და ღრიჭოდან გაფაციცებით იჭყიტება, და უკვე ლაღად იცინიან, ფეხისწვერებზე ისე მიმოიარება არტისტკა და დაბნეული სიხარულისაგან ისე გამოუთაყვანებია სახე, „ნამეტანს ნუ იზამ ფაცა, მენწყინება იცოდე", ამბობს დეიდა მერია, და ახლა იმაზე გადააქვს კაბიან-კაკოს გაელამებული მზერა, „ოჰ, მერი ვალოდიაევნა, აქანა ხარტ ტკვენც, ჩემო სიცოცქლევ და სულის საუნდჟე,-ვ? ფეხისწვერებზე შემდგარი უახლოვდება, — ისე ნამეტურ დზალიანი მიკვარხარტ, დეკოლტიანი ქალების მეტი რა იკო იკ, მარა შენ რავა გიღალატებდი შე მთისბროლო, შენ" — და, დაიხრება, დეიდა მერიას შუბლზე ამბორს-უყოფს, ცალი ხელით თმაზე ფაქიზად ეფერება, მეორე ხელი კი, მოხრილს, წელსუკან ისე შემოუდია, ყველას დასანახადაა ტატუირებული ხელისგულა — „მარუსია", „ოჰ, შენ გადაშენდი ფაცა", კაკო ბიძია კი დაბნეული და გახარებული დგას, დგას და ისე ძალიან ღიმებაა... ბებია ფაცა კი რიგრიგობით ჩამოუვლის ყველას, რაღაც ერთდროული კოცნის სეანსისდამაგვარს ატარებს, მხოლოდ ორ მათგანს ვითომ ვერ ამჩნევს,

ერთი რაღა თქმა უნდა თავისი მეუღლე სილოვან ემხვარია, მეორე — ზურიკო: არაა ბებია ფაცასათვის უმამოდ გაზრდილი შვილის ვითომი-კოცნა სამასხარაო, სამასხარაოდ აგერ არა ჰყავს სწავლა-ზარმაცი ნანა?, — უახლოვდება, ჯერ ცალი ხელის გადმოქნევით ღრმა თაყვანსა სცემს: „ოო, ჩვენი სიამაყე და სიქადული, მთელი ციმბირის კიდით კიდემდე გაისმოდა თქვენი ფრიადოსნობის სვებედნიერად წარმატებული ბარაქალური ამბავი", და ხელზე მოწიწებით ემთხვევა, კოცნის ლიასაც, ნანას უფროს, წყნარ, დალაგებულ, ფრიადოსან, ნაზ და ლამაზ დას — ოჰ, აქ ხართ ეგებ-შპიონოვნა, თქვენც? რაა რომ სულ მიითვისე ნანას წილი ტვინიც, მოერიე და დაჩაგრე პატარა, ხომ?" „ფაცა დეიდა!".. „ვინაა შენი ფაცა დეიდა შე-ბრუტიანო, კაკო ვარ ახლა ჯაში, შეამოწმე თუგინდა თითის ანაბეჭდები", და მედიკოს ლოყაზე ფაქიზად ეამბორება — „განიე გოგო მაგ-ნამწმები იქით", ხოლო სანდრიკოს — „ოხ, ჩემო სიცოცხლის კლიტე"ო, და ისე კოცნის? — ველარაა ახლა აკტრისკა, და მაინც ისეა როლშიშეჭრილი რომ ძლივს აგდებიებენ ხელიდან, „ოჰ, ლევანიავ, ცოლისძმავ და სიყვარულოვ, მარა იმშენი ორი ვალოდიას შუაში, რამ გამოგიყვანა ასეთი მუნჯი, ეგებ, სამშობიაროში აერიე ვინმეს?" აქ ლევანია ბიძიაც კი ველარ ითმენს: „სად იყო სამშობიაროები ჩვენდროს, ბებიაქალმა გამაჩინა". „უიი, უიი, გეთქვა და გელიარებია აქამდე და, მევისვენებდით — ვინცხა ბებია-ქალს გოუჩენია ეს და, რატომ უნდა გავდეს ვითომ მაკვარანცხ მამას? არა, მამას კი არა, მამობილს, აბა, მე შენ გეტყვი, დიდი ვალოდია-შეჩვენებული ბებიაქალს იკადრებდა? საყურებიან ციგანკებში ქეიფობდა სულ... გეთქვა აქამდე ლევანია ვისიც ყოფილხარ სინამდვილეში, არ დავწყნარდი ძლივს, თელი-ციმბირი ეს მაწუხებდა?" ლევანია-ბიძია გაბუტულივით ზის, მაგრამ მაინც არ ირიდებს ტელეგრეიკიანი დეიდაშვილის მოფერებას, ის კი, ლევანია-ბიძიასაც რომ აკოცებს ოღონდ სიტყვებით: „გენაცვალე შენ, ბებიაქალოვნა", — მთავარი წინ უძევს: ნამდვილ, თვინიერ კაკო ბიძიას სულ ფეხისწვერებზე შემდგარი უახლოვდება, ქუდს კეფაზე მოიგდებს და უზომოდ გაღიმებულსა და გახარებულს, ბედნიერს ისე, ისე რომ — რომ ახლა ისევ აქ, თავის საქართველოში და ამ ლაღ და როგორღაც შედარებით მართლაცდა-თავისუფალ ხალხშია, ტელეგრეიკიანი კი სახეს ძალიან ახლოს მიუტანს და ჯერ გაკვირვებული იკითხავს: „ვილანაა ესი-ჭაბუკი, მერია?" და თუმც თმაგაცვენილი კაკო-ბიძია გულით იღიმება და ბებიას კი პირი გაოგნებულათ-ვითო დაუფჩენია, თუმც კაკო ბიძიას სიხარულით ძალიან დაუღია ანაპერწკლებული თვალები, ფაცა ბებია კი თვალმოჭუტული მიჩერებია, თუმც კაკო ბიძიას სწორი ხედვა აქვს და ბებიას კი ისე სასტიკად გაუელამებია მზერა, რომ დეიდა მერია იძახის: „ნამეტანს ნუ იზამ ფაცა", მაინც, რაღაცით, სახის მიღმა ბებია როგორღაც ისეთია, თითქოს სარკეში იყურება კაკო ბიძია ახლა და, უცებ, კისკისში, კაკუნი ისმის, „მობრძანდით?" და შემოდის, მაგრამ ვინ შემოდის — ისა-ცნობილი „ლამპუჩკის კაცი", და ეგრევ-დაბნეული ათვალიერებს ყველაფერს, ყველას, — სავარძელი ტახტზე შეუდგამთ, კოკარდიანი რაღაც ქუდი დევს ზედ, დეიდა მერიას თავი უკან გადაუგდია და კისკისებს, ოთახის კარის ღრიჭოდან ვიღაცა იჭყიტება და ისიც იცინის, ვახტანგ-ბიძიას ხელში უჭირავს ქამარი, ყველას ცრემლი მოსდგომია თვალებზე, კიდევ კარგი რომ ტახტქვეშ შემძვრალი მონადირე არა ჩანს მაინც, სუსტ და გამხდარ ქალს კი ამ გაგანია სიცხეში ტელეგრეიკა ჩაუცვამს, ბეწვის ქუდი კეფაზე მოუგდია, იცინიან რო-ომ, „ლამპუჩკის კაცი" კი მკაცრად პარტიულია, წარსულიც ვერა აქვს მაინცდამაინც თლათ ისეთი, და ბებია ფაცა ჯერ ეუბნება: „ოოო, ძვირფასო ვამეხ, ვიზიარებტ ტკვენს მცუხარებას სტალინ-ბერიას გარდაცვალება-დახვრეტის გამო, ეს რა ხალხი წაგვართვესა ჩლიქიანებმა, ჰა?", და უცებ კარის ღრიჭოდანაც რომ ისმის სულსწრაფი: „აკოცე ფაცა, გაფიცებ ყველაფერს აკოცე ვამიყსაც, ფაცა", „ლამპუჩკის კაცი" ისე იბნევა, მტრისას, რაღადროს მრიცხველია, დერეფნისაკენ იხევს, ბებია ფაცა კი ისე ხელგაშლილი უახლოვდება, „გამოვივლი ხვალ!", — და ლამის გარბის, ფაცა ბებია კი: „რატომ ღელავდი, მართლა კი არ ვაკოცებდი, სილოვან, ლოყაზე ვუჩქმეტდი მარტო", და, იცინიან და იცინიან:

ბესო ბიძია, დეიდა ჭაპულა, ვახტანგ ბიძია, დეიდა მერია, დეიდა კატუტა, კაკო ბიძია, ბებია, ბაბუაც კი, და ნანა, ნანა, —

როგორ იცინოდნენ... ესენი, არც ერთი აღარ იყო, მერე და მერე, მიწაში იწვნენ.

და მიწაშივე იწვა მამა, როგორ მარტოკა დარჩენილიყო,

„რა ვქნა?"

... —

„რა ვქნისა ციხე ავაგე,
ჯავრი შევუბი კარადა,
საიქიოდან მოიდენ
ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: დრო რო მოალის
კარ გაიღების თავადა",...

* * *

ხოლო დაჭერამდე, ჩვე-9 ძმაკაცმა-მაშინ-დელებმა, აი ასეთი რამ გადავწყვიტეთ:

უმძაფრესი-რამ — პროკლამაციების გაკ-ვრა და სად ეს, — 50-წლებიან საქართველო-ში.

ეს გადაწყვეტილება პირველმა ზვიადმა გა-ნიზრახა, მთლად ყმანწვილი იყო მაშინ, 13-14 წლისა, და პირველებმა მხოლოდ ტოლიკა მიქა-ძემ და თამაზ გუნჯუამ და ჯონდო მეტრეველ-მა და მგონი მერაბ კოსტავამ იცოდნენ ეს, და-ნარჩენები მაშინ ხეირიანად არც ვიცნობდით ზვიადს, მერე შეემატათ ვოვა სიხარულიძე, თემურ ცერცვაძე, მე — ჯონდოს თავდებო-ბით გამანევრიანეს თუმცა სხვებიც დამიდგე-ბოდნენ თავდებად, მე კი გურამ სხირტლაძეს დავუდექი მეპირობედ, ასეთი წეს-კანონიც გვქონდა — თუკი ვინმე არ გაამართლებდა, თავდებს უნდა ეგო პასუხი; X თუ XI კლასის I მეოთხედში ვიყავით ტოლიკამ ჩვენი სკოლის ერთიც-წამყვანი ხელმძღვანელი რომ გალა-ხა, არ იყო მთლად ბოროტი კაცი მაგრამ სი-ფიცხით ვერ გამოზომა ტოლიკას როგორღაც-ნაირი დინჯი, მაგრამ თუ გაბრაზდებოდა? — დიდად მოსარიდებელი შებერტყილობა და ძლივს დაიხსნეს დაპატიმრებისაგან მისიანებ-მა ტოლიკა იმ პირობით რომ თბილისს დატო-ვებდა და, წავიდა თავის დასავლეთ-ქართულ სოფლად და იქ კი დროს არ ჰკარგავდა — რამდენიმე კარგი და მაგარი ბიჭი შეგვიმზადა რომლებიც შემდგომ მართლაც მეტად კარგი მართლა მაგარი კაცები დადგნენ, ეს ზვიად-თან შეთანხმებით ხდებოდა — ხანდახან ჩუმ-ჩუმად ჩამოიპარებოდა ხოლმე;

ჩვენ-ყველანი I-სკოლელები ვიყავით გუ-რამ სხირტლაძის გარდა (II ვაჟთაში სწავლობ-და); მერე, გოგონებისა და ბიჭების სკოლები 1954 წელს რომ „გააერთიანეს" და ერთმანეთ-ში, „გადაგვცვალეს", IX კლასში ვიყავი, მერე, 47-ე სკოლაში გადავედი (ყოფილი I ქალთა), ახლა მერევა ვინ და ვინ ვიყავით ერთად რად-გან ხშირად ვიცვლიდით არამცთუ კლასს, სკოლებსაც, ვოვა X კლასში რაღაც ანცობი-სათვის ვერის ერთ-ერთ სკოლაში გადაამ-წესეს რომელ-სკოლებშიც-სიარულით მაინ-ცდამაინც არ ვიწუხებდით თავს — ან კარგი ფილმი გადიოდა, ან თოვლი მოვიდოდა და ფუ-ნიკულიორზე საციგაოდ ავდიოდით, ან დავქე-იფობდით და ასე... ისე, ვოვამ ამიყოლია და IX კლასში სკოლაში მისვლის ასეთი მეთოდი გვქონდა: პარალელურ კლასებში კი ვსწავ-ლობდით, მაგრამ ვოვა, რომელიც „დეკა"-ს კლუბის ზემოთ, ბესიკის ქუჩაზე ცხოვრობ-და, ჩაუვლიდა კავშირგაბმულობის სახლს, I სკოლას — ანუ სადაც უნდა მისულიყო, პი-ონერთა სასახლეს და ხოლო მე ვხვდებოდი მაშინდელი მგზნებარე კიროვის სახელობის ქუჩის დასაწყისთან და წერეთლის ქუჩის გავ-ლით ენგელსის ქუჩაზე (აბა სად წერეთელი და ენგელსი, ვიღა არ დაამეზობლეს სოც. — ელემენტებმა) მივდიოდით სადაც შედარე-ბით ადვილი იყო ტაქსის დაჭერა (დღევანდე-ლივით კი არ იყო მაშინ ტაქსი, არამედ ჭირდა ...), და, ჩავჯდებოდით ტაქსში და პირველი სკოლის შიგ-ეზოში ასე შევდიოდით ჩვე-ვი-თო — „მნიშვნელოვანები" — რა სულელები ვიყავით, კაცოო, კარგა-გვიქროდა ოღონდ ესაკკი როგორღაც ცელქურად, და, ძალიან ღიზიანდებოდნენ-კია მასწავლებლები — ერ-თი ამათ დაგვიხედეთო, — მაგრამ რა ექნათ ... არ იყო ამაზე „მუხლი" ... და მგონი მაშინვე — შატალოსაკეენ? — ჰერი-ჰერი... ის კი ძა-ლიან მახსოვს ჩვენი ბიჭებიდან ზვიადი, ჯონ-დო და მე X, და XI კლასის დეკემბრამდე 47-ე სკოლაში რომ ვსწავლობდით (ვსწავლობდით - არაა...), თუმცა ათვისებითს-ნიჭში ჩემგან დიდად განსხვავებით ჯონდო და ზვიადი დი-დად გამორჩეულები და ამიტომაც ფრიადოს-ნები იყვნენ ისე რომ, არც ერთ სამოსანივით არ შეუწუხებიათ თავი, ხოლო ჯონდოსავით ნიჭიერი? — არავინ შემხვედრია არც მანამდე და არც მერეც გილარ ზაქარეიშვილისა და ერ-თიც კაცის გარდა; ზვიადი ჩვენი ასე ვთქვათ „არაოფიციალური" წინამძღოლი გახლდათ, სინამდვილეში ის იყო ჩვენი ყოველი საქცი-ელის მოთავე და გადამწყვეტი — ზვიადი ძა-ლიან ადრე დაკაცდა, VIII[1] კლასიდან ჩემს VIII[2] კლასში რომ გადმოიყვანეს უკვე წვერს იპარ-სავდა, ასე-მაგალითად მე კი, პირადად, წვერი პირველად მასზე 5 წლით გვიან გავიპარსე, II კურსელმა, ორთაჭალის „გუბერნსკი" ციხეში რომ აღმოვჩნდი 1958 წელს; ზვიადი ტანადაც ყველაზე მაღალი იყო ჩვენში (მერე თამაზ გუნჯუამ და მე გადავუსწარით „სიგრძე"-ში); ზვიადი ეგრეთ-წოდებულ ელიტარულ VIII[1] —ში რომ სწავლობდა ნახევარ სასწავლო წე-ლიწადს, I[1] კლასიდანვე ის, თამაზ გუნჯუა, ტოლიკა მიქაძე, მერაბ კოსტავა, მერე შეუერ-თდათ ჯონდო და უფრო მერე ვოვა რომელიც ქ. მახარაძიდან (ვიღაცა ისევ გვაგინებს ... ეს შეიძლება არცაა ცრურწმენა რადგან აბა სად ვოვა და სად მახარაძე ფ. , —იმის სახელს კი სრულად ვერ მოვიხსენებ მის შემთხვევაში რადგან დიად ქრისტიანს ერქვა ფილიპე თუმ-ცა ყოველი ქრისტიანი მუდამ დიდია...) მგონი VI კლასიდან გადმოვიდა თბილისში, გურიის თავისი კლასის უცილობელი ყოჩი; ზვიადს ინ-გლისური ბალღობიდანვე შეასწავლა კარგმა და ქვეყანამოვლილმა კაცმა, ბატონმა ლევან ხაინდრავამ, მისმა ნათესავმა, ივლიანე და გო-გა ხაინდრავების მამამ; ზვიადი ჩვენზე შედა-რებით მეტად და მართლაცდა ღრმად ერკვე-

ოდა ლიტერატურაში, მხატვრობაში, მერაბსავით ვერა მაგრამ საკმაოდ კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე, დროდადრო მუსიკალურ ათწლედში (იმ ათწლედს „ნიჭიერების"-ას ეძახდნენ და მგონი ოფიციალურადაც კი ერქვა ასე) სწავლობდა მერაბთან ერთად, ჩვენი ბიჭებიდან კიდევ ორს — თემურ ცერცვაძეს (საგუნდო-სადირიჟოროზე იყო I მუსიკალურ სასწავლებელში, მანამდე I მუსიკალურ სკოლის შვიდწლედი ფორტეპიანოს კლასით ჰქონდა დამთავრებული) და მე გვქონდა მუსიკალური ოფიციალურად-"საშუალო" განათლება, თამაზ გუნჯუა შესანიშნავად მღეროდა, და უკრავდა ნამდვილ და არა ელექტრო-გიტარაზე, თითქმის ყველანი ვმღეროდით ჩვე-ყველანი, ყველაზე უკეთ — თამაზი და მერაბი, და ზვიადიც თუმცა მაინცდამაინც შთამბეჭდავი ხმა არა ჰქონდა რომელ მის-ხმასაც სიმართლე-ნარევი შაყირით „ჩამორჩენილურ ქართლურ-ხალხურ ტენორს" ვეძახდით, მერაბს განსაკუთრებით უყვარდა სიმღერა „შავლეგ", — შავლეგო-ზე მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას რომ მოაგდებულო „ბლატნოი" სიმღერებიც არ ჰყვარებოდა, როგორ რა-ხშირად წამოიწყებდა ხოლმე:

«Здраствуй моя Мурка,
Мурка дорогая,
Вместе воровали,
Была шухарная»

და კიდევ უყვარდა ამა-ჟანრისა ერთიც სიმღერა, რომელშიც, „შთამბეჭდაური"-ს სიტყვების შემდეგ:

«Курва буду не забуду
Я тот пороход,
На которам пароходе
Чемодан унёс»

და რომელსაც-ამ სიმღერასა რეფრენად სდევდა «Тарара- хопча, тарара- хопча, тарарахопча,хопча,хоп», ხოლო ზვიადი კი, რომლის მოუძლურო ხმას (ეს კარუზოსთან შედარებით თოორემ ისე ...) კარგა-შეეფერებოდა „ქართული-ხალხური ტენორით" ნამღერი „ბეერი კააცი ვაარ, ნუუ მომკლაავ", და კარგა ხშირად კი თავს მოიკატუნებდა და ვითომც დიდის-პატივისცემით ამღერდებოდა ასე:

"ააღმოსავლეთიის პროკლოვოო, (ანუ პროკურორო)
სიიმართლის მთქმელო სესიაა" —

ეს ვინ-სესია იყო მაინც, ისე კი სიმართლეს წააგავდა რადგან პროკურორები აკი სიმართლის-მთქმელნი ანუ პირში–მიმხლელები არიან ოღონდაც მხოლოდ ბრალდებულებისადმი (აგვიხდა ეს, შემდგომ) მაგრამ ხოლო აქა-იქ მეკი-ბოდიალამ ისევ გადავუხვიე და კინაღამ დამავიწყდა მეამბნა თუ რატომ „დასაჯეს" ჩვენს კლასში გადმოყვანით, ზვიადი, რომელიც,
როომ,
სკოლისასაც და კარგახანს, მერეც, მე იმისთანა გაბედული და უშიშარი ვაჟკაცი-ბიჭი და ვაჟკაცი-ყმაწვილიც არ მეგულებოდა და ახლაც არავინ მეგულება ისეთი, ის რომ იყო იმდროინდელი, უშიშარობით მასზე მეტი:

მერე და მერე, სხვა კლასებში ასე ვთქვათ ნაკლებ-და-ნაკლებ „ელიტარულად ანკეტიანები" სწავლობდნენ (ასე VII — VIII კლასიდან თურმე ყველასა გვქონდა ჩვენ-ჩვენი იდუმალი „დოსიე"), ჩვენს VIII[2]-ში რამდენი კარგი ბიჭი იყო (არ ჩამოვთვლი მათ რადგან შეუძლებელია ვინმე რომ არ გამომრჩეს...), VIII[3] კლასში იყვნენ შესანიშნავი ოჯახისშვილები თემურ ცერცვაძე, ზაურ ჭანტურია, ჯემალ შუბითიძე, თემურ კორძაია, კოკა ცხაკაია და რამდენნი, კიდევ, VIII[4-5] — ში მითომდაც-ნაკლებ „მონაცემებ-ავტორიტეტიანები" ხოლო VIII[6] –ში? — მართლაცდა „ქუჩის ბიჭები" (ეს დღევანდელი მომღერლებ-"ქუჩის ბიჭები" აბა რა-ღ ქუჩის ბიჭებია თურმე დანიშნულს დროზე-დ იწყებენ კონცერტს...)სწავლობდნენ, რომელთაგანაც ბევრი ორჯერ და სამჯერაც კი იყო ჩარჩენილი, მრავლად ერიათ ყომარბაზები, დამრტყმელები, ქურდობას-აყოლილები და ძლიერ ზემოდან დაგვცქეროდნენ მთელი 2 და 3 წლით უმცროსებს და ბავშვებს-როგორ, ჯერ, და მხოლოდ მათი მოპარალელუროები კი არა უფროს-კლასელთა უმრავლესობასაც შიშით აზანზარებდნენ და ერთხელაც რომ წამოარტყეს თავში და პანღურიც ყოვლად გულგრილად ამოჰკრეს (—რადგან მხოლოდღა ზედაპირული გართობისთვის) ზვიადის ერთ-ერთ რომელიღაც კლასელს ვისთანაც განსაკუთრებით სულაც არ ამხანაგობდა და მისი უმწეოდ ატირების მიზეზი რომ გაიგო ზვიადმა, მაშინვე სირბილით გავარდა შინ (მაშინ გრიბოედოვის ქუჩის თითქმის ბოლოში ცხოვრობდა) და თურმე აი, რისთვის:

სირბილითვე დაბრუნდა და შევარდა იმ VIII[6] -ში შუა-გაკვეთილზე და მამამისის სადღაც საიდუმლოდ შენახული მაგრამ ზვიადისთვის მაინც-ცნობილი რომ ყოფილა ეს „შემნახველი ადგილი" და მარცხენა ხელში მამამისის „ტყვია-პირში-მიცემული" მაუზერი ეკავა (ხოლო მაუზერი მაშინ დღევანდელ შვიდ ავტომატსა და ზედაც–ტყვიამფრქვევს უდრიდა და დღევანდელობისაგან განსხვავებით დიდად საშიში გახლდათ „სისხლის სამართლის კოდექსი"თ მისი ასე საჯაროდ გამომზეურება), მეორეთი კი მაგრად და როგორ-მჭიდროდ დაწნული მამამისისეულივე მათრახით სულსუ თავები დაუხეთქა მთელ VIII[6] –ს, გამოძიებას არ შესდგომია — დამნაშავეთაც და უდანაშაულოებსაც რადგან ყოველი მათგანი დიდ-

რონ თუ მსხვილმან დანაშაულს ყოველდღე სჩადიოდა.

ის დღე იყო და, მათგან აღარავინ შეხებია არამცთუ VIII¹–ს, არც სხვაკლასელებს;

ერთხელაც იყო და, დიდად უცნაური ამბავი მოხდა ჩვენს სოლაში: სამხედრო-ს მასავლებელი გვყავდა, რაღაც არაჩვეულებრივად კეთილი და ჩვენდამი დიდად სათნოდგანწყობილი კაცი რომელსაც ერთ-ერთი იარაღის ხათრით „პეპეშა"-ს ვეძახდით რაღა თქმა უნდა ზურგსუკან თუმცაღა ისედაც მშვენივრად იცოდა ეს; და მიუხედავად შინაგანი კაცთმოყვარეობისა და კეთილისმყოფელობისა და გულჩვილობისაც კი, მაგრამ ომგამოვლილი და იქ კონტუზიას გადაყრილი, ნა-კონტუზიარი, ძალიანაც „ნერვებ"-დაუოკებელი იყო და ვინმე თუკი მართლა და თანაც უსამართლოდ გააბრაზებდა? —ვაი იმისი ბრალი ... არადა, ჩხუბი იცოდა და შეეძლო და სპორტული იყო ისეთი? — ცეცხლი და რაცეცხლი ... — დასვენებებზე, მოზღვავებული ენერგიის გასაქარწყლებლად ჩვენი ეზოს „ტურნიკ"-ზე „სოლნცე"საც ატრიალებდა და სხვასაც-ბევრ ილეთებს სჩადიოდა... ჩვენს I სკოლაში XI კლასში ლადო ქოქიაშვილი სწავლობდა, მთელი თბილისის თვალისჩინი, ულამაზესიც და აღნაგობით ხომ? — მისი ფოტოები პლაკატად ეკიდა ქალაქში, კერძოდ — „სან.-კულტურის" კლუბში — აი, თუ გინდათ რომ ასეთი ღონიერები გახდეთუნდა ბევრი ივარჯიშოთო, — და საღად კეთილი ახალგაზრდა თუმც იყო, როგორღაც უნებურად ამაყად ეჭირა თავი ხოლო რაღაცადა-მიზეზის გამო ამა-ხნიერმა პეპეშამ ისიც და მასთან ერთად მისი კლასელი, სოლიკო ხაბეიშვილი — ხოლო სოლიკოც ფიზიკურად კარგა-შეძლებული, უკვე ცნობილი ალპინისტიც იყო და გაალმასებულმა პეპეშამ კი? — ორივე ერთად! —კარგამაგრა გალახა და, მისთვის, ფერგადავლილისათვის მათი ხელიდან გამოგლეჯა ერთობ დიდ სირთულეს წარმოადგენდა და ძალიან ავადგადასაწყვეტივით იყო იმათ-ორისა საქმე ლადოს ერთსაც შებერტყილ თანაკლასელს, „ჩიორა"-ს ეძახდნენ, ზურგიდან მიპარვით (თორემ პეპეშა წინიდან ვის გაიკარებდ) სკამი რომ არ ჩაერტყა მისთვის და პეპეშამ კი იმ მძლავრი დარტყმით გონება დაკარგა, ნა-კონტუზია-რმა, და მასწავლებლებმა სასწრაფოდ გააქციეს შინისაკენ სულ „არიქა-არიქა"თი და მშობლებს სადღაც თბილისის გარეუბანში გადაამალინეს ეს სამი მეპატიოს და პეპეშასთან ტანით-შედარებით? — ოყრაყი...

და, მხოლოდღა სამი დღეა ამ ჩვენზე (VIII კლასში ვართ) დიდად შთამბეჭდავი ამბის შემდეგ და, საპირველმაისო „მარშიროვკა" გვააქვს და სანაპიროზე ვართ მთელი სკოლა, რომელ-"მარშიროვკა"საც თვით ეს მძლეთამძლე და კეთილი მაგრამ „უნერვიულესი"პეპეშა ხელმძღვანელობს და იმ თავშიჩარტყმით ნამდვილად ვერაა კარგ ხასიათზე, ხოლო მოადგილეებად კი ფიზ.-მომზადების მასწავლებლები: დაუვიწყარი შალვა ფანჩულიძე და ოტტო ვასილიევიჩ როგოვსკოი ჰყავს და, საერთოდაც, მთელი ჩვენი სკოლის დირექციამასწავლებლობაც იქაა რადგან იქ არდასწრება რაიმე „აპოლიტიკურისადამაგვარში" რომ არ ჩაეთვალათ; დაა, პეპეშამ ერთიც რომ დაგვძახა: «напраа-вооо» , — ზვიადმა , ჩვენიVIII2 კლასის წინამძღოლმა რადგანაც ტანით აკი ჩვენზე გრძელმაც და, საერთოდაც, მაღალმა, ვითომ ვერ გაიგო ეს და მთელი სკოლა (აკი მოგახსენეთ მაშინ აღლუმ-"პარადებზე" გასვლა დიდათე ოუცილებელი იყვო, ოღონდ მე IX თუ არა X კლასიდან-მაინც არც ერთ „პარადობია"-ზე აღარ გავსულვარ რაც „შავ-სია"-ში მთლად დამკვიდრებასთან თუ არა იმა-სიისა „კანდიდატობა"სთან მაინც უცილობლად იყო დაკავშირებული) რომ უკლებლივ მარჯვნისაკენ შებრუნდა და მწყობრული ნაბიჯებით მდ. მტკვარისაკეენ გაემართა ზვიადმა მაინც აიღო და მთლად პირდაპირ-და- პირდაპირულად დაადო თავი და მთელი ჩვენი ბევრად-თუ-ცოტად შებერტყილი კლასიც გაჰყვა და უყვირა პეპეშამ რამდენჯერმე მთელის ხმა-ღონით „გამსახურდია направоо, направооо!!!, მაგრამ, გაგიგონია? —მითომც არ ესმის ზვიადს პეპეშასი და მიერეკება თავისას და მთლადაც „მარშიროვკა"-ში არშემავალი გაზონებიც რომ გადავლახეთ და შევედით სანაპიროსი ხეებში მდ. მტკვარის მოაჯირებისაკენ? და გამოქანდა მაგრამ რას გამოქანდა ზვიადისკენ პეპეშა და, „არ გესმის ბიჭო შენ რასაც გიბრძანებო?" — და, თუმცკი ძაან-მსუბუქად, მაგრამ მაინც თავშინამორტყმა იყო ეს, — აჰკრა კინკრიხოზე ხელი. ზვიადმა კიდეე? 14 წლისამ? —

ასე არ უნდა ჩემი დამცირებაო და,—

ხო-დამიჯერებთ, ხოომ?

აიღო და, არც აცია და არც აცხელა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ლოყაში სილა სტკიცა ვისა კაცო და, ვის-ვის? —

ვიიისა და

პეპეშასა-თვით,

და, რომა-კიდგას გაოგნებისაგან გადანცვიფრებული პეპეშა კარგა-10-ოდ წამს ამა-ყოვლად მოულოდნელობისაგან დიდად გამოლენჩებული ესა დიდრონ-დიდრონი ზვავ-ჩანჩქერივითა და მეხთატეხასავით ცეცხლ-ფიცხი კაცი, მაგრამ ხომ მოეგება როცა იქნება ბოლო-ბოლო გონს ხოლო ზვიადს ამ მოსალოდნელ რა დიდად-საშიშ იმ-მინამდე კი ყოვლად-საბრძოლო, მუშტებშეკრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომი დაუკავებია — არადა, ბდღვნად არ ეყოფა პეპეშას — და მოცვივდნენ მაგრამ რას მოცვივდნენ ჩვენი სხვა მასწავლებლები — ქართულის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბოტანიკა-ალგებრა-ისა და ასე შემდეგ მასწავლებლები — იმ დიდად-დიდსა დიდათე პასუხსაგებსა „მარშიროვკა"ებს აკი მთელი-ს სკოლის-ა წარმომადგენლობა ესწრებოდა მგონია ღამის-დარაჯიანადაც კი, და ვაითუ შემოაკვდეს თვით კონსტანტინესი გამსახურდიას ბავშვი თავად პეპეშასთან გაკლავებაში ნამდვილათე ვერა-დიდოსტატ-ბოვშიო და, მთლადაც ქვედა-წვივებში ჩაუვარდნენ პეპეშას და, შემოეხვივნენ მუხლებზეც და, აჰხ აპატიე შენი კი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ შემოგევლე, რა სისულელით მოუვიდა ეს და ალბათ სულაც სხვა ეგონეო ხოლო ქალების მუხლ-წვივებში ჩავარდნით შეფხიზლებულად დამორცხვებული პეპეშა ნამდვილ-კარგქართველიცა ანუ ჯენტლმენი-ცა კი, რადგან იყო, იმ მანამდე-სამარშიროვკო ასფალტზე დავარდნილ-აღმოჩენილი ქალების შეხედვით თუმც-კი კარგ-მაგრა გაოგნებულმა და მაგრამ მაინც აღმქმელმა? —შეიოკა, კი, ის კეთილი და რაც მთავარია კეთილშობილი თავი და,: „კარგით, მაგრამ თვალით აღარ დავინახო თორემ შემომაკვდება ეს სკვინჩა-ლაწირაკი კონიასი კი არა თუგინდაც რუსთაველისი შვილი იყვოს"-ო, „მომაცილეთ"-ო, და წავიდ-გაეშურა კიდევაც შინისაა-კენ ესჩვენი მართლაცდა ბენვზე გადარჩენილი თავკაცი კარგა-არხეინდ და შესაძლოა სულაც „კინო"ში წავიდა თუმცა კინოფილმების მოყვარული სულაც არ გახლდათ.

ისე კი, უკვე შვილები რომ მყავდა და ვაკის პარკთან ვცხოვრობდით ერთ-ერთ მორიგ ნაქირავებ ბინაში, შვილები — 4 და 2 წლის — ვაკის პარკში წავიყვანე სასეირნოდ და, გავიხედე და, ვინ მოდის — ვინა და, პენსიაში უკვე კარგახნის წინ გასული და დაბერიკაცებული მაგრამ კვლავაც ძველებურივითვე შემართული პეპეშა, და, ისეთი უმოწიწებულესი პასუხისმგებლობითა და გადაპიპინებული პატივისცემით სახეზე? — რომ, უიშვიათესით, რადგან ქალბატონთანაა და ისეთი რიდით აღჭურვილი ხელმკლავით მოასეირნებს რომ? ერთი კი გავიფიქრე — ალბათ ახლადგაცნობილია რადგან ასე-აკრეფილი როდი იქნებოდა-მეთქი, მაგრამ პეპეშამ დიდის მორიდებითი მღელვარებით ყოვლად-სამხედროულზე მეტი მოხსენებით რომ მოახსენა: „გაიცანი, ჩემი ყოფილი მოსწავლე"აო ხოლო მე კი მითხრა — „გაიცანი, ქალბატონი ჩემი მეუღლეა"ო და თავისი ესოდენი-მოწიწების მიზეზი რა დიდის რიდით და როგორის კრძალვით ახსენა — „ჩემი შვილების დედა და ჩემი შვილიშვილების ბებია"-ო, — ჰეე, სუ-ზოგსა-ქმარსა არა გვგავდა? —

თქვენ გენაცვალეთ, ჩვენო ფიცხო და უსათნოესო, ბატონო პეპეშ — მეპატიოს და, არც არასოდეს მცოდნია თქვენი თურმე როგორი სათაყვანებელი-თურმე, სახელი.

აკი ხო-კვლავაც გადავუხვიე? — მაგრამ, რაღაი ეს თვით პეპეშასი-გამო, ეგებ ბევრი-იმდენი არა გვიჭირს ...

ჰოდა, ჩვე-ამ 9 ბიჭმა, პროკლამაციების დაბეჭდვ-გავრცელებაგადავწყვიტეთ, შევაგროვეთ ფული — აქაც ზვიადი გვთავკაცობდა „მატერიალურად"-აც, კი, ჭავჭავაძის აღმართის დასაწყისთან, რუსთაველიდან 20-ოდ ნაბიჯზე საბეჭდი მანქანების შესაკეთებელი სახლოსნო იყო და იქ შვიძინეთ კარგა-დანჯღრეული მაგრამ მაინც სალად-მოქმედი საბეჭდი მანქანა რომელი ამ-სახეობის მანქანაც იმ დროისთვის დიდად იშვიათობა-რამ და ძაანცკანტიკუნტა ხილი იყო, და, შევიკრიბეთ-რა გურამ სხირტლაძის ბინის ერთ პატარა, გურამის კუთვნილ ოთახში — საბეჭდი მანქანა რაღა თქმა უნდა მალულად შევიტანეთ, და, მუსიკას გვინდა ვუსმინოთ მარტოებმაო და, — გაიხარეს გურამის ოჯახისეულებმა — ოღონდაც ესენი წყნარა დასხდნენ და მუსიკას უსმინონო და ხელს ვინ შეგიშლითო და, უკიდურესად ავაღრიალეთ პატეფონი ისი-ბეჭდვითი ჩაკაკუნებანი რომ გადაგვეფარა და,

შევუდექით,

საქმეს.

ოღონდაც-ანტი-საბჭოთას.

პროკლამაცია იწყებოდა მიმართვით — „ქართველებო", —

ეჰ, თუმც დათრგუნვილები—საბჭოეთით მაგრამ ქართველები მაშინ მეტნი ვიყავით საქართველოში, კი,

შემდეგ კი გვქონდა ასეთი წინადადებები:

"გვეყო მონობა და ნუ შევარჩენთ პირსისხლიან კომუნისტებს მხოლოდ ჩვენს კი არა პოლონეთში და უნგრეთში დაღვრილ თავისუფლების მოყვარული ხალხის სისხლს",—

დაახლოებით ასე გვეწერა, რაზედაც, ამ „პირსისხლიან კომუნისტებზე" თავიდან უთანხმოებასავით-რომ მოგვივიდა რადგან კონსტანტინე გამსახურდიასა და ძია ვანო კოსტავას — მერაბის მამამ, ამ საოცრად უწესიერესმა კაცმა, ცხოვრების დიდადმოზრდილი ნაწილი თავის ძმასთან, ცნობილ მსახიობ გრიგოლ კოსტავასთან ერთად ციხეებსა და გადასახლებაში რომ გაატარა — რა საბრალო და მაინც როგორი გამარჯვებული დეიდა ოლიკო დემურია — მერაბ კოსტავას დედა — ქმარი და მაზლი არ ეყოფოდა რომ მერე შვილის სამი დაჭერაც — მათგან კი ერთი 8 წელიწადზე მეტი, — შვილის სანახავად წელიწადზე ორჯერ ტომსკის ოლქის კოლონიაში რომ მიემგზავრებოდა, — ჩვენი მამები კომპარტიისა

წევრები იყვნენ და რაც მთავარია არ იყვნენ პირ-და-ხელსისხლიანები, მაგრამ, ზვიადმა, ტექსტის ძირითადმა შემდგენელმა, —

პირსისხლიანები რომლებიც არიან მხოლოდ ისინი იგულისხმებიანო და, თქვენ რატომ გაღელვებთ ეს გამოთქმაო",

მოკლედ,

გაიტანა თავისი მაგრამ,

ამ ტექსტის ... —ჰო, რაც შეეხება პოლონეთისა და უნგრეთის ამბებს ესაც ზვიადისგან ვიცოდით რომელიც „ბი-ბი-სი"სა და „ამერიკის ხმა"ს დიდის გულისყურით უსმენდა, — მაგრამ ამ ტექსტის გადაბეჭდვა არ გინდოდა?—

პირველსავე „ქ"-ზე, „ქართველებო"-ში, ამა-ასოსი ისე-გრძლად მოძიება დაგვჭირდა, რომ... —

"სადაა ბიჭო, სადაა ქ" ... ვლულლულებდითა და ვბუტბუტებდით, და, როგორც იქნა და ბოლო-ბოლო? —"აიი, აქ ყოფილა, აქ!", და რომ ჩავკენკეთ ისა როგორი ძნელად-საპოვნელი, დიდ-რთულ-საპოვნელასა-სავით, „ქ", მერე „ა"-ს ჯერი დადგა, მერე — „რ"-სი, და როგორც იქნა და რომ გადავბეჭდეთ ასე ორ-სამ საათში პირველი პროკლამაცია და შთაბეჭდილების განსაძლიერებლად შავი ტუში დიდ-ნოყიერად რომ წავუსვით ჩვენთვის ამ დიდად ძვირფას — რადგან პირველს! — პროკლამაციას თავსა და ბოლოში ესოდენ-უხვი ტუში, და, რომკი დავდეთ გასაშრობად, იმ-მოძიებით ქანცგაწყვეტილებმა დასვენება გადავწყვიტეთ და,

უცებ!.. —ამას რაღა ახსნა უნდა — რაღა თქმა უნდა ყოვლად უნებურად მაგრამ არ დააჯდა ესჩვენი ყეენა (მერაბ კოსტავას მეტსახელების შერქმევის დიდოსტატმა ზვიადმა დაარქვა ასე, — ყეენა, რომელი ნართაული სახელიც მერაბს სიცოცხლის ბოლომდე შერჩა ოლონდაც რაღა თქმა უნდა მხოლოდ ჩვენში; ასევე მისგან შეერქვა ჯონდოს — „ცქმუნა", ვოვას „პაპი" — ადრე გაუთეთრდა თმა, ასევე ერთ-ჩვენს კლასელს სახედრისათვის საოცნებო „ყანობირი"-დან გამომდინარე მეტსახელი „ყანე" და ასე შემდეგ ...), და ესა-ჩვენი ყეენა-ვაჟბატონი აკი ზედ არ დააჯდა იმა რატანჯვით დაბეჭდილ ჩვენს პირველ პროკლამციას და ამის ჩამდენის ღია ფერის შარვალს ვინ დაეძებდა — მთლად მოითხვარა პროკლამაციაც... — ვაახ! — ვეჰხხ! — რაც ჩვენ დაგვეცა შეძრწუნებითი თავზარებისი დედოზარი?.. თავჩაქინდრული დგას მერაბი, ვეღარ-ყეენა რადგან სხვა დროს აკი ყეენივითა მუდამ ამაყად-თავშემართული, იყო, ახლა კი? — რისი ყეენა, თავჩაქინდრული, ცეროდენაა, კი, და მაინც, რამდენიმე დღე რომ მოვუნდით და როგორც იქნა და რომ დავბეჭდეთ 8 თუ 9 პროკლამაცია — მომდევნო დღეებშიც უნდა დაგვებეჭდა ხოლო პროკლამაციების ეს მცირე რაოდენობა სულსწრაფობით ვიკმარეთ რადგან ერთი სული გვქონდა როდის გავაკრავდით თბილისის სახლებზე გინდაც ამ რაოდენობას, და, ორი დეკემბრის ნაშუაღამევს სიბნელისადა-მიუხედავად უნდა გამოგვემზეურებინა პროკლამაციები მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის — ვაითუ გვითვალთვალებენ და რაიმე ოხრობით გვისმენენო (არადა, თურმე მართლაც გვითვალთვალებდნენ და მერე როგორ... გავუჩინეთ, რაღა, საქმე, ხოლო უსაქმურობა მართლა ყოველთვის კი არაა ცუდი და ურიგო და გლახა...) და, ყურშიჩურჩულით გადავწყვიტეთ ეს და ნა-პირველ-დეკემბრევს, ღამის ორ თუ სამ საათზე (მაშინ დღევანდელივით კი არ იყო, ეძინა ქალაქს ან ღამეს ქეიფში ათევდა, მხოლოდღა დღისით ფხიზლობდა ... პირიქითაა მგონი, ახლა, სერიოზნულებ-ღონისძიებებ თუარ ჩავთვლით ...), საათი ზუსტად აღარ მახსოვს ოლონდ წუთიწუთში უნდა ჩაგვესვა პროკლამაციების გაკვრა და მე პატივი-დამედო ჩვენი ჯგუფისაგან (ორად გავიყავით — ერთ ჯგუფს პლეხანოვის პროსპექტთან მიმდებარე ქუჩებში უნდა გაგვეკრა პროკლამაციები, მეორეს — რუსთაველთან მომიჯნავე ბნელ ქუჩებში) დამერთო ნება — ზვიადისგანაც — რომ პირველს მე გამეკრა პროკლამაცია ოლონდ ეს ჩემი რაიმე-განსაკუთრებული დამსახურებისა-და-გამო კი არა, უბრალოდ, წუთი-წუთზე თუ გვინდა გაკვრა მაშინ მე მენდეთ მე საათი მაქვს-თქვა, — საათი მქონდა მამაჩემისაგან ნაჩუქარი —ხოლო ის ი-საათი მომავალში იმდენჯერ იქნა რესტორნებში დაგირავებული, რომ, იმდენჯერ სამთვიან-კვარტალს მგონი თვით ბატონი ჭაბუა ამირეჯიბიც არ მჯდარა „გულაგ"-ისეულებში, და, მეც ავიღე და იმდროინდელი პირისგემოსი-დიდად-მ-ქონიან-და-თლათვარესიც გურმან-კამოსი-აღზნებულის რევოლუციისაა-კეენ იმისა სახ.-ქუჩის რატომღაც ზედ 69-ზე მივაწეპე პროკლამაცია, — თუმცა, რატომ „რატომღაც" — თურმე სწორედ იმ სახლზე, სადაც ჩემი მომავალი, მაშინ კი რაღა თქმა უნდა ყოვლად უცნობი მაგრამ მომავალი ცოლი ცხოვრობდა! –არაა, უცნაური? მეორე პროკლამაცია ზვიადმა გააკრა, ხოლო ჩვენი II ოთხეული კი რუსთაველ-სოლოლაკში გაანტისაბჭოვდა და ხოლო იმათ კი მათი I პროკლამაცია სწორედ ბებიდა კუკურას და ბაბუა სანდროს სახლზე —"ბოზარჯიანცის სახლზე" მიუკრავთ — მოკლედ, დიდად დამემთხვა როგორც წარსულის ასევე მომავლისადმიც, ჩვენი ორ-ჯგუფის პირველი პროკლამაციები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ-9-თაგან, გურამ სხირტლაძე არ მონაწილეობდა პროკლამაციების გაკვრაში, რადგან გათენებისას, როგორც „უცხო მოყმე ვინმე"ს იმას უნდა დაეარა და განთიადისას უნდა შეემოწმებინა ვაითუ ჩამოხსნილი იყო პროკლამაციები, მაგრამ გურამს ჩასძინებია — 16-სა იყო მხოლოდ ვოვასა და თამაზსავით, ბავშვებიც ვიყავით.

მეორე დღეს კი, ორ დეკემბერს — ჩემი უახლოესის –მამიდაშვილ-ლამარას დაბადების დღეს ჯერ რაღა თქმა უნდა სხვაგან მაგრად ვიქეიფეთ 9-ვემ და მერე, დღეობამდე, დრო რომ გამეყვანა შელამებამდე კარგა-შემთვრალი გამოვედი რამდენიმე „ჰარიფ" ანუ არაპროკლამაციურ ამხანაგთან ერთად რომელთა შორის რაღა თქმა უნდა ჩემი განუყრელი ჯონდო — ჩემი თავდებიც გამოირჩეოდა, და სწორედ იმ დღეს დამჭრეს და საავადმყოფოში კარგა დიდი ხნით აღმოვჩნდი.

ადრე მხოლოდღა ერთხელ ვიწექი საავადმყოფოში, რაღაც 7-8 დღით და ესაც ჩემი მორიგი ახირებულობის ბრალი იყო:

მგონი მეექვსე კლასში ვიყავით — ჯონდო პარალელურ VI[1]-ში სწავლობდა მაგრამ ძველი ძმაბიჭობა მყარად შეგვრჩენოდა, და შემომიჩნდა, შენ ახლა თბილისის ზღვაში ვერ შეხვალო, და — კი, როგორ ვერ შევალ-მეთქი, არადა, 2 მარტი იყო, ვერაო, ჯონდომ, კი-მეთქი და იმდენი ვიძახეთ ეს ვერა და კი, რომ დავადეთ თავი და თბილისის ზღვისკენ გავწიეთ. თბილისის ზღვისკენ მაშინ არც ტრამვაი დადიოდა და არც არაფერი, დიდხანს ვიარეთ ორფეხულად და მერე რისთვის — მარტის დასაწყისში იმ ყინულივით წყალში რომ შევსულიყავი ეს-მე-სულელი, და, როგორც იქნა და რომ ავაღწიეთ, ავიღე და ის-მაინც კიდევ კარგი რომ ტანსაცმლიანა არ შევედი რადგან ისე ციოდა და გავცურ-გამოვცურე რაღაც ათიოდ მეტრი და, რაც მე ვიწვნიე? — არაა ძნელი წარმოსადგენი, морж-ი მე სულაც ვერ ვიყავ და არც მსგავსი არაფერი, ხოლო სამი დღის შემდეგ ბრმა ნაწლავის საშინელი ანთება დამემართა. დამეხვივნენ მეზობლები, რომელთაგანაც დეიდა თამარა მიქელაძე, უსათნოესი, უსაყვარლესი, როგორი თბილი ხმისა და მზერის ქალბატონი, ჩვენი გამოჩენილი რეჟისორის, ბატონ გიგა ლორთქიფანიძის დეიდა, თავთით დამიჯდა და მაჯისცემა რომ შემიმოწმა, მაშინვე გავიდა ოთახიდან, რადგან ცუდად შეიქნა — მე დაბადებიდანვე ბუნებრივად დამყვა 40-44 გულისცემა წუთში, დეიდა თამარამ კი არ იცოდა ეს და, — ხოლო კი ესი, ასეთი მაჯისცემა ანუ ბრადიკარდიის მსგავსი რამ ნებისმიერი ადამიანისთვის დიდად საშიშია და დეიდა თამარა თუმცა გინეკოლოგი იყო და მაჯისცემებისა როგორ არ გაეგებოდა — ისე, სხვათაშორის, ერთგან ვიშაყირე — აბარად უნდა ნაღდ-ვაჟკაცს გინეკოლოგი-მეთქი და, დეიდა თამარა ჩემზე შეშფოთებით ესმე ისედაც ყოვლად არეულმა, პულსაციითაც კი, იქით გავხადე კოლეგიალურ-ცუდად. მოკლედ, იმავე ღამით გამიკეთეს ბრმა ნაწლავის ოპერაცია და რაც მე ოპერაციისას მამაჩემზე ვიყარე ჯავრი — საოპერაციო კატეგორიული მძლავრ-შეძახილებით დავატოვებინე რადგანაც გზაში, გასამხნევებლად, მითხრა რომ ეს არაფერი-ოპერაციაა, გინდაც ბუზს გაევლოს მუცელზეო და, რომ არ აღმოჩნდა ასე, მამაჩემზე რაძაან ვიყარე ჯავრი მე-თბილისისზღველმა... მეორე დღეს კი, რაღაცაზე ოდნავ გამეღიმა და, - მაინც როგორაა გადაბმული ჩვენი სხეულის ყოველი მონაკვეთი ერთიმეორეზე — ძალიან მეტკინა ნაჭრილობევი. და ჩემდა ჭირად, ჩემი პალატის ავადმყოფებმა გვერდითა პალატიდან ჩემს ასე ვთქვათ „გასამხიარულებლად" ერთიც დიდად — „მაზალო" ტიპი შემოიყვანეს. შევხედე და ჩემდა ჭირად, იმას-ვის ვხედავ!: იმსიდიდო ყურები არასოდეს მენახა, თანაც ისეთი დაცქვეტილები? — საბჭოთა ლოკატორებივით; ციცქნა თვალისი-გუგები სულ აქეთ-იქით გაურბ-გამოურბის ხაფანგში მოხვედრილ ცხოველუკასავით; ქოჩორი აქვს რომ? —რომ არ მენახა მსგავის არაფერი — ყალყზე შემდგარი, რაღაც მომწვანოდ დიდად-პრიალა პიჟამო აცვია რომ? — შარვლის ერთი ტოტი კოჭს-ზემოთაა, მეორეზე კი — დააბიჯებს; ვაიმე, ესღა მაკლდა-მეთქი? — და, რომ არგამცინებოდა, მისდამი ისეთი შეკითხვა მოვიფიქრე, დიდად აღვფრთოვანდი — ეს რა ჭკვიანურ რასმეს მივაგენი-მეთქი: საავადმყოფოში ტყუილად აკი არ წვებიან, ზოგს რა აწუხებს და ზოგს რა (ასე მეგონა მაშინ), და ამიტომაც ვკითხე რატომ ხართ საავადმყოფოში-მეთქი და ალბათ რომ მიპასუხებდა, რომ ან კუჭი აწუხებდა, ან თირკმელები ან რაიმ-სხვა, ნაღვლიანი „ატმოსფერო" შეიქმნებოდა და აღარ გამეცინებოდა მაგრამ, თუ იცით, ჩემს „გონივრულ" შეკითხვაზე ჩემდა როგორ-სავავალოდ რა მიპასუხა... რა და —

ცოლმა მცემაო.

...

რაც მე მომივიდოდა, ამისი წარმოდგენა თქვენთვის მომინდია, მე კი როგორ არ გადამეხსნა ჭრილობა, ახლაც არ ვიცი...

...

თურმე, ცოლს რომ უცემნია, თავისი იმაუპირატესობის დასაგვირგვინებლად კიბეზეც დაუგორებია და ორი ნეკნი მოსტეხია ...

...

ეთქვა იმ ოჯახ-მეუღლეაშენებულს, იმ ჩემი ცოდვით სავსეს ნეკნები მაქვს მოტეხი-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიო, ხომ გადავრჩებოდი იმ სიცილისმიერ ტანჯვას.

...

იმ ორ დეკემბერს კი... ჩვენ, ქართველებმა პირველისკოლის-მხრითარუსთაველზევიცოდით სეირნობა, იქითა მხარეს კი, ოპერისას, უფრო სომხები და რუსები დაგულაობდნენ (-от слова гулянье) და, გავიხედეთ იქითა მხარეს და, რაღაცა დიდი ჩოჩქოლია, მრავლად შეყრილა ახალგაზრდობა, ვიღაცამ გვითხრა: „ქართველებს ჭრიან ვიღაც რუსები"... და თენგიზ ზაქარეიშვილი, კარგ კინორეჟისორ ლევან ზაქარეიშვილის უფროსი ძმა, მოგვიახლოვდა მაგრამ რას მოგვიახლოვდა — მთელი ყბა გადახსნილი აქვს სამართებლით, ეღვრება სისხლი და მერე როგორ, „დამბრიდეს მაგ"... და მიაყოლაც, ხოლო ჩვენ „აქეთა-მხარის რუსთაველელებს" ერთმაც სიმკვეთრით ძალიან მჭახეცხვირიანმა მოგვიწოდა „გადავიდეთ და ყოფა ვუტიროთო" ხოლო რომ უთხრეს ფრთხილად იყავი სულ დანებით და სამართებლებით არიანო, პასუხად —"რომელი დანით უნდა მომერიონ მე"-ო — ჩვენმა ეგრეთწოდებულმა ჰოპლა-მოთავემ და, გადავედით იქითა მხარეს კარგა—60 ყმაწვილი, და ალექსანდრეს ბაღში იქვე, მართლა იდგნენ ექვსნი თუ შვიდნი, და ლამპიონის შუქს შეუშვირეს დანები, ოდნავ მიხარ-მოხარეს და აალაპლაპეს და ამისი ქნა და, პირველი სწორედ ის გაიქცა ისე გულდაგულ რომ გვმოთავეობდა, მაგრამ გაქცევასაც გააჩნია — სხვებს მხრებში სტაცებდა ხელს და უკან აგდებდა, იმ ბიჭებისაკენ —"დაჭრა თუკია თქვე-სხვები დაგჭრან"ო და, ყველა აედევნ-გაიქცა, ვინ ვის ასწრებდა რას გაიგებდი მე კი, ისედაც მოსულელო და თანაც მთვრალი ადგილზე დავრჩი, სწორედ იმ ადგილას ვიდექი სადაც ახლა ნინოშვილის ბიუსტი დგას, არ გავიქეცი იმიტომ რომ სადღაც მოძიებული სკამის ფეხი მეკავა და ამის პატრონს რას დამაკლებენ-მეთქი და, ამისი გაფიქრება და, ზურგში რაღაც უზომოდ-ყინულოვანი ელდა ვიგრძენ და მიუხედავად იმისა რომ კარგა-მთვრალი ვიყავი მაშინვე გამოვფხიზლდი და ახლა კი-ვიკადრე,კი, გამოქცევა მაგრამ თურმე ერთ-ერთი დამწევია და ყელში ისე უნდა გამოესვა სამართებელი რომ ჩემს საშველად მოვარდნილმა იურა ქაჩიბაიამ — ჩემზე ორი წლით უფროსმა, ჩვენმა-სკოლელმა, საოცრად თბილმა და ვაჟკაცმა-კაცმა თურმე ზედ ჩემს ყელთან ხელი შეუშვირა სამართებელს და ასე მიიღო ჩემდამი მომართული ყელისგამოჭრა და თან როგორი — საჩვენებელი თითისა და ცერის განაყოფიდან ზედ ძვლამდე ჩაეფატრა-ჩაესერა ხელის მტევანი მე კი მერე ყველაფერი ძალიან ბუნდოვნად მახსოვს: თუროგორ ჩამსვეს მანქანაში, იქ თითქოს სადღაც ვიპარებოდი მაგრამ სწორედ ელბაქიძის დალმართზე მანქანა მაშინდელ ქვაფენილზე ძალიან რომ აჯაყჯაყდა, ისე მკაფიოდ მოვეგე გონს რომ კამოს ქუჩის (რას გადამეკიდა...) „სასწრაფო"ში ჩემი ფეხით შევედი თანაც მხარში მედგნენ და იქ კი ჩემზე ადრე მიყვანილ იურა ქაჩიბაიას — შემოვევლე, ღვთით ჩემი როგორ-გადამრჩენი — უკერავდნენ ჩემი ყელისათვის განკუთვნილ თავის ღრმა ჭრილობას და, ფეხზე მდგარი რომ დამინახეს „სასწრაფო"-ელებმა, „ჯერ ამისი ჭრილობა მოვამთავროთ"ო, იურასაზე, მაგრამ ჩავიკეცე და იატაკზე ჩემი ფეხსაცმლიდან გადმოსული სისხლიც რომ დაინახეს, ფეხსაცმლის ავსებამდე ჩაქცეული, იურა მაშინვე წამოხტა — „არიქა ჯერ მაგას მიხედეთ"-ო და, გამხადეს პალტო, პიჯაკი, პერანგ-მაისური და რაღაც ჩხირით რომ შემიმოწმეს ჭრილობის სიღრმე, დიდად გაოცდნენ — „ფეხზე როგორღა იდგა"ო და, მერე იქაურობისა აღარაფერი მახსოვს, მხოლოდ ჭრილობა გაუკერიათ თურმე, მაგრამ მკაფიოდ მახსოვს გათენებისას პუნქცია სასწრაფოდ რომ გამიკეთეს — ეს რომ არა, ძალიან მიჭირდა სუნთქვა, ვიხრჩობოდი, ეს პუნქცია კი რა ყოფილა — VI-VII ნეკნებს შუა წვრილი ფანქრისსიმსხო ნემსი მაძგერეს და, ტკივილი იყო? — აუტანელი-მართლაც რადგან წამიწამ გონებას ხან ვკარგავდი და მერე ისევ ტკივილით ვხიზლდებოდი მაგრამ ვაი იმ გამოფხიზლებას — სუნთქვა მიჭირდა, ძაან ვიხრჩობოდი, თან იმ-ვიღაც ექთანს, ჯდომაში რომ ვითომ მეხმარებოდა, მე რა ვიცოდი და, ვიღაცაში შევშლივარ და ექიმისთვის უთქვამს ეგ მე შორიდან ვიცი, ჩემი ნახალოვკელი მოშორებითი მეზობელია და მაგ საზიზღარს ორი ისეთი ბიჭი ყავს მოკლული რომ, ახია მაგაზე ასე რომ დაჭრეს და ეგეც ცოტაა მაგისთვისო და ამის გამგონე ის ექიმი? — რამდენსაც ულონოდ დავიგმინებდი, იმდენს მეუბნებოდა ვაი შენდა, არგადარჩენაო, თან ისეთ სიტყვებსაც აყოლებდა ის ვითომ-მშველელი ექიმი რომ... — მაგრამ ვითმენდი, უილაჯობით, თან მთლადაც მის ხელში ვიყავ და, მაგრამ რომ დაამთავრა თავისი ორმაგი საქმე — ქირურგობა და წყევლა-კრულვითი გინებანი, ისე-მისავათებული ვიყავ, ახლა სხვა ღვთისნიერი ექთანის მხარზე ვიყავ შუბლით ჩამოყრდნობილი და მოკუნტული ისე რომ ჯერ არაფრის თქმის თავი ვერ მქონდა, თურმე მთელი ერთი ლიტრი სისხლი გამომიღეს — 1000 გრამი, მეტი არ შეიძლებოდა თურმე, იმხანად რაღაც 65 კილოგრამი ვიყავი 190 სანტიმეტრ-სიმაღლისას, აჰ-უკაცრაოდ — სიგრძისას ანუ, მაგრამ უცებ მამაჩემი რომ შემოვიდა... რა და რომელი სიტყვა აქ... — ვერ მოვიფიქრებ, რომ შემოვიდა საორდინატორო-

ში — (ამ როგორ-შერბილებული სიტყვებით – მთლად გაუბედურებული და თავზარდაცემული, გავმხნევდი როგორ, და ყოველი შემთხვევისათვის ზურგზე რომ მოვისვი ნეკნებთან ხელი და, მთლად დავრწმუნდი რომ ის მსხვილი ნემსი გამოღებული, იყო, აჰჰხ რაც მე იმ ექიმს ვაგინე, მთლად გადავუტრიალ-ამოვუტრიალე სუყველაფერი იმა-შესავლით რომ —„შე ვირიშვილო დაჭრილს ასე უნდა მოექცე შენრო“ ... და, მივაყოლე და მივაყოლე სხვადასხვაგვარულ-თანხმოვნებიანები,თუმცა ამაებს იმ-მიბნედილობისას ძაან სუსტად და სვენებ-სვენებით ვეუბნებოდი, ქირურგი კიდევ? — მამაჩემს მიუბრუნდა, მამასი ნაცნობი აღმოჩნდა სამედიცინო ინსტიტუტიდან და, უთხრა-შესჩივლა: „ხედავ, პეტრე, ეს რა ხალხში მაქვს საქმე ეს კაცისმკვლელი კიდევ აქეთ მაგინებს მე ვინც მკურნალობა ჩავუტარე („---------ნ მკურნალობა“, გავიფიქრე,) ვინაა კაცო ეს“-ო, მამამ კი, შვილია ჩემიო, უთხრა; აქ ის ექიმი დაიბნა, იცოდა პეტრეს ნახალოვკაში ოჯახი რომ არ ჰქონდა და, იმ ექთანმაც რომ ამათვალიერა? —“უიმე შემეშალა-შემეშალა, შემშლია“ო, და, მამამ ერთი კი წყენით გადახედა ორთავეს და მაშინვე იქვე, ოდნავ მოშორებით იმ „სასწრაფო“-ზე გადაბმულ II საავადმყოფოში გადამიყვანეს, სადაც რომ? —

აჰ, ექიმები და რა ექიმები, ისინი საქმით რა ნაღდნი და საქმნიანობით როგორის კეთილისმყოფლობით აღსავსე ხალხი, ავად-მყოფებისთვის როგორ-რარიგად სათაყვანებლად თეთრ-ხალათიანი დიდბატონები... — ბატონები იოსელიანი, გორდეზიანი, ტყემალაძე, მესხი, მთლად ახალგაზრდები გუგა კუზანოვი და ლორთქიფანიძე-ქალბატონი, რა ხალხი იყო, რა ხალხი დამხვდა და როგორ შემიკედლეს! და ექთანებიც და რუსი „няня“ -ები, ის რაკეთილი გადიები ისეთები რომ — წინასწარ გეტყვით — მათი გაცნობა, მათთან შეხება რომელიგინდა დაჭრად არ ღირდა! მაგრამ

ვკვდებოდი,

ხოლო ბებია რომ დავინახე ... ფაცა-ბებია, ჩემი ... ერთავდროულად როგორი განადგურებული (რაცოტა სიტყვა!) და, ამასთანავე — შემართული, შემართული რომ —ახლაც ვერ ვხვდები იმ-მის მთლად მოსპობასთან ერთად ისეთადგვარი შეთავსებით გადასაოცარი შეთავსებით რომ აბა როგორლა წარმოგადგენინებთ ამას რადგან, ამასთანავე? — ჩემი ფოციანი ბებია ფაცა და ჩემს ამა-ყოფით კი? —შემართული! — შემართული რომ, რომელი ვეფხვი და კობრა მასთან ოღონდაც კობრა-გადასარჩენად — აი ესაც ხომ, წარმოსადგენია, ძნელ... მთლად ყალყზე იდგა!

ჩვენ-ბიჭებიდან კი, რვავე, სულ ჩემი პალატისკართან იდგნენ, ერთდროულობრივ აღგზნებულები და მოკუნტულები, დაყურსულები, და რა დამავიწყებს, გულიდან ახლაც რა გადამყრის მისადმი ჩემ-იმ მადლიერებას — შემდგომ რომ გინდაც მთელ ათ-თუ თორმეტ წელიწადს ხმას არ ვცემდი — ზვიადი ექიმებს დასდევდა და, გარეგნულად მუდამ დიდად თავდაჭერილი (ჩხუბისაგარდა) იყო მაშინ კი ექიმებს დასდევდა და, როგორი გულამომჯდარი, როგორ-ძალიან იხვეწებოდა: ჩემი სისხლი გადაუსხით პატივცემულო ექიმო, ჩემი სისხლი ძალიან გთხოვთ... და თურმე დროდადრო ასე სამ-ოთხნი გადიოდნენ ჩემი ჯავრი რომ ამოეყარათ და ვიღას არ სცემდნენ ათვალისწუნებულთაგან თურმე — არაა ამისი დაწვრილებითი ახსნა საჭირო მაგრამ განსაკუთრებით VIII პოლკთან (იყო ასეთი სპეც.—ჯარი) იყვნენ ქალაქის განაპირას ჩასაფრებულები და იმ საბრალო (ჩემი დღევანდელი ხედვით ეს...) „პოლიტრუკ“-ებით ყოვლად მოწამლულ, იმ უბედურთა, მოწამლულობით — ჯარისკაცებს შეუმჩნევლად აედევნებოდნენ და, — შეგვინდე, ღმერთო ... დასაქმიანდნენ, ჰოსპიტალები თურმე, როგორ... არადა, მანამდეც ანუ ორ დეკემბრამდე და მერეც, 14 დეკემბრამდე მილიციას კაგებეთი თურმე სასტიკად აკრძალული ჰქონდა ჩვენი დაჭერა რაცგინდა ჩხუბი ჩაგვედინა და ეს კი იმა-სუკური ვარაუდით რომ ეს ლაწირაკები თავისით როგორ გაბედავდნენ ანტისაბჭოურობით დიად საბჭოეთთან შებმას ალბათ ვიღაცა ძალიანაც სრულწლოვანი-ბოროტი ბოროტად აქეზებსო და იმ „ვიღაცა“ს დასადგენად არ გვიჭერდნენ — აი ახლა მივა ამათთან და აი ახლა ჭკუის კვლავ-ითი დასარიგებლად და, არამც და არამც არ გვიჭერდნენ, ხოლო იმას კი, იმ ვიღაცას? —დაიჭერდნენ, კი, კი როგორ არა, — ყოვლად არ-არსებულს, ხოლო იმ მაღალ-ქვეყნიეურთ, ჩვენს სასოებებს და ამა-საქმისათვის სულისჩამდგმელებს — დიად მეფეებს და შემოქმედებს და ჩვენს ხალხურებ სიმღერებსა და ცეკვებს და პოეზიას თავად გინდც -“სუკკა“ და ისი-კაგებე და რაგინდ-შვავად უბედურობა დაიჭერდა, კი, რავა-არა, კი...

და, ცხრა მარტისა და ჩემი — როგორი ჯავრისრაგაწაფულადამომყრელებიჰო-ხოთურმე რას აცხრებოდნენ იმა-უ-ბედურ ი-ჯარისკაცებს და მხოლოდ ჩემი-8 კი არა, სხვებიც, კი, სხვებიც და მერე ისევ პალატის კართან ბრუნდებოდნენ დარდისა და მორიდებისაგან მთლად გატრუნულები ისე რომ ძალიან სუნთქვაშეკრულები და მეც ნაკლებ-სუნთქვითა ვიხუთებოდი, ვკვდებოდი თუმცაღ იმ სამშობიაროსთან ახლოს სადაც რომ 17 წლის წინ

დავიბადე და, — ეს რაღა თქმა უნდა მერე გამახსენდა, მაშინ კი რიღასი თავი მქონდა, იმა-პირველი პუნქციის მიუხედავად ფილტვებში მაინც ბლომად მედგა, კი, სისხლი და სუნთქვამხოლოდრაღაცამოკლედ-წყვეტილსა ფართზე შემეძლო მარცხენა ფილტვით და ესაც ისე მტკივნეულად რომ — და, მორფი გამიკეთეს (აი, პიონერულად-მორფინისტიც კი გამოვდექი ამ მხრივ იმა-საქმეში „ჩამორჩენილ", დროს) და პატარა ხანში ცოტაღრმად შევისუნთქე და, ჩამეძინა, არ ვიცი რამდენი ხნით და მამაჩემს კი თურმე სარკე მოჰქონდა ჩემს ცხვირპირთან — ვაითუ აღარ სუნთქავსო მაგრამ — იორთქლებოდა, შვების სარკე — მაშინ სად იყო დღევანდელური ის ხელსაწყოებ-აღჭურვილობები სუნთქვას დიდად რომ ამოწმებენ, ხოლო ის 55 დღე, საავადმყოფოში რომ ვიწექი ბებიას მთლად არც ერთხელაც არამცთუ დაუძინია არცკი წამონოლილა, ის 55 დღე თავთით მეჯდა ოღონდ უბრალო ტაბურეტზე კი არა არამედ თუმც „ზურგიან" სკამზე მაგრამ ზურგით არ მიყრდნობია, ჩემი ხელი ეკავა ორივეხელით და, თუ რაღაც აუცილებელობისათვის წუთით გავიდოდა და შემოვიდოდა ეს სიარული იყო მხოლოდ მისი შვება, ეს ის ჩემი ბებია, რომელიც — როგორი... ლამაზი იქით იყოს, ისეთი ნაზი და სუსტი ქალი, რომელიც, მენშევიკობისას (ბოლშევიკებმა რაღაი დაჯაბნეს კარქები რომ გვეგონა და მგონი ახლაც გვგონია, ზოგს...), მეჯლისებზე, სადაც სხვადასხვა პრიზები იყო დაწესებული — ასე მაგალითად, „ყველაზე ლამაზი ქალი"ს და ამ მეჯლისებზე ორი ქალბატონი — გალაკტიონის მუზა მერი შერვაშიძე და ბაბუას ბიძაშვილი ბაბო დადიანი — ადრინდელი მოფერებითი სახელი „ბობოშკა" მერე მკვეთრად აღიკვეთა და ვაი იმისი ბრალი ვინც „ბაბოს" ნაცვლად „ბობოშკა"ს დაუძახებდა... ორჯერ იყო გადასახლებაში და მერე, როგორც იქნა და ახალ-თბილისურ გლდანში ბინა ასე ვთქვათ რომ გამოუყვეს, იქ არ წავიდა —„მე გენაცვალეთ უკვე ისედაც ვარ გადასახლებაში ორჯერ ნამყოფი"-ო და თავისი მოგვარისა და ნათესავის — შალვა დადიანის ქუჩაზე დიდის სიამოვნებით დასჯერდა ორ ისეთ მოცუცქნულ ოთახს ორივე ერთად 12 კვ მ-ს რომ თუ შეადგენდა, თან სიონთან ახლოს იყო და, დიდად მორწმუნე, წირვა-ლოცვებს არ აკლდებოდა, და ეკლესიის საპატიო ჯილდოც კი ჰქონდა (აქვს) ბოძებული, და იმას ვამბობდი რომ კიდევ კარგი ის და ქალბატონი მერი შერვაშიძე არამც და არამც ერთად არ მივიდოდნენ მეჯლისებზე რათა „ყველაზე ლამაზი ქალი"ს დამდგენი ჟიური გამოუვალ საგონებელში რომ არ ჩაეგდოთ (ბებიასგან ვიცი ეს თორემ ქალბატონი ბაბო ჩემს „მართალია?"-ზე მუდამ მპასუხობდა რომელი ლამაზი მე ვიყავი მოგცლია ერთი-ო), ხოლო ყველაზე ნაზი ქალის პრიზს კი? ვერა ჰყოლია კონკურენტი და ბებიაჩემი იღებდა თურმე, რომელიც? ამას არ უარობდა, — „დიდი ამბავი მართლაც ნაზი რომ ვიყავი"-ო და, ეს, ეს სინაზე მისსა როგორ-როგორად შებერტყილურ ხუმარაობებ-და-აკტრისკულ-არტისტკაობა-სთან, ერთად, მუდამ გახლდათ და, სწორედაც ეს ყოფილი კი არა არამედ მუდამ ნაზიც და სუსტი ქალი მთელ 55 დღეს ერთხელაც არ წამოწოლილა ამ-ჩემისთანასის გამო, კი, და ახლა რასაც ვწერ იმას თუმც „ეგრეთწოდებული" „ავტოგრაფული რომანი" ჰქვია მაგრამ ეს ყოველგვარ ავტობიოგრაფიულობაზე მეტად — სამადლობელია ბებიასადმი, მამისადმი, ჩემი ნათესაობისა და ცხოვრების რა ოღროჩოღრო გზებზე შემოხვედრილი კეთილი ხალხისადმი, თავი და თავი ეს — სამადლობელია წმიდა სამებისადმი რომელიც-რომ „ნიჭთა და ქველისმოქმედებათა" ყოვლად უსასყიდლოდ მბოძებელია და თვით, თავად უწმიდესისა და უნეტარესით ნაწყალობევი ქრისტესგამოსახულებიანი ოქროსი მისი ჯვარი მაქვს გულზე და, ამ მე-უღირსმა ესჩემიპროზაც ვერ უნდა ვწერო?...

ხოლო ბებიამ ჩემი რა-შორეული გადასახლების მოსალოდნელობაც რომ გაიგო? — ეს 14 დეკემბრის მეორე დღეს მოხდა, მანამდე უმალავდნენ — თავისა ეყოფა, რაც შეიძლება გვიან გაიგოსო, ხოლო მე მანამდე კი, მხოლოდ ეს ... რა ეს .. და „ცალფა" ვეძახოთ და, დაარდი შემექმნა? — ხოლო მანამდე, პირველად რომ გავიღვიძე საავადმყოფოში, ბულიონი მომიტანეს პირთან მაგრამ რა მებულიონებოდა — მორფმა თავისი ჯერ კი-გაიტანა მაგრამ მერე ისევ სუნთქვის ტკივილმა გამომაღვიძა და, მამაჩემმა —"არიქათ შალიკო"ო და, ისიც მაშინვე შემოვიდა რადგან ჩემი პალატის კართან მდგარა — ჩემი კეთილი, სათნო, ჭროღა თვალებში სიკეთე როგორ-მოძალებული ძია შალიკო გოგნიაშვილი და მისი თხოვნით - „გუროშკი დალიე რა"ო — რაღა „გუროშკი" მე ვიყავი მაგრამ მისთვის ძალიან-ვიყავი ეს მე-ისეთი არაფრისმდომი გარდა სუნთქვისა მაგრამ მისი ხათრით როგორც იქნა და ერთი ფინჯანი ბულიონი წამებ-წამებით, შევსვი, მერე შოკოლადის ერთი ნატეხიც დამაყოლებინა — ლუკმა პირში რომ არ გადამდიოდა ეს კიდევ არაფერი მაგრამ დახველებაზე? — გონებისდაკარგვამდე ტკივილი მფეთქდებოდა ხოლო ხველა კი გამიხშირდა რადგან — იციან ეს თამბაქოს მწეველებმა რომ სიგარეტის თავის განებებისთანვე ფილტვები ეწმინდებათ და ნახველისაგან იცლებიან მაგრამ მაშინ კი აბა-რაღ ფილტვებისი გაწმენდა იყო ეს თუკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებას ვკარგავდი დახველებით, არადა მე 14 წლისა დიდ-მუყაითად შევუდექი თამბაქოს რაც იმ-დროისათვის დიდ-იშვიათობა რამ იყო, დღევანდელივით კი არ გახლდათ ახლა ზოგიერთი 12 წლისა უკვე „სტაჟიანი" მწეველებიდან რომელიმე ნებისყოფიანი „მალბორო"-ებს თავს თუ დაანებებს ვაჰხ ყოჩაღ-ბიჭო, შენ-ო, მაშინ კი ისიც კი მითხრეს თუ შეძლებ მონიე ეგებ ხველა შეგიჩერდესო მაგრამ სიგარეტი კი არა არც-არაფერი მინდოდა მაშინ — სუნთქვისა გარდა! — თურმე რა-ამოსი და ნეტარისა — მადლობდეთ ყველა!, ფილტვებ-მრთელები და, ერთხელაც რომ დავახველე, ჩემებსაც კინაღამ გული შეუღონდათ — მაპატიეთ ამ ნატურალიზმისათვის მაგრამ მუქი ამონახველი მომეცხო ტუჩზე და — ვაიმე, ფილტვიც ჰქონია დაზიანებულიო — არადა, ეს შოკოლადისმიერი შეფერილობა ყოფილა, ჭრილობას მხოლოდ (—"მხოლოდ"!) პლევრა გაეხვრიტა და ზედ ფილტვთან — ეს მართლაც მილიმეტრია — ყოფილა შეჩერებული და, ეს ესაც ღვთით როგორი ბედი — ის დანა თუ უნამუსოდ ალესილი „ატვიორტკა" ჩემი ბობრიკის პალტოს (იყო ასეთიც სქელი ნაჭერ-ფართლეული) ზედ იმ შუა-ნაკეცზე მთელ პალტოს რომ ჩასდევდა იქ მოხვდა თორემ, იმა-სისქისა ჩამჭოლი იარაღი უიმნაკეცოდ ფილტვს რაღას უზამდა, ხერხემალიდან სულ-ოდნავ მარცხნივ მქონდა ჭრილობა, და მერე ისევ უფრო ძალიან ვერ ვსუნთქავდი და არ მახსოვს მესამე თუ მეოთხე დღეს — რადგან ვრცელი ჰიდრო-ჰემო-პნევნატორაქსი — ფილტვებში სისხლი, წყალი და ზედმეტ-ჰაერი, მქონდა, კვლავ ჩამაძინეს — მორფის შემდგომ — ასე რომ თამამად შემიძლია ვთქვა რომ მორფი ერთგზისზე-მეტად მაქვს მიღებული ოღონდ ჩემი „კაიფი" მხოლოდღ ის იყო რომ — ჩამძინებოდა, და მეორე პუნქცია კი ისევე როგორც მერე კიდევ სამი — ბატონმა გორდეზიანმა ჩამიტარა, ერთიც — თვით ბატონმა იოსელიანმა, და მეორე პუნქციისასაც გული წამდაუწუმ რომ მიღონდებოდა ამასთანავე თან სხვაც როგორი გასაჭირი მადგა თავს — ახალგაზრდა და ძალიან სათნო და მაგრამ ლამაზ ექთანს ვყავდი თუმც ძმასავით მიხუტებული — დამჯდარს უკეთებენ პუნქციას და ჩემით დაჯდომა კი არა მწოლიარეს ხელის პირთან მიტანა არ შემეძლო და მაინც, იმა ყოფისასაც-კი, როგორი მწვავე ბურანით ვგრძნობდი რომ როგორ ახლოს — დღევანდელი ყმაწვილებივით კიარ ვიყავ — ვიყავი ქალთან ხოლო ადრე კი არასოდეს ვყოფილვარ ასე-მჭიდროდ ჩახუტებული ქალთან და თან როგორ-ძალიან მერიდებოდა და თან ვიწვოდი, ქალთუნახავი, და მერედამერეებ ჩემსაწამებებს რომ მაინც გიამბობთ თქვენ თქვეისედაც გაჭირვებულებს დღეს — არ დაიჯეროთ რომ თავს გაცოდებთ — არა, რადგან რაც მეტი მქონდა გაჭირვება და გართულებები ამით მხოლოდღა უფრო კარგი კი არა არამედ მთლად ბედნიერება აღმოჩნდა ჩემთვის ეს რადგან — გადავრჩი, ხოლო გადარჩენილზე მე მთლად თავიდან ამოვიცან და შევიგრძენი ღვთის წყალობანი — ჰაერი, მიწა, წყალი, საკვები, მზე და მთვარე-სავსე და ნამგალა-მთვარე, და წვიმა, თოვლი, უგზაოც ქარი როგორ-გზიანი და ცისარტყელაც თუკი ძალიან მებოძებოდა! – რა ბედნიერი შევიქენ სწორედაც იმა-წამებებით, კი, და თუ ვაჟას, ფიროსმანს და გალაკტიონს დაბადებიდანვე დაამადლა ღმერთმა ის ზე-წყალობა — მარადიული ბავშვობა, მეჩვიდმეტი წლისას, ბავშვობა-განვლილს და უკვე კარგა-მოწიფულს დამემადლა ეს — იმ წვალებათ-განვლით გადარჩენილს მე ახლაც-დღემდე რა მოხიბლული შევცქ-შევცქერი-ვარ ჩემთვის სუმუდამ მთლად პირველ თოვლს — გინდ მეათასეს, და როგორ მოდის ჩემთვის ყოველი წვიმა — მარადპირველი, და მთლად სუპირველად მეხლება ქარი, ნიავიც ხოლო სიოს კი აბა რა სჯობს — მფერებადია ხომ ყველასათვის და მეორედ წამომდგარისათვის ხომ — რამდენად-ვუმფრო და მე მესამედაც კი დაბადება მეწერა, — კი, კი, და მერე ვისით, ვისი გამოვლით მიწყალობა ღმერთმა ეს მაგრამ ამაზე უფრო შემდგომ და ახლაკ-კი მხოლოდ იმას მოგახსენებთ რომ ნუ შემიცოდებთ რადგან გადავრჩი და, მთლად პირიქით, მაინცდამაინც ნურც შეგშურდებათ ჩემი, ღმერთი გფარავდეთ წამებ-ტანჯვური იმ ხვედრისაგან მე რომ მერგო და, გიმეორებთ — ოღონდ ამ-მეს ნუ შემიცოდებთ რადგან — გადარჩენამდე, ძნელი იყო ეს და თანაც როგორი... და მამაჩემის შეწუხებასაც (— რა მდარე სიტყვა!) რაღაც დაუდევარი გულგრილობით ვიტანდი და გასაკვირადაც არ ვთვლიდი მის მზრუნველობებს ჩემდამი, სანამ, 9 წლის შემდეგ ბიჭი რომ შემეძინა, და პატარათი წამოიჩიტა, ამ მე-ულირსმა უცებ ისიც კი გავიფიქრე მამაჩემისადმი როგორ და როგორ რაღაცნაირად საწინააღმდეგოსავით რომ — რადგან გავიგე შვილების ფასი და ამ შემთხვევაში ბიჭის ფასი თორემ შვილი შვილია — და მამაჩემი ერთგვარად ავითვალისწუნესავითაც კი რომ რადგან — როგორ უძლებდა სარკეზე ჩემ-მძინარისაგან დანაორთქლს რომ დაეძებდა ამას-მეთქი და, გახარებული სწრაფად როგორ სწმენდდა სარკეს რომ ისევ ჩემთან მოეტანა-მეთქი და ჩემი სიკვდილის-პირასობისას როგორ გასძლო ასე, და ასე თან რამდენი დღე, — მერე კი, 30-ოდ დღის შემდეგ რომ, თითქოსდა გამომჯობინებისაკენ დამდგარს ისევ თავიდან რომ დამეწყო სასტიკი

კრიზი და ამასაც მოგვიანებით მოგახსენებთ თუ როგორ, რატომ, ხოლო ათი წლის შემდეგ მამაჩემზე რომ ცოტა არ იყოს გული ამიცრუვდა ჩემი ასეთი მდგომარეობა როგორ აიტანა, მეთქი, მე კი ჩემი ბიჭის მთლადაც სიკვდილი ავიტანე — გარდაცვალება რომ იყო ეს — მერელა მივხვდი, მიმახვედრეს, მაგრამ მანამდე — მისი სიკვდილი ავიტანე და, როგორ დავმორცხვდი მამისადმი, მისი გარდაცვალებიდან გინდაც მთელის 19 წლის, შემდგომ, — 1990 წელს, მაშინ კი ჩემს 8 ძმაკაცს — ანტისაბჭოეთებს მეორე პუნქციის შემდეგ როგორ შეფარულ-თანამდგომლურად ვუღიმოდი კიდეც, და თავმომწონეები სულაც არა მაგრამ გარკვეულ-ფარულ სიამაყით მაინც ვიყავით გაჟღენთილები, კი, მაგრამ ერთ დღესაც, 14 დეკემბერს იმ რვათაგან რომ არც ერთი არ მოვიდა — არ არსებობდა მათი არმოსვლა თუ არა — დაპატიმრება, მათი ... ჩხუბებისას 8-ვეს ერთად როგორ დაიჭერდნენ, და, ამიტომაც, რაისი „ჩემი მილიცია" — მათ მოუსვლელობას როგორ მკაფიოდ ასდიოდა კაგებეს ზინზლიანი სუნი... სუნიც და, მწიკვლოვანი მწვირიანობაც ამა-ბგერების ასე შერწყმისა — „კაგებე", „სუკი" ... და მთლად გავოცდი მეორე თუ მესამე დღეს გურამ სხირტლაძე რომ მოვიდა — თუკი კაგებე იყო იმ—7-ს დამჭერი, ის რაღად არ... და, არავითარი შეკითხვა იმას არ სჭირდებოდა, როგორც კი დიდად შევხედეთ ერთმანეთს, ყველაფერს მივხვდი, „და შენ როგორლა არ"... — ამა-გამოხატულებით რომ შევხედე, მხრები აეჩეჩა... და, დადიოდა რამდენიმე დღეს, და მე სუნთქვა შედარებითშემეძლო მაგრამ ჯერ კიდევ სიკვდილის პირას გაცილებით მეტად ვიყავ ვინემ სიცოცხლისას... თურმე, იმიტომ აჭაჭანებდნენ გარეთ რომ იმ ვილაც ყოვლად-შეთხზული და რაღა თქმაუნდადაუდგენელი ვინმ-ძია-ძიო-დასადგენ-უცნობ-ანტისაბჭოელი ეგებრჩევებითმისულიყო მასთან რომ ორივე ერთად დაეჭირათ, — კაცოო, ეს ფანტაზია-აწყვეტილი დიდად-უცნაური რამაა, მააშ — მხოლოდ და მარტო კომპოზიტორ-მხატვარ-მწერლებს კი არა ამ კაგებესაცკი რონაქონებარა, კაცოო...

და, ჯერ დადიოდა გურამი ჩემთან ყოველდღე, სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი ამხანაგები კი — არა, მაგრამ ამით გულში კი არ ვსაყვედურობდი, — მშობლები არასდიდებით არ უშვებდნენ ალბათ, ჩემთან, მთელ ქალაქს დიდის შიშის-ზარულად გაეგო თუ რისთვის იყო დაპატიმრებული ჩვენი 7 ძმაკაცი, არადა, ვერავის ვერაფერს ვეკითხებოდი, თვით ჩემს იმ ერთგულ და-ქალებს როგორ ერთგულად რომ დადიოდნენ ჩემთან — ნანა გოგოძეს და გულიკო გოგნიაშვილს, ძია შალიკოს ძმისშვილს — თანაც, ჭირი-იქა-ში ანუ კაგებეში თუ რა ხდებოდა ვის ეცოდინებოდა, არადა, ამაზე დარდით გულგასიებულს ერთი დაღრიალება ჩემი ძმაბიჭების ხვედრზე რას არ მერჩია მაგრამ, ვიკავებდი, თავს... გინდაც და ვითომ ღრიალი შემძლებოდა...

ძმაკაცებიდან, მხოლოდ ჯემალ შუბითიძე დადიოდა ჩემთან — ჩვენს ძმაკაცობაში ყველაზე დინჯი, წესიერი, თავშეკავებული ძმაკაცი... ბევრი წლის შემდეგ, ფსიქიატრიულში გარდაიცვალა... სიკეთე და სისაღე მაინც როგორ-შენარჩუნებული... ძმაკაცებიდან, ცოტა გარდამცვლია მასავით უბედურად... და თამაზ გუნჯუა... —ჩვენში ნაღდად-ნამდვილად ყველაზე უკეთესი...

ჯერ 8-კაციან პალატაში ვიწექი ასე-3-ოდ დღეს, იქ ერთი ძველი „მედროგე" იწვა მაგრამ ჩქმალავდა ამას — შოფერი ვაარო, იქადნიდა და აგერ ახლახან რომ საავადმყოფოში ისე-ტყვილა აბა ვინ წვება-მეთქი მართლაც ტყუილი მითქვამს — მთლადაც მუქთად რომ ეჭამა-ესვა (კისელ-კომპოტი, ბორჩ-კატლეტი და რამე — მაშინ ყოვლად უფასო იყო საავადმყოფოში კვებაც, წამლებიც და მკურნალობაც), და ისი-მედროგე ცრუ-ობით იწვა, ავტოდ-შეთხზული მითომი-სნეულკუჭისა გამო და მთლად მოკაკვული დაიარებოდა (მარტოკალ ბებიაჩემი კი არ ყოფილა აქტიორული), მაგრამ პალატაში როგორლაც მაინც შემოჟონა ამბავმა რომ ჩამორჩენილი მედროგეა და არა პროგრესულ-შოფერიო — რა დამალულა საქართველოში... — და, ერთხელაც, პირაღმულად რომ დიდად არხეინად ეძინა, ყოვლად უ-ნაცვალგებოდ შუენიერი-დიდად გამაძღარს, სიარულის შემძლე ავადმყოფებმა ორი პირსახოცი გადააბეს და ერთი ბოლო ფეხებთან, საწოლზე მიუბეს მეორე ბოლო კი ხელისგულებში ჩაუდეს და, ერთ-ერთმა მსუბუქად-ავადმყოფმა ტუჩ-ხმითა მშვენივრად განახორციელა ცხენის ფლოქვების ნელი ბიჯების ნელინელი ხმა და, მედროგემაც, ძილღვიძილში ხელისგულებით პირსახოცის ბოლო რომ მოიგულა რაღა თქმა უნდა აღვირად ჩათვალა და, მყისვ სერიოზნული სახე მიიღო ძილშიაც კი და, მააგრად რომ ჩააბღუჯა-რა ისი პირსახოც-"აღვირი" და —„ნწუ- ნწუ" და „ფრრ, ფრრუუ"-ო და მცირედს რწევასაც მოჰყვა? — ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა — მხოლოდ მე ვერ ვიცინოდი ხმამაღლა რადგან ვერ შემეძლო — რომ გამოეღვიძა და როს იხილარა თურა ხერხით გაყიდულიყო მედროგე-ობაში (ესი სიტყვა კი, მედროგე, მედროვე-ობას მაინც სჯობიან რაცგინდა იყოს ...), ჯერ თავისიჭკუით კოფოზე წამოჯდა და�ა, მაგრააამ, ყველას სწრაფად რომ მოგვავლო თვალი და რა-აღვირიც შერჩა ხელთ – ვინ ოხერ-ტიალმა მიყო ესი ოინიო და რომ, ამოიცნო-რა? —

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოხტა კაკო რა იყო არამედ მედროგე-პაშა ლომივით ზეზე და, ამ რუსის-კაცმა, კაცოო, ისეთი თავური აჭამა ერთსაც მთლად სომეხს რომ — ჭეშმარიტ-ჰავლაბრული თავური კაცო, და ისე ჯიქურ რომ მიიწევდა ეს ფაფარაშლილი ლომი-პაშა და ალიფაშაც-თლათ გრეგორიანელ მსხვერპლისაკენ როომ, შეშფოთებული მორიგე ექიმი შემოვიდა ამ-ხმაურსა და გინებაზე და... —

გაწერეს, მოკლედ, მეორე დილითვ ის საავადმყოფოს მუქთი-პურ-მარილიდან ანუ ჩაიბორშჩ-კატლეტ-კისელ და ასე-შემდეგიდან (კომპოტი, მარილი, მდოგვი, რამე,), მაშინ, აკი ვთქვი საავადმყოფოში თან კვებაც კი იყო თავ-გასატანი და თანაც, ტუალეტიცა-უფასო ახლა კი მგონი ისიცა-თანხიანია და არ დამიჯერებთ-კია მაგრამ-მაინც ისევ გეტყვით — წამლებიც, კაცოო, წამლებიცა? — ყოვლად უფასო...

განათლებასავით.

მესამე დღეს კი გვერდითა პალატაში საკაცეთი გადამიტანეს, ასე ვთქვათ „გადამაწინაურეს" რადგან ოთხსაწოლიანი პალატა იყო, და სამნი დამხვდნენ იქ — ერთს ჩემსავით გურამი ერქვა, გვარი არ მახსოვს, მშვენიერი გარეგნობისა იყო, მაგრამ განგრენა ჰქონდა შემდგარი, მეორე – ერთი ახალგაზრდა სომეხი ჯეილი რომლის გვარი კი არა სახელიც ვეღარ მახსოვს ოღონდ მშვენიერი იუმორის პატრონი ისეთი რომ, მერმისში ჩემთვის ცნობილი სომხებიდან მხოლოდ ფრუნზიკ და ლევონ (ცნობილი ენათმეცნიერი და პოეტი) მკრტიჩიანებს ჩამოუვარდებოდა — ჩემს ძვირფას ლევონ მკრტიჩიანზე — შემდგომ, და გილარ ზაქარეიშვილი — ჩემზე ერთი წლის უფროსი, სამედიცინო ინსტიტუტის პირველკურსელი, ჩემი მომავალი დიდად-ახლობელი, ის ტყუილია „ადამიანები მგზავრობისას უახლოვდებიან ერთმანეთს"-ო, არა — საავადმყოფოსა და ციხეში უფრო უახლოვდებიან ერთიმეორეს, ამ გარეგნულად გინდაც უძრავად მდგარ და მაინც როგორ მატარებელში — საავადმყოფოსა და ციხეში ხოლო გილარი და მე 2 წლის შემდეგ ციხის ერთ საკანშიც ერთად აღმოვჩნდით, ამაზე შემდგომ: დედამისი, დეიდა ქეთო, საოცარი ქალი, ერთადერთი შვილ-გილარით როგორ ძალიან გაწვალებული და მაგრამ შვილი მაინც – რომელ დედას არ უყვარს (მთლად დიდად-იშვიათ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით — ასე მაგალითად ფულიანები შვილებს ვითომცი-სიყვარულით ფულებს რომ ჩრიან და ათასდოლარიან სათხილამური ქუდებს აკოსებენ თავვებზე და მთლად-პატარაობიდანვე თითო აქეთ-კოცნაში ასდოლარიანებს რომ უხდიან, ხდება ასეც, კი, ასეთადგვარის სიყვარულით გამოუვათ ისი შვილები ქურდები და ბანდიტები, აბა რა იქნება...), ხოლო დეიდა ქეთოს თავის გილარზე მართლაც ისე ამოსდიოდა მზე და მთვარე?

გილარი კი, — მოგახსენეთ უკვე რომ იმისთანა ნიჭიერი კაცი ჯონდოსთან და კიდევ ერთ კაცთან ერთად მე არ შემხვედრია-მეთქი, დიდად-ხიფათებ-ფათერაკებიანი ვაჟიც გახლდათ რომელიც ამა-ხიფათებს თავადვე იქმნიდა — ფერი თუ გადაუვლიდა? — წასული იყო მისი შემპაექრებელ-წინარეს, საქმე, ეს მუდამ ყოვლად-ფრიადოსანი და ოქროსმედალოსანი და წარჩინებული-როგორ, ჯერ მოსწავლე და მერე სტუდენტი? ახლაც არ ვიცი, რას დავადგენ იმას მეტი ყმაწვილკაცი ჰყავდა დაჭრილი თუ ერთსაც ჩემს ძმაკაცს ვისთანაც ახლო-მეგობრობა მისი სიცოცხლის ბოლომდე შემინარჩუნდა — ჯემალ გოლეთიანია, ეს, ისიც როგორი კეთილი, სათნო, გულუხვი მაგრამ იმასაც თუ ფერი გადაუვლიდა და ჯერ ავად გახევდებოდა და, მერე? — ახლაც ვერ ვხვდები ისეთ კეთილებს, კეთილშობილებს როგორ შეეძლოთ დანის ხმარება, ხოლო ჯემალი დიდად „სწორ-მართლ"-ად იმართლებდა თავს იმით რომ რამდენი ვინმე დავაყენე კარგ, მეცნიერულ გზაზე, ძველ-ბიჭობობით რომ ამიხტნენ და თავისა მიიღეს ძალიან მიხვდნენ რომ იმათგან ჩემსავით ხულიგანი (თავსაც იშაყირებდა ვითომ) ვერ დადგებოდა და ამიტომაც სხვა-განსხვავებულ გზას, მეცნიერებას დაადგნენ და აგერ წინა კვირაში ერთმა საკანდიდატო დაიცვა და მეორემ კი — მთლად სადოქტოროო, იცინოდა ხოლმე, და სიცილ-ღიმილითვე განაგრძობდა — თურმე ოპონენტებს მგონი თხუთმეტ თუ მთლად ოცდახუთ მანეთს უხდიან და მე უფრო არ მეკუთვნის ის ფულიო?

გილარი კიდე, იმდენად ნიჭიერი რომ... მხოლოდ ერთ მისეულს მოგიყვებით: ადრე ნახალოვკაში, სუჟენის (ნეტაი ვინოხერია) ქუჩის 13- ცხოვრობდნენ ერთ ძალიან პატარა ოთახში, და დეიდა ქეთომ ნამდვილად იცოდა გილარი დანას რომ დაატარებდა და გილარი რომ დაიძინებდა, ნეტავი სად მალავს დანასო და არამცთუ თავიანთ მოცუცქნულ ოთახს მთელ ეზოსაც გადაატრიალ-გაჩხრეკდა დანის სამალავის აღმოჩენის იმედით ისე რომ ლამის კაგებესაც კი შეშურდებოდა და ყოველ ღამეს თითქმის ათევდა ამ დაუცხრომელ ძიებაში და, მაგრამ – ვერა და ვერა, არსად იყო გილარის ის დანა რომელსაც, ვიმეორებ, ძალიან ნაღდად დაატარებდა შინიდან გასვლისთანავე და, ბევრი წლის შემდეგ, როცა უკვე ვერაზე, კარგ ბინაში ცხოვრობდნენ, და გილარს შეევედრა — შვილო, რა იყო მაინც ისეთი ადგილი შენს დანას ვერაფრით რომ ვერ ვპოულობდი იმ ჩვენს ოთახში და მოვხუცდი

და ნუ გამატან ამის გაუმხელობით დარდს და ძალიან, ძალიან გთხოვ ახლა მაინც მითხრა სად მალავდიო და, გილარმა კი, ჩაღიმებულმა, უთხრა: სად და შემოსასვლელთან რომ ეკიდა იმ შენს ხელჩანთაშიო... ამისი გაგონება და დეიდა ქეთოს კინაღამ გული წაუვიდა გადაოცებისაგან — აჰ, შე ჟულიკო, ჟულიკო, — ერთგვარი სიამაყითაც კი გაიფიქრა ასე, სულ-მთლად ყველაფერს წარმოიდგენდა თავისი ხელჩანთა თუ იქნებოდა გილარის დანის შემნახავი საკანი, გილარი დიდად ნიჭიერი რომ იყო ეს კი-იცოდა, მაგრამ, ასეთი მოხერხებულობა? — აჰ... ხოლო პირველსავე დღეს გილარმა იმით გამაკვირვა რომ, ჩემთვის კარგად ნაცნობი წიგნი ეკავა და ჩააყოლებდა გადაშლილ გვერდებს თვალს და ასე ათ-წამში გადაშლიდა, ისევ ჩააყოლებდა თვალს, გადაშლიდა კვლავ და მე რომ მეგონა რომელიღაც ადგილის მოძებნისათვის წვალობდა და, შეეედი მის მდგომარეობაში და, ვკითხე: რომელ ადგილს ეძებთ ეგ წიგნი ვიცი-მეთქი, და, გაკვირვებულმა შემომხედა: ვეძებ კი არა, ვკითხულობო, და მე რომ მეგონა ვაჰ ასე ზერელედ როგორ კითხულობს რა წაკითხვაა ეს-მეთქი, მერე, ორიოდ დღეში რომ დავახლოვდით და შევამოწმე და ასე-წაკითხული გვერდები სუმთლად დაწვრილებით ახსოვდა — სასწაული! — მე თუ ჯონდოს მერე რაიმე გამიკვირდებოდა? —აჰ!... ასე მაგალითად:

ჯონდომ ერთხელ სანაძლეოზე ხუთ-კაციანი პურ-მარილი მოიგო და აი რითი — ერთსაც უთხრა რომ, რომელიც გინდა ერთგვერდიანი ტექსტი წამიკითხე და ზუსტად გაგიმეორებო, გაკვირვებულმა დამნიძლავებელმა კი, შენთვის მთლად უცნობი და ყოვლად გაუგებარი ტექსტი რომ იყოსო? — კიო, ჯონდომ და იმან ლექსი და „პოეტური პროზა" კი არა და თუნდაც ულიმღამო „პროზაული პროზა" კი არა — ანუ ჯონდოსთვის შინაარსობრივად ყოვლად გასაგები არამედ მთლადაც რომელიღაც ურთულესი დიდად-ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული წიგნიდან წაუკითხა ლოგარითმებიანიც მთელი 1 მოზრდილი გვერდი და, ჯონდომ? - რაღა თქმა უნდა ბგერა-ბგერაში გაიმეორა, როსინისავით ყოვლად უბადლო მახსოვრობა-დამახსოვრება ჰქონდა ყოვლად უინტერესო გარემოებისაც კი, როგორი ერთბაში-ათვისების უნარი და იმას კიდევ რა უჭირდა განცვიფრებისათვის თავად როსინიმ, კომპოზიტორმა და მერე როგორმა ვილაც-პოეტის უშველებელი პოემა საზოგადოებაში სუმთლად პირველად რომ მოისმინა და მერე კი აღნიშნა რომ ეს პოემა ჩემია და რატომ მოგვასაღეთ თქვენეულადო და, თუ არა გჯერათ აგერ ბატონო, თქვენ ქაღალდებიდან კითხულობდით და მე კი ზეპირად გეტყვითო და მართლაც მთლადაც თავით-ბოლომდე ყოვლად უბორძიკოდ და მოჩვენებითი აღფრთოვანებითაც. კი წაიკითხა ისი-პოემა-გრძელვადიანი და ხოლო მერე კი, გაოგნებული პოეტი და გაოგნებულივე საზოგადოება – რამ დაამახსოვრა იმა-სიგრძე პოემა თუნდაც თავისიო, — როსინიმ, ვითო-შეჭმუხნილმა, უცებ რა გულიანად გაიღიმა და, თქვა, დამშვიდდით ყველანი, ეს ჩემი მახსოვრობის დანაშაულია ასე რომ შეგაცდინეთო და თუ როსინიმ რაცგინდა სუსტი და მაგრამ მაინც რითმებით გადაჯაჭვული პოემა დაიმახსოვრა ამ ჯონდო-ოხერმა (მოფერებით, კი, შეფასება-ეს) უურთულესი ანუ მისთვის ყოვლად აჩხა-ბაჩხა რადგან დიდათე-ტექნიკური ტექსტი რომელიც რა-უშეცდომოდ გადმაამღერა და იმ დღეს ოთხმა და ჯონდო-მეხუთემ, თუმც აჰ! — პირველმა, მაგრა ვიქეიფეთ, ისე რომა სულ-სუ „ტირიაან თუშიის ქალებსაა"ს გაჰვიმღეროდით... და, ჩემდა წყალობად, ამ ორთ, გილარისა და განსაკუთრებით ჯონდოს ასე ვთქვათ მოხარშულს რომ ვიცნობდი რა კარგი იყო, სიმხნევე იყო ადამიანის გონების მადლით მოცემული ხოლო როსინისა–კი რაც მართალია მართალია არ ვიცნობდი რადგან დიდათე განსხვევებული გოდ-როჟდენიები (1792 და 1939 წწ) გვაქვენ.

დღეში 10-ჯერ მაინც მიკეთებდნენ ნემსს — ყოველ 4 საათში პენიცილინს და 6 საათში სტრეპტომიცინს (მაშინ ეს ორივე წამალი ახალი შემოსული იყო. კიდევ კარგი... მაგრამ მე მაინც გადავრჩებოდი, რომელი წამალი — მწყალობელ ღმერთთან...), და ნუ შევუდგებით არითმეტიკას, 10-ჯერ იმიტომ რომ დღე-ღამეში ორჯერ ემთხვეოდა ერთმანეთს ამ წამლების გაკეთება და შერეულად ავსებდნენ შპრიცს და აბა რომელი სასიამოვნო ნემსისჩხვლეტაა მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეული, ძალიან, გახდა, თანდათანობით, მაპატიეთ ეს „ნატურალიზაცია" და გვერდზე გადაბრუნება არ შეიძლებოდა ჩემი და მხოლოდ ბარძაყებზე მჩხვლეტდნენ და თანაც ერთ თვეში კიდევაც მეტად რომ დავდნი და გავხდი, — საავადმყოფოდან გამოწერისას ამწონეს და 54 კილოგრამი ვიყავი, 190 სმ. სიმაღლისა, 550 ნაჩხვლეტი მქონდა ძირითადად ცარიალაღა იმ კან-ტყავ-ბარძაყებზე სადაც რომ ადგილს დიდი გულდასმით და მაინც ძნელად შეარჩევდა ხოლმე ექთანი — მთლად პანია მაგრამ რა მყარად ამოზრდილი ბორცვებით მქონდა მოფენილი ნანემსარები, და ამას დაუმატეთ ყოველ საღამოს მკლავში კარდეამინი — საკმაოდ მწარე ნემსი და ყოველ უთენიისას თითიდან სისხლის აღება — ახლა გაცილებით ადვილად ხდება ეს და ნუ იფიქრებთ ეს თითიდან სისხლის აღება რა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატანიაო მაგრამ ორ-სამჯერ მაინც მჩხვლეტ-დნენ რადგან სისხლი არ გამოდიოდა და ერთ თვეში იქაცა მქონდა ანტიკვარი ნაჩხვლეტ-ები და თანაც იმ გაუთავებელ პენიცილინსა და სტრეპტომიცინთან ერთად იყო და, მაინც შვებად-განთიადისას რაგინდ ჩამძინებოდა, ფრთხილად, ალერსით კი-მაღვიძებდა ბებია მაგრამ, — მაღვიძებდა, გამთენიისას კი უფ-რო შემეძლო გინდაც ტანჯული, ძილი — გან-თიადისას 40-41 გრადუსი სიცხე ცოტათი და-ინევდა ხოლმე — ასე 39-38 გრადუსამდე და პულსიც რომ ცოტა დამიწყნარდებობა — 120 მქონდა საღამოური მაღალი სიცხისას, ეს მე — 40- 44-ჯერ მაჯისცემიანს, ეს ხომ გაბმუ-ლი წუხილი და აღვსებულად მიბნედვა იყო. მაგრამ, დაბეჯითებით გიმეორებთ, ნურავინ შემიცოდებთ რადგან გადავრჩი და მერგუ-ნა სიცოცხლის რარიგ–აღიარება და ამა რო-გორ-სავსები აღიარებით შვება და მადლი და მადლის-წონა და მადლის ფასი და როგორ გმადლობ ამისათვის, უფალო!

ხოლო ერთხელ ისეთი მოლხენით შემოიჭ-რა ექთანი ჩემთან ბიჭები ხომ არ გამოუშვეს-მეთქი გახარებული სისულელით ასეც კი გა-ვიფიქრე მაგრამ — მხოლოდ 14 ათასი გაქვთ ლეიკოციტიო და, გამიკვირდა — საავადმყო-ფოში აკი რამდენადმე ვცნობიერდებით ავად-მყოფები და ვიცოდი ლეიკოციტების ნორმა 8-10 ათასი რომ იყო (ახლა რატომღაც 6-8 ათა-სი ითვლება ნორმად... — ?!) და, ნეტაი რა ახა-რებს-მეთქი და თურმე 25 ათასი მქონია მანამ-დე, თურმე ლეიკემია მეწყებოდა და, ღვთით, გადავურჩი — მაშინ კი არა ახლაც ლეიკემიის მხოლოდ შემამსუბუქებელი წამლები და საშუ-ალებებია, და, თავოდათავო მკურნალო-შენ, დიადო ღმერთო მაგრამ ღმერთი მაშინ ახლან-დელსავით თუმც რა-უმცირესად, მაგრამ მა-შინ კი, აბა სად ვიცოდი და მაგრამ, ვგრძნობ-დი, ვგრძნობდი, გულის კუნჭულის ყველაზე მეტად მნიშვნელოვან კუნჭულში, კი, ჩვენთა-ნაა – Ის, და ახლა რომ მახსენდება იმ სანუკ-ვარი კუნჭულის მთელის არსებით თან შეუც-ნობლად და თან როგორის ჩემს-ამ უბადრუკ თავზე დადგომით მაინც, კი, მაინც-მაინც ვგრძნობდი გმადლობ, მეუფევ-სახიერო,

ხოლო ბებია-ფაცა კი რაღაც საეჭვოდ იკარ-გებოდა პალატიდან მთელი 4-5 საათით რაც წარმოუდგენელი იყო ჩემთვის და მაინც გა-დაიკარგებოდა ნეტავი რატომ და — ჰა! — თუმც იმ მიზეზით რომ საჭმელი უნდა გაგიკე-თოო და საჭმელი კი მოჰქონდა თუმც მოგემ-რიელო მაგრამ იმ კერძებს ბებიაჩემის მადლი ვერ ეტყობოდა თუმც დიდ-მზარეული სულაც არ გახლდათ მაგრამ როგორღაც-მშობლიური მადლი მის ჩახოხბილსა და სოუზს ჰქონდა? — დიდი რამაა ეს –სიყვარული და, ვთქვი მეც რაღა რაიმ-ახალი... არადა, ბიჭებზე დარდით მე ერთიღ-დაღრიალება ყველაფერს მერჩია, დაღრიალება ხომ — შვებაცაა ხანდისხან რო-გორი, ჩემი უსაყვარლესი ადამიანები, მწერ-ლები გიორგი შატბერაშვილი და ედიშერ ყი-ფიანი მიყენებულ შეურაცხყოფას არამცთუ უდაღრიალებოდ არამედ სიტყვის უთქმელა-დაც რომ იტანდნენ? — რამდენიმე დღეში ორთავეს გაუსკდა მართალი გული, ეს — შემ-დგომ იყო, და მაშინ კი მეც ძალიან მიშველი-და, ერთიკაი შეძლებისამებრი დაღრიალება ანუ გინდაც — დახავილება, და ბებია კი რად-გან შესამჩნევად თავგზააბნეული ბრუნდებო-და პალატაში და, მეც ვისარგებლე — ამით და ისე, ძალიან გაკვრით – რათა დავიწყნოდა — ძალიან ცალყბად და ხმადაბლა ვუთხარი მაკ-რატელი მომიტანე ფრჩხილები უნდა დავიჭ-რა-მეთქი და, ვუცდი და ვუცდი, იმედმოცე-მული — ასე დაბნეულს ასეთი გაკვრით–ნათ-ქვამი აბა როგორღა დაამახსოვრდება და მეც ვიღრიალებ და ვიღრიალებ ანუ ვიხავილებ: რატომმ! რატტომ არრ მმომიიტანე!–მეთქი, და, — შემდგომ გილარს (რომელმაც რაღა თქმა უნდა იცოდა ბიჭების ამბავი) როგორი გულიანი სიცილით უყვარდა იმდღევანდელი ბებიას პალატაში შემობრუნების გახსენება, ბევრი წლის შემდეგაც მუდამ იხსენებდა და იცინოდა, იცინოდა რომ? —სიცილი კი ძალი-ან გულიანად ანუ ლამაზი იცოდა,

ასე გამოდგა ესი-საქმე:

შემოდის ბებია პალატაში და, დებს ტუმბო-ზე ჩემთვის ყოვლად უგემურ სადილს რომელ-საც გინა-დიდადგემრიელი იყოს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რადგან: თურმე რო-გორის წინასწარული მუქარითა და დაქადნე-ბით, თანაც ჯერ ხმადაბლა, ჩემ-მომავალი ღრიალისებრი ხავილ-კმინვისა საწყისაურად გასაქან-გამოსაქანავებლად დიდის-სიმჭახის სტარტ-აღებითა? — :

— მააკრატელი, მოიტანე?

— კი, აგერ ... — და ხელჩანთიდან იღებს იმ ვოხერ-მაკრატელს და, მაწვდის და მე კი თურმე როგორი მწარედ-გულდაწყვეტილი, დახავილება-მოცარული, გულდაწყვეტილი აი ისე რომ მთლად გულმომკვდარი, შეძლები-სამებრ-ფორტისსიმო-ხმა-ყოვლად-დაკარგუ-ლი თურმე როგორის უილაჯობით, მე-მ:

—მო... ი... ტა, ნე?

იცინოდა, იცინოდა გილარი, ეეჰ, ჩემო გი-ლარ, რა უბედურმა მოიკალი თავი, მაგრამ ეს უდიდესი ცოდვაც ეგებ გეპატიოს და შეგინ-დოს ღმერთმა რადგან შენსავით მცირედმორ-წმუნეთათვის ყველაზე დიდი უბედურებით — რომელი აღელვება: ერთადერთი ვაჟის ძა-ლიან მოულოდნელი სიკვდილი — რომელიც გარდაცვალებაა – რომ გაიგე ამან მოგაკვლე-

ვინა თავი და მე-კი, უღირსი, ახლა დღესაც ეს მერამდენე წელია რომ დილის ლოცვებში, ჩემს რამდენ-რაოდენ ახლობელ მიცვალებულთან ერთად ღმერთს რაღა თქმა უნდა შენზეც შევთხოვ თავის მომკვლელებში; „შეუნდე შეცოდებანი საქმითნი, სიტყვითნი, გონებითნი“ და, შეთამამებით რომ შევცოდო ნესისისამებრ ვერ ვაგრძელებ მიცვალებულთათვის ლოცვას — „და დააწესე სულები მათი სადაცა მართალნი განისვენებენ“ს ნაცვლად – რადგან თავის მომკვლელი რაღა თქმა უნდა მართალი არაა ჩემით კი ძალიან გულის-დიდის თხოვნით ასე ვამატებ, რომ, —„და შეუმსუბუქე სასჯელი“: თან, ზოგიერთმა მათგანმა მხოლოდ აღელვებისა და წონასწორობიდან გამოსვლით კი არ ჩაიდინა ეს, არამედ – მთლად შვილის მათთვის-სიკვდილით თავზარდაცემულებმა ანუ ისე რომ მთლადაც გონ-წართმეულებმა ჩაიდინეს, საზარლობა, ეს, და ამიტომ მგონი მართლიად-ვივედრები, ასე: „და შეუმსუბუქე სასჯელი, ღმერთო გევედრები“.

ბებიაჩემი კი, ქალბატონი, ჩემი მდგომარეობით ისედაც როგორი თავზარდაცემული რაღა თქმა უნდა ჩემთვის სრულიად უჩუმრად სუკ(ა)თ-კაგებეში მიბრძანდ-მობრძანდებოდა კი არა და დაკითხვებზე მოკლე მაგრამ უუმკაცრესი ბრძანებით უჯიკავებდნენ სუკ-აელები დიდის პირშიმთქმელურის სიჯიკავ-ჯიკავობითა და, 14 დეკემბერსაც, ბიჭების მოუსვლელობით ისედაც როგორ რეტდასხმულს მთელი 6-7 საათით რომ გამიქრა ჩემი მართალია დიდად-მისუსტებული და მაინც ყოველივეს აღმქმელ თვალთახედვიდან ბებია, თურმე ჩვენი ნახევრად-სარდაფული ოთახის (ამ ნახევარსარდაფით ცოტათი ხომკი გამოსწორდა ის მრავალგზისი სხვენ-ობანა) ისე გულდაგულ ჩხრეკას რომ თითქოსადა ჭიამაიას კურკლს დაეძებდნენ საბჭოეთური ამხანაგ-ამხანიგები, ჩხრეკათ-საქმეში ყოვლად არა-პიონერები მაგრამ აქ ისევც უნდა გადავუხვიო რადგან ერთ-რამ კიდენა უნდა განვმარტო, კი:

კაცო, მერომ „პიონერები“ს ასე ვითო-აგდებულად ვიხსენიებ მართლა ისე კი არაა საქმე რადგან პიონერი თურმე ინგლისური სიტყვა ყოფილა 1955 წლის დასაწყისში გამოსაცემად ხელმოწერილი „Словарь иностранных слов `-ის მიხედვით, ხოლო იქა კი ამ ინგლისურსასიტყვას ორი ახსნა აქვს: I – რომ პიონერები, ანუ მზვერავები, გამომკვლევები, ეს ის მოწინავე ადამიანებია, რომლებიც გზებს-ახალთს კვალავენ თავიანთი საქმიანობის სფეროში, დაა, II ახსნა, საბჭოური და ამიტომაც რაღა თქმა უნდა კარგა-რეგვენული: თურმე ესენი, პიონერები წევრებია კომუნისტური ნებაყოფლობითი (—!?!!) ორგანიზაციისა რომელიც ვ. ი. ლენინსკი-ს მაღალ სახელს (— კიკი...) ატარებს და მარქსიზმა-ლენინიზმას სულის-კვეთებით იზრდებიან (— რაღა უჭილარიან აპა!..), ხოლო სკკპ ანხორციელებს (ა-ხორციელებს, აბარაი...) ხელმძღვანელობას კომკავშირისა თანადგომით იმათ დიდათე-ხსნორადაღზრდას — თქვენი ნებაა თუ არ დამიჯერებთ მაგრამ ხსნორედაც ასე სწერია შინაარსობრივად—ძირითადობითოღონდ ჩვე-კუთხურობების გამოკლებით მაგრამ ესი კუთხურობებით შეეფარდება ხოლო ამ-ჩვე როგო-გულდაგულ მოსაწამლსა პიონერებზედ კარგმა ჰობოისტმა გოგი ბერიძემ ასეთი ამბავი მიამბო:

თურმე იტალიიდან საგასტროლოდ ჩამოსულა ჩვენში ერთიც მუსიკოს- მაესტრო და გოგისთვის ჩაუბარებიათ ქალაქის დასათვალიერებლად და გოგიმ აბა როდი იცოდა იტალიური ჩვენი ძალიანაც დიდ-უმრავლესობისა არ იყოს მაგრამ, ბატონი გოგი დიდად გონებაგახსნილი და გამჭრიახია, და — მაშინ სრულიად ახალგაზრდა მუსიკალური ტერმინოლოგიითა და საკრავების სახელებითაც კი სარგებლობს თურმე და ბევრს-რასმეს უხსნის და სა-კმა-ოდ აგებინ-ახვედრებს იტალიელს, ხან ალეგრო-ანდანტეს ხმარობს, ხან — დიმინუენდო პიჩიკატო-გრაციოზა-ს, ხან ვივაჩე-სა და და-კაპო-ალ ფინე-ს, ხანაც ვიოლინოს მოიხსენიებს, ხან ცულლუტად-მაღალი-რამის ასახსნელად — ფაგოტს, ხანაც მონაღვლიანო სილაღისა და საღამოსპირის ჰაეროვნების ასახსნელად — ფლეიტას და ხანაც მცირე-ფლეიტას — სურაღაც მტკაველნახევრიან პიკოლო-ს, და, დაიარებიან ასე-ასე და მოსეირნობენ თურმე ერთხელაც პიონერთა სასახლესთან და იქიდან კი გამოვიდნენ წითელყელსახვევიანი პიონერები (კაპიტალისტურ-მტრებისადმი გინდაც უსიტყვო და თუნდ გაუგებარ-ასოებიანი ლოზუნგით: „ხელი უშვი მუშათა და გლეხთა კლასის სისხლში შეღებილ წითელ ყელსახვევს!“) და მოაბიჯებენ მათკენ მწყობრული მარშით და მთლადაც ვითარც წითელი-ყვოჩაღ-არმია და გააქვთ თურმე დიდად-დიდათე დაფდაფებისა ცემა და საყვირთ-მჭახედ-გამჭოლაობა და დოლებ-რუსისბარაბან-და-სერიოზნულიც-დიპლიპიტოებისა ისეთი ძლიერ-ძრიალი ალიაქოთი რომა იმათი გამოისობით სულ მთლადაც-მძლავრად დაჩქლეთილია ირგვლივითურა-ჰაერი და ამით ცოტა არ იყოს გაქცევამდეც კი დაფეთებული იტალიელი მაესტრო ამჩვენ გოგისა ხელისგულის მოუთმენელი გაქანავ-გამოქანავებით ეკითხება: „ვინაა, კაცო, აიბოვშები?“ და, როგორ გინდა რომ აუხსნა იტალიელს იტალიურის თელად არ-მცოდნემ საბჭოეთური პიონერია-ს არსი და კნინის ხელებითა და ნაბიჯებით (რაგინდ გულადად მიაბიჯებდნენ) საქმიანობა მაგრამ გოგი რის

გოგია და, მიწისაკენ ჩამოახლოებულ ხელისგულს ბავშვების წარმომსახველურობით სიმაღლეზე აბჯენს და, უხსნის: „პიკოლო-კომენისტ, პიკოლო-კომმუნისტა“ და მერე ორივე ხელით ჰაერში ისე უხილავს რომ — თელათე საბჭოთ-კონტრრაზვედჩიკი გეგონება და წრეებს ხაზავს და ამბობს: „პიკოლო, პიკოლო კომუნისტადე — კრეშჩენდო!“ — და იცინის, იცინის, და აგრეთვე იცინის თურმე მაგრამ რას იცინის ამა-დამწყებლურ საბჭოთაურობას ეგრევ-მიმხვდირი იტალიელი საღ-მაესტრო — რადგან მუსიკოსი,

ხოლო რაც შეეხება არა-პიონერ რადგან დიდად გამოცდილ-სს ერთსაც მოსაშუალოდ ვეტერანსა და კარგა-ფრიად-არასასურველ რადგან ნამდვილად არა-სანატრელ კაგებეშნიკს რომელთანაც შეხვედრის ნამდვილად არა-სასიამოვნო ანუ ყოვლად უუმურულ-უსიამუვნო მისჯა იმ წარსულს-ახლომომავალში ბევრჯერ მხვდა წილად, იმა-მუშაკის სახეზე კი ნამდვილად ვერავინ იტყოდა „მოლიპულ გზაზე ყვავილი ვნახე“-ო — მხოლოდღა მოლიპული კი, დიდადა ჰქონდა მთელი ისა-თავისი სახე საიდამაც რომ ზეთები უხვად გამოსდიოდა მაგრამ არც-ერთი ისი ზეთი ვერ გახლდათ სიმინდის, მზესუმზირასი და რაღა თქმა უნდა ვერც ზეთისხილისა რადგან ეს მისი სულის (ვინცგინდა იყოს, მაინც უდგანა) ზეთები იყო, შმორით ნაზავი, და ჟ.გ.-ს (არაა საჭირო მისი გვარ-სახელის ხსენება, ისედაც იქ-ინვის) მოლიპულ სახეზე აბა რომელი ვარდი-ყოილი შეჩერდებოდა — დაუსხლტებოდა ვარდსაც კი, ეკლები, და არვიცი რა გლანდები და რა პოლიპები ჰქონდა ისეთი რომ პირ-ბაგით კი არა არამედ ნცხვირით ღხლაპარაკობდა, და, სწორედ 14 დეკემბერს, ნაშუადღევს (რატომღაც შეაგვიანდათ) საავადმყოფოდან წაუყვანიათ ბებია ჩვენს ნახევრად-სარდაფში, რაღა თქმა უნდა უკვე იცოდნენ თელათ-მთავარი მესაიდუმლე ვინც იყო ჩემი და, ბაბუა არა-დ ჩაუგდია — ჟ.გ.-ს, ემხვარი, — და მეპატიოს მათი ასეთი გვერდიგვერდ ხსენება მაგრამ ბაბუას ამისთანები და მისთანანი შეხვედრია? და ბებიასათვის, რომელმაც ჯერ არ იცოდა ბიჭების დაპატიმრება და მეც სიცოცხლისაკენ თითქოს ოდნავ გადავიხარე, ცოტაცმხნედ იყო ხოლო ჟ.გ.-ს კი: „რადგან თქვენი აღზრდილი შვილიშვილი“ (— ეს დიდი ათვალწუნებით კი არა, მთლად-ზიზღით უთქვამს) დანით დაჭრეს ალბათ თვითონაც ექნებოდა ცივი იარაღი და ბებიას მისი ეს ზიზღი გამოეპარებოდა თუ რა, ასე არ უნდაო და, დანა არა მაგრამ თოფი კი-აქვსო, და, ამის გაგონება და, ჩვენს ორთავ კარში მყარად ჩამდგარან ციცინათელასიც-კურკლისაც (ალბათ უმფრო ანათებს ჭიამაიაისაზე...) მჩხრეკავები, და აბა მაჩვენეთო, — ჟ.გ.-ს, ხოლო ბებიას ჯერე პირობა ჩამოურთმევია: ხომ არ გამთქვამთ პატივცემულო რომ გაჩვენოთ-ო, ხოლო ჟ.გ.-სკი: აჰ როგორ გეკადრებათ რა საკადრისიაო, პატიოსან სიტყვას გაძლევთო (— კაგებ-სუკი და, პატიოსნება? — აკი გითხარით ვისთა და რისთა გვერდიგვერდ ყოფნა აღარ ხდება, თუნდ მხოლოდ სიტყვით, კი, და, ფუნჯის თოფი მქონდა მამის ნაჩუქარი აი ისეთი ტირში რომ კურდღლებს და მელიაებს რომკი ესვრიან და, დიდად разочаровался оказывается ჟ.გ. — იმან რუსული კარგად მაგრამ ძაანაც გოთურანულად იცოდა, კი, კი, ამაზე — შემდგომ, და, მაშინკი მიმდგარან ის მჩხრიკავები მეზობელ-მოწმეების თანდასწრებით, კარგი მეზობლები გვყავდა — კახელი დეიდა სონა და ებრაელი тётя Муся, მიმდგარან მაგრამ რას მიმდგარან ჩვენს ოთახსა და ოთხ-კვარდატულ-მეტრიან სამზარეულოს და ისე გადაუქოთებიათ ყველაფერი თითქოს ცივ იარაღს კი არა, და არმცთუ ცივიც-ნემსისა წატეხილ წვერს არამედ ჭიამაია-ციცინათელასისთან ერთად ჭიანჭველასის ჩვენ ქერო ვიცით აიიიმასაც ეძებენო —

ბებიამ ეს—ყველაფერი მხოლოდღა სასამართლოს შემდეგ მიამბო, თანაც ძალიან დაწვრილებით, მანამდე კი დიდად გამიკონფისკაციავ-გამიარალეგალურა ესი-ამბავი, მიამბო ისიც, იმა დიდათე სრულწლოვანი უცნობის დასადგენად ბებიასათვის როგორ შეუპარებია:

— ვინმე ხომ არ დადიოდა თქვენდამი რწმუნებულ შვილიშვილთან.

— კი, რავა არა, — უპასუხნია ბებიას, — აბა ბოთე კი არაა...

— ვინ. — კაგებეშნიკი თავისცხვირიდან თავისსასიტყვებს ერთიმეორეში ისე აჯენს როგორც-რო ფ. ძერჟინსკისეული მარჯვემსროლელი ტყვიას ტყვიაში, ხოლო ბებია ძალიანაც ვრცლად შედგომია პასუხს და იმდენი ჩემი კლასელი და უბნელი და სხვაც ჩემტოლები-თბილისელებიც ჩამოუთვლია, რომ... —

— კარგით, კარგით საკმარისია, — ორგანო-ელი (სუ-რო არაფერი, ორგან აქვს პირი, ერთი — ვერმეტყველი და მეორეში, მარჯვე? — ცხვირსში...) ამბობს ამას, წარმოგიდგენიათ? — ესი მომხვეჭი ავტო-სახელისა კი არა (სულაც ვერ იცის რომ „სჯობს სახელისა მოხვეჭა“ და ასე შემდეგ არამედ მოლიპულს სახეზედ ზეთთა-მოხვეჭას იმჯობინებს — სული უდგანა, ისეთი...) არამედ სხვათა სახელებისა და განსაკუთრებითკი იმათი გოდ-როჟდენიების (უცნობი ხანშიშესულისა დასადგენად) დაუღალავად ჩხრკ-სსრკ-მჩხრ-რიკავია:

— და, იმათგან. ყველაზე. ხშირად. ვინ. დადიოდა. — აკი ვთქვი, სიტყვებს ტყვიები-

სავით ერთიმეორეში აჯენდა. თურმე. დიახ. დიალ. კი. ესი შედარებაც ბებიამ მოიგონა — სასამართლოსი შემდგომ მითხრა. კი. კი.

— ჯონდო და ვალიანტი.

კოგობოშნიკმა „ჯონდო" უკვე ზედმიწევნით იცის. მაგრამ:

— ვარიანტი? (—ეს ეგებ ხანშიშესულის ვარიანტია!) ვინაა, ჰხ... — მღელვარებისაგან სულთქმა უფროდაც ეხუთება... — ასე მოჩვენებია, თვით კუგუბუშნიკებსაც კი-ატყვილებს ხანდისხან ყური „გაგიხმა ყური" ფიქრობს ბებია მაგრამ იმა-ყურისა პატრონსა-კი თურმე დაყვავებით ეუბნება:

— არა, შვილო, ვარიანტი კი არა ვალიანტი.

ვაჰ, „შვილო"-საც კი ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს — რა აკადრეს ეს..., რადგან კიგიბიშნიკისა ასეთი სახელი ვერც-ერთ მდიდრულსა დოსიეშიც არ გოუგია, და ამიტომაც დოსიეთა დია-შესავსებად თავისი უბის დოსიეში ანუ უბის წიგნაკში ყოველი-შემთხვევისათვის ინიშნავს. დიალ. ამა-სახელს. კი.

— იმიტოქვია ჩემობატონო რომ დედას ვალია ქვია და მამას ანტიპო.

აქ ჟ.გ.-ს ორმაგადა სწყინს გამონათქვამიეს: ერთი ისა რომ, მიმართვა „ბატონო" ძაანაც-ცუდად ითვლებოდა ემაშვინ, და, მეორეც რომ, ჯიბის დოსიე თურმე თლათაც-ტყვილათე გადატვირთა. კი... დიახ... მაშ.... მააშ. კი. კი.

ასე. მიდის. დაკითხვა. ეს. მაშ. — მეც ქე-ვიცი, კი, ხანდისხანობით სიტყვის ჩაჯენა ერთიერთმანეთში. კი. კი. კვი. — რა მეშაყირება აქ, მაგრამ, ბებიას ვგავარ. გამოვემგვანე. პატარათი. კი.

ჟ.გ. კი მაინც აზუსტებს „ЛИЧНОСТЬ"-ს, — პრაფისიფისიონალია:

— და ეს ვალიანტი ვინაა? — აქ სიტყვიერად ველარ აჯენს ტყვიას-ტყვიაში — ვერაა დიდათ-მნიშვნელოვანი შეკითხვა ეს მაგრამაც მაინც საჭიროა.

— კლასელია გურამისი, რაფავა.

— მერედა. რას. აკეთებდნენ. აქ.

— რა უნდა ეკეთებიათ, თამაშობდნენ.

— რას. — სხარტია, სიტყვა, კუბო-ბეშენნიქევენნ»ღ—ნიკის.

— რას და, ხან დომინოს, ხან შაშკის გეყვარებათ თქვენც, ხან კარტის დურაჩქას ისიც ეგება თქვენც... — და, სიტყვასა სწყვეტს, გაკვირვებული-ვითამ: — აბა დაჭერობიას ხვარ ითამაშებდნენ ამ ცუცქნა ოთახში ჩემობატონო. —

ვაიი? ამდენის ატანა აღარ შეიძლება:

— მე ბატონო და პლატონო არ ვარ არამედ... — გამოლევია და კიდევ კარგი რომა მხოლოდ-დროებით სიტყვურ-ტყვიები — ეს რაამბავი ტყვიებია, — და თუმც ვერა-ვარგანა ანტისაბჭოთას-ბებიაისი ამხანაგობა, და მაინც, რისკზე მიდის, კი, პაგონებზედა — ხელაღებულია: — არამედ ამხანაგო მაიორო ვარ მე...

— კიმეგობარო. —

აიი, ასე წვრილად მიამბო ეს ისი-ამბავი, ნასასამართლოევს, და ჯერ კიდევ სად ვართ... კაგებეშნიკი, თურმე, ინერციით?

— და ეს ვალიანტი ფსევდონიმის ვარიანტია თუ... არა ჰო თუმც კი, კი. დიახ. და. ასე. იგი. თქვენ. ჩემს. — და, იცვლის ჟანრსა-ლაპარაკობრის: — თქვენშეკითხვებზეუნდაუპასუხოთ! — კანგანბენშენიშიკსაც-კი, კი-ჰლალატობს თურმე ხანდისხან დზერჟინსკისეულნებისჰყოფა. კი.

— ოუცილებლად ჩემობატონო ვუიმე არამედ აბა რომელი ბატონი და გლახაკი თქვენე ბრძანდებით სულე არმინდოდა მეწყენიებია (სიტყვებს დასავლურ-კუთხურად თურმე უფრო ხშირად უქცევდა ვიდრე სხვასა-დროს...) არამედ ამხანიგი უნდა მეთქვა მეჩამორჩენილს ცხოვრებიდანე...

ამასხარავებს, რაღა, ჯერ სულ არ იცის ბიჭების ამბავი. ხოლო კაგებესი ასე ვთქვათ „სტუმრობა" არაა დიდად გასაკვირი — ესე ორგანოდ-ორგანიზაცია კარგა-ხშირათე ერთვოდ-ებმეოდა ისეთ საქმეებშიც როგორიც იყო სპეკულაცია, გაფლანგვა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება (—ეჰ, სად არიან დღეს... ჰაფ-სუს...), აგერ ასეთი დაჭრა-ებიც, კი...

ხოლო „ჩემობატონო"ზე, გინდაც-გამოსწორებულზე კვლავაც-ძაანც მკაცრდება აქ ლეინტენანტზე რამდენათ მეტი და თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ მასზე დაბალი ლეიტენანტი-კაჰგეჰბეჰეჰსიროგორ-რაოდენ„ფიგურა"ო რომკი იტყვიან ფიგ-ურრაააა იყო, ვაზნები მაინც ეკარგება:

— და თქვენ არ ცდილობდით დაგედგინათ რას აკეთებდნენ?

—ვინ... — და ისევ იგებს კაგებეშნიკისათვის მეტად ძვირფას დროს (—ისემც...) ბებიაჩემი, ფაცა. არადა, ჩემკენ მოეჩქარება მაგრამ მშვენივრად გრძნობს რომ ასე-უბრალოდ არ დაეხსნებიან...

— ვინ და თქვენდამი რწმუნებული. და იმისი... — აქ სიტყვა „ამხანაგო"ს იცოდებს რადგან ჩვენს პერსონებთან სუ-ოდნავადაც მახლობლობა რუარ გამოუვიდეს და მაგრამ აბა რისიღ კაჯგეჯბეჯშნიკია თუვერ იპოვის გამოსავალს გინდაც-ასეთურს სოლოლაკურსა-ლაბირინთებში, და სუფთა-ქართულით — ისემც, — ვითო, ამბობს:

— და თქვენდამი რწმუნებულის თანამოქალაქეები.

— კი, როგორ არა, ვუჭვრიტინებდი გასაღებისი ღრინჭოდან.

ეეს?— ესი-პასუხი აშკარათე კი-ჰსიამოვნებს, რადგან დიდათი-მოუთმენლობით:

— და მერე, მერე, — სუნთქვაც კი ეკვრის მაგრამ არ მალავს ამას ჰალალ-მაიორ-კვიგვი-ბის-ბისი, — ხედავდით, რამეს?

— კი, რავა არა. — და აქ ბებია, თურმე? რა, მოაფიქრა — ყოვლად ძალიან მოულოდნელად: — ჩაიზე ხომ არ დამენვეოდით, ამხანაგო—თქვენ?

— რა. დროს. ჩაია. სამსახურებრივი. მოვალეობის. აღსრულების. დროს. — ისეთურმკაცრად ჰპასუხობსა მაიორ-რომაა-ა, პატარაცა და, — გაღენერალდეს, — რასაკეთებდნენ!

— რას და, უმფროსო-ამხანაგო... — ხმას საიდუმლოსავით უდაბლებს ფაცა-ბებია, — ჯერ მოქალაქე ჯონდო აი ამ პადაკონიკზე ახტნებოდა და მიიკუჭებოდა, თქვენ არ იცით და მომცროა ჯონდო პატარათი ტანათ.

არ იცოდა, კი, როგორ არა. როგორ. არ. იცოდა. მან. ჯონდო. თანმეტრეველიდიმიტრის-ძე.

— გურამი და მოქალაქე ვალიანტი... რას... ჯონდო პადაკონნიკზე ემალებოდა იმათ რატომ... — კითხვას ჰსვამს ასეთს ბუდუშჩიი საგენერალო ანუ მანამდე ჯერ მაინც გადასალახავ-საპოდპოლკოვნიკე როგორც-მინიმუმ, თავით-ფეხამდე მაიოჰხრი, — ფეხამდე მიტომ რომ-რომ შავსავ ჩექმებზედ შავივ ლაქი უსვანა, — კიკი.

— როარ მოხვედროდა.

— რა!!, ტყვია!!!-?

— არა ბატონო ცხელი ტვია რა საკადრისია თავათე ცივათ-გაყინული ბოქსის პელჩატკეფს იცვამდენ ხელზე და უბაგუნებდნენ იმას ერთმანეთს. —

მაააიიოორრიიი, კიიი? ააქ, აქანეეე? —

.....

მერე კი:

— აბა, ჩაიცვით და გამომყევით.

— ჩაცმული არ ვარ? ღმერთომომკალი...

— არა, პალტო და საერთოდაც სხვებიც ზამთარის ატრიბუტები.

— აა...

სად უნდა გაჰყვეს, ნეტავ...

...

სადა და, და, თავისი საკუთარი „პობედა"თი თანამიუმგზავრებია კაგებეში, ლესია უკრაინკას ქუჩაზე და ხოლო ქალბატონმა პოეტმა ლესიამ ნეტა იმდენი მიტო იმოგზაურა უკრაინიდან საქართველომდე რომ მთლადაც კაგებე დაეშენებინათ, ყოვლად უცოდველს, თავზე? ბედი რომ სულაც ვერა სწყალობს ზოგ ადამიანს, და, პოეტიც ხომ განსაკუთრებით-ადამიანეა, — თუნდაც რითმებით და რიტმითა, — აფსუს... ეს იგივეა მარკო პოლოსი სახელი რო-ეწოდებიათ მონღოლეთისა-სოციალისტურისა მილიციისი-სამმართველოს ქუჩა-ქუჩიზა, — კი...

ხოლო რაც შეეხება ამ და-წესებ-ულებას-(ასე ჰქვია, კი, მოფერებითად, კი,) — ერთგვარს, მერეც კი, კარგა ორ-სამ ათეულამდე წლის შემდეგაც როდესაც სუსხით ნამდვილად შესუსტდა მაგრამ იმდენ-მინუსა მაინც იყო, რომ, თვით ნოდარ დუმბაძეს თავისი ერთ-ერთი კი არა და მე მგონი მთლადაც-ყოვლად საუკეთესო იუმორი-რამ რომ ათქმევინა. ეს ასე მოხდა:

როდესაც ნოდარ დუმბაძე თავისი მორიგი რომანის, „ნუ გეშინია დედა"-ს სცენარზე მუშაობდა, კაგებეს დიდად-ხანგრძლივად თავმჯდომარეს და იგივ დირექტორს ბევრ-ბევრ სუკათა თვით ა. ინაურს თხოვნით მიმართა რომ გადაღებებზე თუმცაკი სოციალისტურს-სოფელ მაგრამ მაინცე კაპიტალისტურ-თურქეთისა მთლად-ზედმოსაზღვრე სარფში გაეშვათ რამდენიმე ხნით ჩვენურ-ფხიზელურ მესაზღვრეთა ყოფა-ცხოვრების თვალისმიერი ატრიბუტების შესასწავლად რადგან კინო-ფილმებისათვის თვალიც მნიშვნელოვანს-რამს წარმოადგენს, კი, ხოლო მაშინ კი დიდად-ძნელი იყო იმ-თურქეთს (დღეს რომ ასე უშნოდ-შევუშინაურდით ჩვენდა ყოვლად სამწუხაროდ და სამარცხვინოდ...) მოსაზღვრე სარფშიაც ხანგრძლივი ყოფნა თუნდაც რაცგინდაც მთლადც მესაზღვრეებით გარსშემორტყმულისათვის და ბატონ ნოდარს დაერთო-კიდეც ამისი ნებართვა ოღონდ ბატონი ნოდარის ნახვა მოისურვა ამხანაგმა ინაურმა რათა საზღვრადპირეთში თუ-როგორ უნდა დაეჭირა თავი და ამის ინსტრუქციების ჩასატარებლად დაიბარა და ამას გარდა კაგებეს თავკაცის პირობაზე შეძლებისამებრ უყვარდა თურმე ნოდარი ისე რომ ეს ხმელეთისა გენერალ-კაცი გინდაც მარტივ-ტბის კატერისა ლოცმან-ბოცმანი (—წყალთ-გზათ-გამკვლევი ანუ) ჰყოფილიყო და ბატონ ნოდარს ამხანაგურად დაურეკა სამსახურში და თავისთან მისვლა უთხრა. არადა, წუთით ადრე ნოდართან ერთსაც შეძლებულ შარაფისტს ტელეფონით: გადმოდით შენ და მთელი შენი რედაქცია ივერიის სახინკლეში (ახლოს იყო) ოღონდ აბაჰე-ჩქარა თორემ ცივდება ხინკალი-ო სწორედ მაინცდამაინც

მომდევნო წუთს არ დაურეკა ამხ. (— კიკი,) ინაურმა? რას გააწყობდნენ, სახინკლეში კაცი აფრინეს ასეა და ასეა საქმე და დაგვიცადე პატარა და ალბათ მოვალთ ასე-ნახევარ-საათშიო და გავაცხელებინოთ მაგ-ხინკალიო და, მთელი რედაქცია იმა-საბრალო მარიხ-მარსკვლავზე დაბადებული ლესია უკრაინკას ქუჩისკენ გაეშურა რომლის სუკ-ისაც თავმჯდომარე ვუმფრო მკაცრათე-მნიშვნელოვანი იყო ვინემ გინდაც შავ-და-წითელურ პიმპილათი ერთად-დაყრილი ცხელი აორთქლ-ხინკალი, და, უცდიან თურმე ნოდარს მთელი საათი, საათნახევარი, და час-сорок-საც კი მთელი ის ყოვლად უდანაშაულოდ დამნაშავე მთელი რეაქცია და, როგორც იქნა და, ძლივს გამოვიდა თავისუფლებისაა-კენ ბოლო-ბოლო ნოდარი და, ძია ჩემგან-ეგრეთწოდებულმა გრიშამ — შესაძლოა და ეგების გახსოვთ, აი სწორედ ის, ჩემი დაბადებისი სადღეგრძელოსი პირველშემსმელმა, უთხრა:

— სახარ ბიჭონოდარა, ამხანს, გაცივდებოდა კიარა და თლათ გეიყინებოდა ი-ხინკალი-ო. გრიშამ. ბიძიამ.

— რამექნა ბატონო, მელაპარაკებოდა სულ და ხომ არ გავაწყვეტინებდი გენერალ-კაცს და თანაც რისას-ო. — ნოდარმა. დუმბაძემ.

და კი-ძალიანი მიიჩქაროდნენ „ივერია"-საკენ მაგრამ, მაინც, დაინტერესდა ყველა, გზაში, მიუხედავად იმისა, რომ აკი გითხარით თავფეხ-გამოდებით ძლიერ-ძალიან მიისწრაფვოდნენ იმ მშიერ კუჭზე და მერედა რისკენ — ხინკალისაკენ, თვიით, და, მაინც წასძლიათ სულმა და, დააყარეს და დააყარეს შეკითხვები:

— მაინც როგორი საუბარი ჰქონდა იმას შენთან, ნოდარ-ო. — რომელიღაცამ. სხვამ. და. არა. ბიძია. გრიშამ.

— კარგი, კარგი, მშვენიერი-ო. — ნოდარმა. გამოშვებულმა. კი.

— არა-არა, მაინც როგორი საუბარი-ო. — კიდევ. უფრო. სხვამ. რომელიღაცათაგანმა. კი.

— კარგი, კაი-მშვენიერი, შინაურულ-ინაურული-ო. — ნოდარმა. გამოშვებულზე. კი.

— ბიჭონოდარა, და კანბინეტები რავარიქონდა, სერვანტები თუ ედგა შით-ო. — ძია. გრიშამ. ეს. სერვანტებიანმა. ასე.

— კი, მშვენიერი-კაი კაბინეტები ნაქონარება-ო. — ნოდარმა. ამნისტირებულმა. ყოვლად. ხინკლებისაკენაც. კი. — და არად აგდებდა იმას, რომ — კაგებში. სტუმრობაო. ნუ. გგონია. ხუმრობაო. კი.

— თქვი ბიჭო რასაა რომ გვამადლი სიტყვას გვეინტერესება როგორი კაბინეტი ქონდა დაწვრილებით-ო. — რომელიღაცამ. — რატომ არ ამბობ და გვეუბნები არაფერს ლენინი იმას თავზე ეკიდა თუ არა-ო.

— როგორ არ ეკიდა, აბა იქაურობა და ულენინ-ილიჩ და უძერჟინსკ-უფელიქსოდ?-ო. — ნოდარმა. თვით-იმ. კარებებ-გამოვლილმა.

— მერედა, ვერ იტყვი? პროპოშნიკით რაუნდა გაძროთ ცალღერი სიტყვაც. — კიდო. სხვამ. კი. — მერავიცი ზუსტათე-რომელმა.

— ბიჭონოდარა გვითხარიბიჭო სერვანტთან რავალისკამები ედგა-ო. — რაღა. თქმა. უნდა. ძია. გრიშამ. სერვანტიანმა. თქვა. ეს.

— სკამები? — დაფიქრდა. ნოდარ. — არა, სკამები არ ედგა-ო.

— ვაა... ჰოო, თუმცა... აპა რავარისავარძლები ედგა-ო. — მიხვედრილმა. კი. ვიღაცამ. დიდად.

— არა, არც სავარძლები არ ედგა-ო. — ნოდარმა. გასაკვირველად. ყოვლად. ყოველთა.

— აბა რა ედგა თუ სავარძლები და სკამები არ ედგაო,

— რა ედგა ჩემო ზაურ და, სკამების მაგივრად თელათ მარტოკა ბოთლები ედგა-ო,

და, აქ რომ ატეხილა სიცილი-ისეთი რომ პილპილ-მრავლადმოყრილი ხინკლებისაკენაც კირომ შედგა-შეჩერდა, სვლა, ნოდარმა ასეც დაამატა:

— ხოლო განსაკუთრებით-დამნაშავეებისათვის ერთ-ორგან მე კაი-ბოცებსაც კიმოვკარი ბიჭო, თვალი-ო,

და ამბავი-ეს, შაყირის ესი-ჩანართი მე იმად რომ, რაღაცას თითქოს მიმხვდარა ბებია — თლათ კაგებში რაღა მინდა-ო, ამის ცოტათი შესამსუბუქებლად მაგრამ, კაგებე მთლადაც რა შემზარავად გამოიყურებოდა-იქნებოდა ბებიასათვის რაგინდ წკრიალა სერვანტები იქა-მდგარიყო, უნდა, ხოლო იმ მაიორმა ჯერ – აქ დაიცადეთ, საშვების ბიუროში და დავაშვებინებ თქვენთვის საშვს და ამოგიყვანენ ჩემთან, მოქალაქევ-ო, და, მართლაც სწრაფად გაისმა თურმე იმ-მაიორისა-კიტაროზ!-ელის-ელისეული ზარი და, აიყვანა თურმე ვინცხა დამწყებმა კაგებეშნიკმა ბებია III თუ IV სართულზე, თვით ჟ.გ.-ას კაბინეტი ზუსტად რომელ სართულზე იყო მე იქა-შემდგომ მრავლად-ნამყოფს აღარც კი მახსოვს — ეცი ახლა ჩემისთანა მახსოვრობაჩლუნგს ასეთპატივი, — აუყვანიათ, მოკლედ, ბებია თვით მაიორის კაბინეტშია... და იმ კაგებეს კაბინეტისა როგორღაც დიდად მყარისუსხით, ძველთაგანვე დაყოლილით (1936-37-38-39 წლები და, საერთოდაც) და გამოყოლილი ბებია ცო-

ტათი მაინც ხომ უნდა შემცბარიყო წესით, მაგრამ, ბებია იმა-თავისი როგორ ძალიან თანდაყოლილი მასხარაობით და შაყირ-მაყირით და იუმორით მაინც რაღაც სხვა ჩიტი კი არა, თავად მფრინველი, იყო, და, ხოლო ჟ.გ.-ა კი ინტელიგენტურობაზე რაღაი თავს ძალიან დებდა კი არადა სულაც ზეთებდადენილ შუბლ-საკბეჩლოყებიანსაც თავს აყოლებდა ზედ და თანა-კაბინეტელ კარლო თოფურიას, აგრეთვე მაიორს, ვისთანაც შეხვედრა ასევე ხშირად მარგუნა ძალიან ახლო მომავალში ბედმა ხოლო მას, კარლო თოფურიას ჟ.გ.-ასაგან განსხვავებით ჩვენზე წუხილი ეტყობოდა, კი, მარტოები თუ დავრჩებოდით რადგან ჟ.გ.-ასთან ჩვენზე წუხილის დამჩნევა სახიფათო იყო — კაგებეური მეგობრები კი იყვნენ ვითამ ხოლო კაგებეში, ისევე როგორც პარტიაებში ნაღდ-მეგობრობა აბა როდი ძევს, ტყუილია, და ჟ.გ.—ამ სუმთლად მცირედ გააგრძელა კ. თოფურიასთან დაწყებული წინადადება — ბებიასათვისაც მოუნდა ეჩვენებინა რომ აბადა თუროგორი ინტელიგენტი კაცი ვაარო და, კარლო თოფურიას: ჰოდა, გუშინ გამოვიტანე ბალზაკის მერვე ტომი და რა მწერალია, ნასტოიაშჩი ტიტან!-იაო და, საერთოდაც, შემდგომ ჩვენთანაც დიდად სჩვეოდა ვითოგაკვრით ბალზაკებ-დიკენსებ-ჰიუგოებზედ მოკლე-მოკლედ მაგრამ აღფრთოვანებითი (აღფრთოვანება იმას შეეძლო კი არა და...) მოხსენიება (რა გაუმართლათ, კაცო, ბალზაკ-დიკენს და ჰიუგოებს? – ვაჰხ...)

ხოლო ბებიას, შესვლამდე, კაბინეტზე მიმაგრებული მომცრო დაფა წარწერით: „განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლების ესა და ეს-ო ნამდვილად არ მოეწონა თუ ეს მერამდენედ კიდევ-"მოქალაქე" არ ჭაშნიკ-პიტნავებია და ასე უთქვამს, მე ტყუილს როგორ მეტყოდა:

— აჰ, ეს თქვენა ხართ გენაცვალე გამომძიებელი? მართლა? მე კიდე, სულელს, მარტო შოფერი მეგონეთ,-ო,

ხოლო აქ მაღალ-ინტელიგენტობის მწვერვალთ-შედგომის დიდადმსურველ ჟ.გ.-ს რაცაც დაემართებოდა ამის წარმოდგენა თქვენთვის მომინდია, ის მერე რა რომ ავტობიოგრაფიული რომანია ეს, პეტერეთი თქვენითაც უნდა დამეხმაროთ თორემ მარტოკაღ ეს-კინკილა-მე როგორ აუვალ ყველაფერს, კაცო? —

ერთი-მეორის გატანა გვმართებს, კი.

ხოლო იმ ჟ.გ.-მ?

თავისი „შოფერობა"-სი შურისსაძიებლად (აბა რაღა-რომელი შოფერი ჩაუტარებდა დაკითხვას და ჩხრეკას ბებიას და თანაც მაიორები როდი იყვნენ მაშინ გინდც-სახელწიფოთი დაქირავებული შოფრები...), და თვისი-პერსონის ასე-დამცირების ჯავრის ამოსაყრელად მთლადაც ბოროტი სიხარულით მიახალა თურმე ბებიას ჩვენი ანტისაბჭოური პროკლამაციების ამბავი — აი, ასეთი შენდამი რწმუნებული შვილიშვილი გყავსო, შენ-ობით უთქვამს ეს, ინტელიგენტს, იმ მოცარულისა-ინტელიგენტ-ჯენტლმენობისა, ჯიბრით, და აქ თვით ბებიაც კი გაიბზარებოდა, თავისი-თ — არა, არამედ — ჩემით, და,

რომ მოაღწია როგორც იქნა და, საავადმყოფომდე და პალატაში შემოვიდა, ვითომ-მხნედ, — არაფერი რომ ვერ შემეტყო, მე მყის ვაძგერე, ჯერ შემპარავად-ვითომ მაგრამ დაღრიალების (ანუ დახავილების) დიდს-მოლოდინში:

— მააკ-რატელი... მოო-იტანე?

და, ბებიამ კი:

— აგერ, — და გაქუცული ხელჩანთიდან ამოაძვრინა სასოწარმკვეთი, ჩემი, მაკრატელი — აჰა...

ხოლო მეე კი, გილარის შემდგომ-როგორლამაზად გაცინებულს ამაზე, მე კი, მოლოდინშია დიდად-გამტყუვნებულს, იმედ-გაცრუებულს, წამილუღლუღავს:

— მოი... ტა, ნეე?

თურმე, ჩემთვის მეზობლების მიერ დამზადებული საჭმლისა და რაც მთავარია მაკრატლის წამოსაღებად სოლოლაკში რომ ბრუნდებოდა იმ მწარე (სიტყვა-რადაბალი...) ფიქრით რომ ღმერთს ექნა და თუკი გადავრჩებოდი მერე ხომ მაინც ძაან-სუცოტა მთელ ათ წელიწადს უ-მისოდ უნდა ვყოფილიყავ და სად ეს მერე, და, ჩვენს როგორ-და-ნაცნობ ქუჩებში როგორიდაკარგულივით მიაბიჯებდა ალბათ ბებიაჩემი, ფაცა, ეს ნაზი, ლამაზი, გამხდარი-როგორ, და სუსტი ქალი, ჩემი გაციმბირების დიიდრონა-დარდით ალბათ როგორი მოტეხილი, და უბედური, უბედური აი ისე რომ, —

თხოვნა მაქვს ერთი:

ძალიან დიდად, და მწარედ-როგორ, ჩაფიქრებულებს?

სულმთლად ნურავის ნუ ჩავუვლით მთლად უგულისყუროდ, —

კარგი-თ?

IV თავის დასასრული

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

* * *

აკრთობს ამ ტაძრებს ჩვენი ხმები, მაგრამ ამავე
ხანძთას თუ ხახულს, სვეტიცხოველს, ჯვარს თუ თუხარისს
კვლავ ენატრებათ დაქუხება დასაქუხარის
და დარდად ანევთ დამცრობილის სიპატარავე.

უმწეო ცრემლით მატიანე ბევრჯერ დანამე,
სულს, რახანია, აღმაფრენა აღარ უხარის,
იმ ძველ ტკივილებს ესართება სხვა საწუხარიც
და კვლავ მენავეს ელოდება შენი სანავე.

და, ჰა, გადმოსკდა არმაზიდან უცხო ქარიზმა,
ბანი გამოსცეს იქ ზარზმამ და აქ სამთავისმა;
ისევ მოწვეთავს წარსულიდან ძველი ბრალდება

და მომავალი — წარსულის და აწმყოს ბადიში —
კრთის ალმასივით, ძალას იკრებს და კრისტალდება,
რომ დაგავიწყოს სიორჭოფე და თავპატიჟი...



ქემი აქიაშვილი

სონეტები

* * *

აპრილის გნოლი ნოემბერში მაინც იქორებს,
იღვიძებს დილა — საღამოსთან ჩანასიძები
და მძივად ისხამს შემცივნული მისი კისერი
ქარვისფერ შუქში გაჯერებულ ქორონიკონებს.

მაცხოვრის ბაღში მოლაღური ჯვარცმას იგონებს,
აღსავლის კართან ფერმიხდილი ზის ასიზელი
და გულზე იჭდობს იღუმენი — მხნე და ფხიზელი —
იმ სისხლიანი ტრაგედიის მტანჯველ სტრიქონებს.

ისევ გარდავა დრო და ჟამი, მრუდე იმრუდებს, —
აბრუნებს ჩარხი წელთაღრიცხვებს და აციბრუტებს;
იქ კი კვლავ ბრწყინავს სიშორეში თეთრი კარავი,

ცენტურიონსაც ახსენდება მსხვერპლი მეასე
და მთვარე — ბნელში მომწყვდეული იოხანანი —
დაღვრემით ფიქრობს დაუნდობელ სალომეაზე...

* * *

შირაზის ბაღში იადონი მზეს გაუნაზდა,
მდინარის პირას დგას ტირიფი — შენზე მტირალი,
ვაზირთა დარბაზს აწიოკებს მეფე-ტირანი
და სარკის ფსკერზე დასრიალებს გუნდი უნასთა.

ხელში აიღებს მიკიტანი ღვინის კულას და
კვლავ დაიხვევა ოცნებათა ჭრელი სპირალი,
ღაღანებს ლექსი ნაპუშკინარ-ნაშექსპირალი
და შავი ჩრდილი დატორტმანებს კალიგულასთან.

და ჩასცქერს წიგნებს, ძვირფას წიგნებს, ვინმე დიაცი
და ფიქრებს მისდევს საოცნებო არკადიაში;
„ — სიტყვა მუდამჟამს უჩვეულო ჯადოს იჩნევდა, —

ბრძანა ოდესღაც სერობაზე ოთარ ნოდიამ, —
და მესიტყვეთა მოოქროვილ ასო-ნიშნებთან
ანგელოზები ფეხაკრეფით მიდი-მოდიან...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ნირი ეშმაკის, კბილი ძაღლის, პირი ვირთაგვის,
ჯვალოს მტვერი და შელანძღული ჩვენი ბისონი, —
კვლავაც იმძლავრებ, უკეთურო, დასცემ გმირთაგმირს,
სიკვდილის მახვილს გააშიშვლებ და განგვიწონი.

ჩვენ კი წყალს ვნაყავთ, გვახალისებს გარჯა ფილთაქვის,
ქშენს სრულყოფილი სისასტიკე — შავი ბიზონი,
ჩანს, გულნაკლულმა ბოროტებამ სრულყოფილთათვის
ბნელ ლეგიონებს შეაშველა ეს გარნიზონი.

დავიწყებიათ თანალმობაც, წესიც, ადათიც
და უხამსობა სიხარულით მალაყს გადადის;
ჰა, როგორც იქნა, ჩამოთენდა, — თითქოს იდარა,

მაინც სიკეთე ბოროტებას ძნელად ამარცხებს:
ჩამოუქროლებს იალაღებს ხარი წიქარა
და მდევრებისკენ გადაისვრის გრძნეულ სავარცხელს...

* * *

ზაფხულის ბაღთან შემოდგომის ფოთლებს მივიტან,
სექტემბრის ფერიც საოქტომბრო შეფერვაზეა
და სარკის დარად ირეკლება თელ-ავივიდან
აფრიკის სფინქსი, ავსტრალია თუ ევრაზია.

ისევ გადმოდის ღრუბლებიდან ცისკრის სხივი და
ვხედავ, მავანი მომჩივანი — ცივ და ბრაზიან
მოსამართლესთან უთენია არზით მივიდა, —
როგორც ეტყობა, თავხედები თავზე აზიან.

დროს ამუშაკებს მამაღმერთი, — ვიდრე დაღლიდეს
ტყუილს და მართალს, სათნოებას და სითაღლითეს;
შენ კი სამყაროს გარდასახვას ვიდრე მოელი

და სმენას გიტკბობს ნაუბარი ავანგარდისტის, —
ბორდელში შედის რომელიღაც მაროკოელი
და დაღლილ მეძავს აჯილდოებს კარგი გარჯისთვის...

თელ-ავივი, 2005

* * *

ლეგა ღრუბელი გადაეკრა მინდვრის ხაოს და
გველის პერანგი შეითავსა ტყავმა საკრავემ,
ისევ ახრჩოლდა სივრცეებში კვამლი ქაოსთა
და სათნოებას მერამდენედ ჯვარზე აკრავენ.

ღმერთო, სადა ხარ, გავიტანჯეთ, ხალხი დაოსდა, —
ხმა მაცილისა შერევია საღვთო საკრავებს,
დადის ავსული სიყვარულის სასაკლაოსთან
და ძვირფას სულებს ჩიხში იმწყვდევს და ასაკლავებს.

ირყევა სახლი, ემატება ნაპრალს ნაპრალი
და ბოღმას ერთვის ისევ ბოღმა და ცოდვა-ბრალი;
უკვე დაღამდა, — უღრანში ვარ, გეში დავკარგე,

შენ კი კვლავ გზარავს უმოწყალო ჩვენი დარბევა
და კაცთა მოდგმის ყველა ხინჯი და სიავკარგე
შენს თვალში ტყდება ცრემლის მძივად და ისარკება...

* * *

დიდი ბოთე ხარ, ჩემო პეტრე, დიდი ბითური, —
ლექსებს დაუწყე აბზუება, ჯიბრზე შედგომა
და გაფუყული მეცნიერის ყალბი ტიტული
ყველა სხვა ტიტულს ამჯობინე, როგორც ეტყობა.

ცუდად მოგერყა მოაჯირი, მოლპა რიკული,
და წყალწაღებულს სიღრმეებში რომ არ გეტოპა, —
ხაპე და ხაპე ფორმულები გრამატიკული,
ხანმეტობის რიგს მიაყოლე ჰაემეტობა.

ზმნისწინს გადასწვდი, — კარგად მახსოვს, როგორ დაგცენტრა
ელეგანტური ზედსართავის უცხო აქცენტმა;
დღემდე ნექტარს სწოვს აბლაბუდა ძვირფას სტრიქონებს,

სიტყვის ბაღნარებს შეუვალი ზღუდე ევლება
და, როგორც ვატყობ, დედამიწას გადაიყოლებს
მშვენიერების უთავბოლო დანაწევრება...

* * *

ნიკრისის ქარი, მშრალი ხველა და თიაქარი, —
და კაცს, რომელიც უძილობის მიზეზებს არკვევს,
გვერდით მოუსვამს სააქიმოდ ძველი დაქალი
და ნელი თრთოლვით შეჰკანკალებს სანთელს და კანკელს.

გარეთ კი ყოჩთან მუსაიფობს ბრმა დიაკვანი,
თუმც თავის სათქმელს სიბნელეში აგრძელებს ცალკეც,
ქარვისფერ ქარში ილენება ლერწმის აკვანი
და არწევს მთვარე საფირონის კამკამა სარკეს.

ყუჩდება არე, მოდის მწყემსი და საღამოხანს
ბეთლემის ტყიდან შემცივნული ჯოგი გამოჰყავს;
ჯავშანს და ჩაჩქანს ეთხოვება მთა აბჯროსანი,

მთვარე ზამბახს ყრის ღრუბლებიდან ზამთრის ქარისთვის,
მქრქალდება ღამე, შობა დგება, — დგება დრო-ჟამი
მხევლის და მონის, ჩუმი ცრემლის და ევქარისტის...

* * *

ხარფუხის სიო — ურცხვი სიო, სიო ანგარი
დაივლის საყდრებს, სასაფლაოს — სულთა სასაფროს —
და გავა გზებზე საჭორაოდ, ვით მაჭანკალი,
რომ დამწვრის გული სიყვარულით ისევ გასანთლოს.

სირაჯის კართან შემოხვდება მთვრალი ქარგალი, —
სახე მიუგავს, მე არ მოვკვდე, გაჭრილ საზამთროს,
ჩალიჩობს კინტო — გაუთლელი, გაუჩალხავი,
რომ ჩანგის ნაცვლად იგრიალოს და ისაზანდროს...

ვერ უთავდება დიაკონი წვერის დაფხანას
და ცერად გასცქერს დახლიდარი ძველ ზარაფხანას;
ვიღაც ბაჟს ითხოვს, — ჩუმად მაინც, რაებს მიქარავ,

რა თავში იხლის ორთაჭალა ბაჟს და საბაჟოს, —
დროა, მიხედოს სამიკიტნოს ჩვენმა ნიკალამ
და უსტაბაში დაუბრუნდეს საუსტაბაშოს...

* * *

ბნელს დაებინდა ანგელოსთა სრა-სამყოფელი,
მზე, დამცრობილი, დაგვცქეროდა ღრუბლის ჩეროდან,
კვლავ სასწაულებს მოელოდა ცა და სოფელი,
თუმც სასწაულის, სამწუხაროდ, არვის სჯეროდა.

კანს იახლებდა ქვებუდანი ქვე-ქვე მძრომელი, —
ფარჩებს ნატრობდა პატარძალი უფარჩებო და —
ბჭე ეცემოდა, ემხობოდა დასამხობელი
და ქვეყნის ხინჯი ამჯერადაც ხინჯად რჩებოდა.

ცა კი, ასე ვთქვათ, წელთაღრიცხვის ახალ რიცხვებთან
ყოველცისმარე განახლებულ ბრძოლას იწყებდა;
და განსახავდა წმინდა საბად, წმინდა ქეთევნად

ხატს შეგინებულს, უპირქუბოს და უკანკელოს
და თავისივე ნახელავის შესაკეთებლად
აპაექრებდა ერთმანეთთან კაცს და ანგელოზს.

კლოუნის ხილვები

ვხედავ ბანალურ წარმოდგენებს, ნაცნობ სურათებს, —
აკვანი მოაქვს მეკუბოვეს, კუბო — მეაკვნეს,
შედგება ქარი, შეირხევა, ტოტებს შეაქნევს
და კვლავ აყუჩებს ყოველივეს და აჩუმათებს.

და ვხედავ ხილვებს — გაცხადებულს, მნათზე უნათლესს, —
კარს ზესკნელისას ქარიშხალი ზათქით შეამტვრევს
და გააღვიძებს ჩაბნელებულ ამფითეატრებს
და მივიწყებულ მისტერიებს და კლოუნადებს.

და დასრულდება შემოწერა სასიამო წრის
და ანგელოსი ღრუბლებიდან ცრემლებს ჩამოცრის;
კვლავ დავინახავ: შეტოკდება ალვა ტანადი

და როცა ნათლით შემოსავენ ბინდის ჩვენებებს, —
წესს ამიგებენ საზეიმო სულთათანათი
და სამარისკენ სიმღერებით წამასვენებენ...

* * *

მზე ისევ მზეობს, ძველებურად ბრწყინავს მთიები,
თითქოს ცის თავზე ნიავქარიც კი არ დაძრულა,
ისევ ძველ წრეში ტრიალებენ მთა და მთიელი
და ტაძრის მრევლიც დღენიადაგ გალობს ტაძრულად.

ისევ იმ სიტყვით ილანძღება გადამთიელი,
ზეცაც მზის სხივით იმდაგვარად გადაკაწრულა,
ისევ გაურბის მარტოობას მინდვრის იელი
და კაცობაზე იქაჩება ვიღაც კაცუნა.

ზღვა ისევ ზღვას ჰგავს, ტყე ტყეობს და ველიც გაველდა
და ისევ იბრძვის ილიონთან სპა აქაველთა;
მეც ისევ მე ვარ, სხვანაირი რატომ ვიქნები,

თუ მობაძვაა, ჩემო კარგო, დროზე მომბაძე, —
ცეცხლისკენ მიმყავს შესაწირად ჩემი თიკნები
და მათთან ერთად ვიფერფლები ჰეკატომბაზე...

იერუსალიმი
დეკემბერი, 2006წ.

სოფელ კოკოლაძე

ორი სიცოცხლე

ერთ დროს ამ გრძნობას უნაზესი დაია ვუწოდე სახელად. მერე იმდენად შევეჩვიე, თითქოს დაბადებიდან დამყოლოდა იგი, როგორც ღვთისაგან ბოძებული ნიჭი. დავდიოდი და ვეძებდი ჩემებრ ანთებულს, სევდიანსა და მიმნდობს, რომელსაც გულსა და სულს გადავუშლიდი და ვიტყოდი: - აი, ჩემი ტოლი და სწორი

დედამიწა გადაირია თითქოს, აზივზივდა, აწივლდა ქუჩა და სახლებიდან, როგორც ფუტკრის ძველი სკებიდან, ალალბედზე გადმოისროლა მოხეტიალე კაპიტნები, ზღვის ქარტეხილებსა და მღვრიე ტალღებს გამოქცეულნი. ძნელია ცხოვრება გადარჩენილი კაპიტნებისა, ისინი ყოველთვის გემებთან ერთად ამჯობინებენ სიკვდილს. მოგონებაა მათი ერთადერთი კუნძული. მძიმედ, მხრებში მოხრილნი დაატარებენ მოგონების კუნძულებს და სიგარის სქელ კვამლში გახვეულნი იმედის თვალით ელიან სიძველის მოყვარულთ, რომ ოდესღაც, ვინმე მოცლილ მოტრფიალეს ზღვისა და დაკარგული გემებისა, სურვილი გაუჩნდება მათი შეცნობის.

იმ დილის პეიზაჟი შესანიშნავად დაიხატებოდა ჩარჩოში ჩასასმელად. ზაფხულის მოკრიალებული ცა, ცაცხვის ხეების ფოთოლთ შრიალი, გრძელ ნამზეურ ქუჩაზე სხივთა უწყვეტი ჩანჩქერი და საოცარი ფერთა გამა: ო, რა იდუმალი ოსტატია ბუნება, მხოლოდ ადამიანს შეუძლია დაამახინჯოს მისი მშვენება: გაკაფოს ტყე, მოთელოს ბალახი და ორად გახლიჩოს უზარმაზარი მთა. სულსწრაფი და დაუფიქრებელია მისი ზნე და ხასიათი. მერე ძალიან დიდი ხნის შემდეგ, აუცილებლად მოიმკის თავისი ცხოველური ჟინის ნაყოფს.

ჩემი თვალსაწიერი მხოლოდ ეს ვიწრო ფანჯარაა, რომლის საფარი, ძირს დაშვებული ცისფერი ფარდები უცნაურ ჩრდილებს აფენენ ოთახის კედლებს. ხშირად, წარმოდგენაში, აქვე, ყურის ძირში ღრიალებს აღელვებული ზღვა და ქარში ეულად დაბორიალობს მოხეტიალე მევიოლინე. სასთუმალთან განისვენებენ ოცნების თეთრი ფრთები და ელიან ნუთებს აღმაფრენისას, ეს უკანასკნელნი კი სიყვარულის უღრუბლო დილას. ამ გრძნობაზე, ვით უსხეულო აბსტრაქციაზე, ჩემეული წარმოდგენა მქონდა ყოველთვის.

ვიზრდებოდი და უფრო და უფრო იცვლიდა სახეს, სრულყოფილი იერი მისი არასოდეს მინახავს. ბოლოს კი, ერთადერთ დასკვნამდე მივედი, რადგანაც წარმოუდგენელი იყო ცხოვრება უმისოდ, მხოლოდ და მხოლოდ დამკვირვებელი ვყოფილიყავი მისი სახეცვლის და ასე მწარედ არ განმეცადა მისგან მოყენებული ტკივილი.

აი, აქედან ყველაფერს ცოცხლად შევიგრძნობ. ჩემი რჩეული აუცილებლად მაღალი, სწორი, უნაკლო, უანგარო და გულთბილი უნდა ყოფილიყო. ჰქონოდა საოცრად მეტყველი თვალები და ყოველ გაზაფხულზე მოერთმია ერთი კონა ია, რაც უსიტყვოდ სიყვარულის ნიშანი იქნებოდა. მე ამ ყველაფერს სიცოცხლის აზრი დავარქვი, ჩემს რჩეულს კი, ჩემებრ სევდიანსა და პირუთვნელ ყმაწვილს, უბრალო სახელი — დენდი ვუწოდე, წარმოსახვაში უთვალავი რამ თვისება მივაწერე: იგი იქნებოდა გულჩვილი და ამავდროულად თავგანწირულიც, ექნებოდა თლილი, გრძელი თითები და თბილი გამოხედვა, ხმა კი შორეული, ბუნდოვანი და დაღლილი.

აი, ახლაც ამდენი ხნის შემდეგ, ნათლად წარმოვიდგენ ყოველივეს. ვხედავ, როგორ მართავს საჭეს, მის მძლავრ და ვაჟკაცურ პროფილს მალულად ვუცქერი და გული სიამით მევსება. გადაღეღილ მკერდზე ნიავი ელამუნება, მისი ყოველი კუნთი დახვეწილია და ნაქანდაკარი, ყოველი უჯრედი სიცოცხლის წყურვილითაა სავსე.

ჩვენი დროის ახალგაზრდებმა შეიძლება ზედმეტად რომანტიკულიც კი მიწოდონ. დამიჯერეთ, ცხოვრება მოკლებულია რომანტიზმს. ეხლა, ამ გლობალიზაციის ეპოქაში, აღარ ნერენ სამიჯნურო წერილებს, ე.წ. "ცისფერ პნევმატიკებს" და აღარ უტყდებიან ერთმანეთს სიყვარულში. მხოლოდ ადამიანური ინსტინქტებითა და წამიერი სურვილებით უერთდებიან ერთმანეთს, დამსხვრეული გემებივით ეშვებიან ვნების მორევში. არასოდეს მხიბლავდა ისეთი სიყვარული, თუ მამაკაცი არ ადამობდა და ქალი კი მისთვის არ იყო ნერგი, რომელსაც ნაყოფი უნდა გამოესხა სიყვარულისა.

ყოველთვის ვფიქრობ, რა მიაქვს ადამიანს გარდაცვალების შემდეგ, იქნებ სწორედ რამდე-

ნიმე სურათი ლამაზი მოგონებისა. ერთი წუთით დავხუჭოთ თვალი და გადავხედოთ ბედნიერების მატიანეს, გადავუფრინოთ ბავშობის ხანას, ყმაწვილობას და ყველაზე სანუკვარი ამოვირჩიოთ, იღლიაში ამოვიჩაროთ, როგორც ძვირფასი საჩუქარი და უდარდელი კაცის ნაბიჯით შევუერთდეთ მარადისობას.

დრო, როგორც პეშვში დაგროვილი წყალი, როგორც ხიდან მოწყვეტილი ფოთოლი, როგორც სხივის ერთი გაელვება, წარმავალია. ყოველთვის ვცდილობ მოვასწრო და ვთქვა ჩემი უკანასკნელი სათქმელი, იმიტომ, რომ არავინ იცის, რომელი იქნება ის წამი და მე ჩემი ცხოვრების ერთადერთ დღეს ყველაზე ადამიანური გრძნობით ვიცხოვრებ, რომელსაც მოლოდინი ჰქვია.

სიზმრიდან გამოტყუებული თვალს ვახელ და ჩემს ფანჯარასთან მოღულუნე ქედნების ხმა მესმის, საოცარი სინაზით გადაუდიათ ერთმანეთზე კისრები და შეხმატკბილებულნი ღუღუნებენ. ისევ სიზმარში მეგონა თავი, თუმცა ჩემი ზმანებანი უფრო აფორიაქებული და მტანჯველია. ყოველთვის სადღაც მიმეჩქარება, ხან უსასრულო აღმართზე მივრბივარ, ხან ტალახიან გზაზე, ხანაც თოვლიან ბილიკზე. ირგვლივ უამრავი ხალხი ირევა, ნატანჯი, დაღლილი სახეებით და ვერავინ მამჩნევს, თითქოს არც ვარსებობ. უცნაური გარდასახვაა სიზმარი. მგონია, მხოლოდ იქ წყდება ჩვენი ბედი.

სარკეში ჩემს ორეულს ვუცქერი. დატალღული თმა მხრებზე ჩამომშლია, დიდი და მეტყველი თვალები სიცოცხლითაა სავსე, რასაც ხაზს უსვამს კუშტად მოკუმული ტუჩები და მხრების ნატიფი ოვალი. ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ უცხოთა მზერას გავქცევივარ და სილამაზეს გავუყიდივარ. მერჩივნა უბრალო და შეუმჩნეველი ვყოფილიყავი. არ დამენახა ბილწი ღიმილი სხვათა თვალებში. ჰოდა, აი მე თქვენ თვალწინ ვშიშვლდები, ჩემი სულითა და სილამაზით, თქვენი პატარა ელენი!

ზაფხულის სიცხე მთენთავს და მაბრუებს. ადამიანები აქოშინებული ცხენებივით დარბიან, თითქოს ეჩქარებათ დაზამთრებამდე სარჩოს მოგროვება. გინახავთ, ალბათ ხიდან ხეზე მოხტუნავე ციყვუნიები, საგულდაგულოდ რომ აგროვებენ თხილსა და გირჩებს ცივი სუსხიანი დღეების გადასატანად. ჩემი მიკროავტობუსის მძღოლიც იმ ციყვს მაგონებს, თხილის მოყვარულ კუდფუფმულას. საღამოს სარჩოთი დატვირთული დაბრუნდება სახლში, სადაც თვალანთებული და თამაშისგან გადაღლილი პაწია ციყვუნიები დახვდებიან და მამას ნაყინის ფულს მოსთხოვენ.

ჩემი მეგობარი, სწორედ ჩემი ტოლი და სწორი, ლოდინით დაღლილი მეგებება, ჩვენ შორის ზღვარია, დიდი განმასხვავებელი ნიშანი, სიყვარული ტაბუდადებული თემაა, რომელსაც არ ვაღვიძებთ. მასთან ყოველთვის ისე მივიჩქარი, თითქოს ვილაცას გამოვექეცი. მინდა გულში ჩამიკრას და ვიგრძნო ის უსაზღვრო ძალა, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნებით. საყვედურით მავსებს და მეუბნება: — სად ხარ აქამდე? ჩემი ერთი გაცინება, თვალების ლაციცი და ისევ ვუბრუნდებით ჯადოსნურ რკალს, რომელსაც ჯიუტად არ ვარქმევთ სახელს.

ჩვენ ვსაუბრობთ შილერზე, გოეთეზე და ხოტბას ვასხამთ ფროიდს. მე მიყვარს ფაუსტი, იმიტომ, რომ ფაუსტი უყვარს მას, მიყვარს დოსტოევსკი, პეტეფი და უსაზღვროდ მისი "მიყვარხარ". ეს არის სიყვარულიც!

ჩემი მამინაცვალი, მსუქანი და ბუზღუნა კაცია, მიაჩნია, რომ მე ერთი ქარაფშუტა და ჯიუტი გოგო ვარ. დიდი ამბიციებითა და გაურკვეველი მომავლით, რაც მხოლოდ საჭირბოროტოდ დაუტოვა განსვენებულმა დედაჩემმა. მას ყველაფერი აღიზიანებს: ჩემი სიარულის მანერა, ამაყად აწეული თავი და კრავის გამოხედვა, განსაკუთრებით კი პომადით მოთხუპნული ტუჩები. სულ ახლახანს შემისრულდა თვრამეტი წელი, თანდათან დავქალდი და დიდი თავსატეხი გავუჩინე ახლობლებს. ჩემი მომავალი ერთ გრძელ, უსასრულო გზას მაგონებს, ოღრო-ჩოღრო ბილიკებითა და პატარ-პატარა მწვერვალებით. ყველაზე მთავარი კი რაც ჩემს ცხოვრებაში უკვე მოხდა, ის საბედისწერო სიყვარულია, რომელმაც მთელი ჩემი არსება დაიპყრო, დაიმონა და სხვა წვრილმანისათვის ადგილიც კი არ დატოვა. ყველაფერი გადაწყვეტილი მქონდა. მე მინდოდა ვყოფილიყავი ცოლი საყვარელი მამაკაცისა, დედა ჯერ არშობილი შვილებისა. ღმერთო, ნუთუ შეიძლება ამაზე მეტი მოთხოვო ქალს.

დილაობით ჩაის სმა რიტუალად იყო გადაქცეული. ოჯახში სამნი ვიყავით: მე, ჩემი მამინაცვალი, რომელსაც პრიმიტიული სახელი გერა დავარქვი და მისი მეგობარი ქალი ზოზია. ისინი ცალ-ცალკე ოთახებში ცხოვრობდნენ და ერთმანეთს ზრდილობისა და ეტიკეტების წესების გარკვეული დაცვითაც კი ექცეოდნენ. მე გული მერეოდა მათი ოფიციალური ტონის გამო, ისტერიული სიცილი მივარდებოდა და შემთხვევას არ ვუშვებდი ხელიდან, რომ გამეკილა არსებული მდგომარეობა. ღმერთო, როგორ ვგრძნობდი ამ დროს ჩემი მამინაცვლის თვალებში ზიზღსა და სიძულვილს, ისე შემომცქეროდა, როგორც მგელი საკბილოს.

ეგრეთწოდებული ანტიპათია, ჩემსა და მამინაცვლის შორის, დედაჩემის ავადმყოფობის დროს წარმოიშვა. მანამდე თავს უმწეო და კეთილშობილ კაცად მაგვაჩვენებდა. საბრალო ქალი, ბოლომდე ეგონა, რომ ამ კაცს უყვარდა. ის ხომ ყოველთვის სიყვარულს დაეძებდა.

შიშჩამდგარი თვალებით და ბავშვივით უსუსური. ასეთი დარჩა იგი ჩემს მოგონებაში. მერე ძალიან დიდი ხნის შემდეგ მივხვდი, რომ მისი ერთადერთი ნუგეში მე ვიყავი. გაზაფხული ახლოვდებოდა, დედა კი სიკვდილს ებრძოდა. ქუჩაში ყვავილების გამყიდველები გამოჩნდნენ. იები ვიყიდე და დედას მივუტანე. არასდროს დამავიწყდება მისი სახე, აკანკალებული ხელებით გულში ჩაიკრა ყვავილები და სევდანარევი ხმით მითხრა: "გაზაფხულს ველარ მოვესწრები". ასეც მოხდა, დედა მალევე გარდაიცვალა. ამ მწარე დღეებიდან ერთადერთი რამ შემომრჩა მეხსიერებაში, დედის მშვიდი სახის პროფილი და ნათელი შუბლი. არასოდეს მიგრძვნია მისი სიშორე, ის ჩემთან დარჩა, ჩემში განსხეულდა და გასულიერდა. ერთმანეთს სიზმრად ვნახულობდით. ცხადად შევიგრძნობდი მისი თმის სურნელს, მისი ხელის სითბოს, ხშირად, ძალიან ხშირად, ატირებულს მეღვიძებოდა და დედის აჩრდილს მივდევდი.

სახლი, სადაც მე ვცხოვრობდი, საპყრობილე გახდა ჩემთვის. მინდოდა გავქცეულიყავი, სადმე

შორს გადავხვეწილიყავი და არასდროს მენახა ჩემი მოუშორებელი მტრის თვალები. „თუ გინდა იცოცხლო, დამემორჩილე!“ — მიბრძანა მან და კარი გაიჯახუნა. მე მძაგდა ასეთი სიცოცხლე, რომელიც კისერზე დამპალი მძორივით მეკიდა და სულს მიხუთავდა.

ყველაზე კარგი გამოსავალი ჩემი მეგობარი იყო, რომელიც მიყვარდა. ვიცოდი, მასაც ვუყვარდი. ჩვენ აუცილებლად შევუღლდებოდით. დემნა ჩემი მესაიდუმლე და ერთგული მეგობარია. მასში არასოდეს მეპარებოდა ეჭვი. იგი მთლიანად მე მეკუთვნოდა. გადავწყვიტეთ ზღვისპირეთში გავპარულიყავით. ზაფხულის მცხუნვარე მზე და ტალღების ხმა ყველაფერს დამავიწყებდა. აგვისტოს მინურულს, როცა ზღვა სარკესავით გამჭვირვალე ხდება და მაგნოლიები გულგაღეღილები ეგებებიან პირველ სხივებს, ოცნების კუნძულს ვეწვიეთ. განაპირა სასტუმროში დავბინავდით, ოთახში მხოლოდ ერთი პატარა კარადა, მაგიდა და საწოლი იდგა. ირგვლივ სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა. დემნა პირველი მამაკაცი იყო, შმაგი და გიჟი სატრფო დაუღალავად მკოცნიდა და მეფერებოდა. ჟრუანტელი მივლიდა მთელს სხეულში, ყოველი კუნთი, ყოველი უჯრედი ვნების ტალღას დაეპყრო. მის ძლიერ მკლავებში ისე ვგრძნობდი თავს, როგორც ჩიტი კაკანათში. ბედნიერი ვიყავი, თითქოს სადღაც შორს დარჩა მწუხარება და ტკივილი, რომელიც დავამარცხე.

საღამოს მთელი ქალაქი ცოცხლდებოდა, ახალი ენერგიით ივსებოდა და იმუხტებოდა. შეუძლებელი იყო ამ ყველაფრისთვის თავის არიდება. აქ სიცოცხლისა და სიყვარულის შადრევანს ეწაფებოდნენ. ბუნგალოებიდან მუსიკის თავბრუდამხვევი ხმები ისმოდა. ბულვარი სავსე იყო ხალხით. გარუჯული ქალიშვილები ტანკენარ სხეულებს თამამად აჩენდნენ, ჟინმორეული ყმაწვილები ცეცხლოვანი მზერით აშტერდებოდნენ აკოკრილ გულ-მკერდზე. ლამპიონების შუქზე აქა-იქ მოჩანდნენ შეყვარებული წყვილები.

ზღვა ისეთი წყნარი და უშფოთველი იყო, როგორც მძინარე გოლიათი, რომელსაც შეიძლებოდა ყოველ წუთში გაღვიძებოდა და ერთი ხელის მოქნევით გაენადგურებინა ადამიანთა სამყოფელი.

იმ დილით დემნამ კოცნით გამომაფხიზლა. ფანჯრიდან ამომავალი მზის დისკო მოჩანდა. საოცრად ლამაზი იყო, ზღვის ლურჯ ზედაპირს ცეცხლოვანი თაღივით ადგა და ოქროსფერ სხივებს აფრქვევდა. მთელი მშვენიერებით წარმოგვიდგა ოცნების სანაპირო.

ზღვა ბობოქრობდა. დემნას უყვარდა აღელვებულ ზღვაში ბანაობა, მე კი მისი შორიდან ცქერა. ყოველთვის მეშინოდა ამ გადარეული გოლიათის. დემნა კარგ მოცურავედ ითვლებოდა. ნაპირიდან ვხედავდი მის ნაქანდაკევ სხეულს, ბრინჯაოსფრად ელვარე მხრებს და დაკუნთულ ფეხებს. ზღვაში მარჯვედ შეცურდა და ტალღებს გაეთამაშა. მომეჩვენა, თითქოს იგი საშველად მიხმობდა, ხელს მიქნევდა, მაგრამ ტალღები მის ხმას ახშობდა. უეცრად დავინახე უზარმაზარმა შავმა ზვირთმა როგორ აიტაცა, მერე თითქოს მკლავებში მოიმწყვდიაო, სადღაც სიღრმისკენ გააქანა. ადგილიდან ვერ ვიძროდი, აგერ ახლა გამოჩნდება-მეთქი, მაგრამ იგი არ ჩანდა. მღელვარებისგან აღარ ვიცოდი რა მექნა. ნუთუ ასე გამწირავს ღმერთი, ნუთუ ასე მიმატოვებს. ქვიშაზე დავემხე და ავქვითინდი. შემეზიზღა ყველაფერი, ეს ლამაზი პეიზაჟი, ეს მაცდური ზღვა და ჩემი ცხოვრებაც. ერთ წამში გამიელვა გონებაში წარსულის ლანდმა და მივხვდი, რამდენად ახლოა ერთმანეთთან ბედნიერება და უბედურება. შეიძლება ამ წუთას თვალები დავხუჭო, გულზე ხელი დავიკრიფო და ვთქვა: — მე უკვე მოვკვდი. მე აღარ ვარსებობ. ერთი, ორი, სამი, ვითვლი წუთებს, გულს ბაგაბუგი გაუდის. ჩემში ორი სიცოცხლე ფეთქავს. მინდოდა ყველაფერი ამ საღამოს მეთქვა — დემნა, შენ მამა გახდები! — ვიმეორებ გულში და თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდის. ღმერთო, რა სულელი ვიყავი, დავიჯერე, რომ ბედნიერი ვიქნებოდი. მაგრამ თურმე ასე არ ხდება. შემდეგ ვღრიალებ და აღელვებულ ზღვას ვუკივი: — დემნა, შენ მამა გახდები! მომეჩვენა, თითქოს დამცინის იგი, ხარხარებს და შეშლილი დემონივით იგრიხება. ღმერთო, ნუ გასწირავ! — ვიმეორებ გულში და ვგრძნობ, როგორ მიბნელდება გონება, წამიც და დავეცემი. უცებ მხარზე ვილაცის შეხებას ვგრძნობ: — „რაო, რას ამბობდი, ძვირფასო? შენ მამა გახდები!“ — აღმომხდა და მის მკლავებში გულწასული მივესვენე.

— რა უსუსური ხარ, ელენ! რა მშიშარა! შენი მარტო დატოვება არ შეიძლება. გეგონა ასე მიგატოვებდი? თანაც შე ეშმაკო, თურმე რას მიმალავდი.

— არასდროს მიმატოვო, გესმის, არასდროს!

— კარგი, ჩემო გოგონა!

ქალაქში, სადაც ანგელოზები დაფარფატებენ, ედემის ყვავილი ხარობს. აგვისტოს სიცხეში გულს გადაიღეღავს და მთელი თავისი მშვენიერებით უღიმის ზეცას. სილამაზეში იკარგება ნისლიანი ნაპირი და დაუმცხრალი ამორძალივით ბობოქრობს ზეცა.

აქ, ხარბი თვალი მერამდენედ იტაცებს მზერას, სულსაც ვაშიშვლებთ სხეულთან ერთად, ვისვენებთ თითქოს ამქვეყნიურ მძიმე ტვირთისგან და ფოთლებივით ვირუჯებით ზღვის გაშლილ მხრებზე. ასე მივანდობთ აალებულ, ფარვანა სულებს, მის ძლიერ მკლავებს მივენდობით, როგორც აწყვეტილ ბედისწერას ცხოვრების ზღვაში. თუკი გადავრჩი, ჩავიმუხლებ შენს დასიცხულ ნაპირთან რიდით და მოალერსე ტალღებს დავკოცნი თეთრ მარმაშიანს. როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე, გიჟური ვნებით. მოვედი, ჩაგწვდე ზურმუხტისფერ თვალთა სიღრმეში. რას მალავ ნეტავ, მშვენიერო, ამ გარინდებით. ჯიუტად, ისევ მოვიწევ შენსკენ და ხელაპყრობით ცოტა ძალას მოვითხოვ მხოლოდ, რომ შენებრ თვალშეუდგამს და იდუმალს ვგავდე. მე და შენ ალბათ, ზებუნებრივი ძალები ჩაგვსახლებიან მშვენიერ სულში და თავიანთ ნებაზე გვათამაშებენ.

ქალაქში მკვდრეთით აღმდგარა დილა, ზღვა მშვიდია, ისეთი მშვიდი, როგორც არასოდეს.

ძველი სუსათი გობელენზე

„კოცნა მომკლავდა მე სილამაზე
რომ არ ყოფილიყო სიკვდილი“
მალარმეს ჰეროდიადა

ეს ყველაფერი, ოდესღაც, ალბათ ნამდვილად მოხდა. ამას დღეს უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა. ბეჭედი წარსულისა დასმულია, ხანდახან ვფიქრობ, იქნებ ვინმე მოცლილი მხატვრის ფანტაზიის ნაყოფია მხოლოდ. ხელოვნება არ არის რეალურის ასახვა, იგი შთაგონების რეალურად გადმოცემაა. არარსებულის — არსებობა. აი, ძირითადი აზრი გენიალურობისა.

სურათი ცოცხალია, ფერებით სავსე, თითქოს, დროის გაყინულ შუალედში გაჭრილი ფანჯარა იდუმალებით დაფარულა, მტვრის სქელი ფენა ფარდასავით ჩამოფარებია, გონების თვალით ვწვდები და ყოველთვის ცხადად შევიგრძნობ.

კაბარე „ფაკირი“. ისმის გულარხეინი მუსიკის ჰანგები. სქელი, ღიპგადმოგდებული მეპატრონე დაღლილი მზერით იყურება დარბაზისაკენ. საათი თორმეტის წუთებს უჩვენებს. დარბაზი ფართო და მდიდრულია, სიგარის კვამლში გახვეული. აქა-იქ ისმის შეზარხოშებული მამაკაცების შეძახილები, კურტიზან ქალთა შავი თვალები გამომწვევად ელავენ. ჩაცმულობაში ჭარბობს წითელი და ნარინჯისფერი, ნაკლებად რუხი და ბლანტი ფერები. ყველაფერი მხოლოდ სიამოვნებისათვის. მწვანე, მაუდგადაფარებულ მაგიდაზე ფულს დასტადასტა ითვლიან.

სცენაზე თვალისმომჭრელი შუქი ქრება, შემდეგ მთვარის ანარეკლის მსგავსი რკალი იკვეთება. მოლოდინი გადაურბენს დარბაზს. მუსიკა მწველი, გულში ჩამწვდომი, მოცეკვავე ქალი ნარნარი რხევით გამოდის სცენაზე. გიტარის ხმა მიძინებულ სულს აცოცხლებს. მწყაზარი სახე საოცრად ლამაზი, გაზაფხულივით მშვენიერი, კელაპტარივით ჩამოქნილი თითები თლილი, ფეხები ორი მარმარის სვეტი, ტანი წვრილი, აშოლტილი, გაშლილ შავ თმაში წითელი ვარდი, ვარსკვლავივით მოელვარე.

ამური დაპატრონებია უმეტესთ, ამური აქ ყველას წყურია. სტუმართა ხარბი მზერა წამიერად აშიშვლებს მომღერალ ქალს. —“ბელისიმო, ვივა გრეტა!“ — ისმის შეზარხოშებულთა აღფრთოვანებული ხმა.

დარბაზის შუაგულში საპატიო სტუმრებისათვის მაგიდაა, რომელსაც ორი მეგობარი უზის. მდიდრულად გამოწყობილნი, უკანასკნელ ესპანურ მოდაზე. ოქრომკედით ნაქარგი წითელი კორსეტები, ვიწრო ხავერდის პანტალონები, ქამარშემოსალტულ წელზე დაშნით. შავგვრემან სახეზე კოკობი წვერულვაში. მათ მიხვრა-მოხვრაში იგრძნობა ყივილი ესპანური სისხლისა, ცხელი და სულსწრაფი, ამაყი და ქედუხრელი. სასმელი კიდევ უფრო აღაგზნებს თითოეულს. თვალებით ჭამენ მშვენიერ გრეტას. ტეკილა მათრობელაა, ვითარცა კოცნა ქალისა. სვამენ უზომოდ, გონდაკარგვამდე, ორივე ნატრობს ლამაზმანის ალერსს.

მუსიკოსები უკრავენ ესპანურ საცეკვაოს. ვაჟი იხდის სომბრეროს და იქვე ტოვებს, ისმის გიტარის მომაჯადოებელი ხმა. თლილი ფეხები ჯიუტი ბაკუნით იწვევს მამრს, რომლის ასხლეტილი სხეული ამოღებული ხმალივით ბზინავს, ხორბლისფერ ნაქანდაკარ სახეზე ცეცხლისმფრქვეველი თვალები. ორთა შერკინება თითქოს ბრძოლაა ილაჯგაწყვეტამდე. ქალი — ჯიუტი, ლამაზი, როგორც ვარდი შირაზისა, მხრებზე გადმოღვრილი კუპრივით თმა. ვაჟი — ტორეადორი, მქშინავი ხარივით ნესტოებდაბერილი, მთელი არსებით შეიგრძნობს მდედრს. ჰაერში მოთამაშე თითები, თითქოს ეხება ტანკენარ სხეულს. ქალი გაურბის.

— ოლე, ოლე! — იმეორებს დარბაზი. ვაჟიც დაედევნება, თითქოს ცეკვას გამოექცნენ.

— აქეთ წავიდა ამიგო! — ანიშნებს გულამომჯდარ ყმაწვილს ჟოკეი.

ბნელი და ვიწროა ქუჩა. გრეტა კაბის შრიალით გარბის. ნაბიჯები შვლის, თითქოს სიოა მონაბერი. ესმის ვაჟის ფეხის ხმა, გული გამალებით უცემს. შუქზე ანაზდად გამოიკვეთა კუშტი სახე. ქალმა იცნო და შეშფოთდა, არსად გასაქცევი, ქუჩა, როგორც გალია. კაცმა დანა იძრო, პატარა და ბასრი, დაუნდობლად ჩასცხო ქალს: — მოღალატე, მოღალატე! — ჩასძახა მომაკვდავს. იგი მოწყვეტით დავარდა, როგორც მოსხეპილი ვარდი. ეს ყველაფერი წამიერად მოხდა. ქალი გონებით ისევ გარბოდა, ვერაფერს მიხვდა, ვერც შეკივლება მოასწრო, ვერც გაოცება, იგრძნო მხოლოდ, როგორ მიუახლოვდა ნაცნობი ნაბიჯები, როგორ მოეხვია ნანატრი ხელები და გულში ჩაიხუტა.

— არა, არ მოკვდე გრეტა!

ცხელი კოცნა უკანასკნელად აღებეჭდა გაცრეცილ ტუჩებზე.

ეს იყო სიყვარულის საზღაური.

ალიმბარსაძ

...

ხელს გიწვდი, მიცინი შემკრთალი,
გონება გკარნახობს გაერთო,
შენ მთვრალი, მე მთვრალი, შემთბარი,
განწყობა მღვრიე და საერთო.
ცეკვაში დაცხრა და განელდა
ვნებები, მოვთოკეთ, ავმჩატდით,
თვალნათლივ არ ჩანდა გარედან,
ერთმანეთს თუ როგორ ვტანჯავდით.
ხელი არ გამიშვა, ვბარბაცებ,
თვალები მაცდურად ციმციმებს,
ერთმანეთს იმპულსებს გადავცემთ,
და ბოლო ელება სიცივეს.
შემახე თითები, ცხელი ხარ,
თვალებიც სხვაგვარად გაბრწყინდეს,
ვიღაცამ რომ არ თქვას ცრემლი ხარ,
სიმშვიდე რომ გადანაწილდეს.
აღსრულდა... დასრულდა... მოეშვი,
ვიპოვეთ საშველი, ვნებივრობთ,
მოგყვები ვნებების მორევში,
სიცოცხლე რომ გამაგებინო.
ჩვენს ირგვლივ ჭორები, ქაოსი,
ვერ ვთოკავ, ფეხები როკავენ,
მადლობთ, რომ შემისვი... ჩამომსვი,
ჩამომსვი, სანამდე მომკლავენ.
სიშიშვლე მოცოცავს ბულიდან,
მოცოცავს, ანათებს, მოცოცავს,
ნეტავი წვალებად თუ ღირდა,
ერთი დღე გაგვეყო ორ ცოცხალს.

...

ტყუილუბრალოდ წყრებით,
მე შევეჩვიე ლოდინს,
გათეთრებულხართ წლებით,
აღარც კი მახსოვს როდის...
როდის გიყვარდით, გენდეთ,
მტანჯეთ სულით და ხორცით,
არ გიკითხივართ დღემდე,
იუდასავით მკოცნით.
სიტყვა გამხდარა ჭირი,
დუმილი ოქროდ ფასობს,
ნარინჯისფერი მძივი
მე გისახსოვრეთ, გახსოვს?
შემოგთავაზებთ ამბებს,
ცეცხლს, ნაცრადქცეულ ბუხრის,
დასამშვიდებელ აბებს,
მარტოობის და მწუხრის.
თავს შეგახსენებთ ხვნეშით,
რომ ვერ შემნიშნოთ, ვინძლო,
იქნებ გავცოცხლდე თქვენში,
გაგახსენდეთ და მიგრძნოთ.

...

მიასვენებდნენ მინდვრები ქარებს,
ქარებს თან ახლდათ სურნელი მინდვრის,
და შებინდების ბურუსით მთვრალებს,
თრთოლვით მიჰქონდათ სიმშვიდე იმ დღის.
შემორჩენოდა სინათლედ მოცვი
კბოდეს და შაშვი კენკავდა მარცვალს,
მოცვის სინითლით ღვიოდა ბორცვი,
შეგუებულ დღეს, ვნებებით დამცხალს.
მიასვენებდნენ ქარები ფოთლებს,
წაშლილ სიმწვანის ფერშეცვლილ ჩანჩქერს,
დგებოდა ჟამი, როცა სიმშვიდე
მარტოობას და საფიქრალს გაჩვევს.

...

დაბერდა თვალიც, ოღრაშობს,
ახლომახლოში ბალახობს,
არ უნდა დატკბე, ოდნავ შორს,
რაცაა, რომ დაგანახოს.
არ უნდა მოგკლას სნეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურით გაგთანგოს ვნებიდან,
ამოაპაროს სხეული,
გახუნებული ჩვრებიდან.
არადა კაბის შრიალი
გინდა შეიგრძნო ბოლომდი,
ადრე შორს იხედებოდი,
სულ სხვანაირად ცხოვრობდი.
საღერღელს უნდა გიშლიდეს
კარჩაკეტილი გალია,
ხვდები საბრალო სიმშვიდე
დაბერებული ქალია.

* * *

განშორების ცრემლი ფასობს,
(მწუხრის დროსაც იცინიან),
შენი გაზაფხული მახსოვს,
ცალაჟვარდა სიცილია.
მახსოვს, სიკვდილამდე მახსოვს,
ჩემი სიჭაბუკის ხვედრი,
შენი მოფერება ფასობს,
ჩამიკარი, ხელებს მხვევდი.
ოცნებებში ჩემთანა ხარ,
ცხადში, თითქმის არ მასვენებ,
აუხდენელ სიზმარს გავხარ,
სიხარული გამახსენე.
ანჟელიკას მკვრივი მკერდი,
ნისლად მოხვეული ფარჩა,
გაფრენილი თეთრი მტრედი,
კეთილ მოგონებად დამრჩა.
სიცილია, სიცილია,
როგორ უნდა დაგივიწყო,
არ მახსოვდე, სირცხვილია,
ნება დამრთე დაგიფიცო.

* * *

ნაკლები ტაში პოეტს და მგოსანს,
მეტი გამყიდველს, პირშავს,
ელოდებოდე მეორედ მოსვლას,
ასე ცხოვრება ნიშნავს.
დამადლებული ლუკმა მცირედი,
გასამრჯელოა ხსნისთვის,
ვგრძნობდი, რომ ასე დაგამცირებდი,
იმას ვერ ვგრძნობდი რისთვის.
საოცარია ამდენი მონა
და მონადქცევის შიში,
საწუხარია გაქცევა, სრბოლა,
წყლის ჩაგუბება პირში.
ვყვირივარ, მაგრამ საშველი არ ჩანს,
ხმის ჩახლეჩვამდე ვყვირი,
ვერ შევაყვარე სამშობლო ლაჩარს,
ვერ გამოვძერწე გმირი.

* * *

გხიბლავს შემოდგომის ქართა გაჭენება,
მთვარით გადაბალჩვა ველთა,
მოსალოდნელია ჩრდილთა აჭრელება,
გადასხვაფერება ფერთა.
მოსალოდნელია შენი აჩემება,
და ხარს ვემსგავსები — ოჩანს,
შენ ხარ ერთადერთი ბოლო გაჩერება,
თვალსაწიერზე რომ მოჩანს.
ფერთა უფერულთა ქარით ბარბაცია,
ღვინით ბარბაცია მთვრალის,
სივრცეს ნისლისფერი კაბა გადაცმია,
ელავს სამშვენისად თვალის.
არის საიმედო ბოლო გაჩერება,
შენ რომ სიკვდილიდან გიხსნის,
არის სინანულით ფიქრთა გაჯერება,
მივიწყებაში რომ გისვრის.

* * *

რაც გაგვაჩნდა ყველაფერი გაიყიდა,
დაგინახე, ცოხალი ხარ, გამიკვირდა.
გამიკვირდა, გაგიკვირდა, გავიკვირვეთ,
ცოცხალი ვართ, ცოცხალი ვართ!
დავიყვირეთ.
ვინ არიან?!
ინგლისურად ვიღაც მარცვლავს,
ხალათს ირგებს რუსთაველის
ტანზე ნაცვამს.
გამიკვირდა, გაგიკვირდა, გავიკვირვეთ,
ცოცხალი ვართ, ცოცხალი ვართ!
დავიყვირეთ.

* * *

ჩემში უარყოფა გაბატონდა,
არ ვარ არაფრისგან კმაყოფილი,
თურმე გემოვნება მღალატობდა
და დრო მოგონილი, არყოფილი.
თავი როგორც იქნა, შევიცანი,
როცა მარტო დავრჩი, განვმარტოვდი,
ბრალი უსათუოდ შენიც არი,
თურმე შენც სხვასავით მღალატობდი.
აღარ შემობრუნდე, შეგელიე,
მზერა მაცდურია, თავბრუს მახვევს,
მესაფლავეებში შენც ერიე,
მე რომ გაზაფხული დამიმარხეს.
თითქოს არ მომხდარა არაფერი,
ფიქრიც უარყოფის კარნახია,
ქარმა ნამილო და განაფრენი
ნისლის საბურველში გამახვია.



ტკივილი ლერწმის

სანამ მომაგნებს მზის სიხალისე,
გულს მანამ ბნელი დუმილი კენწლავს,
ვერა, ვერა ვთლი სალამურს ისე,
ტანი რომ აღარ ვატკინო ლერწამს.

თითქოს ფასი აქვს ბალახის ღერის
იმას, რაც მტანჯავს, იმას, რაც მეწვის...
ჰა, სალამური მღერის და მღერის
და არვის ახსოვს ტკივილი ლერწმის.

აჰა, მოვდივარ...

აღარ იქნება ცრემლი, ტირილი
შენი იმედის უნდო მხლებელი.
აჰა, მოვდივარ, შენი ტკივილის
ტკივილი — მისი გამყუჩებელი.

აყვავდებიან ახლად ვარდები,
ბილიკს ვერ წაშლის ქაცვი ბებერი;
აჰა, მოვდივარ, შენი დარდების
დარდი — იმათი გამქარვებელი.

ქეთევან ჯონიას

გლოვობდე, მწუხარევ...

ორ მტკაველ მიწაში — სამყარო დამცხრალი,
ზედ — ჩუმი ქვითინი დანისლულ სერთა...
უბრალო რამ ღობე, უბრალო რამ ჯვარი...
წინაპრის საფლავის უბრალო სევდა...

ქრის ჟამთა ქარი და ქარს როგორ დავუშლი
ქროლას, თუ მასმინა ნუგეშის ხმამა:
ხარობდე, მწუხარევ, რომ უკვდავ მამულში
მარხია მოკვდავი პაპა თუ მამა!..

მაგრამ დღეს დრო-ჟამმა
სასჯელად დამმართა,
მეტყოდეს იმისი ქარი თუ მტვერი:
გლოვობდე, მწუხარევ, რომ შენთა პაპათა
საფლავზე ღილინით მიმოდის მტერი!

მზის მიწა

დავტოვებ მიწას, წავალ ზეცაში,
ძნად დაიყრება მწველი განცდები,
გადაეღვრება ფიქრებს ზედაშე,
მიწას კი მაინც ველარ ავცდები.

სილაჟვარდისკენ მიხმობს ის სარკე,
იქ არ ბრუნავენ ბედის ჩარხები...
გავეშურები მიწის მზისაკენ
და მზის მიწაში დავიმარხები.

ციხე დგას, მაგრამ...

ციხეს, ფეხზე მდგარს, მოუსწრო დაღლამ,
ხავსითლა ბურავს ნაომარს ეგ დრო...
და ხვალ იტყვიან: ის იდგა, მაგრამ
ბოლოს თვისივე ქონგურქვეშ ეგდო.

მტანჯა აწმყოში წარსულის ქარგვამ,
ალბათ ომი სულ სიკვდილამდეა...
და დღეს მეც ვამბობ: ციხე დგას, მაგრამ
თვისივე ტანში ციხე აგდია...

წინა ხიდები

უგზოოდ შთენილთ სადაც სქელი
ჯანღი გვებურა,
ახლა იმ ჯანღის გამფანტველთა
ბრწყინავს დიდება;
აღარც — თვალებმა, აღარც — სულმა
წინ გასწრებულმა, —
გაღმა ნაპირი დაგვანახვეს
წინა ხიდებმა.
წინა კაცებმა ამნაირად
გვიხსნეს დაღლისგან
და ვამაყობდით ჩვენი გზებით,
ჩვენი ხიდებით...
და თუ ცდილობდნენ მიბრუნებას
ჩვენსას ჯანღისკენ, —
უკანად ქცეულ წინა ხიდებს
ცეცხლს ვუკიდებდით.

რომ არ ეხატოს...

ვდგავარ შუქივით მაგ შენს თვალებთან,
უნდა ტკივილის ბნელი გავთელო...
ამ მიწას რაღა შემაყვარებდა,
რომ არ ეხატოს ზედ საქართველო...

სინათლის თაყვანს ისევ ვეცადე,
უნდა დაგითბო ფიქრთა უბანი...
შემაყვარებდა რაღა ზეცასაც,
რომ არ ეხატოს ცაში უფალი.

იქ, წარსულში...

ამ მინდვრებმა ნიავს ფრთები განუკურნეს,
გადმოფრენილს
წარსულ დღეთა ქარაფიდან...
უკუნისთვის ვერ ვიმეტებ საუკუნეს,
უკუნისთვის ჩემი თავიც აღარ მინდა.

იქ, წარსულში, წარსულისვე გრიგალია,
მისგან მხოლოდ ხსოვნის სიო მინიავებს...
აწ ვერასდროს ვერ ვიხილავ იმ ქარიან
თუ უქარო გზებს — მზიანებს, წვიმიანებს.

დღეის სიო იმ გრიგალთა ნაფლეთია,
მასაც თვისი სდევს უკუნი... და მეც სიოს
ვუხმობ, სადაც დილა — აღმოსავლეთია,
ჩამავალი მზე რომ აღარ დამეწიოს.

სხვადასხვა დროები

როცა აყვავდა ეს ყვავილი,
მაშინ კი არა, —
როცა დაჭკნა და ჩამოვარდა,
მაშინ ვიგრძენი,
თუ რანაირად საჭიროა
ჟამთა ტრიალი,
რა უბრალო და დიადია
დროთა სიბრძნენი.

ხვალის ლამაზო აყვავებავ,
ხვალის ცისკარო,
მივალ შენ გამო, ვეშურები
ბნელი ეკვდერით...
რომ არ წავიდე, ადგილი რომ
არ დაგიცალო,
სხვადასხვა დროები ერთდროულად
სად დავეტევით?

სოფლის სურათი

სოფლის შუკაში უჩვეულო
კოცონით ვთბები,
ვთბები იმგვარად, — ერთი სიტყვაც
ველარ დავძარი:
ააბრიალა ცეცხლისფერმა
მამალმა ფრთები,
შეხტა ღობეზე და მოედო
ღობეს ხანძარი.

ნათელთა ნაპირთან

დიახ, ჩვენ იესო სინათლეს დაგვპირდა
და ბნელი ველარ გვჩაგრავს...
ჩვენ ვხედავთ სწორედ შუქს,
არეკლილს საგნიდან
და არა თვითონ საგანს.

ჩვენ ვდგავართ დაუშრეტ
ნათელთა ნაპირთან
და ამიტომ ვართ მხნედაც...
ჩვენ ვხედავთ მხოლოდ შუქს,
არეკლილს საგნიდან,
საგანს კი ღმერთი ხედავს.



შეეღება ტიპასაში

გაზაფხულობით ტიპასა ღმერთების საუფლოა, და აქ ღმერთები აბზინდის, ვერცხლისფერ ჯავშანში ჩაჭედილი ზღვის, ლურჯი, ულრუბლო ცის, ყვავილებში ჩაფლული ნანგრევებისა და ქვის გროვაზე აალებული მზის სხივის ენაზე ლაპარაკობენ. ირგვლივ ყველაფერი თვალისმომჭრელი მზითაა აგიზგიზებული. თვალი ამაოდ ცდილობს წამწამებზე დაკიდებული სინათლისა და ფერების მოცახცახე წვეთის გარდა რაიმეს დაჭერას. პაპანაქებისაგან გავარვარებულ ჰაერში ბალახების სურნელით გაჯერებული არომატი ყელში მიღიტინებს და სუნთქვა მიჭირს. ოდნავ თუ ვხედავ გორაკთა სამყოფელიდან მოზრდილ, ვეება, შავ შენუას, მტკიცე ნაბიჯებით რომ ეშვება ზღვისკენ.

ის სოფელი გავიარეთ, საიდანაც ზღვის უბე მოჩანს. ყვითელ-ცისფერ სამყაროში შევდივართ და პირდაპირ ცხვირში გვიღიტინებს მძაფრი, მწკლარტე სუნი, ზაფხულობით რომ ასდის ალჟირის მიწას. ვილების კედლებზე, ყველგან, სადაც კი თვალი მისწვდება, ბუგენვილები ჩანს, ბაღებში კი ის ფერმკრთალი ყვავილები გადაპენტილა, რომლებიც ძალიან მალე მეწამულად შეიფერებიან. კიდევ ათქვეფილი ნაღებივით აქაფებული ჩაის ვარდების ზღვაა, გარს კი ჩარჩოსავით არტყია ყელყელა, ნაზი, მედინისფერი ზამბახები. ყოველი ქვა სითბოს ასხივებს. კარგად გარეცხილი, ოქროს ღილივით ელვარე ავტობუსიდან გადმოვდივართ. ამ დროს, დილაობით, როგორც წესი, წითელმანქანიანი ყასბები სოფელს გარს უვლიან და მყიდველს საყვირებით უხმობენ.

ნავსადგურის მარცხნივ, ხეებს შორის, ნანგრევებისკენ ცემენტით გაუმაგრებელი ქვის ფილებიანი კიბე ეშვება. გზა პატარა შუქურას გვერდით ჩაუვლის და მინდვრებში იკარგება. შუქურასთან იისფერ, ყვითელ და წითელყვავილიანი რომელიღაც მცენარე იმ პირველ კლდემდე ეშვება, რომლის ძირსაც გაშმაგებით კოცნის ზღვა. მზეზე ვდგავართ, მსუბუქი ნიავი სახის მხოლოდ ცალ მხარეს გვიგრილებს, და შევყურებთ, ლივლივა ზღვისკენ ციდან სინათლე როგორ ეშვება. ზღვა კი, თავის მხრივ, ქათქათა კბილებით იღიმება. ვიდრე ნანგრევთა სამეფოში ფეხს შევდგამდეთ, გაუცნობიერებლად, უკანასკნელად ვუყურებთ პეიზაჟს.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, აბზინდის მძაფრი სურნელი ყელში გვეცა. ყველგან, სადაც კი თვალი მისწვდება, მისი ნაცრისფერი ბუსუსი მოსდებია ნანგრევებს. ასე მგონია, ამ სიცხეში, აბზინდის წვენი დუღს და მიწიდან მზისკენ მიემართება მისი გამაბრუებელი სურნელი, რისგანაც ზეცა იჟღინთება, თვრება და ბარბაცებს. ჩვენ სიყვარულისა და გრძნობის შესაერთებლად მივდივართ. არ ვეძებთ მძაფრი ფილოსოფიით გამსჭვალულ მაღალ იდეებს, რომლისგანაც, ჩვეულებრივ, რაღაც ამაღლებულს ელიან. ყველაფერი - მზის, კოცნისა და ამ ველური სუნის გარდა, არარაობად გვეჩვენება. მე აქ მარტოობას არ ვესწრაფვი: იმათთან ერთად, ვინც მიყვარდა, აქეთ

ხშირად ჩამოვდიოდი, მათ სახეებზე სუფთა, წმინდა სიყვარულით გაბრწყინებულ ნათელ ღიმილს ვხედავდი. როცა აქა ვარ, წესრიგსა და ზომიერებასთან საერთოს ვკარგავ. მთლიანად მიპყრობს ბუნების ფაფარაშლილი შლეგი თავნებობა და ზღვის გარყვნილება. გაზაფხულთან შეუღლებული ნანგრევები ისევ უბრალო ქვებად იქცევა და ადამიანის მიერ გადაპრიალებული მათი ზედაპირები კვლავ ბუნებრივ იერს იღებს. ამ გზააბნეული შვილების პატივსაცემად, ბუნებამ უხვად მოაბნია ყვავილები, ფორუმის ფილებს შორის ჰელიოტროპებს მრგვალი, თეთრი თავები ამოუყვიათ, ნემსიწვერებს კი წითლად შეუღებავთ ის, რასაც ოდესღაც სახლები, ტაძრები და ქალაქის მოედნები ერქვა. როგორც ზოგიერთ სწავლულს აბრუნებს მეცნიერება ღმერთთან, ამ ასწლეულმაც ასე დააბრუნა ეს ნანგრევები დედასამყოფელში. ახლა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც დაგვტოვებს ჩვენი წარსული და აღარაფერი შეგვიშლის ხელს, დავემორჩილოთ იმ მბრძანებლურ ძალას, რომელიც თან წარიტაცებს თავისუფლად ვარდნილ სხეულებს.

რამდენიმე საათი გავიდა, აბზინდას ვთელავდი, თბილ ქვებს ხელს ვუთათუნებდი და ვცდილობდი ჩემი სუნთქვა სამყაროს ბობოქარი სუნთქვისათვის შემეწყო. ველური სურნელითა და მწერების ძილისმომგვრელი ზუზუნით გაბრუებული, ვუყურებდი და გულით ვგრძნობდი გავარვარებული ზეცის აუტანელ დიდებულებას. არც ისე ადვილია თვითმყოფადი გახდე და დაკარგული შინაგანი ჰარმონია დაიბრუნო. მაგრამ... შევყურებდი შენუას მასიურ ზურგს და კვლავ უცნაური სიმშვიდე მიპყრობდა: ღრმად და თანაბრად ვსუნთქავდი, შინაგანი მთლიანობისა და სიმსუბუქის გრძნობა მეუფლებოდა. ხან ერთ კლდეზე ავდიოდი, ხან მეორეზე, ყველგან რაღაც ჯილდო მელოდა. აი, ეს ტაძარი, რომლის სვეტებიც მზის სხივების სრბოლას გადაუწმენდია. მისი საფეხურებიდან მთელი სოფელი ჩანს — თეთრი, ვარდისფერი ცხაურებით და მწვანე ვერანდებით. ანდა ეს ბაზილიკა აღმოსავლეთ გორაზე. მისი კედლები ისევ დგას, ირგვლივ კი გადათხრილი სარკოფაგებია, უმრავლესობა ოდნავ მოჩანს მიწიდან. უწინ შიგ მიცვალებულები განისვენებდნენ, ახლა ზედ ყვითელი ლევკოიონი და სალბი ბიბინებს. სენტ-სალსა ქრისტიანული ბაზილიკაა. შეიხედავთ თუ არა მის რომელიმე გამონგრეულ ალაგას, განდეგილის დათრგუნულ გრძნობასავით, ჩვენამდე მაინც მოაღწევს ზღვის სიმფონია. კლდეები ფიჭვებით და კვიპაროსებით არის მოფენილი, ოციოდე მეტრს იქით თეთრად ქათქათებს ზღვის ქოჩორა ტალღები. გორაკის თხემი, რომელზეც სენტ-სალსაა აღმართული, მობრტყელებულია, ამიტომაც ქარი თავისუფლად დანავარდობს ტაძრის კარებში. დილის მზის სხივებზე ნეტარებით სუნთქავს სივრცე. რა ღარიბია ის, ვისაც მითები სჭირდება. აქ ღმერთების მსახურება იმ კალაპოტით მიედინება, რომელსაც დღეები მიჰყვება. პეიზაჟის აღწერისას ვამბობთ: „ეს წითელია, ლურჯი, მწვანე, ეს ზღვაა, მთები, ყვავილები“. რისთვის გავიხსენო დიონისე, იმიტომ, რომ ვთქვა — მიყვარს-მეთქი, თითებით გავსრისო და ცხვირთან მივიტანო მასტიკის ხის კვირტი? ალბათ დემეტრეს ეკუთვნის ის უძველესი ჰიმნი, შემდეგ რომ გამახსენდა: “ბედნიერია დედამიწის ის მცხოვრები, რომელმაც ეს ნახა“. დაინახო მიწიერი და განა შეიძლება დაივიწყო ეს ანდერძი? ელევზინური მისტერიის მონაწილეთათვის საკმარისი იყო მხოლოდ ჭვრეტა. მე ვიცი, აქაც ბოლომდე ვერასოდეს მივუახლოვდები სამყაროს. უნდა გავშიშვლდე, ზღვაში გადავხტე და მას შევურიო მიწიერი სურნელი, რითაც გაჟღენთილი ვარ. სხეულით უნდა ჩავეკონო, ჩავეხუტო და შევერწყა ისე, როგორც ოდითგანვე, ბაგე ბაგეს მიწებებული, ერთად ოხრავს, ნეტარებით კვნესის მიწა და ზღვა. როგორც ცივ ფისში, ისე შევდივარ ზღვაში, სუნთქვა მეკვრის; მერე ვყვინთავ, ყურები მიშხუის, წყალი ცხვირში შემდის, პირში მწარე გემოს ვგრძნობ და მივცურავ — თითქოს ლაქით დაფარული და მზით მოოქროვილი ხელები წყლიდან მოფრინავენ, ბრწყინავენ, იხრებიან და ეშვებიან, ამ მოძრაობებში სხეულის თითოეული კუნთი მონაწილეობს. წყალი სხეულის გარშემო ლივლივებს, ფეხების მოძრაობით წყალს ვებრძვი, ვარღვევ ტალღებს და ჩემ წინ ჰორიზონტი აღარ არსებობს. უკან ვბრუნდები და ნაპირზე, ქვიშაზე ვეცემი. კვლავ ძვლისა და ხორცის სიმძიმეს ვგრძნობ, ვწევარ ძალაგამოლეუ-

ლი და მზისგან გამოთაყვანებული. იშვიათად დავხედავ ჩემს მკლავებს და ვაკვირდები, როგორ ჩამოდის წყლის წვეთები; იქ, სადაც კანი შრება, ოქროსფერი ღინღლი და მარილის ლაქები ჩნდება.

აქ ვხვდები, რას ნიშნავს რჩეულობა: ეს გახლავთ სიყარულის უსაზღვრო უფლება. ამ ქვეყანაზე ერთადერთი სიყვარულია. ჩაეხუტო ქალის სხეულს იგივეა, რომ შეიგრძნო უცნაური სიხარული, რომელიც ზეციდან ზღვისკენ ეშვება. ახლა, მიწაზე დაცემული, აბზინდაზე გაგორებული, მისი სუნით გაბრუებული ვგრძნობ, რომ ბუნების ჭეშმარიტ კანონს ვემორჩილები, რომლის ძალითაც მზე ანათებს და ოდესმე მეც მოვკვდები. გარკვეული აზრით, საკუთარ სიცოცხლეს ჩამოვდივარ, იმ სითბოთი გამთბარ სიცოცხლეს, ეს ქვები რომ გამოსცემენ და ზღვის ოხვრითა და ჭრიჭინების ჭრიჭინითაა სავსე, რომლებიც სადაცაა ახმაურდებიან. სუფთა ნიავი, ლურჯი ცა. თავდავიწყებამდე მიყვარს ეს ცხოვრება და მინდა მასზე გაუჩერებლად ვილაპარაკო. იგი საკუთარი ბედისადმი, ადამიანის ბედისადმი სიამაყეს მინერგავს. ოღონდ, არაერთხელ უთქვამთ, რომ ამაში საამაყო არაფერია. მაგრამ, არა! არის, რითაც შეიძლება იამაყო — ამ მზით; ამ ზღვით; ჩემი გულით, რომელიც ახალგაზრდობით ფეთქავს; ჩემი მარილიანი სხეულით; უსაზღვრო სივრცით, სადაც პეიზაჟის ყვითელ და ცისფერ ტონებში ერთდება სინაზე და სიდიადე. ამის მოსაპოვებლად მთელი ჩემი ძალა და საშუალება უნდა გამოვიყენო. აქ უკვე აღარაფერი მიშლის ხელს, შევინარჩუნო თვითმყოფადობა, არც არაფერზე ვამბობ უარს და არც ნიღაბს ვიფარებ. ჩემთვის საკმარისია მოთმინებით ვისწავლო ცხოვრება. ეს რთული მეცნიერებაა, მაგრამ ცხოვრებისეული სიბრძნის ყველა ფორმულად ღირს.

სანამ შუადღე დადგებოდეს, ნანგრევებზე გავლით, ნავსადგურთან ახლოს, პატარა კაფეში შევდივართ. რა სასიამოვნო თავშესაფარია, ეს გრილი, დაჩრდილული დარბაზი, როცა მზე და ფერები თავს გიბრუებს. როგორ აცოცხლებს ადამიანს ერთი ჭიქა ყინულიანი პიტნის წყალი! ფანჯრის იქით ზღვაა და სიცხისა და მტვრისაგან აპარპალებული გზა. მაგიდასთან ვზივარ, ვცდილობ თვალი გავუსწორო სიცხისაგან სითეთრემდე გაკაშკაშებულ ცას. თვალს ვახამხამებ, ვჭუტავ — დამაბრმავებელმა სინათლემ თვალი მომჭრა. ოფლიანი სახეები გვაქვს, მაგრამ ტილოს ხალათები სხეულს სასიამოვნო სიგრილეს უნარჩუნებს. და თითოეულ ჩვენგანს იმ ადამიანთა ბედნიერი დაღლილობა დაუფლებია, ზღვასთან ნაზიარებ შეუღლებას რომ მოჰყვება.

ამ კაფეში ცუდი საჭმელებია. სამაგიეროდ, ბევრი ხილია — ძირითადად ატამი, მწიფე ატამი, ჭამისას წვენი ნიკაპზე რომ ჩამოგდის. ატმის გემოთი ვტკბებოდი და ვგრძნობდი, როგორ ბობოქრობდა ჩემში სისხლი, საფეთქლებზე მაწვებოდა და თვალებგაფართოებული ვიყურებოდი. ზღვაზე შუადღის ყოვლისმომცველი სიჩუმე ჩამოწვა. ყოველი მშვენიერი არსება, ცხადია, ამაყობს თავისი სალამაზით, და, დღეს, ეს სიამაყე ყველაფერში გამოკრთის. რატომ ვთქვა უარი სიცოცხლის სიხარულზე, თუკი სიცოცხლის სიხარული არ გამორიცხავს ჩემთვის ყველაფერ დანარჩენს? იყო ბედნიერი, სირცხვილი არ არის. მაგრამ ახლა, — მეფე სულელია. სულელს იმას ვეძახი, ვისაც სიცოცხლით სიამოვნების ეშინია. ისე ბევრს გველაპარაკებოდნენ სიამაყეზე: ხომ იცით, სატანური ცოდვაა. ფრთხილად იყავით, — თავსაც იღუპავთ და სასიცოცხლო ძალებსაც ინადგურებთ!.. მერე გავიგე, რომ გარკვეული სახის სიამაყე ნამდვილად... მაგრამ ზოგჯერ სიცოცხლით სიამაყის ჩემს უფლებაზე უარს ვერ ვამბობ, რადგან მთელი სამყარო ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებაში ებმება. ტიპასაში, დანახვა და დაჯერება — ერთი და იგივეა. ვერ უარვყოფ იმას, რასაც შემიძლია ხელით ან ტუჩებით შევეხო. არც ნანახი ხელოვნების ნაწარმოების ხელახლა შექმნის მოთხოვნილება გამაჩნია, მაგრამ მისი გადმოცემის სურვილი მაქვს — ეს კი სულ სხვა რამაა. ტიპასა ჩემთვის იმ პერსონაჟებსა ჰგავს, რომლებსაც იმიტომ ჰქმნიან, რომ გადაკვრით ათქმევინონ სამყაროზე თავიანთი შეხედულებები. ისინი ამ შეხედულებების სასარგებლოდ ლაპარაკობენ და მტკიცედაც იცავენ მას. ასეა ტიპასაც. დღეს ის ჩემი პერსონაჟია. და, ვიდრე სიყვარულით აღვწერ მას, მე, ალბათ, დავთვრები და დავთვრები. ყველაფერს თავისი ჟამი აქვს — ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიცოცხლის

ასახვისა. დადგება ქმნის ჟამიც, რაც არც ისე ადვილია. მინდა ვიცხოვრო სხეულის ყველა უჯრედით, რომელსაც მთელი გულით დავიცავ, ვიცხოვრო ტიპასას ცხოვრებით და ავსახო იგი. მერე ხელოვნებაც მოვა. აქ თავისუფლება მეფობს.

●

ერთ დღეზე მეტი არასოდეს დავრჩენილვარ ტიპასაში. ყოველთვის დგება დრო, როცა მეტისმეტი ყურადღებით აკვირდები პეიზაჟს, დაბოლოს, დიდი ხნის შემდეგ, ისეთს დაინახავ, როგორიც სინამდვილეშია. მთები, ცა, ზღვა თვალსმიჩვეულ სახეებს ჰგავს, რომლებიც უცბად გაგაოცებს თავისი საცოდაობით ან მომხიბლაობით, მანამდე კი, თურმე, უბრალოდ უყურებდი და დანახვით ვერ ხედავდი. ყველანაირი სახე მეტყველი რომ გახდეს, გარკვეულწილად უნდა განახლდეს. ადამიანები წუწუნებენ, რომ ყველაფერი მალე ბეზრდებათ, მაშინ, როცა აღფრთოვანებულნი უნდა იყვნენ. სამყარო მხოლოდ იმიტომ გვეჩვენება სხვანაირი, რომ ჩვენ დავივიწყეთ, როგორი იყო.

საღამოობით გზის გასწვრივ უფრო მოვლილი, გაწმენდილი ბაღით ვბრუნდებოდი. უკან რჩებოდა მზის პაპანაქება და სურნელი, ჰაერში საღამოს სიგრილე იგრძნობოდა, გონება მშვიდდებოდა, ხოლო დასვენებული სხეული შინაგანი სიმშვიდით ფეთქავდა; იმ სიმშვიდით, რომელსაც სიყვარული ბადებს. სკამზე ვჯდებოდი, ყოველი მხრიდან დაძრულ ბინდს ვუყურებდი და თავს სავსედ ვგრძნობდი. ჩემ უკან ბროწეულის ხე იდგა. ისე ჰქონდა მუშტივით შეკრული ჯერ გაუშლელი კვირტები, თითქოს გაზაფხულის ყველა სიამოვნება შიგ მოუმწყვდევიაო. იქვე როზმარინი ამოზრდილიყო და მის გამაბრუებელ სუნს ვგრძნობდი. იქით, ხეებს შორის, გორები მოჩანდა, უფრო შორს — ზღვის ნაპირი, რომლის თავზეც უქარო იალქანივით, უთქმელი სინაზით აღსავსე ცა განაბულიყო. გული უცნაური სიხარულით მევსებოდა, ისეთით, როგორსაც დამშვიდებული სინდისი გვიბოძებს ხოლმე. არსებობს გრძობა, რომელსაც მხოლოდ მსახიობები განიცდიან, როცა ხვდებიან, თავისი როლი კარგად ითამაშეს, ე.ი. მათი ქმედება ზუსტად დაემთხვა მათ მიერვე ხორცშესხმულ იდეალურ პერსონაჟთა ქმედებას. ისინი ერთხანს წინასწარგაკეთებულ სურათში ჩასახლდნენ და თავისი გულისცემით გააცოცხლეს. ზუსტად ასეთი შეგრძნება მქონდა: მეც კარგად ვითამაშე ჩემი როლი. ჩემზე მონდობილ ადამიანურ საქმეს ვაკეთებდი, და თუ მთელი დღის განმავლობაში ვნებივრობდი, გამონაკლის წარმატებად კი არ მეჩვენებოდა, არამედ ჩემი მოწოდების ამაღელვებელ განხორციელებად, რაც გარკვეულ მდგომარეობაში გვავალებს ბედნიერი ვიყოთ. ამ დროს, კვლავ მარტოობა გვეუფლება, ოღონდ, ამჯერად, სიამოვნებით გაჯერებული.

●

ახლა ხეებზე ჩიტები დაფრინდნენ. სიბნელეში შებიჯების წინ, მიწამ ღრმად ამოისუნთქა. მერე პირველი ვარსკვლავები გამოჩნდება და სამყაროს სცენაზე ღამე ჩამოწვება. ნათელმოსილი ღმერთები თავიანთი ყოველდღიური განსასვენებლის საფარველს დაუბრუნდებიან. მათ სხვა ღმერთები შეცვლიან, — უფრო მოღუშული, მოტეხილი სახეებით, რომლებიც დედამიწის წიაღში დაიბადებიან.

მანამდე კი, ხეებს შორის დარჩენილი სინათლის ფართო ზოლში, ყვავილის ოქროსფერი მტვერი ცეკვავდა. ტალღების უწყვეტი ხმაური, ნაპირს რომ ეხეთქებოდა, ჩემამდე აღწევდა. ზღვა, მინდვრები, სიჩუმე, მიწის სურნელება... მე შევისრუტე ცხოვრების სრული ნექტარი, მშვენიერი სამყაროს მწიფე ნაყოფს გემო გავუსინჯე და მღელვარებით ვიგრძენი, მისი ტკბილი, ბლანტი წვენი როგორ ჩამომდიოდა ტუჩებზე. არა, აქ ლაპარაკი არც ჩემზე იყო და არც სამყაროზე, არამედ ჰარმონიასა და მდუმარებაზე, რომელიც ჩემსა და სიყვარულის სამყაროს შორის იბადებოდა. სიყვარული, რომელიც ისე არ განმიცდია, როგორც მხოლოდ ჩემი უპირობო პრივილეგია, არამედ სიამაყით ვგრძნობდი, რომ მას ვიზიარებდი მზისა და ზღვისგან დაბადებულ, ტემპერამენტიან, სასიცოცხლო ძალით აღსავსე ტომებთან ერთად. ტომებთან, რომლებმაც სიდიადე თავიანთი უბრალოებით შეიძინეს, და ზღვის პირას მდგარნი, ყოვლისმცოდნე ღიმილით პასუხობდნენ ზეცის გასხივოსნებულ ღიმილს.

ფრანგულიდან თარგმნა
ნატო ხევსურიშვილმა


იპოლიტე ვართაგავა

ეროვნული

ვერსია

იპოლიტე ვარ1თაგავა და ნიკოლოზ ნერეთელი

(შეხვედრა ტერენტი გრანელთან ჭიათურის თეატრში)

იპოლიტე ვართაგავასა და ბატონ ნიკოლოზ წერეთლის მეგობრობა, უშუალოდ ქალაქ ჭიათურიდან იღებს სათავეს. ეს არის გასული საუკუნის 20-30-იანი წლები ანუ ის პერიოდი, როდესაც იპოლიტე ვართაგავა ჯერ ამ ქალაქის ჰუმანიტარული ტექნიკუმის ქართული და რუსული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად, ხოლო 1924 წლიდან, ტექნიკუმის გაუქმების შემდეგ, ცხრაწლედის გამგედ იყო დანიშნული.

ამ პერიოდს ეძღვნება მისი მოგონებათა საკმაოდ მოზრდილი წიგნი: „მე და სხვები", რომელშიაც, სხვა პედაგოგებთან ერთად, ბატონ ნიკუშას დახასიათებაცაა მოცემული.

მაგრამ ვიდრე ამ დახასიათების ტექსტს მოვიშველიებდეთ, თავდაპირველად გავიხსენოთ ის ერთი დაუვიწყარი დღე, როდესაც ჭიათურის ცხრაწლედის მაშინდელ დირექტორს — იპოლიტე ვართაგავას კაბინეტში ეახლა სკოლის ახალკურსდამთავრებული, ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი, ნიკუშა წერეთელი და იპოლიტე ვართაგავას ფიზკულტურის მასწავლებლის საათები სთხოვა.

იპოლიტე ვართაგავამ შეუსრულა ეს თხოვნა.

მას შემდეგ ისინი, მიუხედავად მათ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობისა, სიკვდილამდე განუყრელ მეგობრებად დარჩნენ.

ფიზკულტურის ახალგაზრდა მასწავლებელმა — ნიკუშა წერეთელმა იმთავითვე ღირსეული ადგილი დაიკავა გამოცდილ პედაგოგებს შორის.

საუბარს იპოლიტე ვართაგავასა და ნიკუშა წერეთლის მეგობრული ურთიერთობის შესახებ ტერენტი გრანელის ლექსთა იმ პატარა კრებულით დავიწყებ, რომელიც მონაფეობის წლებში, ჭიათურის რაიონის სოფელ ბჟინევში, ჩვენი საოჯახო ბიბლიოთეკის თაროზე აღმოვაჩინეთ დოსტოევსკის, სენკევიჩის, ტოლსტოის, ტურგენევისა თუ სხვა ამ ავტორთა სიცოცხლეში გამოცემულ წიგნებს შორის.

ეს ტერენტი გრანელის ლექსთა მესამე, 1926 წელს გამოქვეყნებული წიგნი იყო, რომლის შესავალი წერილის დაწერაც გრანელმა პირადად იპოლიტე ვართაგავას სთხოვა ჭიათურაში ნიკუშა წერეთელთან სტუმრობისას, თეატრში შეხვედრის წინა დღით, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ეს არ მომხდარა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ იპოლიტე ვართაგავას, როგორც XIX საუკუნის ლიტერატურის კორიფეთა წიგნებზე აღზრდილს, ძალიან უჭირდა ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობებთან შეგუება.

გრანელის ლექსთა ზემოხსენებულმა წიგნმა ერთბაშად გადაგვიშალა მაშინ ჩვენთვის სრულიად უცნობი მისტიკური სამყარო. ზოგიერთი რამ იპოლიტემ გვიამბო ამ წიგნისა და მისი ავტორის შესახებ სოფელში მორიგი სტუმრობის დროს. გაკვრით, მაგრამ მაინც, შეეხო პოეტის ნერვიულ და აფორიაქებულ სამყაროს ....

ჭიათურაში ნიკუშა წერეთელთან, გრანელისა და მისი განუყრელი მეგობრის — გენო ქელბაქიანის სტუმრობა უბრალო, მეგობრული ვიზიტი კი არა, პოეტთან სახელმწიფო თეატრში შეხვედრის ძირითადი საფუძველი იყო.

თავად ბატონი ნიკუშა, ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დიდი ბა-

ბუა, ჭიათურის ახალგაზრდა მწერალთა წრის აქტიური ხელმძღვანელი, ასევე ტერენტი გრანელის უახლოესი მეგობარი, მისი შემოქმედების ტრფიალი და მადიდებელი იყო. პოეტმაც ამის გამო მის ოჯახში დაიდო ბინა.

ბატონი ნიკუშა თავადაც შემოქმედი ადამიანი ბრძანდებოდა. თვით მაშინაც კი, როდესაც იგი ჭიათურის მარგანეცტრესტის იურისკონსულტად მუშაობდა, აქტიური კავშირი ჰქონდა ქალაქის თეატრთან, ესწრებოდა წარმოდგენებს, წერდა შესაბამის რეცენზიებს, მაგრამ რაც მთავარია, თავადაც ორი პიესით გაამდიდრა თეატრის რეპერტუარში. ეს ნაწარმოებებია — ჭიათურის მაღაროელთა შრომაზე აგებული პიესა "წიაღის გულში", რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იდგმებოდა აღნიშნულ თეატრში და მეორეც — ილიას მკვლელობისადმი მიძღვნილი პიესა: "ვერაგთა ტყვია"

ადრეულ წლებში, იპოლიტე ვართაგავასთან მუშაობის დროს, ბატონ ნიკუშას ინიციატივით მოეწყო შეხვედრები შალვა დადიანთან, ვანო სარაჯიშვილთან, გრიგოლ რობაქიძესთან, ტერენტი გრანელთან და ოთხივე შემთხვევაში მთავარი მომხსენებელი იპოლიტე ვართაგავა გახლდათ. "ჯაყოს ხიზნების" ლიტერატურული გასამართლების დროსაც ბრალმდებლად იპოლიტე ვართაგავა იყო მოხმობილი, დამცველად კი — ნიკუშა წერეთელი. ორივე საკუთარი თვალთახედვით ცდილობდა თეიმურაზ ხევისთავის კრიტიკას თუ მის მფარველობას.

ახლა ცოტა რამ ნიკუშა წერეთლის წინაპართა შესახებაც. მასალები აღებულია იპოლიტე ვართაგავას გამოუქვეყნებელი წიგნიდან „მე და სხვები", რომელიც 1948-49 წლებშია შექმნილი.

„ნიკუშა წერეთელი აზნაურ წერეთლების გვარეულობიდანაა, კერძოდ ის იმ წერეთლებისბუდიდანარის,რომლებსაც ზემოიმერეთში მოძღვრიშვილებს უწოდებენ. მისი ბაბუა, ნიკოლოზი, მამა — იოსებიც, ასევე ცნობილი დეკანოზები ყოფილან, იოსებს თავის დროზე უმსახურია მღვიმევის მონასტერში".

შემდეგ იპოლიტე ვართაგავა აღნიშნავს, რომ **მოძღვრიშვილების** გვარიდან **XIX** საუკუნის მეორე ნახევარში და **XX** საუკუნის **პირველ** მეოთხედში **არაერთი** ნიჭიერი მწერალი, ლიტერატორი და მეცნიერი გამოვიდა, **მათ** შორის ექიმი და **პუბლიცისტი**, **დიდი** ლოღიკის **და** ერუდიციის **პატრონი**, **ვასილ** **წერეთელი**, **რომელიც** **მედგრად** **ებრძოდა** „**კვალის**" **ნიჰილისტებს** — **ნოე** **ჟორდანიას** **მეთაურობით.**

ვასილის შვილი იყო აკადემიკოსი გიორგი წერეთელი; ქალიშვილი — თინა — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ვასილის ძმა — მიხაკო წერეთელი — ნიჭიერი ორატორი და კალმოსანი, რომელსაც ეკუთვნის „Baton"-ის ფსევდონიმით დაწერილი მონოგრაფია: „ერი და კაცობრიობა", იოსების შვილი იყო — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე — ალექსანდრე წერეთელი, ნიკუშას ძმა, „საბერძნეთის ისტორიის" ავტორი ....

იპოლიტე განაგრძობს თხრობას: — **„კვიცი გვარზე ხტისო, — ნათქვამია. ნიკუშაც პირველი შეხვედრიდან, პირველი გაბაასებიდანვე ამყღავნებდა გვარის, მოდგმის თვისებებს, ენაწყლიანად, კარგად მსჯელობდა.**

ეს-ეს იყო საშუალო სასწავლებელი დაემთავრებინა, უმაღლესში კი ჯერ არ აპირებდა შესვლას. მან მე ფიზკულტურის (ტანვარჯიშის) გაკვეთილები მთხოვა. მიიღო. კარგი მცოდნე მასწავლებელი გამოდგა. ყველას შეაყვარა თავი — მასწავლებლებს და მოწაფეებს. ინიციატივის მქონე გამოდგა. ხშირად აწყობდა ექსკურსიებს, ლიტერატურულ საღამოებს, თვითონაც კითხულობდა მოხსენებებს.

ჭიათურიდან ჩემი წასვლის შემდეგ ნიკუშას შეურთავს თავისი ნამოწაფარი, თამარა აბაშიძე, შავი ქვის ყოფილი მრეწველის, ჯიბო აბაშიძის ქალიშვილი და ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის, გრიგოლ აბაშიძის და. ცოლის შერთვის შემდეგ ის თბილისში გადმოსახლებულა და უნივერსიტეტში შესულა იურიდიულ ფაკულტეტზე".

ნიკოლოზ
წერეთელი

ყოველივე აქედან ნათლად ჩანს, რომ იპოლიტე ვართაგავა ზედმიწევნით კარგად იცნობდა ბატონ ნიკუშას მთელ საგვარეულოს და მის არისტოკრატიულ ოჯახს — წინაპრებიდან დაწყებული, მომდევნო თაობებით დამთავრებული.

მაშ, ასე: 1926 წელს ჭიათურის ახალგაზრდობამ, ქალაქის სახელმწიფო თეატრში, შეხვედრა მოუწყო ტერენტი გრანელს, სადაც მთავარი მომხსენებელი, ნიკუშა წერეთლის თხოვნით, იპოლიტე ვართაგავა იყო, მაგრამ ამ მოხსენებას წინ უძღოდა იპოლიტეს ცივი უარი, რამეთუ რამდენიმე წლით ადრე მის მიერ რუსულ გაზეთ „**Обновление**" -ში ტერენტი გრანელის ჟურნალის "კრონოსის სარკის" გაკრიტიკების შემდეგ, ძალიან უჭირდა აწ უკვე ჩამოყალიბებული აზრის შეცვლა გრანელის პოეზიის მიმართ, დითირამბების კაცი კი ის არასოდეს ყოფილა. მით უფრო, რომ იმ წლებში ახალ მესვეურთა ასეთი სიტყვებიც კი გაისმა: „ამიერიდან ჩვენ არ შეგვაწუხებს ძველი დახავსებული პოეზიის მკრთალი ფერები. . . ჩვენ არ შეგვაშინებს სივრცის უსაზღვროება, არც პატარა კაცუნების პრიმიტიული იერიშებიო . . ."

ჯერ ნიკუშა წერეთლის თხოვნამ, ხოლო შემდეგ თავად ტერენტი გრანელის მისვლამ ჭიათურის ცხრაწლედის მაშინდელი დირექტორის — იპოლიტე ვართაგავას კაბინეტში, აიძულა ი. ვართაგავა მოხსენება მოემზადებინა და ასე წარმდგარიყო დამსწრე საზოგადოების წინაშე. მან წარმოსთქვა სიტყვა და, როგორც იტყვიან არც მწვადი დაუწვავს და არც შამფური. ის, რომ, სიტყვის დამთავრების შემდეგ ტერენტი გრანელმა მხურვალედ გადაკოცნა მთავარი მომხსენებელი იპოლიტე ვართაგავა, მოწმობს მისტიკოსი პოეტის შემოქმედების აღიარებას კრიტიკოსის მიერ.

სწორედ ამის გამო წერდა პოეტი — სიმბოლისტი და ტერენტი გრანელის უახლოესი მეგობარი, შემდეგში მისი საფლავის პატრონი და გულშემატკივარი, კონსტანტინე გაჩეჩილაძე, იგივე კონნე სპერელი: „როდის იყო იპოლიტე ვართაგავა მართალი? როცა გაზეთ „**Обновление**"-ს ფურცლებზე ახალგაზრდა პოეტებს, მათ შორის ტერენტი გრანელსაც, მინასთან გვასწორებდა, თუ ჭიათურაში მოწყობილ ლიტერატურულ საღამოზე, სადაც ტერენტი გრანელის უბადლო ნიჭი, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე, ყველას გასაგონად აღიარა? (კონსტანტინე გაჩეჩილაძის შვილიშვილის მარინე ქადაგიძის წიგნიდან: „სივრცეში დარჩენილი ფრაზები", 2003 წ.)

კ. გაჩეჩილაძესთან დაკავშირებით, ჟურნალ „კრიტიკის" 1989 წლის მე-6 ნომერში გამოქვეყნებულ იპოლიტე ვართაგავას მოგონებაში ვკითხულობთ:

„მახსენდება კიდევ ერთი ახალგაზრდა — კონსტანტინე გაჩეჩილაძე (აქ ი. ვართაგავა კონსტანტინეს ნაცვლად, შეცდომით ალექსანდრეს ხმარობს) ყოფილი „ცისფერყანწელი", 1939 – 1940 წლებში მე შეთავსებით ვმუშაობდი ლექტორად სტალინირში. იქვე ლექტორად მუშაობდა კონსტანტინე გაჩეჩილაძე, სიმპათიური ახალგაზრდა. დავმეგობრდით. ხშირად ვსაუბრობდით ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე, ბევრს ვიგონებდით ქართული მწერლობისა და ქართველი მწერლების შესახებ, მაგრამ კონსტანტინეს ერთხელაც არ უხსენებია, თუ როგორ მწარედ მქონდა მისი პოეზია გაკრიტიკებული ძველ დროს, მე სრულებით არ მახსოვდა ეს ამბავი და ერთ საღამოს , კონსტანტინემ ღიმილით მითხრა: „გახსოვთ, ბატონო იპოლიტე, როგორ გაგვანიავეთ რუსულ გაზეთ „Обновление" -ში, "კრონოსის სარკეებიო?" მეც მაშინ ლექსებს ვჯღაბნიდიო.

— სრულებით არ მახსოვს ჩემი წერილის შინაარსი-თქო, — ვუპასუხე. . .

— საიტერესო წერილია, ოღონდ მისი შოვნა ძალიან ძნელია, ერთხელ მინდოდა მისი გადაკითხვა, თითქმის მთელი თბილისის ბიბლიოთეკები შემოვიარე, ერთ პატარა ბიბლიოთეკაში წავაწყდი და წავიკითხე, ორ ნომერშია მოთავსებული, თუ გაინტერესებთ, მოგიტანთო.

კონსტანტინემ თავისი სიტყვა შეასრულა. წავიკითხე ჩემი სრულიად დავიწყებული წერილი და უკან დავუბრუნე.

ახლა, როცა მე სიმბოლისტების სკოლის მიმდევრებზე ვფიქრობ ხოლმე, ისევ და ისევ ტერენტი გრანელი მახსენდება, რომელიც ლიტერატურისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ, მელანქოლიამ და განსაკუთრებულმა სევდამ სულიერ დეგრადაციამდე მიიყვანა" . . .

ეს პატარა ლიტერატურული ექსკურსი იმისთვის დამჭირდა, რათა მოკლედ ამეხსნა ის მიზეზი, რის გამოც იპოლიტე ვართაგავამ თავდაპირველად უარი განაცხადა ჭიათურის თეატრში ტერენტი გრანელის საღამოზე მთავარი სიტყვის თქმასთან დაკავშირებით.

იპოლიტე ვართაგავას მოხსენებას ნიკუშა წერეთლისა და გენო ქელბაქიანის სიტყვები შენაცვლებია. ორატორებს ცაში აუყვანიათ გრანელის პოეზია, რითაც დაპირისპირებიან მთა-

ვარ მომხსენებელს, მაგრამ ამ მდგომარეობას ხელი როდი შეუშლია იპოლიტე ვართაგავასა და ნიკუშა წერეთლის განუყრელი მეგობრული ურთიერთობისათვის. მრავალი წლის შემდეგ ამ დაპირისპირების გამო, თანამომხსენებლები ერთგვარ სინანულსაც კი გამოთქვამდნენ თავიანთ ქვემოთ მოყვანილ წერილებში.

განვლო დიდმა დრომ და თითქოს ყველაფერი დავიწყებას მიეცა, იპოლიტე ვართაგავამ და მისმა უმცროსმა მეგობარმა, ნიკუშა წერეთელმა დატოვეს ჭიათურა. ბედმა დროებით დააშორა ისინი და ცხოვრებისა და შემოქმედების ახალ გზას დაადგნენ. და აი, 1949 წელს რუსთაველზე შეხვედრილან.

იპოლიტე ვართაგავა იგონებს: **„გადავკოცნეთ ერთმანეთი, სად დაიკარგე, კაცო, ამდენ ხანს? როგორ ვერ შევხვდით ერთმანეთს? — ვკითხე. მიამბო, რომ რუსეთში ყოფილა ათი წელიწადი. ჩამოსვლის შემდეგ ისევ ჭიათურას დაბრუნებია; მსახურობს შავი ქვის ტრესტში, „ცოლ-შვილი-მეთქი? — ვკითხე. „ქალიშვილი გავათხოვე, უკვე ბაბუა ვარო," — მიპასუხა. მაშინ უნებლიეთ მივაქციე მას ყურადღება. ავხედ-დავხედე, ჩემს წინ იდგა თითქმის ისევ ის ახალგაზრდა ნიკუშა, რომელიც 1925 წელს ჩემთან მოვიდა გაკვეთილების სათხოვნელად".**

მეორედ იპოლიტე ვართაგავა და ბატონი ნიკუშა ჭიათურაში, ცნობილი პედაგოგის, ვოლდემარ სამსონის ძე ქაჯაიას დაკრძალვაზე შეხვედრიან ერთმანეთს.

1953 წლის ივნისში იპოლიტე ვართაგავა დასასვენებლად და სამკურნალოდ იმყოფებოდა გაგრის სანატორიუმ „ ეოეკვარა" -ში, ჩვენს საოჯახო არქივში შემორჩენილია გაგრიდან თავისი ქალიშვილის — თინასადმი გამოგზავნილი ასეთი მოკლე წერილი:

„ჩემო თინა!

ჰო, მართლა, დამავიწყდა, პირველ რიგში მომეწერა, რომ აქ, ჩვენ სანატორიუმში, ნიკუშა წერეთლის და შენი ამხანაგის, თამარა აბაშიძის ქალიშვილია ექიმად, ძალიან სიმპატიური ახალგაზრდა. ყოველ შეხვედრაზე მეკითხება: „როგორ ბრძანდებით, ბატონო იპოლიტეო".

იპოლიტესთან ერთად სანატორიუმში ისვენებდა თურმე ძველი თბილისელი ინტელიგენტი, გვარად გრიგოლია, რომლის ძმის ნასტუდენტარიც ყოფილა სანატორიუმის ეს ახალგაზრდა ექიმი. „ამ პროფესორის ყოფილმა მოწაფემ, — წერდა იპოლიტე ვართაგავა, — მე და ჩემი ამხანაგი განსაკუთრებული მზრუნველობის ობიექტად აგვიყვანაო".

როგორც აღნიშნული წერილიდან ჩანს, იპოლიტე ვართაგავამ ან არ იცოდა ან დააავიწყდა ნიკუშა წერეთელისა და თამარ აბაშიძის ქალიშვილის — მზიას სახელი, სახელი გივი ალასანიას მეუღლისა, რომელმაც შვა და გაზარდა ქალ – ვაჟი: გიული და თემურ ალასანიები. ამათგან გიული ნიკოლოზ სააკაშვილის პირველი მეუღლეა; მათი ქორწინების ნაყოფს წარმოადგენს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ანუ ნიკუშა წერეთლის მეოთხე თაობა.

ბოლო საქმიანი მიმოწერები იპოლიტე ვართაგავასა და ნიკუშა წერეთელს შორის 1962 წლითაა დათარიღებული.

ერთ-ერთი ბარათი იმავე 14 ივნისსაა გამოგზავნილი ჭიათურის რაიონის სოფელ ბჟინევიდან:

„ძვირფასო ნიკუშა, სალამი! არ არის ბუნებრივი და გასამართლებელი, რომ მე და შენ წლების განმავლობაში ვცხოვრობდეთ თბილისში ოჯახებით და ერთმანეთთან მეგობრული მისვლა-მოსვლა არ გვქონდეს. ვინ არის ამ შემთხვევაში მტყუანი, მე თუ შენ, ამის შესახებ პირად შეხვედრის დროს დაუმალავად გეტყვი.

ეხლა, ნიკუშა, ერთი თხოვნა მაქვს შენთან. შენ, ალბათ, გეცოდინება და შეიძლება წაკითხულიც გაქვს ჩემი „მოგონებების" პირველი წიგნი. მეორე ნაწილი ჩემი „მოგონებებისა" გამოდის გამომცემლობა „ცოდნა" -ში ამ მოკლე ხანში. მე მაქვს კიდევ ბევრი სხვა მოგონება.

მესამე ნაწილისთვის მასალის დამზადებას მე უკვე შევუდექი სოფელ ბჟინევში. მესამე ტომში პირველად უნდა შევიდეს ჩემი მოგონებები ჭიათურის ჰუმანიტარული ტექნიკუმის და ცხრაწლედის სწავლა-აღზრდის და მასწავლებელთა გარშემო. ეს ჩემი მოგონება, მგონი, შენცა გქონდა რამდენიმე დღით ხელში.

ჩემი სურვილია და თხოვნაც, ეს მოგონებები, სანამ საბოლოოდ რედაქტირებული იქნება ოფიციალური რედაქტორის მიერ, შენ დაკვირვებით გადაიკითხო, სამართლიანად შეაფასო და რეცენზია დაწერო, ამ რეცენზიას მე, მასალასთან ერთად, წარვუდგენ ცნობათ გამომცემლობას.

შენი რეცენზია მე იმისთვის მინდა, რომ ამ მოგონებაში მოთხრობილი ფაქტების, მოვლენების და დახასიათებული ადამიანების შესახებ შენ, როგორც უშუალო მონაწილეს, ცოცხალი ცნობები და წარმოდგენა გექნება. რეცენზიაში აღნიშნავ მოგონებების დადებით და უარყოფით მხარეებს. გარდა რეცენ-

ზიებისა, შენ კერძო წერილში მომწერ, მიმითითებ, თუ რამე აშკარა ფაქტიურ შეცდომას აღმოაჩენ ან რომელიმე პიროვნების დახასიათება ტენდენციურად გეჩვენება და ცნობ საჭიროდ ამ უსამართლობის და ტენდენციის ან მთლად ამოღებას, ან შერბილებას. ვეცდები შენი მითითება შევასრულო.

განსაკუთრებით მინდა, რომ შენ დაკვირვებით წაიკითხო ჩემი დახასიათება გერვასი ბარათაშვილზე . . .

ასეთი მუშაობა შენ, რასაკვირველია, დიდ დროს წაგართმევს, მაგრამ როგორც ახალგაზრდას და მეგობარს, ამ შრომას გავალებს 90 წელს გადაცილებული შენი მეგობარი.

1962 წ. 14\6.

ს. ბუინევი.

ჩემი ზაფხულის მისამართი: საჩხერე, სოფ. ქორეთი, მზეხა ქამუშაძეს. გადასაცემად იპ. ვართაგავას."

ბატონ ნიკუშასთან გამოგზავნილ წერილს ბაბუა იპოლიტემ ჩემი და ჩემი დის — მეგის სახელზე თან მოაყოლა პატარა უსტარი, რის საფუძველზეც მისი მოგონება — „მე და სხვები", უნდა გადაგვეცა ნიკუშა წერეთლისთვის. წერილში ვკითხულობთ:

„ძვირფასო ავთანდილ და მეგი!

იმ „მოგონებათა" მეორე ნაწილზე მე და თინა ვმუშაობდით ორი თვე, განსაკუთრებით თინა, რომელმაც 400 გვერდი მანქანაზე გადაბეჭდა. ახლა მე თქვენ ნახევარი დღის მუშაობას გავალებთ:

ავთოს:მივიდესგრიშასთან(ნადარეიშვილთან), შეიტყოს მისგან ნიკუშა წერეთლის მისამართი და მიუტანოს მას ჩემი წერილი და მოგონება „მე და სხვები". თუ გრიშამ მისი მისამართი არ იცის, მაშინ გამოართვას მას პროფესორ ალ. წერეთლის (ნიკუშას ძმის) მისამართი, მივიდეს მასთან, შეიტყოს ნიკუშას მისამართი და მიუტანოს მას წერილი და მოგონება, თუ ნიკუშა სახლში არ იქნა, წერილი და მოგონება ჩააბაროს მის ცოლს".

იპოლიტე ვართაგავას ასეთი, ერთი შეხედვით უბრალო დავალება, საშუალებას გვაძლევდა, შევხვედროდით საქართველოს მაშინდელ ღირსეულ ადამიანებს, გავცნობოდით პირადად მათ და ზოგჯერ მათ ოჯახებსაც კი. ამიტომაც სიხარულით ვასრულებდით ხოლმე ამ მისიას.

ასე იყო ბატონ ნიკუშა წერეთელის შემთხვევაშიაც . . .

იმავე წლის 15 აგვისტოს ნიკუშა წერეთელი პირად წერილსა და რეცენზიას უგზავნის იპოლიტე ვართაგავას, რომელიც საინტერესოა უშუალოდ ტერენტი გრანელთან დაკავშირებით. წერილში ვკითხულობთ:

„ ... გამოტოვებული გაქვთ მოგონებაში ერთი ფაქტიც (ჭიათურის სინამდვილიდან) სახელდობრ აწ განსვენებულ პოეტ ტერენტი გრანელის საღამო ჭიათურაში და თქვენი მოხსენება მის პოეზიაზე. ტ. გრანელი, ისე, როგორც ესენინი რუსული პოეზიაში, ბოჰემისტური, ლირიულ-პესიმისტური პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. სულ სხვაა მისი პოეზიის თვალსაზრისის მიუღებლობა, მაგრამ ის რომ ნიჭიერი პოეტი იყო, ამის უარყოფა უსამართლობა იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ გასულ წელს გამოცემულ იქნა მისი ლექსების კრებული, რომელიც დიდი ინტერესით დაიტაცეს და აღარსად იშოვება.

მე მოგაგონებთ ტერენტი გრანელის ამ საღამოს შესახებ: თუ არ ვცდები, 1925 წელს, მგონი შემოდგომაზე, ჩვენ, ჭიათურის სახელმწიფო თეატრში, გრანელის პოეზიის საღამო მოვაწყვეთ (ტერენტი გრანელი ჩემი მეგობარი იყო და მე მეწვია ჭიათურაში).

ამ საღამოს ტერენტი გრანელის შესახებ მომხსენებლობა გთხოვეთ თქვენ როგორც ცნობილ კრიტიკოსს. მომხსენებლად გამოვდიოდით აგრეთვე მე და აპოლონ ტიანელი — გენო ქელბაქიანი —დრამატურგი.

ჩვენ, როგორც პოეზიაში მაშინ მემარცხენე მიმდინარეობის მოტრფიალე ახალგაზრდობამ, დიდი ხოტბა შევასხით ტერენტი გრანელის პოეტურ ნიჭს და შემოქმედებას. მკაცრი კრიტიკით ჩვენი შეფასებისა და გრანელის პოეზიის მცდარი სათავეების შესახებ გამოხვედით თქვენ და თქვენს მოხსენებაში მოურიდებლად დაგმეთ გრანელის პესიმიზმი, მისი შემოქმედების სოციალური რეალიზმიდან აცდენილობა, რაც შესანიშნავი გაკვეთილი იყო, როგორც ჩვენთვის, ისე მისთვის.

რამდენადაც მახსოვს, თქვენ მკაცრად გამაფრთხილედ, იმ საღამოზე შემოსული თანხა არავითარ შემთხვევაში არ მიმეცა ხელზე ტერენტისათვის, რადგანაც იცოდით მისი თავშეუკავებელი ლტოლვა "ბახუსისაკენ". ჩვენც საღამოს მთელი შემოსავალი ფოსტით გავუგზავნეთ მწერალთა კავშირს გრანელის სახელზე, მაგრამ მარცხს მაინც ვერ ავცდით. მეორე დღეს ტერენტი უგრძნობ მდგომარეობაში ავიტაცეთ ხელში და უსულგულო მთვრალი მივიტანეთ ჩვენს ბინაში ... უღმრთოდ დამთვრალიყო და იქვე ყვირილას პირას მისვენებულიყო ...

ნიკუშა წერეთელი, 1962 წ. 15\8

დიდხანს არც იპ. ვართაგავას საპასუხო წერილს დაუყოვნებია. ორი კვირის შემდეგ, კერ-

ძოდ, 1962 წლის 30 აგვისტოს იგი ბჟინევიდან სამადლობელო წერილით ეხმიანება თავის რეცენზენტს:

„ძვირფასი ჩემო ნიკუშა! გულწრფელი სალამი სოფელ ბჟინევიდან! შენს მიერ საფუძვლიანად წაკითხული ჩემი მოგონება შენიშვნებით თბილისიდან სოფელში გადმომცა ჩემმა შვილიშვილმა ამ დღეებში. წავიკითხე ყველა შენი შენიშვნა და მათ დიდ უმრავლესობას ვიზიარებ. გადაწყვეტილი მაქვს, მათი შინაარსის შესაბამისად, შენს მიერ აღნიშნული ადგილები შევასწორო.

დიდად გმადლობ თხოვნის დაუყოვნებლივ შესრულებისა და დიდი მუშაობის ჩატარებისათვის! ჩემი მოგონებათა მეორე წიგნი გამოვიდა და თბილისში ჩამოსვლისთანავე მოგიძღვნი.

შენს მეუღლეს თამარს, ჩემს ყოფილ მოწაფეს, შენს ქალიშვილს (სახელი ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა) — ჩემს ექიმს გაგრიდან, შენს სასახელო ძმას ალიოშას და მის მეუღლეს მარიამს სიყვარულით მოვიკითხავ.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, შენს „დიდ“ დანაშაულს გამოასწორებ და ღრმად მოხუცებულს, ერთ დროს თანამსახურს, ინახულებ.

სიყვარულით და პატივისცემით —

იპოლიტე ვართაგავა.

30\8 -1962 წ.

ს. ბჟინევი“.

დასასრულ მკითხველს მინდა შევახსენო დრამატურგ გენო ქალბაქიანის მიერ ჟურნალ „ცისკრის“ 1967 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი წერილი სათაურით: „ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა“, რომელიც უშუალოდ ტერენტი გრანელის ჭიათურის სახელმწიფო თეატრში შეხვედრის ამბავს ეხება:

„ჭიათურაში ტერენტი გრანელს დიდებული ლიტერატურული საღამო მოუწყვეს, — წერს ბატონი გენო, — **მოხსენებით გამოვიდა ცნობილი კრიტიკოსი და მკვლევარი იპოლიტე ვართაგავა (მშრომელი ხალხის წინაშე ვალმოხდილი, ჩინებული მწერალი და დამსახურებული მასწავლებელი. იგი სულ ახლახან, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა და მისი ნეშტი დიდუბის წმინდა პანთეონმა მიიბარა).**

ამ შესანიშნავმა ადამიანმა ბევრი ლამაზი სიტყვით შეამკო ტერენტი გრანელის პოეტური ნიჭი, მაგრამ ბევრი მეტად სამართლიანი შენიშვნაც მისცა, უწოდა მას „დაგვიანებული პესიმისტი“, ურჩია თავისი ნიჭი უფრო ნამდვილი, თანამედროვეობის შესაფერისი გზით წარემართა. ეს ისეთი თბილი, მშობლიური გულისხმიერებით უთხრა, რომ ტერენტი გრანელი მას გადაეხვია და აკოცა.

საღამოზე ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა შემდეგში ცნობილმა დრამატურგმა მიხეილ ჯაფარიძემ.

მე გამოვედი ყოვლად უსუსური მტკიცებით, შევედავე მაშინაც ცნობის მოღვაწეს იპ. ვართაგავას პოეზიის გაგებაში. ვთქვი, რომ პოეზია ლიტერატურაში მარადიული სენის მღაღადებელი ჟანრია, რომ ტერენტი გრანელის პესიმიზმი გამართლებულია. (ო, რა „სიბრძნეები“ წამოვროშე).

იპოლიტე ვართაგავა იჯდა და მიცქეროდა ოდნავ შესამჩნევი ღიმილით, რომელშიც ჩანდა ირონიაც, სულგრძელობაც და სინანულიც ჩემი ჩამორჩენილობის გამო“.

მოგონებათა წიგნში: „მე და სხვები“ იპოლიტე ვართაგავამ ჭიათურის ყოფილი ცხრაწლედის (ამჟამინდელი II საშუალო სკოლა) აღმზრდელ-მასწავლებელთა დაუვიწყარი სახეები უკვდავყო.

ზემოხსენებულ წიგნში, მიზეზთა გამო გაცოცხლებული არ არის ჭიათურაში ტერენტი გრანელთან შეხვედრის ამბები, რისი შევსებაც მე ამ წერილით მსურდა. 80 წლის გადასახედიდან შევეცადე წარსულის დაუვიწყარ დღეთა მკვდრეთით აღდგინებას, მსგავსად მაცხოვრის მიერ ლაზარეს აღდგინებისა.

ტერენტი გრანელი

სოფიკო ჭიაურელი

სოფო ნინოსაძვილი

მსახვალსახეობის ოსტატი

(სოფიკო ჭიაურელი)

სოფიკო ჭიაურელის ხელოვნება ქართული თეატრისა და კინოს ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია. მისი მღელვარე ფაქტებით აღსავსე ცხოვრება გადახლართულია შემოქმედებით საინტერესო, შთამბეჭდავ პროცესთან. ამიტომაა სოფიკო ჭიაურელის განვლილი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი გზა ქართული სასცენო და კინოხელოვნების მატიანის ერთი შესანიშნავი ფურცელი.

დაიბადა 1937 წლის 21 მაისს თბილისის ძველ უბანში ფიქრის გორაზე, იმ სახლში (სწორედ სახლში და არა სამშობიაროში), რომლის ნაფუძარზეც გასული საუკუნის ოციან წლებში მისი მშობლები ჯერ კიდევ დაუსახლებელ გორაზე, დათქმულ პაემანზე ერთმანეთს პირველად ეამბორნენ... და ვაჟმა დაპირებისამებრ საკუთარი ხელით აუგო შეყვარებულს სახლი. ესენი იყვნენ: მსახიობი, მხატვარი, მოქანდაკე, მომღერალი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მიხეილ ჭიაურელი და ქართული სცენის ამომავალი ვარსკვლავი ვერიკო ანჯაფარიძე.

ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დიდი ხელოვანი მიხეილ ჭიაურელი პოლიტიკური სატირიდან დაწყებული ეპოქის თანხმიერ მრავალ გმირულ-მონუმენტურ კინოეპოპეას ქმნიდა. ვერიკო ანჯაფარიძე მსახიობი-ლეგენდა. ტრაგიკული როლების სწორუპოვარი შემსრულებელი სცენაზე: ინგლისის ხელოვნების აკადემიამ მეოცე საუკუნის ქალ მსახიობთა ათეულში დაასახელა. მიხეილ ჭიაურელი დაახლოებული იყო ბელადთან და მასთან მეგობრული ურთიერთობით ამაყობდა. პირიქით იყო ვერიკო ანჯაფარიძე, ის კომუნისტური პარტიის იდეებს არ გაჰკარებია... ვერ აიძულეს თეატრის ხელმძღვანელად დანიშვნის პერიოდშიც კი. ამ ორი ბობოქარი ხელოვანის ოჯახის მჩქეფარე ცხოვრებამ, გამოჩენილ ხელოვანთა მუდმივმა სტუმრობამ, ერთგვარმა ბოჰემურმა საოჯახო ყოფამ არ დათრგუნა პატარა სოფიკოს ფსიქიკა, პირიქით, სამამულო ომის გაჭირვების ჟამის მიუხედავად უზრუნველი, ლაღი ბავშვობა ჰქონდა. კინოექსპედიციაზეც დაჰყავდათ, მარჯანიშვილის თეატრის კულისებშიც გაუთავებლად დარბოდა. რა თქმა უნდა, სპექტაკლებსაც ხშირად ესწრებოდა, თუმცა მსახიობობაზე არ ფიქრობდა (ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ უნდოდა ქირურგი გამოსულიყო), მაგრამ არჩევანის დრო როცა დადგა არტისტულმა გენმა იმძლავრა, მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში გადაწყვიტა სამსახიობო განათლების მიღება. რუსული თეატრის ცნობილი მსახიობების ოლგა პიჟოვას და ბორის ბიბიკოვის სახელოსნოში ჩაირიცხა. სწავლის პირველსავე წელს მიწვეული იყო ქართულ კინემატოგრაფიაში კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის მიერ და თავისი თანატოლი, ახტაჯანა (თავისი ბუნების მსგავსი) ციცინო განასახიერა კინოფილმში **„ჩვენი ეზო“**. ერთსულოვნად იქნა აღიარებული სოფიკო ჭიაურელის პირველი ნაბიჯი (ფილმმა 1957 წელს მოსკოვში ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე ოქროს მედალი დაიმსახურა).

ორმოცდაათიანი წლების ქართულ კინემატოგრაფიაში ქალის გარეგნული მშვენიერების თავისებური გაგება, სხვა ესთეტიკა იყო. ლეგენდარული კინოვარსკვლავის ნატო ვაჩნაძის მოღვაწეობა შენყდა, თეატრსა და კინოს ულამაზესი ქალბატონები ეკრანული

სილამაზის ახალ ნორმას ამკვიდრებდნენ და ერთგვარად შტამპსაც. როცა ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ს. ჭიაურელი გამოჩნდა ეკრანზე, მას ლამაზი არ ეთქმოდა. მისი გარეგნობა არ ემთხვეოდა ლამაზმანების მოდელს. მსახიობმა მაყურებელი დაიპყრო თავისი უშუალობით, პიროვნული ღირსებებით, შემოქმედებითი ნიჭის გამონათებით. ამ პერიოდში ქართულ ხელოვნებაში: მწერლობაში, კინოში, მუსიკაში, მხატვრობაში, თეატრში თავისი მხატვრული სათქმელით მოვიდა ახალი თაობა. ეს იყო პომპეზურობასა და ჰეროიკას დაპირისპირებული გამომსახველობითი საშუალებების ლაკონურობა, სისადავე და განცდის სიმართლე.

სოფიკო ჭიაურელის დებიუტი კინოში 1956 წელს შედგა, თეატრში კი 1961 წელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მივიდა მარჯანიშვილის თეატრში, სადაც მოღვაწეობდა დედამისი და სცენის მრავალი ოსტატი. ამ თანავარსკვლავედში მალე საკუთარი ადგილი მოიპოვა. ქართულ თეატრში ბევრი ნიჭიერი მსახიობი ქალი იყო ვ. ანჯაფარიძის ტალანტის ტყვეობაში, ბაძავდნენ კიდეც მის აქტიორულ მანერას. ს. ჭიაურელი კი პირიქით, ყოველთვის ცდილობდა არ დამსგავსებოდა დედას, თუმცა ზოგჯერ უნებურად ინტონაციით, თუ მოქნეული ჟესტით მაინც გვაგონებს განუმეორებელ მსახიობს.

სოფიკო ჭიაურელი მკვეთრი ინდივიდუალობის, დიდი დიაპაზონის მსახიობია. ამპლუის ჩარჩოები არ ზღუდავს განასახიეროს სახასიათო, გროტესკული, ექსცენტრული, ლირიკული, რომანტიკული, დრამატული – თანამედროვე თუ კლასიკური რეპერტუარიდან. ს. ჭიაურელი გამოირჩევა სცენური მომხიბვლელობით, მხატვრული სახის ორიგინალური გადაწყვეტით. მისი აქტიორული ინდივიდუალობა არავითარ სტილისტურ დაყოფას არ ექვემდებარება. ალბათ, ასეთები იყვნენ – ქართული ხალხური სანახაობის მსახიობები ბერიკები – გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნებით, იმპროვიზაციისა და ხალასი ნიჭით დაჯილდოებულნი.

ბერძენი დრამატურგის ნ. პერიალისის პიესას **„ბაბთიანი გოგონა“** (დაიდგა 1962 წელს, მარჯანიშვილის თეატრში. რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე) მელოდრამატული ელფერი დაჰკრავს. სოფიკო ჭიაურელის მიერ სპექტაკლში ჰარას როლის განსახიერების წყალობით სენტიმენტალიზმი გაქრა. სცენური სიმართლის სრულიად თავისებური შეგრძნება, რაც ს. ჭიაურელმა შემოიტანა სცენაზე, იმ პერიოდში არავის ახასიათებდა. გრძნობათა გამოვლენის ამგვარი ბუნებრიობა მსახიობის ინდივიდუალობის დაბადებასაც მოასწავებდა და სათავესაც უდებდა მხატვრული აზროვნების ახალ ტალღას.

შექსპირი ქართულ სცენაზე უპირველესი ავტორია. მრავალი ორიგინალური ინტერპრეტაციით არის მდიდარი ქართული შექსპირიანა. აქტიორული კარიერის დასაწყისშივე მოუხდა ს. ჭიაურელს შექპირის დრამატურგიაზე მუშაობა. ს. ჭიაურელი ჯულიეტას როლში გულწრფელად გვიჩვენებდა სიყვარულის ძლიერი შემოტევისას ანცი, ნორჩი გოგონა, როგორ გარდაიქმნებოდა მტკიცე ნებისყოფის მიჯნურად – ქალად ქცევის პროცესს წრფელი გრძნობა წარმართავდა. მსახიობი არ ცდილობდა აღორძინების ეპოქის ფერწერულ ტილოებზე ასახული ქალწულებრივი იერი ჰქონოდა. ს. ჭიაურელის ჯულიეტაში თანამედროვე ქალიშვილის იერსახე გამოკრთოდა. ს. ჭიაურელმა განასახიერა შექსპირის კიდევ ერთი სახე სცენაზე (ჰერმია. რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლში **„ზაფხულის ღამის სიზმარი“**) და ეკრანზე კურტიზანელი ქალი („ლენფილმში“ – **„შეცდომათა კომედია“**).

სოფიკო ჭიაურელის საერთაშორისო კინო აღიარება შოთა მანაგაძის კინოფილმში **„ხევსურული ბალადა“** მოხდა. ეს იყო შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში, საერთაშორისო კინოფესტივალის დროს. ს. ჭიაურელის მზექალა მთის შვილია, მიამიტი და ლაღი. ლაჟვარდოვან ცისქვეშ, ჩანჩქერების შხუილსა და ცხენების ჭიხვინში გაზრდილი. ზნეობრივი სიწმინდე, უშრეტი გზნება, გამომწვევი სითამამე კიდევ უფრო ალამაზებს, დაუცხრომელი სული და მომნუსხველი გამოხედვა აქვს, ამიტომ სიყვარულშიც ზეამაღლებულია. წრფელი და პოეტური.

ინტელექტუალური დრამის საუკეთესო ნიმუში ჟ. ანუის **„ტროლა“** მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა 1965 წელს **„ჟანა დარკის“** სახელწოდებით. ს. ჭიაურელის აქტიორული პალიტრისათვის ინტელექტუალური დრამის პრინციპები ადვილი დასაძლევი აღმოჩნდა.

„ბერიკონი“. ლალე — გ. ბერიკაშვილი, იანო — ს. ჭიაურელი

ბეტი — „გვირილა“

ჟანა დარკის უკვე გარდასული, ამაღლებული და ტრაგიკული თავგადასავალი პიროვნული ხერხით ვითარდებოდა. ჟანა მაღალი იდეალებისათვის წირავს სიცოცხლეს. თავისუფლებისაკენ სწრაფვაა მისი ურყევი მიზანი. ჟანა დარკის გასამართლების პროცესია – პიესის ქარგა. ს. ჭიაურელი ფილიგრანულად დამუშავებული ფსიქოლოგიური დეტალების სრული ბრწყინვალეებით გვიხატავდა თავდაპირველად უმანკო ორლეანელი გლეხის გოგოს გულუბრყვილობას, ღვთიური ხმები სამშობლოს ხსნისაკენ რომ მოუწოდებს და ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგობის მიუხედავად, დასახული მიზნისაკენ შეუპოვრად რომ ისწრაფვის. მსახიობის განცდის აფეთქების ხარისხი სჭარბობდა ინტელექტუალური დრამის ემოციურ ჩარჩოებს.

ანტიგონე (ჟ. ანუის **„ანტიგონე“**) სოფიკო ჭიაურელმა რუსთაველის თეატრის სცენაზე მიხეილ თუმანიშვილის შესანიშნავ სპექტაკლში ითამაშა. მისი პარტნიორი დიდი ქართველი მსახიობი სერგო ზაქარიაძე იყო.

... ანტიგონე აღასრულებს ღვთაებრივ წესს – ძმის ცხედარს მიწას მიაბარებს. მან იცის, რომ სიცოცხლის ფასად დაუჯდება ეს საბედისწერო ნაბიჯი, მაგრამ გადაწყვეტილებაში ურყევია. ანტიგონე – პიროვნება მაღლდება ხელისუფალზე. კრეონთან პაექრობაში უკომპრომისოა და იცავს საკუთარ ზნეობრივ პრინციპებს. მსახიობი შესანიშნავად დამუშავებული ფსიქოლოგიური წიაღსვლებით გვაჩვენებდა ოიდიპოსის დაუმორჩილებელ ქალიშვილის ჯერ ბავშვურ სიჯიუტეს, თავგანწირვას, თანდათან გონება იმარჯვებდა. იგი არ წარმოაჩენდა უშიშარ გმირს, გარეგნულად შიშნარევი და შემკრთალი გამოიყურებოდა, მაგრამ მოვალეობის გრძნობა აკაჟებდა – ზურგშექცეული თუ გარინდული დაძაბული სხეულიდან სახიერად ამჩნევდით ამას. რუსთაველის თეატრის პოლონეთსა და გერმანიაში გასტროლების დროს მაღალი შეფასება მიიღო ს. ჭიაურელის ანტიგონემ.

სოფიკო ჭიაურელის აქტიორული ინდივიდუალობა ახალი კუთხით გაიხსნა მ. თუმანიშვილის სატელევიზიო სპექტაკლში ჟ. კოკტოს **„ადამიანის ხმა“**. საყვარელი ადამიანის მიერ მიტოვებული ქალის ტრაგიკული ვნებათაღელვა ძლიერი შინაგანი დაძაბულობითა და განცდით იღვრებოდა ეკრანიდან. მარტოხელა ქალის უკანასკნელი სასოწარკვეთილი ზლუქუნი გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. „მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება უმაღლეს დონეს აღწევდა“ (მ. თუმანიშვილის სიტყვებია).

მშობლიურ ქალაქში სტუმრად ჩამოსულმა კლარა ცახანასიანმა (ფ. დიურენმატის **„მოხუცი მანდილოსნის ვიზიტი“**. მარჯანიშვილის თეატრი. რეჟისორი მ. თუმანიშვილი) საოცრად მშვიდი ტონით გიულენის მკვიდრთ მილიარდის საფასურად ერთი ადამიანის სიცოცხლე მოსთხოვა. ამ განაცხადმა მოსახლეობას ჯერ თავზარი დასცა, თანდათან მორალურად დაშალა და ადამიანურობა დააკარგვინა... ფული იმარჯვებს, ქალაქი უთმობს მილიარდელს ყოფილ შეყვარებულს... დიდ ოსტატობას აქსოვდა მსახიობი კონდრატის ტყეში ალფრედთან პაემანის სცენაში ტრაგიკული აღსარებისას. მაყურებლის თვალწინ დასახიჩრებულ, ხეიბარ ცახანასიან-ჭიაურელს სახეზე ნაჭრილობევი უქრებოდა, უმოძრაო ნაკვეთებს სინორჩე, უცოდველობა უბრუნდებოდა და ისეთი აღმაფრენით აცოცხლებდა მსახიობი ტრფობის პირველ დღეს, მოგონებაში გადასული ისეთი დრამატიზმით წარმოსთქვამდა მიტოვებული გოგონას მწარე ხვედრზე, რომ გასაგები ხდებოდა ცახანასიანის ავბედითი, სასტიკი განაჩენი.

ბრეხტის დრამატურგიული მეთოდი, მისი სასცენო ესთეტიკა და გაუცხოების ხერხი მსახიობისაგან ანალიტიკურ აზროვნებას მოითხოვს. ს. ჭიაურელმა რობერტ სტურუას სპექტაკლში **„სეჩუანელი კეთილი კაცი“** (რუსთაველის თეატრი. 1967 წელი) შან ტეს და შუი ტას როლის განსახიერებისას ბრეხტისეული გმირის შესრულების თავისებურება ორგანულად შეითვისა.

სოფიკო ჭიაურელი თეატრთან ერთად ყოველთვის პარალელურად მოღვაწეობდა კინოში. სპეციალურად მისთვის ქმნიდნენ კინოსცენარებს რეჟისორები: მიხეილ ჭიაურელი, შოთა მანაგაძე, ლანა ღოღობერიძე, გიორგი შენგელაია, ორიგინალური მხატვრული ხედვის – სერგო ფარაჯანოვისთვის სოფიკო ჭიაურელი რამდენიმე ფილმის შთაგონების წყარო იყო. მას თავის შემოქმედებით მუზად თვლიდა. უნიკალური შემთხვევაა კინოფილმ **„საიათნოვაში“** ს. ჭიაურელის მიერ ერთდროულად ექვსი როლის შესრულება. ჭაბუკი საიათნოვას და მის ხილვებში წარმოქმნილი ირეალური, სიმბოლური პერსონაჟები არაჩვეულებრივი სრულყოფილებით იყო ჩამოქნილი მსახიობის მიერ. ს. ფარაჯანოვს განუხორციელებელი დარჩა ს. ჭიაურელისთვის დაწერილი სცენარი **„შუშანიკის წამება“** (ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების მიხედვით) და უკანასკნელი ავტობიოგრაფიული ფილმი **„აღსარება“**, სადაც ს. ჭიაურელს ს. ფარაჯანოვის დედის როლი უნდა განეხორციელებინა. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დიდი წარმატებით უჩვენებენ ს. ფარაჯანოვის ფილმებს. ამ წარმატების განმსაზღვრელი ხომ ს. ჭიაურელის ნატიფი ხელოვნებაც არის.

1972 წელს მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ სოფიკო ჭიაურელისთვის დადგა სოფოკლეს **„ანტიგონე“**. ანტიგონე-ჭიაურელს მრისხანებას სინაზე ერწყმოდა. მსახიობის შინაგანი მღელვარება, ტრაგიკული გზნება უფრო მიწიერი იყო, ვიდრე მითიური ზეაწეულობით გარემოსილი. ემოციური ტონუსიც უფრო ადამიანური ჰქონდა, ვიდრე ზექალის. ანტიგონე-ჭიაურელის გახელებას, შეუვალობას, გოდებას, მკაცრ ტონს ანტიკური ტრაგედიის ჟანრისთვის დამახასიათებელი პათეტიკურობა არ ახასიათებდა. გარეგნულად კი ანტიკურ სკულპტურას მოგაგონებდათ – ძველი ბერძნული ფრესკებისგან ნაკარნახევი პლასტიკური ნახაზით, გამომსახველი ჟესტებით, მეტყველი, ვედრებით აპყრობილი ხელებით.

„ურიელ აკოსტა“ ქართული თეატრის ლეგენდარული სპექტაკლია. კოტე მარჯანიშვილის მიერ 1929 წელს დადგმულმა კ. გუცკოვის ამ პიესამ ტრაგიკული ჟღერადობა შეიძინა და ფორმის, აქტიორული ანსამბლის ჰარმონიულობით ათეული წლებია აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი. აქტიორულ თაობათა მონაცვლეობით დღემდე ცოცხლობს, რამდენჯერმე აღადგინეს ეს შედევრი. ივდითის როლის პირველი შემსრულებელი ვერიკო ანჯაფარიძე იყო. სამოცდაათიან წლებში მანვე აღადგინა ეს სპექტაკლი და ესტაფეტა ქალიშვილს გადასცა. გავიდა კიდევ ორი ათეული წელი და ახლა ს. ჭიაურელმა აღადგინა უკვდავი სპექტაკლი ახალგაზრდა შემსრულებლებით, წელსაც სპექტაკლს ახალგაზრდებმა კვლავ გაუხანგრძლივეს სიცოცხლე.

სოფიკო ჭიაურელი ივდითის როლში გარეგნულად იმეორებდა ივდითის პირვანდელ ხატს. შინაგანი სისავსე კი საკუთარი ინდივიდუალური ნიჭიერების შესაძლებლობის წყაროდან მოდიოდა. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური განცდის ნაყოფი იყო. მსახიობი ივდითის სულიერ ბრძოლას, გაორებულ ტრფიალს საღი გონებით წარმართავდა და სიკვდილსაც უშფოთველად, ლამაზად ხვდებოდა.

რუსული კლასიკური რეპერტუარიდან სოფიკო ჭიაურელმა მარჯანიშვილის თეატრში ითამაშა ნეგინა (ა. ოსტროვსკის **„ტალანტები და თაყვანისმცემლები“**), აგაფია ტიხონოვნა (ნ. გოგოლის **„ქორწინება“**), ანა კარენინა და რუსთაველის თეატრში ნატალია ივანოვნა გიორგი ტოვსტონოგოვისეულ სპექტაკლში (მ. გორკის **„მდაბიონი“**).

ტასია — **„რაც გინახავს ველარ ნახავ“**

სოფიკო ჭიაურელმა ქართულ კინომიუზიკლებში გიორგი შენგელაიას **„ვერის უბნის მელოდიები“** და ლანა ღოღობერიძის **„აურზაური სალხინეთში“** ჟანრის უტყუარი ალღოთი განასახიერა ვარდოსა და თამროს სახეები. სოფიკო ჭიაურელი მუსიკალობასთან პლასტიკურობის შერწყმული ნიჭიერების დემონსტრირებას ახდენდა. დახვეწილი გემოვნება და ზომიერების გრძნობა არ ღალატობდა. მას არც ძლიერი ხმა აქვს და არც ნარნარი ტემბრი, მაგრამ იმდენად შთამბეჭდავი, მოქნილი და ინტონაციურად მდიდარია, რომ მაყურებლის სმენას ესალბუნება. ეადვილება სიმღერა. ს. ჭიაურელის სცენურ თუ ეკრანულ

სახეში სიმღერისა და ცეკვის მომენტი ყოველთვის ორგანულია და როლის ბუნებიდან მომდინარეობს. სპექტაკლში **„მზის დაბნელება საქართველოში“** ვასო გოძიაშვილის თხოვნით ქორეოგრაფის დახმარებით მან რაღაც ბოშური ცეკვის მსგავსი მგზნებარე იმპროვიზაციული ცეკვა შეთხზა, თავდავიწყებით შესრულებული კოლორიტული ქურთული ცეკვა სარეს (**„ეზოში ავი ძაღლია“**) გიჟმაჟ ხასიათს უკეთ ავლენდა. რობერტ სტურუას შეკვეთით სპექტაკლ **„ხანუმაში“** ქორეოგრაფმა ი. ზარეცკიმ სპეციალურად მისთვის დადგა მანამდე მამაკაცის საცეკვაოდ განკუთვნილი კინტოს ცეკვა. ეს მინიატურული შედევრი ფირზეც არის აღბეჭდილი და ეკრანზე ყოველი გაელვებისას აღტაცებას იწვევს.

ქართველი ქალის ეროვნული ბუნება – კდემამოსილება, სიდარბაისლე, დედობრივი სიყვარულის სიმწვავე, ზოგჯერ გახელება და სიანჩხლეც ს. ჭიაურელის შემოქმედებაში სრულყოფილად კინოფილმებში უფრო გამოიკვეთა, ვიდრე თეატრში. კინოფილმში **„ნუთისოფელი“** (რეჟისორები: შოთა მანაგაძე, ნოდარ მანაგაძე) მსახიობი ქმნიდა ქართველი ქალის მრავალტანჯულ ცხოვრებას ქალიშვილობიდან ხანდაზმულობამდე. სიდონიას თავზე გადაიარა ისტორიის ქარტეხილებმა, მაგრამ მას მაინც გაუტეხელი ხასიათი შერჩა. სიდონია-ჭიაურელი მკაცრია სიხარულისა თუ დიდი მწუხარების გამოხატვაში. პირმოკუმულს მხოლოდ ღრმა გმინვა აღმოხდება შვილის დაღუპვისას (ეს უკვე მეორე შვილია!)... ამ გარეგნულ სიმშვიდეში სახიერად ჩანდა რა ცეცხლი ენთო მის სულში. დრამატიზმის სიცხოველით გვიჩვენებდა ს. ჭიაურელი ნუთისოფლის ორომტრიალში მოხვედრილი ქართველი ქალის სვე-ბედს. სოფიკო ჭიაურელის სიდონიამ აღტაცებაში მოიყვანა ესპანელი მაყურებელი სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე. თავად ფილმმა 1972 წელს სორენტოში მიიღო პრიზი – „ვერცხლის ზღვის ფერია“. ბუნებრივია, ამ ჯილდოს მთავარი როლის შემსრულებელი ინაწილებს.

გარდასახვის ხელოვნების შესაშური ტალანტი გამოამჟღავნა ს. ჭიაურელმა უბრწყინვალეს ქართულ ფილმში **„ნატვრის ხე“** (რეჟისორი თენგიზ აბულაძე, 1976). ამ კარდაკარ მოხეტიალე, ცხოვრებისგან დაღდასმული, ეული ქალის მწარე ბედის – მეორე პლანი დიდი დრამატიზმით და ემოციით მოჰქონდა მსახიობს.

თანამედროვე ამერიკელი მწერლის გ. ზინდელის პიესა „Влияние гамм лучей на бледнажелые ноготки“ სოფიკო ჭიაურელმა თავად დადგა მარჯანიშვილის თეატრში **„გვირილას“** სახელწოდებით. ბეტტი-ჭიაურელს უამრავი ოჯახური პრობლემები აწუხებს. ქალიშვილების ავადმყოფობას, სწავლის ქირის გადახდას ვერ აუდის, მოხუცი მუნჯი დედაც ტვირთად აწევს. სულ ვიშვიშებს. ქანცგაწყვეტილი შრომით ხელ-ფეხი შესიებია. იშვიათად განმარტოვდება თავის ფიქრებთან... და უეცრად შვილების ნებას აყოლილი, გამოსაშვებ საღამოზე მიმავალი ეს ცხოვრებისაგან გატანჯული, ნერვებაშლილი ქალი კეკლუცად გამოწყობილი ტანის ექსცენტრიკული რხევით რეგტაიმის ცეცხლოვან, თავბრუდამხვევ ცეკვას წამოიწყებს... თურმე როგორი იქნებოდა იგი უზრუნველი ცხოვრება რომ ჰქონდეს. მარტოხელა ქალის დრამას მსახიობი ღრმა ფსიქოლოგიური შტრიხებით, კონტრასტებით ძერწავდა.

ფრანგული ხალხური სიბრძნე და სილაღე სჩქეფდა ს. ჭიაურელის კატრინში (ა. სარდუს და ი. მოროს **„მადამ სან ჟენ“**, რეჟისორი თემურ აბაშიძე). ფართო მონასმებით ხატავდა მსახიობი პატიოსანი, უბრალო და ტლანქი მრეცხავიდან კატრინის ჰერცოგინად ქცევის პროცესს. კატრინი-ჭიაურელი ისევ უანგარო, პირდაპირ, ფიცხ ქალად რჩება. მისთვის საჩოთირო ეტიკეტების შეთვისებისას მსახიობი მსუბუქი იუმორით გრაციოზულობაში შერწყმული მოუხეშაობით ფეიერვერკის მსგავს სანახაობას ქმნიდა. თვალში გეცემოდათ კატრინის გლეხური წარმოშობა, მაგრამ ალალი გული, შინაგანი სიწმინდე მაინც დიდებულს ხდიდა. იმპერატორთან შეხვედრის სცენაში მორგებულ თავაზიანობასაც ამჟღავნებდა და გამომწვევი ეშმაკობით, გონებამახვილურად ბევრ სიმართლეს ახლიდა ხელმწიფეს.

სოფიკო ჭიაურელის ლედი მილფორდი (ფ. შილერის **„ვერაგობა და სიყვარული“**. რეჟისორი თემურ ჩხეიძე) არ იყო სიყვარულის მტანჯველი გრძნობით შეპყრობილი მხოლოდ ვერაგობის ჩამდენი ქალი. მსახიობი ცდილობდა ამ ამაყ და ძლიერ დიდგვაროვანში ქალური სისუსტე აღმოეჩინა. საყვარლისგან უარყოფილი ლედი მილფორდი-ჭიაურელი ლუიზასთან გაშმაგებული, გაავებული ჩხუბის შემდეგ მრავალმნიშვნელოვანი ჟესტით თეთრ კულულებიან თეატრალურ პარიკს უხეშად მოიგლეჯდა და უმწეო ქალად რჩებოდა. მისი ცრემლების შემყურე მაყურებელს მისადმი თანაგრძნობაც კი უჩნდებოდა.

ტრაგიკომიკური ჟანრის, რთული, იუმორის ხატოვანი მანერით განასახიერა ს. ჭიაურელმა ეკრანზე გაჭირვებით თავგზააბნეული, მრავალშვილიან ოჯახში ყოველწამს განამანიაში მყოფი, ლოთობას აყოლილი ქმრისა და ძმის შემყურე სოფიკო გია დანელიას ფილმში **„არ დაიდარდო“**. სცენაზე ამელია (ედუარდო დე ფილიპოს **„ნეაპოლი**

მილიონერთა ქალაქი“, რეჟისორი გიორგი თოდაძე). ამ როლში მიმართავდა გამოსახვის მკვეთრ ხერხებს, მსახიობი არ უფრთხოდა სადავო ყოფილიყო მისი ჩანაფიქრი. გამახვილებული შტრიხებით იქცევდა ყურადღებას, თუმცა ეს სიმახვილე იმდენად ძალდაუტანებელი იყო, სხვაგვარად ვერ წარმოიდგენდით ედუარდო დე ფილიპოს გმირს.

როცა ს. ჭიაურელის შემოქმედებითმა პოტენციამ პიკს მიაღწია და მაღალი რანგის დრამატურგიასთან (შექსპირის, იბსენის...) შესახვედრად იყო მზად, სამწუხაროდ მარჯანიშვილის თეატრის იმ პერიოდის რეპერტუარში ამან ასახვა ვერ პოვა. თავადაც თანამედროვე თემატიკით „მოხიბლული“ ადვილად წავიდა კომპრომისზე. თუმცა მათიკო კეზევაძისა და იადონას როლებმა (რეზო კლდიაშვილის **„საპოვნელა“** და **„იადონას თეატრი“**) დიდი წარმატება მოუტანა მსახიობს.

ბოლო ათწლეული სოფიკო ჭიაურელი ძირითადად კოტე მახარაძის მიერ შექმნილ თეატრში **„ვერიკო“** აგრძელებს შემოქმედებით ცხოვრებას. ამ პატარა, უნიკალურ სცენაზე, მაყურებელთან ზედმიწევნით ახლოს თითქოს სარისკოა დიდ სცენაზე გალაღებული მსახიობისათვის ემოციების შეკავება, სცენური სიმართლის ზომიერი წარმართვა. ს. ჭიაურელს გამოცდილ კინომსახიობს („მსხვილი პლანის“ დაუფლებულ ოსტატს) სცენასა და მაყურებელს შორის მაცოცხლებელი კონტაქტი (მხოლოდ ოდნავ ამაღლებულ პირობითად სცენასა და ღირსშესანიშნავი ნივთიერი დეტალებით განლაგებულ სახლ-მუზეუმის გარემოში ჩამწკრივებული სკამები დარბაზს რომ ქმნის) არ გასჭირვებია ამ უჩვეულო სცენური ბარიერის დაძლევა. მგონი, პირიქით.

იტალიელი დრამატურგის მანილიო სანტანელის პიესა **„დედა-დედოფალი“** (რეჟისორი თენგიზ კოშკაძე) ტრაგიკომიკურ ჟანრს განეკუთვნება. სოფიკო ჭიაურელის რეჯინა კი უფრო მეტად ტრაგიკულია, მასშტაბური, წინააღმდეგობებით დახუნძლული, ღრმა ტკივილით გათანგული. შიგადაშიგ გროტესკული ირონიის ხერხით ხატავს მსახიობი ვაჟიშვილის გაუცხოებით შეძრული დედის სულიერ ბორგვას. გულიდან ღრმად ამოხეთქილი მისი რეპლიკა: „სიბერე, ალბათ, უდიდესი გვალვაა.... თითქოს უთვალავი წელია, წვიმა არ მოსულა...“ უფრო გონებისმიერია, ვიდრე გრძნობამორეული. მთელი როლი ასე – გონებისა და გრძნობის, გაშიშვლებული აზრისა და ძლიერი ემოციის თანაზიარობაში, მართალი სიტყვითა და გამაოგნებელი ზემოქმედებით სრულდება.

გულგახეთქილი შემოიჭრება ოთახში ეკა-ჭიაურელი (რ. კლდიაშვილის **„მარტოობის ბინადარი“**, რეჟისორი ნანა მჭედლიძე. ამ საკმაოდ პატარა სივრცეში მხატვარი ნიკოლოზ შენგელაია მინიმალური დეტალებით, მხოლოდ აუცილებელი ნივთებით მიგვანიშნებს მოქმედი გმირის სამყოფელზე). ერთი საათის განმავლობაში, უკვე ხანში შესული, ყოფილი მუსიკოსი ქალბატონი მონოლოგს წარმოსთქვამს. ნაწყვეტ-ნაწყვეტად თავისი ცხოვრების საწუხარს მოგვითხრობს, მაგრამ მთელი ქვეყნის, ჩვენი საზოგადოების საფიქრალს კი გვაგრძნობინებს. ხანმოკლე ბედნიერი დღეების, რეპრესიების სუსხისა და ომის წლების გახსენებისას ს. ჭიაურელი ჩვეულ იმპროვიზაციას მიმართავს: საყვარელ ლექსს გვიკითხავს, წაიცეკვებს, მღერის კიდეც. ახალგაზრდული კეკლუცობით იცვლის სხვადასხვა მოდის შლაპებს... გმირის ცხოვრების ამ ფრაგმენტებს ნაღვლიანი ტონით არ მოგვითხრობს. იუმორნარევი ინტონაციით გვახედებს მის სულიერ სამყაროში. ამ კონტრასტული აქტიორული ხერხით მაყურებელს მუდმივად მღელვარე ტალღაზე ამყოფებს, ამიტომაც ადვილად იბადება მისადმი თანაგრძნობაც და პირდაპირი ასოციაციები ჩვენს სინამდვილეზე. მართალია გაჭირვებამ ეკა-ჭიაურელის ბინაშიც შემოაღწია, მაგრამ მატერიალურმა სიდუხჭირემ სულიერად არ გააღარიბა, ზნეობრივად არ გატეხა. სამათხოვროდ გაწვდილი ხელი წარმოსახვაში არსებული ბავშვის მიერ გაწვდილ ვიოლინოს შეეხო და მშვენიერებას შეუერთდა.

2003 წელს სოფიკო ჭიაურელმა თეატრში **„ვერიკო“** კიდევ ერთი მონოსპექტაკლი გაბრიელ გარსია მარკესის **„სიყვარულის სულთათანა“** (რეჟისორი თემურ ჩხეიძე) წარმოადგინა.

სიდონია — **„წუთისოფელი“**

ავტორის ჩანაფიქრით გმირი კოლუმბიელი ქალია. მისი ტრაგიკული სვე-ბედი სოფიკო ჭიაურელმა ისე გაითავისა, რომ ეროვნულობისთვის ხაზი არ გაუსვამს. მსახიობი ვირტუოზულად, ფსიქოლოგიური ნიუანსებით გვიჩვენებს, თუ როგორ მიმდინარეობს მის შინაგან სამყაროში ჭიდილი ძლიერ სიყვარულსა და ღალატით გამოწვეულ ტრავმების დასათრგუნად, დიდი მიტევებისა და ისევ იმედგაცრუებას შორის, საამური, ბედნიერი დღეებისა და გაქარწყლებულ ოცნებებს შორის. მთელი სპექტაკლის მანძილზე მსახიობი ცდილობს დაფაროს მისი გმირის ბობოქარი ვნება, გონებას მიანდოს წუხილი, მაგრამ აღსარება მაინც უწევს... ოთახის ჩაკეტილ სივრცეში დაწრიალებს, თითქოს ეხეთქება ძველმან ავეჯს. თითოეული ნივთი, ტანსაცმელი, სურათი რაღაც ძველ იარას შეახსენებს. ხან არაქალური, უხეში ჟესტით, ვულგარული მოურიდებელი შტრიხით ამ ქალის ბუნების თავისებურებას მიანიშნებს... უცებ მის ნაღვლიან ინტონაციას გამანადგურებელი სარკაზმი გადაფარავს. ხან თავს იტყუებს, ხან ირწმუნებს, ცრემლმომდგარ თვალებსაც გვარიდებს. თუმცა დაფარული ბოღმა მაინც გამოკრთის. ამიტომ მისი ამგვარი შინაგანი ბორგვა მაყურებელს ძლიერი ემოციით მსჭვალავს.

ამ მშვენიერ ქალბატონს, ახლა მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ვერცხლის ქორწილის ჟამს მოეძალა განვლილი ცხოვრების განცდები. უკვე ვეღარ ნიღბავს მათ... ამ დროს მაყურებლის პირისპირ, ძალიან ახლოს ჩამოჯდება და გატანჯულ, თითქმის დანაოჭებულ სახეს სქელი ტონით, ფერუმარილით გადაითხიპნის. საკუთარი მეს, წარსული ლაქების წაშლას ამაოდ ცდილობს. სარკიდან კი მისი ორეული ჯიქურ ახსენებს გამოვლილ ყოფას, მრუში, ავხორცი მეუღლის ცოდვებს, სხვებთან მუდმივი სატრფიალო რომანებით გართულის შეურაცხმყოფელ ქცევებს. სტანჯავს წარსული და ეტყობა მაინც ვერაფერს უხერხებს "სიყვარულის სულთათანას" მთლიანად რომ დაუპყრია ეს მარტოსული ქალი. მის სურათს ისევ გრძნობით ეფერება. ბევრჯერ უცდია შურისძიება, მაგრამ სისუსტესა და სიმტკიცეს შორის მერყეობს.... გაზეთით სახეაფარებული სკამზე ვითომდა ჩამომჯდარი მეუღლესთან გამართული ეს მწვავე დიალოგია მთელი სპექტაკლი, რომელსაც მხატვრული ფერების მრავალფეროვნებით ირონიაში გადაწნული დრამატიზმის აქტიორული შესრულების მანერით წარმოადგენს სოფიკო ჭიაურელი.

იდეა მშობლებზე სპექტაკლის შექმნისა სოფიკო ჭიაურელს დიდი ხანი აწუხებდა. ხანგრძლივად ფიქრობდა მხატვრული გაიდიალების გარეშე, მიუდგომლად მათი ცხოვრების სცენაზე გამოტანა დრამატურგებმა ინგა გარუჩავამ და პეტრე ხოტიანოვსკიმ ითავეს (მათვე ეკუთვნით რეჟისურა) ამ იდეის განხორციელება 2005 წელს მოხდა სპექტაკლით **„პლანეტების დაბადება"** (სოფიკო, რა თქმა უნდა, უნებურად მონაწილეობდა დრამატურგიული მასალის შექმნაში).

მძაფრი ქარტეხილების ეპოქაში ცხოვრობდნენ სოფიკოს გენიალური მშობლები. ბევრი რამ შექმნეს, ბევრი რამ გადახდათ. სოფიკო მათ სულიერ სამყაროში ადვილად იჭრება, რადგან ყველაფერი ნაცნობია, ახლობელი, საკუთარი თვალით ხილული და თავს გადამხდარი ამბები... ახლა კი მაყურებლის თვალწინ უკვე სცენაზე წარმოსადგენი. წარმოსახვა არ სჭირდება მსახიობის ინტუიციას. იგი თითქმის თავის ცხოვრებას გაგვანდობს... თუმცა მეჩვენება, რომ ზოგჯერ დოკუმენტური თხრობა უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე ილუსტრაციის ხერხით მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების გათამაშება.

სოფიკო ჭიაურელს მხატვრული სახის შექმნის ხანგრძლივი პროცესი არ სჩვევია. თვით რეპეტიციაზე კი კირკიტა ხასიათს ამჟღავნებს, გმირის ფსიქოლოგი ყველა წვრილმანს აანალიზებს, ეძებს მის გარეგნულ დამახასიათებელ შტრიხებს. დაუზარელად შრომობს და ეს მომქანცველი პროცესი მრავალგზის იცვლის სახეს, სანამ მიუახლოვდება თავისეულ ხედვას. გაკვალული გზით არ უყვარს სიარული, ყოველი ახალი როლი მანამდე უცნობი აქტიორული ფერების გამომზეურებაა და მოულოდნელია.

სოფიკო ჭიაურელის ხელოვნება განუყოფელია ქართველი ხალხისაგან. ქართველმა ხალხმა მისცა სულიერი საზრდო, შემოქმედებითი წვა დააკისრა, სცენიდან, ეკრანიდან, ერის ბედნიერებისა და ჭირ-ვარამის მქადაგებლად მოავლინა. ერის კულტურის უცხოსთვის შეცნობა დაავალა.

სოფიკო ჭიაურელი ქართველი ერის სიამაყეა! უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, მშობლიური მიწა, თავისი ხალხი, თავისი ქალაქი, თავისი საქმე – თავადაც გარემოსილია ხალხის სიყვარულით.

ნატო ვაჩნაძე



შტიხები შემოქმედებითი პოიტიეტისათვის

გახსოვთ უმშვენიერესი ვივიენ ლის (1913-1967) გამომეტყველება, როცა ომში დაღუპულთა სიაში ("ვატერლოოს ხიდი", 1940 წ.) თავისი სატრფოს გვარს ამოიკითხავს, ჯერ თითქოს თვალებს არ უჯერებს, მაგრამ როცა საბოლოოდ დარწმუნდება, რა ღვთის რისხვაა მის თავს, სასოებით ამოგვხედავს და გაშტერდება?!

როგორ გაუძლოს ადამიანმა, მით უმეტეს, სუსტმა ქალწულმა, ასეუცაბედად მოზღვავებულ უბედურებას და, ბუნებრივია, ველარც გაუძლო — გატიალდა...

როცა უყურებ ადამიანის სულის მოძრაობის ამ შემაძრწუნებელ კადრებს, ერთხელ კიდევ რწმუნდები, ნიჭიერების ნაღდი ამოფრქვევა როგორ ერთიანად ამსხვრევს და ზღვაში აფეთქებული გემის ნამსხვრევებივით მიმოფანტავს ნებისმიერ (ამ შემთხვევაში — მელოდრამის) ჟანრობრივ არტახებს. განსაკუთრებით სწორუპოვარია ამ მხრივ მისი უდიდებულესობა — კინემატოგრაფი და არა თეატრი, რაკი ამ უკანასკნელს არ ძალუძს, უშუალო პარტნიორის გარდა, მთელი ეს მდულარება სულისა მაყურებელთა ფართო ფენებს კინემატოგრაფიული სიღრმით დაანახოს და განაცდევინოს.

ასეთი მცირე ექსკურსი მონტაჟური სვლა გახლავთ ლეგენდარული ნატო ვაჩნაძის (1904-1953) სამყაროში შესაღწევად — როგორც კი კახეთიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი ეს 19 წლის, სრულიად გამოუცდელი ქალიშვილი ნამდვილ რეჟისურას ე ღ ი რ ს ა (ქვემოთ მოგახსენებთ, რატომ დაიშპაცა ეს სიტყვა), აღმოჩნდა, რომ მას დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიაში აღზრდილ ვივიენ ლიზე ნაკლებ როდი ხელეწიფებოდა აქტიორული სასწაულები, თანაც გაცილებით ადრე, მუნჯ კინოში. და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ კინო, უპირველეს ყოვლისა, რეჟისორის ხელოვნებაა, არაპროფესიონალ ნატო ვაჩნაძეს კი გაუმართლა (ოდნავ მოგვიანებით, მაგრამ მაინც), რომ ღვთით ბოძებული ნიჭის სრულიად გამოსავლენად მას სცენისა და ეკრანის დიდოსტატი, პირველი ქართველი კინორეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა (1881-1955) შეხვდა.

ახლა კი შეპირებული ახსნა-განმარტება: კახეთში მიკვლეული მარგალიტი, 19 წლის, კიდევ ვიმეორებ, სრულიად გამოუცდელი ნატო ვაჩნაძე თბილისის კინოატელიეში ჩამოიყვანეს, როგორც ჩვეულებრივი ტიპაჟი და ისევე დაეხარბნენ მის ზედიზედ გადაღებას ერთტიპობრივ ფილმებში, როგორც ეს ხდებოდა ათიოდე წლით ადრე მერი პიკფორდისა (1893-1979) და ლილიან გიშის (1896-1993) შემთხვევაში. არავის უფიქრია მის შემდგომ აქტიორულ კარიერასა თუ ადამიანურ ბედზე — ცრემლი იყო საჭირო? გლიცერინი გამზადებული ჰქონდათ, შიში? — მაგიდაზე ხელს ისე მაგრად დაარტყამდა რეჟისორი ან მისი ასისტენტი მოულოდნელად, რომ უნებურად შეგეშინდებოდა და თვალებსაც ფართოდ გაახელდი და ა. შ. და ა. შ. ამ ტექნოლოგიით რაღაც გამომსახველობას გამოსტყუებდნენ ტიპაჟს თუ მენატურეს, როგორც გენებოთ, და მეტი არც იყო საჭირო...

ფრაგმენტი ნატოს მოგონებიდან:

„შინაგანი განწყობილების გადმოსაცემად უნდა გამოგვეყენებინა მტკიცედ დადგენილი ფორმულების მთელი წყება. ფორმულა — წარბების აწევა, ბაგეთა კუთხეების ძირს დახრა, ნიშნავდა ტანჯვას, მოკუმული ტუჩები, სწორი წარბები — ზიზღს, ნახევრად გაღებული პირი, მრგვალი თვალები — გაკვირვებას

და ასე შემდეგ. ამრიგად, გარეგნული ფორმით შინაგანი შინაარსი უნდა გამოგვეხატა".

ასე გადაიღეს ნატო ვაჩნაძე პირველ ოთხ ფილმში, თუმცა პოპულარობა უმალ მოიპოვა და „ქართველ ვერა ხოლოდნაიად[1]" აღიარეს, რაც იმ დროისათვის უმაღლესი შეფასება იყო.

ფატი — „ვინ არის დამნაშავე"

და აი, გასული საუკუნის 20-იანი წლების ერთფეროვანი, მოსაბეზრებელი ფსევდოორიენტალისტური ფილმების ფონზე, 1925 წელს შეიქმნა ეროვნული მხატვრული კინოს პირველი უმნიშვნელოვანესი ნამუშევარი — ალექსანდრე წუწუნავას "ვინ არის დამნაშავე?", რომელსაც საფუძვლად დაედო ნინო ნაკაშიძის ამავე სახელწოდების გახმაურებული პიესა და რომელიც მთელი ჩვენი კულტურის ზეიმად იქცა — მთელი კულტურისა იმიტომ, რომ მასში უკვე დავაჟკაცებულმა ქართულმა მხატვრულმა კინომ ნამდვილი ჰარმონიული მშვენიერებით წარმოაჩინა ჩვენი იმდროინდელი მწერლობის, რეჟისურის, მხატვრობის, სამსახიობო ხელოვნების მაღალი პროფესიული დონე.

სწორედ ამ რეალურსა და პოტენციურ შესაძლებლობებს გულისხმობდა ალექსანდრე წუწუნავა, უპირველეს ყოვლისა, როცა შემდგომ იგონებდა, ფილმზე მუშაობისას ქართული კინოს გ ა ქ ა ნ ე ბ ა მაინტერესებდაო და არა მხოლოდ მასობრივი, გრანდიოზული სცენები, რომელთა ნიმუში მან, მართლაც, პირველმა შექმნა საბჭოთა კინოს ისტორიაში. ამის თაობაზე მოკლედ შეგახსენებთ ცნობილი რუსი გამოცემის, ჟურნალ "სოვეტსკი ეკრანის" შეფასებას: "Такие масштабы для советской кинематографии еще не по плечу" — არ გინდა ასეთი აღიარება დააწერინო რუსულ ჟურნალს?

ფილმს ფანტასტიკური წარმატება ხვდა წილად როგორც მოსკოვში, ისე თბილისში. მოსკოვით იმიტომ დავიწყე, რომ მაშინ პირველი ჩვენება, როგორც წესი, მოსკოვში იმართებოდა და, არსებითად, იქვე წყდებოდა მისი ბედი. 1925 წლის დეკემბერში "ვინ არის დამნაშავე?" (საქართველოს ფარგლებს გარეთ მას, ცხადია, სარეკლამოდ ამერიკულ ყაიდაზე ერქვა "უაილდ ვესტის მხედარი" – "Наездник из «Уайльд-веста»") მოსკოვში ერთდროულად ექვს კინოთეატრში გადიოდა უდიდესი წარმატებით და, რაღა გასაკვირია, რომ უმალ გაიყიდა კიდეც საზღვარგარეთ (ფინეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანია, პოლონეთი, თურქეთი).

ორიოდე კვირის შემდეგ ასეთივე წარმატებით ფილმი ნაჩვენები იქნა თბილისში ერთდროულად სამ კინოთეატრში ("აპოლო", "სოლეი", "არფასტო"). გამოანგარიშებულია, რომ პირველი 15 დღის განმავლობაში "ვინ არის დამნაშავე?" ნახა 52. 311 მაყურებელმა (ანუ თბილისის მოსახლეობის ერთმა მეექვსედმა), მარტო "აპოლოში" — 26.187 კაცმა, ანუ დღეში გამოდის 1746 მაყურებლი. მართლაც, ფანტასტიკურია, არა? რომელი ჩვენი დღევანდელი კინოთეატრი დაიტრაბახებს მაყურებელთა ასეთ ყოველდღიურ რაოდენობას?!

ცხადია, ისმის ბუნებრივი კითხვა — რამ განაპირობა ფილმის ეს არაჩვეულებრივი წარმატება, რა იყო ამის საწინდარი?

რა თქმა უნდა, ამის საწინდარი იყო მისი დამდგმელი რეჟისორის, ალექსანდრე წუწუნავას **დაბრუნება** კინოში, დაბრუნება იმიტომ, რომ 1916 წლიდან (როცა "ქრისტინე" გადაიღო), კინოსთვის მან ვეღარ მოიცალა, იმდენად იყო დაკავებული დრამატული და საოპერო თეატრებით. ნუ შემოვიფარგლებით ასე ზოგადად და ბარემ აქვე განვაცხადოთ, თანაც კატეგორიული ტონით: ალექსანდრე წუწუნავა არა მარტო მეკვლეა ჩვენი მხატვრული კინემატოგრაფისა, არამედ ქართული დრამატული თეატრის პირველი პროფესიონალი რეჟისორი და ჩვენი ეროვნული ოპერის პირველი დამამკვიდრებელიც. ასეთი ფართო დიაპაზონის შემოქმედი იშვიათია ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად გაგვიჭირდება დავასახელოთ მეორე ადამიანი მსოფლიო კულტურის ისტორიაში, რომელსაც თავისი მშობლიური ხალხის ხელოვნების განვითარებაში ისეთივე მნიშვნელოვანი სიტყვა ეკუთვნის ამ სამ დარგში ერთდროულად, როგორც ეს ალექსანდრე წუწუნავაზე ითქმის, თვით

[1] *ვერა ხოლოდნაია (1893-1919) — რევოლუციამდელი რუსული კინოს უპოპულარესი მსახიობი*

კ. სტანისლავსკიც კი ვერ შეედრება მას ამ მხრივ, რადგან კინოში კ. სტანისლავსკის მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია...

ამიტომაც იყო ასე მნიშვნელოვანი 8 წლის შემდეგ ალექსანდრე წუწუნავას დაბრუნება კინოში. ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის პასიურმა, მექანიკურმა ეკრანიზაციამ (ა. ბეკ-ნაზაროვის „მამის მკვლელი", ვლ. ბარსკის „მოძღვარი", ივ. პერესტიანის „სურამის ციხე" და ა. შ.) აშკარა გახადა, რომ ამ გზით ქართული კინო ვერც პროვინციულ კარჩაკეტილობას ასცდებოდა და ვერც ეროვნულ, თვითმყოფად სახეს მიიღებდა. ამდენად, მთელი სიმწვავით წამოიჭრა პრობლემა, რომ ქართულ ფილმში, უპირველეს ყოვლისა, ქართული სული დასადგურებულიყო, ქართული ხასიათები დამკვიდრებულიყო და ერთხელ და სამუდამოდ მოღებოდა ბოლო ამ მხრივ გამეფებულ ცრუ პათოსსა და რომანტიკას, ყბადაღებული აღმოსავლური ეგზოტიკის იაფფასიან გადმოცემას.

„ვინ არის დამნაშავე?" იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ პირველად სწორედ მასში აისახა ნამდვილი ქართული კოლორიტი, მისი თვითმყოფადობის მკვეთრად განსხვავებული და შთამაგონებელი ძალა, ის, რაც შემდგომ კოტე მარჯანიშვილის (1872-1933) „სამანიშვილის დედინაცვალმა" (1927) კიდევ უფრო გააძლიერა და გააღრმავა, ხოლო ნიკოლოზ შენგელაიას (1903-1943) „ელისომ" (1928) დააგვირგვინა. სწორედ ალ. წუწუნავას, კოტე მარჯანიშვილისა და ნიკოლოზ შენგელაიას წყალობით მოხდა ძირეული გარდატეხა, რამაც ქართული კინო, თავდაპირველად, ნებსით თუ უნებლიეთ, აღმოსავლური ეგზოტიკის მიამიტ მაყურებელს რომ ასაზრდოებდა მხოლოდ, ახლა უკვე ქართველი კაცის სულისა და ბუნების ჭეშმარიტ მეგზურად იქცა. რაოდენ დამახასიათებელია, რომ ნატო ვაჩნაძე, ე. წ. ნატურის პრინციპით რომ მიიწვიეს კინოში, სწორედ ამ შესანიშნავი სამეულის (ალ. წუწუნავა, კ. მარჯანიშვილი, ნ. შენგელაია) წყალობით ეზიარა ნამდვილ აქტიორულ ხელოვნებას, ხოლო პირველი მათ შორის — ალექსანდრე წუწუნავა გახლდათ.

ამის დასტურს თვით მსახიობი იძლევა. ფრაგმენტი მისი მოგონებიდან:

„...ალ. წუწუნავა იყო პირველი რეჟისორი, ჩემი მსახიობობის გზაზე შეხვედრილი, რომელიც სტანისლავსკის სისტემით მუშაობდა. რეპეტიციების დროს იგი ცდილობდა მსახიობის თამაში ფსიქოლოგიური სიმართლის გამომხატველი გაეხადა. იგი ყოველთვის ზუსტ დავალებას იძლეოდა, სათანადო მდგომარეობისა და მიზანსცენების გამონახვა შეეძლო. ალ. წუწუნავა ჩვენთან ატარებდა საუბრებს იმ ადამიანთა ხასიათის შესახებ, რომელთა განსახიერებაც გვევალებოდა, როლს ანალიზს უკეთებდა და მისი განვითარების ხაზს გვისახავდა... ეს მუშაობა ექსპერიმენტული იყო და დიდი სარგებლობა მოჰქონდა, რადგან ხელს უწყობდა მსახიობის ცოდნის გაღრმავებას და შემოქმედებით გამოცდილებას აძლევდა".

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებში ჩვენი პირველი კინოვარსკვლავის გულწრფელ მადლიერებასთან ერთად, მთელი სისრულით ჩანს ის გადამწყვეტი როლი, რომელიც ნატო ვაჩნაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასაწყისში ითამაშა ალ. წუწუნავას ნაცადმა რეჟისორულმა მეთოდმა. ამითაც დიდად დავალებულია ქართული კინო ალ. წუწუნავასგან. ახალბედა კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაიაც წერდა მაშინ იმის თაობაზე, რომ ნატო ვაჩნაძე არც ერთ სურათში, არც „სამ სიცოცხლეში" არ ყოფილა ასეთი სრული შემსრულებელი თავის როლისაო.

თემატური სისრულისათვის ახლა ისღა დაგვრჩენია გავარკვიოთ, თუ მაინც რატომ დაინტერესდა ალექსანდრე წუწუნავა თავისი პირველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საბჭოური პერიოდის ფილმის გადაღებისას ნატო ვაჩნაძით?

თავადვე წერდა იგი ამის შესახებ — როცა ნატო მოვიწვიე მთავარ როლზე, მისი პოპულარობა კი არ მაინტერესებდა, არამედ ის, რომ მისი სახიდან და თვალებიდან ქართველი ქალის სხივი გამოიყურებაო.

„ამოკი"

ესმა — „სამი სიცოცხლე“

ქართველი ქალის სხივი — უკეთესად ვერც იტყვი, თუ რა არის ასე მომხიბვლელი და დამახასიათებელი ნატოს გმირებში.

მაშ ასე, ორი წლის კინემატოგრაფიული გამოცდილების შემდეგ, მხოლოდ რიგით მეხუთე ფილმში ხვდება ნატო ვაჩნაძე ქართველ რეჟისორს — ალ. წუწუნავას და თავის შემოქმედებით ბიოგრაფიაში აღწევს პირველ სერიოზულ წარმატებას. ამჯერად მისი გმირია ახალგაზრდა ქალი — ფატი, რომლის ქმარი სიკო (მსახიობი — კოტე მიქაბერიძე) ერთ-ერთია იმ გურული ცხენოსნებიდან, რომლებიც ამერიკაში იქნენ მიწვეულნი იქაურ ცირკში გამოსასვლელად.

...ფატი სავსებით გასაგები ქალური გუმანით გრძნობს, რა მოჰყვება სიკოს წასვლას ამერიკაში, ამიტომაც ცდილობს არ მოიშოროს ქმარი, მაგრამ ამაოდ — სიკო მაინც მიდის შორეულ ამერიკაში. გადის დრო. ფატი მძიმე განსაცდელში ჩავარდება — უკვდება პატარა შვილი, მერე ბაბუაც, მისი ერთადერთი მანუგეშებელი, ამასთან ისე შემოუჩნდება მეზობელი ბესია (მსახიობი — დიმიტრი ყიფიანი), გასაქანს არ აძლევს... დედამთილიც (მსახიობი — ცეცილია წუწუნავა) ყოველმხრივ ტანჯავს და ამცირებს. სხვა გზა არაა, ფატი მიენდობა ბესიას, როგორც ხსნის უკანასკნელ იმედს. მაგრამ ბესია მარცმეგობრობა იცის, არც მეზობლობა თუ სიყვარული, მისგან ფეხმძიმე ქალს ზურგს შეაქცევს და მაჭანკლებს უხმობს ცოლის შესართავად. ფატი ერთხელაც მივა მასთან და ფარდა აეხდება მის თვალებს, საბოლოოდ დარწმუნდება, თუ როგორ დასცინა ბედმა ამ ვიგინდარა ბესიას რომ გადაეკიდა, როგორ გაუხდა მას მოახლედ. ფატისათვის ისე საშინელია ამის შეგრძნება, რომ სიმწრისგან სიცილი აუტყდება, სიცილი, რომელითაც იგი, ცხადია, თავის სულის მდუღარებას გვიჩვენებს, თავის თავს დასტირის.

დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ამ სცენაში არის ერთი, თითქოს უბრალო, დეტალი, რომელიც შესანიშნავად აჯამებს მთელ ამ ფსიქოლოგიურ დუელს თავგასულ ბესიასა და საბოლოოდ განადგურებულ ფატის შორის. ძნელი სათქმელია, იყო იგი სარეჟისორო სცენარში თუ შემდეგ იმპროვიზაციულად წარმოიშვა, მაგრამ ფაქტია, რომ მართლაც დააგვირგვინა მთელი სცენა — ბესია სუფრას მიუჯდება, მაჭანკლებთან შესახვედრად ემზადება სოფლის საუკეთესო სასიძო, მადიანად ილუკმება და ხან რას უბრძანებს ფატის და ხან — რას. ფატი მოსამსახურესავით, უფრო სწორად, განვრთნილი გოშიასავით ადგას თავზე და მის ახალ-ახალ ბრძანებებს ელის. ბესია იმასაც არ კადრულობს, ღვინო თავისი ხელით დაისხას, მაშ, ფატი რის მაქნისია, აი, ახლაც უბრძანა, წადი, კარადიდან ღვინის დოქი გადმოიღე და მოიტანეო, თანაც უსიტყვოდ, ხელის მოძრაობით ანიშნებს და ფატიც რისი გოშიაა, თუ ამას ვერ მიხვდა, სულ ასე არაა? მექანიკურად წალასლასდება ქალი კარადისკენ, თითქოს ძლივს მიათრევს ფეხებსო. მივა თუ არა კარადასთან, სანამ გამოაღებდეს, ნელა მოიხედავს სუფრისკენ მჯდომ ბესიასკენ, რომ ერთხელ კიდევ დაინახოს და დარწმუნდეს, ბედმა ასე როგორ დამცინა, ამ კაცს გადამყარაო. ფატი სიტყვასაც არ ამბობს, შესცქერის ბესიას ზურგს და ახლო ხედით ვხედავთ მის სახეს...

შეუძლებელია, ადამიანის სახემ უფრო მეტი მწუხარება და სევდა დაიტიოს, შეუძლებელია მეტად აირეკლოს მთელი ის ტკივილი და საკუთარი თავის სიბრალულის გრძნობა, რაც ფატის სულის უფაქიზეს ხვეულებში დასადგურებულა და სწორედ ეს არის ნამდვილი აქტიორული გამარჯვება და ზეიმი, რომლის ტოლფასოვან ასოციაციად დასაწყისშივე შემოგთავაზეთ ვივიენ ლის ის ცნობილი კადრი „ვატერლოოს ხიდიდან“.

ასე დაიბადა ეროვნული კოლორიტითა და პროფესიული ღირსებებით გამორჩეული პირველი ჭეშმარიტად ქართული მხატვრული ფილმი, რომლის უდიდესი წარმატება ალ. წუწუნავას პირველივე სპექტაკლიდან მოდი-

ოდა — აბა, გავიხსენოთ როგორ მიესალმა ნოვატორული ძიებებით გამორჩეულ ამ სპექტაკლს (გაბრიელ დ'ანუნციოს პიესა „იორიოს ასული", 1909 წ.) პრესა:

„ქართულ სცენაზე უკეთესი მოთამაშენი ბევრი გვინახავს, მაგრამ **უკეთესად დადგმული** პიესა კი არც ერთი... ეს წარმოდგენა **ერთადერთი** იყო ჩვენს სცენაზე. ჩვენ არ გვინახავს **უკეთესად დადგმული** წარმოდგენა. საზოგადოებამ **რეჟისორის** (ხაზი ყველგან ჩემია — გ. დ.) ხელი იგრძნო ამ პიესაში" (გაზეთი "ჩვენი აზრი", 1. VII. 1909).

აქედან ცხადი ხდება ერთი განსაკუთრებულად საყურადღებო მომენტი თეატრისათვისაც და კინოსათვისაც — როგორც კი საქართველოში დაიდგა პირველი ნოვატორული სპექტაკლი რეჟისორული ხელოვნების თვალსაზრისით, მაყურებელმა და პრესამ უმალ შეაფასა ეს ერთობ საიმედო სიახლე. ყველაზე მეტად ის მოსწონდათ, რომ სპექტაკლში ტრადიციულად მხოლოდ ერთი მსახიობი, ვთქვათ, იორიოსის ასულის შემსრულებელი, კი არ ბრწყინავდა, არამედ ის, რომ „აქ **ყველანი** ცოცხლობდნენ სცენაზე. აქ იყო **კოლექტიური** თამაში და არა კერძო მსახიობებისა", რომ აქ „**საერთო მწყობრი** თამაშის შთაბეჭდილება ფარავდა კერძო პირების ხელოვნურ თამაშს" (ხაზი აქაც ყველგან ჩემია — გ. დ.).

ასეთი პარალელები და ისიც ასე უხვად იმიტომ მომყავს ალ. წუწუნავას სათეატრო მოღვაწეობიდან, რომ სწორედ აქედან, ამ საწყისებიდან მოდის ის ფასეულობანი, რითიც ასე გვხიბლავს ალ. წუწუნავას ფილმები — ჰარმონიული აქტიორული ანსამბლი, ბრწყინვალე მასობრივი სცენები, დიდი შინაგანი, ფსიქოლოგიური სიმართლე თუ საჭირო განწყობილება და ა. შ.

კი გამიგრძელდა ამ ფილმზე საუბარი, მაგრამ აქ ხომ მართლაც ერთი კინოსურათი არ იგულისხმება, არამედ პრინციპული ტენდენცია ახალი დარგის განვითარებისა, როგორ საიმედოდ შეიძლება დაეყრდნოს იგი საუკუნეებით უკვე არსებულ ეროვნულ ფასეულობას — ალ. წუწუნავას ფილმში ხომ შესანიშნავად გადაეწნა ერთმანეთს დრამატურგიული მასალა (ნინო ნაკაშიძის პიესა), მხატვრობა (შესანიშნავი მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე), აქტიორული ანსამბლი (ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ცეცილია წუწუნავა, კოტე მიქაბერიძე, არკადი ხინთიბიძე, კოტე ანდრონიკაშვილი, დიმიტრი ყიფიანი და, რაღა თქმა უნდა, ნატო ვაჩნაძე). გზა უკვე გაიკვალა და მისგან გადახვევა აღარ იქნებოდა.

ასეც მოხდა.

შემდეგ მოდის ორი წელი და ორი ფილმი („ამოკი" და „კრაზანა" 1927-1928 წწ.) კოტე მარჯანიშვილთან და მადლიერი მსახიობი მოგონებებში დაწერს:

„მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მარჯანიშვილთან დავყავი, მასთან ერთად ვიწვოდი მისი შემოქმედებითი ცეცხლით".

დაბოლოს — ნიკოლოზ შენგელაია, ანუ „ჩემი ცხოვრების რეჟისორი", როგორც ნატომ უწოდა მას მოგონებებში:

„...მე მასში დავინახე ადამიანი, რომელსაც თავი მთლიანად ხელოვნებისათვის შეეწირა... ნ. შენგელაიას სძულდა დადგენილი შტამპები. იგი ილტვოდა ხელოვნებასა და ცხოვრებაში ახლის შესაქმნელად... ნ. შენგელაია აღფრთოვანებით მიხატავდა კაცობრიობის მომავალი ბედნიერების სურათებს... ნ. შენგელაიას მეგობრობით შეგეძლო გეამაყა. იგი ჩემთვის ბედნიერების წყარო იყო. ძნელია პირადი ცხოვრების ხელმეორედ დაწყება, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში არის მოვლენები, რომლებსაც ვერ გაუმკლავდები... მერაბ ვაჩნაძეს გავეყარე და ცოლად შენგელაიას გავყევი. სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო..."

ეს ის პერიოდია, როცა კინოში შემოდის ხმა, რამაც შეაშფოთა ცნობილი კინემატოგრაფისტები:

ჩაპლინი — მძულს „მოლაპარაკე" ფილმები, ისინი დუმილის მთელ სიმშვენიერეს ანადგურებენ... კინო — ფერწერული ხელოვნებაა.

ასტა ნილსენი (გამოჩენილი დანიელი მსახიობი) —„მოლაპარაკე" კინოს ისე ვუცქერი, როგორც მუნჯ ოპერას ან ამღერებულ ბალეტს.

ვიქტორ შკლოვსკი — „მოლაპარაკე" კინო თითქმის ისევე გვჭირდება, როგორც მომღერალი წიგნი...

საერთო პანიკამ მოიცვა მსოფლიო კინოვარსკვლავები, განსაკუთრებით ისინი, ვინც მხოლოდ „ტიპაჟის" სახით მოიყვანეს კინოში და სიტყვის ხელოვნებას ვერ ფლობდნენ. მათ შორის იყო, ცხადია, ნატო ვაჩნაძეც, რომელმაც ერთ ხანს გადაწყვიტა, საერთოდ თავი დაენებებინა პროფესიისთვის, რადგან ეგონა, ხმოვან კინოში ვერ ვიმუშავებო.

ფრაგმენტი მისი მოგონებიდან:

"ახალი ამოცანების წინაშე დაურწმუნებლობამ შემიპყრო. მეგონა, სიტყვის დაძლევას ვერ შევძლებდი. უცბად გამიქრა მთელი ჩემი მსახიობური გამოცდილება, განვლილი გზა დამავიწყდა, თავს ვგრძნობდი ახლადფეხადგმული ბავშვივით".

და აი, აქ დაეჭვებულ ნატო ვაჩნაძეს, რომელსაც ამ მხრივ ერთობ მცირე გამოცდილება ჰქონდა (სიკო დოლიძის „უკანასკნელი ჯვაროსნები"), ხელი გამოუწოდა მისი ცხოვ-

რების რეჟისორმა — ნიკოლოზ შენგელაიამ. იგი ამ დროს შეუდგა „ნარინჯის ველის" გადაღებას, ცხადია, ხმოვან ფილმზეა საუბარი და ქალის მთავარი როლი სწორედ ნატოს მიანდო. თანაც ნატოს უაშუალო პარტნიორები უნდა ყოფილიყვნენ სცენის, ე. ი. სიტყვის ნამდვილი დიდოსტატები — ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა და სხვები.

ისევ მოგონებანი:

„არ დამავიწყდება ჩემი მღელვარება **დიალოგიანი** (ხაზი ჩემია — გ. დ.) პირველი რეპეტიციის წინ, რომელშიც მონაწილეობდნენ: აკაკი ხორავა, მიხეილ გელოვანი, ვერიკო ანჯაფარიძე. ასე მეგონა, თითქოს აქამდე არასოდეს მილაპარაკია, ენა ხახას ეკვროდა, ვიტანჯებოდი, ერთი სიტყვის წარმოთქმა არ შემეძლო. შენგელაია კი, საზოგადოდ მუშაობაში ყოველთვის დიდი მომთხოვნი, არავითარ შელავათებს არ იძლეოდა".

პრინციპული თვალსაზრისით, ნ. შენგელაიამ შეძლო და მუნჯი პერიოდის აღიარებული ვარსკვლავი დაუბრუნა ქართულ კინოს, მაგრამ არა ძველებური ბრწყინვალებით, ცხადია, ეს შენიშვნა მხოლოდ მეტყველებას შეეხება მსახიობისას...

ნანი — **„ნარინჯის ველი"**

* * *

ნატო გიორგის ასული ანდრონიკაშვილი დაიბადა 1904 წლის 16 ივნისს ქ. ვარშავაში, სადაც მამამისი — გიორგი ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილი, რუსის ჯარის კავალერიის ოფიცერი, სამხედრო სამსახურს გადიოდა. ნატოს ბებია (მამის მხრიდან) ილია ჭავჭავაძის ბიძაშვილი იყო, დედა კი ეკატერინე სიმონის ასული სლივიცკაია — იტალიური წარმოშობის პოლონელი.

ნატოს რომ ერთი წელი შეუსრულდა, მისი ოჯახი თბილისში გადმოვიდა. 1910 წელს მამამისი ვლადიკავკაზში გადაიყვნეს თერგის ოლქის უფროსად. სამწუხაროდ, სწორედ აქ ემსხვერპლა იგი ცნობილი ყაჩაღის — ზელიმ-ხანის ტყვიას. სხვათა შორის, ზელიმ-ხანმა შემოუთვალა გიორგი ანდრონიკაშვილს, ჩემს წინააღმდეგ ნუ გამოილაშქრებ, არ მინდა ქართველის სისხლი დავღვაროო, მაგრამ მუნდირის ღირსების გამო თერგის ოლქის უფროსი იძულებული გახდა ექსპედიცია მოეწყო ზელიმ-ხანის შესაპყრობად...

ძალიან გაუჭირდა ოთხშვილიან ქვრივ ქალს ოჯახის შენახვა. ამიტომაც, საბოლოოდ დასახლდნენ მშობლიურ გურჯაანში, დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილ ბეზარაანთ წყაროსთან, სადაც მამის პენსიითა და ნათესავების დახმარებით დედამ პატარა სახლი ააშენებინა. 14 წლის ნატო სწავლის პარალელურად, უკვე სხვა გზა არ იყო, სამსახურს იწყებს, რათა ცოტათი მაინც წაეხმაროს დედას, ჯერ ასანთის ქარხანაში მუშაობდა ე. წ. შავ მუშად, შემდეგ კი შემფუთავად, ბოლოს ბორბლების საცხის ფაბრიკაშიც მოსინჯა ბედი:

„თვლების საცხი, შემზადებული მაზუთის, კირისა და კიდევ არ ვიცი რისგან, თვალებს გვწვავდა, ფილტვებს გვიზიანებდა. ამ საამქროში დიდხანს არ მიმუშავია: ავად გავხდი და სწორედ გამოცდების წინ, დედამ სოფელში წამიყვანა სამკურნალოდ, სადაც შემოდგომამდე დავრჩი".

სწორედ ამ შემოდგომაზე 18 წლის ნატო, როგორც თავად წერდა 1926 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „Pro domo sua", შემთხვევით გაეცნო მერაბ ვაჩნაძეს კახეთში და დაქორწინდა მასზე. ამიტომაც შემორჩა მეუღლის გვარი. ერთი წელიც არ იყო გასული ამ შეუღლებიდან, რომ შაქრო ბერიშვილმა (შემდგომში ცნობილმა კინორეჟისორმა, რომელიც ნატო ვაჩნაძის „ნათლიმამად" არის აღიარებული) თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დღემდე არსებულ ჟვანიას ფოტოატელიეს ვიტრინაში ნახა შიხმანის მიერ გადაღებული ნატოს ფოტოსურათი და გადაწყდა, ნენოს როლის შემსრულებლად მოეწვიათ კინოფილმ „არსენა ყაჩაღში". მაგრამ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ იგი „მამის მკვლელშიც" მიიწვიეს ერთდროულად და მაყურებელმაც სწორედ ამ უკანასკნელში ("მამის მკვლელი") იხილა ნატო ვაჩნაძე პირველად. საყურადღებოა, რომ აქ მისი უშუალო პარტნიორი იყო ჩვენი შესანიშნავი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი (1879-1924), რომელიც იაგოს როლს ასრულებდა და ფილმის გამოსვლისთანავე, სამწუხაროდ, გარდაიცვალა, სულ 45 წლის ასაკში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველივე ფილმებში, რაოდენ კრიტიკულადაც არ უნდა შეხვედროდა მათ პრესა თუ მაყურებელი, აშკარად ესალმებოდნენ თვით ამ ახალბედა, მაგრამ საიმედო მსახიობის გამოჩენას.

ტიციან ტაბიძე („მამის მკვლელისა" და „არსენა ყაჩაღის" თაობაზე):

„ეს სრულიად ახალგაზრდა და სწორედ კინოსათვის დაბადებული არტისტის გამოჩენა დამსახურებად ჩაეთვლება კინოს ხელმძღვანელებს; თუ ასეთ ეფექტს იძლევა ჯერ კიდევ სცენას უჩვევი თითქმის ბავშვი, ჩვენ უნდა ველოდეთ, რომ მომავალში ნატა ანდრონიკაშვილი-ვაჩნაძე დიდ კინო არტისტ ქალად დარჩება, თუ შეძლება ექნება თავისი ნიჭის განვითარებისა — შეიძლება ითქვას, რომ მას ელის მსოფლიო სახელიც".

და იქვე მოთხოვნა:

„...კინოწარმოებას უნდა დაეხმარონ ქართველი მწერლები, მათი წარმომადგენლის ყოფნა სარედაქციო კოლეგიაში აუცილებელია".

ეს იყო 1924 წელს. ტიციანი არც შემდგომ წლებში ივიწყებს ნატოს და წერს (ეს უკვე 1926 წელია):

„მე ხშირად მომისმენია უბრალო ობივატელისგან ნატა ვაჩნაძის დიდი ქება. უბრალო ხალხს თითქო ეცოდება ეს ბავშვი, რომ ჩვენ რეჟისორებს ის გამოჰყავთ ერთ და იმავე საცოდავ როლში — მას ყველა ებრძვის და ამცირებს. მაყურებლისათვის ეს ნამდვილი წამებაა.

მე მახსოვს როგორი აღტაცებით ლაპარაკობდა ნატა ვაჩნაძეზე პოეტი სერგეი ესენინი... როგორ მოწონდა ნატა ვაჩნაძე აგრეთვე ვ. კაჩალოვს — მე კი მეგონა, რომ ესენინი და კაჩალოვი კინოში არც დადიოდნენ.

მე მოვერიდები ნატა ვაჩნაძის პროფილის უფრო დეტალურად გამოკვეთას — საქმეა თრთოლვის გადმოცემა და ჟრუანტელის გრძნობა, ეს არის სათავე ყოველივე არტისტობის და მე მგონი, სწორედ ესაა ნატო ვაჩნაძის გამარჯვებაც".

* * *

ცალკე თემაა 20-30-იანი წლების მიჯნაზე, კინოს ახმოვანების იმ მტკივნეულ პრობლემებთან დაკავშირებით, რაზედაც ზოგადად უკვე ითქვა, ნატო ვაჩნაძემ ასისტენტად რომ დაიწყო მუშაობა ცნობილ რუს კინოდოკუმენტალისტ ესთერ შუბთან (1894-1959), რომელსაც ვლადიმერ მაიაკოვსკიმ „ჩვენი კინემატოგრაფიული სინდისი"უწოდა[1].

ესთერ შუბი:

„რაოდენ გაოცებული დავრჩი, როცა ნატო ვაჩნაძე, მრავალი ფილმით ნაცნობი კინომსახიობი, მოვიდა ჩემთან. კოხტა, დარცხვენილი, მომხიბვლელად მომღიმარი, მოვიდა ულამაზესი ქალი, გრძელი წამწამებით მოჩრდილული ფართოდ გახელილი თვალებით.

ჩაიცვა სპეცტანსაცმელი, თექის ჩექმები. მუშაობდა გატაცებით, საქმეს არ თაკილობდა. ნამდვილად აინტერესებდა დოკუმენტური კინოს ბედი... როცა მუშაობით დაქანცულები მაგიდას მივუსხდებოდით, ნატო წყნარად ღიღინებდა რომელიმე კახურ სიმღერას. მშვიდი და მშვენიერი იყო იგი ამ წუთებში... მე გადავიღე სამუშაო მომენტი — ნატო ხმის ჩამწერ პულტთან. ბევრს ძლიერ მოსწონდა ეს კადრი — ნატო ვაჩნაძე უგრიმოდ... ძვირფასო, მშვენიერო, დაუვიწყარო ნატო! გმადლობთ სიყვარულისა და სულის სილამაზისთვის".

ასევე ცალკე თემაა ნატო ვაჩნაძის მონაწილეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაღებულ მხატვრულ ფილმებში, რომლებიც მითითებულია მინი-ფილმოგრაფიაშიც. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ერთ-ერთი პირველი ერთობლივი ნამუშევარი უცხოელ (კეძოდ, გერმანელ კინოფირმა „პრომეთეოსთან") კინემატოგრაფისტებთან — „ცოცხალი ლეში", რომელსაც საფუძვლად დაედო ლ. ტოლსტოის ამავე სახელწოდების ცნობილი პიესა და რომელშიც ნატოს (ანუ მაშას როლის შემსრულებლის) უშუალო პარტნიორი იყო გამოჩენილი რუსი კინორეჟისორი ვსევოლოდ პუდოვკინი (1893-1953) — იგი ფედია პროტასოვს თამაშობდა...

დაბოლოს ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ არსებითად შეუსწავლელია ნატო ვაჩნაძის მოღვაწეობა ხმოვან კინოში, რაც, როგორც ითქვა, დიდი სიძნელეებითა და თვით მსახიობის არცთუ ისე უსაფუძვლო შიშით დაიწყო... მაგრამ ეს მომავლის, მომავალი კინომცოდეების კეთილშობილური და საპასუხისმგებლო საქმეა. არადა, სულო ცოდვილო, დიდი ხნის შემდეგ ისევ რომ მომიხდა ამ თემაზე წერა, ისე გამიტაცა საკითხმა, რომ უამრავი ახალი რაკურსი აღმოვაჩინე და ამიტომაც მომინდა ერთხელაც მივუბრუნდე ამ ჩემთვის, თითოეული ქართველისათვის, კინოს ყოველი მოყვარულისა თუ სპეციალისტისთვის ძვირფას ადამიანს, მის მდიდარ შემოქმედებას, მის ნათელ ხსოვნას და სწორედ ამიტომაც ავირჩიე ესოდენ მოკრძალებული ჟანრი — შტრიხები შემოქმედებითი პორტრეტისათვის...

---

[1] *აქვე ვაქვეყნებთ ნატო ვაჩნაძის ორ პირად წერილს ესთერ შუბისადმი.*

ნატო ვაჩნაძის პირადი წერილები გამოჩენილი ჩუსი ჟინოდოკუმენტალისტის ესთერ შუბისადმი

(ქვეყნდება პირველად)

Н.Г. Вачнадзе – Э. И. Шуб
27 января 1942, Тбилиси

Дорогая Эсфирь Ильинишна!

Очень рада была получить от Вас письмо. Мы здесь все живем пока оседло на местах. Фабрика катастрофически простаивает. В течение 6 месяцев, кроме 3-х очень средних короткометражных, ничего не снимали. Правда, сейчас у нас готовы 5 полнометражных сценариев, но, увы, их утверждение потребует, наверное, столько же времени, как и их писание, принимая во внимание, что Большаков в Москве, а Роом в Ташкенте, а еще кто-то в Новосибирске. Очень все это глупо, но в свете сегодняшнего дня, пожалуй, не столь важно, вопрос кинокартин едва ли что-нибудь решает. Гораздо важнее, что были мы последнее время здоровы.

Коля собирается делать сценарий на тему тыл и фронт. Сценарий готов. Вероятно, я буду играть там. Пока что работаю в киношколе ассистентом.

Мои ребята все растут и здоровы. Кира работает в актрисах на фабрике. Чиаурели снимает «Саакадзе» - вот и все. Жизнь идет гигантскими шагами, и все вокруг не имеет никакого значения. Буду очень рада, дорогая, если Вы попадете сюда, в Тбилиси. Крепко целую Вас. Коля шлет привет и целует. Где Аня?

Ваша Наташа.

Н.Г. Вачнадзе – Э. И. Шуб
25 января 1949, Тбилиси

Дорогая Эсфирь Ильинишна!

Вы, наверное, очень удивитесь, что я разразилась письмом. И, правда, сейчас такая муторная жизнь и все кругом в нашем искусстве так грустно, что не хватает времени и нервов, чтобы поддерживать связь и дружбу с такими близкими друзьями, каким являетесь для меня Вы.

У нас на киностудии полнейший мрак. Управляют студией чужие люди, им не дорого ничего, что пронесло все это время советское искусство. Ни люди и их биографии, ни вообще что-нибудь касающееся сердца и жизни людей, посвятивших себя, всю жизнь нашему делу. И в этой обстановке мне справляют двадцать пять лет моей работы в кино.

В начале марта мой творческий вечер в большом нашем оперном театре. Снимается очерк обо мне, затем делают монтаж из 22 картин, в которых я играла. Я бы очень хотела получить один эпизод из картины «Живой труп», чтоб этот кусок тоже вошел в монтаж. Желательно мне было бы один кусок пленки с уланами и один, где есть Пудовкин со мной. Вы, вероятно, можете мне посоветовать, к кому нужно обратиться нашей студии, чтоб просить один мой кусок подобрать и отпечатать с печати и выслать мне. Вероятно, негативы хранятся где-нибудь. Это 1929 год, выпуск 1930 года в Межрабпом-Руси.

Очень прошу Вас, дорогая Эсфирь, наведите мне справки и, может быть, Вы поспособствуете, чтоб кто-нибудь мне это подобрал или к кому непосредственно надо обратиться.

Живу я очень трудно.

Вы знаете, что у меня умерла мама. Я сейчас одна с детьми. Младший сын болеет сердцем. Это очень страшно. Старший кончает университет. Сижу на простое. Сами понимаете, что это означает, и нет просвета. Дорогая Эсфирь Ильинишна, очень Вас прошу помогите мне, ответьте мне по адресу: Тбилиси, ул. Цхакая 13, кв. 4, Н. Г. Вачнадзе.

Крепко Вас целую.

Может быть, таким образом узнаю подробней о Вашей жизни.

Ваша Наташа Вачнадзе.

ნატო ვაჩნაძე

ვერიკო ანჯაფარიძე

მოგზაურობა ნახსენებში

(ნატო ვაჩნაძე — ზღაპარი და სინამდვილე...)

ნატო ვაჩნაძე — მინდა დავძაბო მეხსიერება და არც ისე შორეული ბავშვობიდან ამოვატივტივო კინოკადრებით დაკავშირებული ხსოვნა ზღაპრული სილამაზის ქალბატონთან. კინოთი-მეთქი ხაზგასმით იმიტომ ავღნიშნე, რომ სხვაგვარად მე არაფერი მაკავშირებდა მშვენიერების ბურუსით მოსილ ლეგენდასთან. ამიტომ გადავწყვიტე წიგნის სამყაროთი გავცნობოდი. იქ კი, სიზმარივით ხანმოკლედ გაიელვებდა მისი მშვენება. არა, მე უფრო მეტი მინდოდა. მინდოდა, ცხადად მეხილა 1923წ. გურჯაანში დედასთან სტუმრად მყოფი ნატო როგორ მიიწვიეს ფილმ „არსენა ყაჩაღში" ნენოს როლზე. აი, გამოჩნდა შაქრო ბერიშვილი შიხმანის ფოტოატელიედან მომაჯადოებელი გოგონას ფოტოთი. სწორედ იქ უხილავს ნატო, ოღონდ ფურცელზე აღბეჭდილი მშვენიერება, და თურმე, აღტაცებისგან შეჰყვირა: „ევრიკა, ბიჭებო, ევრიკა-ო". მან ხომ საქართველოს კინოვარსკვლავი აღმოაჩინა. სწორედ ამ სიტყვებით მოიგონა სიკო დოლიძემ შაქროს „გაგიჟების" სცენა. ამ ფილმზე ვლადიმერ ბარსკი მუშაობდა. თუმცა იმავდროულად ბეკ-ნაზაროვი „მამის მკვლელს" იღებდა (მხოლოდ ამ ფილმმა შემოგვინახა დიდი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის სახე-იაგოს როლში). ქალაქში ჩამოსულ ნატოს ეს რეჟისორიც მოუნუსხავს თავისი გრაციოზულობით. და აი, ნატოს მონაწილეობით 1924წ. ორი ფილმი გამოდის. ოღონდ ჯერ „მამის მკვლელი", მერე კი „არსენა ყაჩაღი". 1924 წელს ამ ორით როდი შემოიფარგლა ნატოს როლები. ცნობილი რეჟისორი, (ეროვნებით იტალიელი) ივანე პერესტიანიც ვერ დარჩენილა გულგრილად ვაჩნაძისადმი. მას ზედიზედ ორი ფილმის სცენარი წარუდგენია ახალგაზრდა მსახიობისათვის. და, კიდევ ახალი სახეები ჩნდება ნატოს მონაწილეობით: „სამი სიცოცხლე", (1924წ.) „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე" (1925წ.).

ნატო — არსენას სატრფო — ნენოს, მერე ნუნუს, უბრალო მკერავ ქალ — ესმას, სპირიდონის ცოლ — დესპინეს განასახიერებდა. რეცენზიებითა და წერილებით ჟურნალ-გაზეთები აჭრელებულია: „მას შეუძლია უღრმესი შინაგანი განცდის გამოსახვა მინიმალური გარეგანი საშუალებებით". (1924წ.) იქვე ჟურნალ „ხელოვანის დროშა"-ში ტიციან ტაბიძე პირველ სტატიას წერს ნატოზე „თუ ასეთ ეფექტს იძლევა ჯერ ჯიდევ სცენას უჩვევი თითქმის ბავშვი, ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ მომავალში ნატა ანდრონიკაშვილი-ვაჩნაძე დიდ კინოს არტისტ ქალად დარჩება". ტიციანს ნიჭიერების მსოფლიო აღიარება მომავლისთვის მიუნდვია. მომავალი კი კინო კადრებივით ცვლის ნატოს წარმატებებს. კინოხელოვნებაში დაბრუნებული ალექსანდრე წუწუნავა ნატოს — ფატის როლზე მიიწვევს ფილმში „ვინ არის დამნაშავე". თუმცა ეს სურათი საბჭოთა ეკრანზე „უაილდ ვესტის მხედარი"-ს სახელითაა ცნობილი. წუწუნავა ნატოს ჭეშმარიტ სახეს ხედავს და ამბობს კიდეც: „არ მინდა ნატო მხოლოდ პოპულარობით შევაფასო. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მის სახიდან და თვალებიდან გამოიყურებოდა ქართველი ქალის სხივი".

ქართული ცნობიერების, ქართული სინატიფის, ქართული კდემამოსილების ხატი — ნატო ვაჩნაძე. ასე ვჭვრეტ უშორესი ჟამიდან ქალს, რომლის დაბადებასაც 1904წ. ვარშავაში, თითქოს მეც დავესწარი. სტრიქონ-სტრიქონ მივყვები მისი ცხოვრების ბილიკებს. ახლა ახტალის ტალახში ვთამაშობ, და ასე

მგონია, რომ ლეგენდას ნატო მხოლოდ მე მიყვება. ფურცელზე მოფანტული აზრების ჯარი, უცებ ახმიანდა და ნატოს ამობურცული ბაგეებიდან მონადენი სილაღე ჩემს ყურთასმენას ძაბავს: ამ ტალახის ადგილზე კალო იყოო, თურმე ბავშვიანი ქალი ხარება დღეს პურს ლენდა წმინდანის გაფრთხილების მიუხედავად. მერე გაბრაზებულ წმინდანს კალო-ტალახად, ხოლო ბავშვი და ქალი ქვად უქცევიაო. ჩამჩურჩულებს, მე კი მოსვენებას არ ვაძლევ, მეტი მინდა გავიგო. ისიც განაგრძობს: „აბაშიძეებს და ანდრონიკაშვილებს ეკუთვნოდათ ეს ადგილი, ბელგიელებს 40 წლით შესყიდვა დაუპირებიათ, მაგრამ ჩვენებს არ მიუციათ, 40 წელი ებევრათო". რატომღაც გამიელვა ფიქრმა, ნეტა, ეგ შენი წინაპრები ახლანდელ საქართველოშიც გვყოლოდა-მეთქი, მაგრამ თქმა ვერ გავუბედე. შემეშინდა გული არ სტკენოდა და არ გამქრალიყო ჩემი ქიმერა.

ვერიკო ანჯაფარიძე და ნატო ვაჩნაძე ფილმში **„ნარინჯის ველი"**

ისევ მივყვები ჩემს სიზმარეულ ჩვენებას. ახლა ფაბრიკა-ქარხნებში ვმუშაობთ. შეხედეთ, ვინ გამოჩნდა — მერაბ ვაჩნაძე. რა ლამაზია მე-7 კლასელი პატარძალი. ალგებრის გამოცდას აბარებს და ფერიასავით თეთრებში გამოწყობილი (იქნებ სულაც არ იყო სადედოფლოდ მორთული, მაგრამ ახლა ხომ მხოლოდ ჩემი წარსულნარევი ფანტაზიის პრინცესაა.) ჯვარს იწერს მერაბთან ერთად — ტაძარში (და სამარადისოდ შეეუღლება ვაჩნაძის გვარს ვარსკვლავის სახელი). რა მშვენიერი ხატებაა არა?! (ეს კითხვაც ჩემი ამ მოგონებებივით უანაბროა. ნუ გაიკვირვებთ, მე ხომ ამ წამს გაუცნობიერებელ ადრესატს ვწერ ჩემს თავგადასავლს — არარსებულ წარსულში). და აი, 1924 წელიც, უკვე ცხადად ვხედავ ნატოს, ოღონდ კინოფირზე. ამ დროიდან ჩემი წარმოსახვა უფრო ნათელ ფერებს იღებს. ნატო ფილმ „ნათელას" სახეა — ბეკ-ნაზაროვი ისევ იწვევს მას თავის გმირად. მე-19 საუკუნის ქალბატონი ომარ- ფაშას მიყიდეს. როგორ უხდება ქართველი გლეხის კაბა — ნატოს! ხალხი მისი სილამაზით აღფრთოვანებას ვერ მალავს. გაუხარდათ, რომ დაბეჩავებულ-დაჩაგრული ქალის ტიპაჟიდან, უცებ მებრძოლად იხილეს. ვერ იტანდნენ მის ჩაგვრას, იმდენად შეუყვარდა ხალხს მისი სახე, რომ წარმოსახვითი ტანჯვისთვისაც არ ემეტებოდათ.

აი, გამოჩნდა სცენაზე ნატოს „ცხოვრების რეჟისორი" (სწორედ ასე მოიხსენებდა ნატო ნიკოლოზ შენგელაიას). პირველად 1926 წელს კონსერვატორიის დარბაზში შეხვდნენ ერთმანეთს. აუდიტორია კოტე მარჯანიშვილის ფილმს „ქარიშხლის წინ" განიხილავდა. ნატო უკმაყოფილოა და არც მალავს, მაგრამ თავისი მოსაზრებით ძალიან გაანაწყენებს ნიკოლოზ შენგელაიას. (ის ამ ფილმში რეჟისორის ასისტენტია). გაბრაზებული კოლია უკმეხად მიმართავს კინოვარსკვლავს: „არაფერი გესმით ნამდვილი ხელოვნების, წარმატებებით კმაყოფილი ხართ, მაგრამ მე ოდესმე რეჟისორი თუ გავხდი, იცოდეთ ჩემს სურათში უბრალო მოსამსახურის როლსაც არ გაღირსებთ"-ო. ეს უკანასკნელი ფრაზა შენგელაიამ ნატოს მეორე შეხვედრისას, რუსთაველის პროსპექტზე უთხრა. ასისტენტი აზრს იცვლის, აზრსაც და გრძნობებსაც. კოლიას ნატო შეუყვარდა და პირადად მისთვის წერს „გიულის" სცენარს. ნატო არ განაწყენებულა ასისტენტის შეურაცხყოფით. მას ხომ მეტად ფაქიზი პოეტური სული ჰქონდა, ამიტომაც კარგად ესმის „მემარცხენე პოეტისა", — თავისუფლების სიყვარულით რუსთაველზე, ჭადრის ხეებზე რომ კითხულობდა ლექსებს. ნატო ამ დროისათვის კოტე მარჯანიშვილთან მუშაობს, და დიდი მეგობრობაც აკავშირებს. სწორედ მარჯანიშვილის რჩევით თანხმდება კოლიას ფილმში მონაწილეობაზე.

ეკრანზე ჩნდება ნატო – გიული, მუსულმანი გოგონა – თავისი ტრაგიზმითა და სიყვარულით. გიულიში გარდასახული მშვენიერების გაუსაძლისი უბედურება სიკვდილმა შეიფარა. ტიციანი უკვე მეორედ გამოეხმაურება ნატოს შემოქმედებას: „ნატა ვაჩნაძე კინოს ხელოვნებაზე მაღლა დგას და ამ კინოზე გადანაზარდით ის უახლოვდება პოეზიას"...

მშფოთვარე და დაუოკებელი სული ბორგავს... ნატოს კოლია შეუყვარდა და მიჰყვება კიდეც ცოლად. მათ სიყვარულს უმძაფრესი ქარიშხალი თანსდევს. „იმდროინდელი თბილისის მცირერიცხოვანი მოსახლენი მსახიობის პირად ყოფაში საკმაოდ ჩახედულნი იყვნენ და როცა მსახიობის ცხოვრებაში ცვლილება მოხ-

და ხალხმა"... დროზე ადრე გავწყვიტე ქალბატონ ნათია ამირეჯიბის წერილიდან ციტატა, რადგან იქ ერთმა სიტყვამ შემაშინა, დაუნდობლობა რომ ჰქვია. ეჰ, მართალია პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, როცა წერს: „ცოცხალ პოეტებს ვერ იტანენ, მკვდარი პოეტები უყვართო". პოეტი ხომ ზოგადად ხელოვანია, და ეს ბედი ყველა შემოქმედზე ერთნაირი სიმძიმით გარდატყდება ხოლმე. მაგრამ, არა, ამ წამს ჩემი გმირია ნატო ვაჩნაძე... და ახლა სუნთქვასავით თან ვდევ ჩემს სიზმარეულ წარსულს, (ალბათ უფრო ზუსტი იქნებოდა თუ წარმოსახვას-თქო ვიტყოდი).

ნატო ვაჩნაძე და ვანო სარაჯიშვილი ფილმში „მამის მკვლელი"

...თუმცა მსახიობს ჯერ არ შეუწყვეტია საქართველოში მოღვაწეობა. 1927 წელს ნატო — ევროპელ ქალს ასახიერებს. „ამოკი", თეთრი ქალი თავისი შეცდომისთვის ისჯება. ქალი, რომელიც სატრფოსგან ბავშვს ელოდება და ამავდროულად მეუღლის დაბრუნებას, ბედისწერა იმსხვეპლებს... მარჯანიშვილმა ამ ფილმის ავტორობაზე უარი განაცხადა, რადგან ორი ნაწილით შეუმცირეს. გადამონტაჟებისას ინგლისელი ოფიცერი კადრს მოაცილეს, ე. ი. თეთრ ქალს ბავშვი თავის მალაელ მსახურისაგან — „ბოიასგან" უნდა, ჰყოლოდა. რა თქმა უნდა, მარჯანიშვილი ამ ფაქტმა გაანაწყენა და ფილმი საკუთარ შემოქმედებად არ აღიარა. „ამოკის" დასრულებისთანავე რეჟისორი ფილმ „კრაზანა"-ზე იწყებს მუშაობას. ახლა ნატო ტემპერამენტიან იტალიელ ქალს განასახიერებს. ისე, შემაწუხებელი იყო მისთვის იტალიელების ხმაურიანი ცხოვრება. აი, ევროპელი ჯემა-ნატოც. რა უცნაური სინთეზია არა?! ჟესტებით მოქაქანე იტალიელი და ქართული სულის ფაქიზი ნატო. საზოგადოებამ ვერ მიიღო ევროპელი გმირი. თუმცა, მოგვიანებით დადებითად ფასდება — „ჯემას როლში ნატო ვაჩნაძემ კვლავ დაამტკიცა მისი შემოქმედებითი ძალის მრავალმხრივობა". (კ. გოგოძე)

ამ პერიოდში კინოში „გამყინვარების" ხანა იწყება. რაპპელებს „საუცხოო" იდეები აწუხებთ. ისინი 1925-30წ. უმსახიობო ტიპაჟურ ფილმებს ნერგავენ. ნატო რუსეთში მიემგზავრება, სადაც ის ესთერ შუბის ასისტენტ-პრაქტიკანტია, შუბი კი დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს — „კომკავშირი — ელექტროფიკაციის შეფი". რეჟისორი გაოცებულია ამ ულამაზესი ქალით, რომელიც სპეცტანსაცმელითა და თექის ჩექმებით გატაცებით მუშაობდა. როგორც იქნა, გამოფხიზლდა რაპპი, არა, მთავრობა! და კინო ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. თუმცა რა ლამაზი იყო თხილამურებზე მდგომი ნატო, დოკუმენტური ფილმის გადაღებებზე. ჩრდილოეთის ტყის თეთრ საუფლოში რა წარმტაცად ირხეოდა მისი ქალურობა. მაგრამ, ნატო კინოსთვის იყო დაბადებული, მას ეს ყველაფერი ფირზე უნდა აემეტყველებინა. და აი, 1928წ. გერმანია — საბჭოთა კავშირის ფილმში „ცოცხალი ლეში" (რეჟისორი თ. ოცეპი) — ნატო ბოშა ქალის — ლიზას როლზე მიიწვიეს. გადაღება გერმანიასა და უკრაინაში მიმდინარეობდა. კიევში მას სხვა როლების თამაშიც მოუხდა. „გარეუბნის კვარტლებში" გიორგი გრიჩერმა ნატოს ებრაელი გოგონას — დორას როლი შესთავაზა. „რკინის ბრიგადაც" უკრაინულმა კინოსტუდიამ გადაიღო, ოღონდ იტალიაში. სამწუხაროდ, ამ ფილმში ნატოს განსახიერებულ პერსონაჟს ვერ ვიხილავთ, რადგან ფირი შემონახული აღარ არის. ამ ფილმებს გამოხმაურება უცხოურ (ახლა, თორემ მაშინდელ საბჭოთა კავშირის) პერიოდიკაში მრავლად ჰქონდა. ხაზგასმით აღნიშნავდნენ ნატო ვაჩნაძის დიდ დამსახურებას ფილმის წარმატებაში (საუბარია — „ცოცხალ ლეშზე"). თუმც, „გარეუბნის კვარტლებზე" იგივეს ვერ ვიტყოდით, ფილმი ჩავარდა. მაგრამ გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით არასრულფასოვანი რეჟისურის ბრალი ყოფილა. ნატო კი, როგორც ყოველთვის, აქაც განუმეორებელიაო. ასე წერდა მაშინდელი „კინოგაზეტა" 1930წ.

ამ დროს ნ. შენგელაია ბაქოში „26 კომისარზე" მუშაობს. ნატო ვერ უძლებს ხანგრძლივ განშორებას მეუღლესთან და მიუხედავად დამქანცველი ოთხ დღიანი მგზავრობისა, ის ხშირად აკითხავს კოლიას ბაქოში. აი, დადგა ერთად ყოფნის ნანატრი დროც. 1932 წელი ნატო და კოლია თბილისში ბრუნდებიან. გამოჩენილი რეჟისორი სიკო დოლიძე ფილმში „უკანას-

კნელი ჯვაროსნები", (მთიელ ხალხთა ადათ-წესებს რომ ასახავს) ნატოს ხევსურ ციციას როლზე მიიწვევს. მსახიობს თან ახლავს დედა და თავისი ორი შვილი (თენგიზი და ელდარი, რომელიც სულ თვეებისაა). ნატო — ხევსური ქალი, 15კგ-ნი სამოსით, როგორი წარმტაცია ხევსური ხევსურეთის სილამაზით. ეს ორი მშვენიერება ერთმანეთს ხარბად ერწყმის, და ძნელია გაარკვიო, ამ შემთხვევაში ადამიანი ალამაზებს ბუნებას თუ პირიქით... თუმცა ერთი კი უდავოა, ბუნება ადამიანის მოგონებებს აცოცხლებს,(ქვეცნობიერში კი სხვა ფრაზა წამომიტივტივდა – ახლადშობს-თქო, მაგრამ გაუბედავობის გამო ჩარჩოებში გამოვკეტე). აი, რა თანამეინახეობა გაუწია ბუნებამ ნატოს მოგონებებს: იმ დროს, როცა ნატო ხევსურეთში იყო, ნიკოლოზ შენგელაია დროდადრო სტუმრობდა ხოლმე მთას. ერთხელაც მინერალურ წყაროსთან, ნატოს მეგობრებთან ერთად კოლიას ყველსა და პურზე წყაროს წყლით უქეიფია. თამადა წყლით სავსე ყანწებით სვამდა ქართულ სადღეგრძელოებს. ქართველის გარდა ნეტა ვინმე თუ შეძლებს წყლით — პოეზიის ბახუსში-გახვიოს სუფრა. მერედა ასე ლაღად და თამამად?! „მოგონება დაღვენთილი სევდებად" ისევ პოეტური ფრაზა ამოასკდა ჩემს დაძაბულ გონების ხვეულებს. რატომ სევდად დაღვენთილი? თუმც პასუხიც აქვეა, ბევრი ფიქრი არ დაგჭირდება, ამ ყველაფრის მოგონება ლამაზი სევდა არაა? იყო და არას ზღაპრული თავგადასავლით. ხოდა, მერე, მერე იცით რა იყო? თქვენ მრავალმა უწყით ნატოს შესახებ, იქნებ გიხილავთ კიდეც, ფილმებიც კარგად გახსოვთ, აი მე კი, უმწეოდ ვაკოწიწებ სიტყვებსა და კადრებში გახლართულ ჩემს სიზმარ-ცხადს, ჰო, ილუზიას...

„ნათელა"

ახლა 1934 წელია. ნატო ქართულ პირველ ხმოვან ფილმში თამაშობს ნებიერა თავადის ასულის — თამარის როლს. ფილმი ხმოვანია, თუმც ნატოს გმირი დუმს, „დუმილით ოქროი რჩეულით". მის კოცნას კი ძვირად ყიდულობენ ქვეყნის კომერსანტები. რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა ნატო ისევ დააბრუნა მის პირველ როლთან — არსენას სატრფო ნენოსთან, ახალი ძალებით. 1937 წელს ფილმი „არსენა" ეკრანზე გამოდის. თითქოს ფილმთან ერთად ნატოს ახლადშობაც იყო სამსახიობო ასპარეზზე. ამავე წელს ნიკოლოზ შენგელაია „ნარინჯის ველს" იღებს. აქ ნატო თავმჯდომარის თედოს საცოლე — ნანია. ფილმში მოწვეულია თეატრის ლეგენდარული მსახიობები: აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე. ნატო ყოყმანობს მონაწილეობაზე. უჭირს ხმოვან ფილმში თამაში. „მგონია, სიტყვის დაძლევას ვერ შევძლებ", ჩურჩულებს ნატო, (ეს ხმამაღალი ფიქრია, ფურცელმა რომ აირეკლა). და იქვე კითხვის დაუსმელად განმარტავს — „ყოველ ადამიანს აქვს შემოქმედებაში, საკუთარი თავისადმი ეჭვის გრძნობა". არა, უნდა ითამაშო ეს მომავლის ხმაა, ახლა რომ ნიკოლოზ შენგელაიას ფიქრებმა გასცა. ნატოს მეტყველებაში ვერიკო ავარჯიშებს. და, აი, გამოდის ეკრანზე „ნარინჯის ველი". რეცენზიაც არ იგვიანებს... მერედა როგორ ჭირდება ამ წამს ნატოს ეს გამხნევება. გიორგი ნატროშვილი — „ნატო ვაჩნაძემ ამ ფილმში კიდევ უფრო მეტად გააღრმავა და სრულყო საშემსრულებლო ოსტატობა". და თითქოს ნატოც შვებით ამოისუნთქავს. (მაგრამ, როგორი გაუბედავია ეს ამოოხვრაც კი...)

შენგელაია არ ცხრება... კოლმეურნეობის აგროტექნიკოს — ნათელას როლს თამაშობს ნატო ფილმში „სამშობლო". აქაც განსაკუთრებული ყურადღება სოფლელი გოგონას შემსრულებელს ეთმობა. ნატო ერთ წელში აგროტექნიკოსიდან ჩაის მკრეფავ გვირისტინედ გარდაისახება — ფილმში „ქალიშვილი ხიდობნიდან" (რეჟ. დ. ანთაძე). გადაღების მსვლელობისას ნატო ცხოვრებაშიც თავისი გმირივით მოქმედებს, რათა ბუნებრიობა არ დაკარგოს ეკრანზე. სამი ფილმის გმირები თითქოს ერთმანეთს ძალიან გვანან. მსახიობი ცდილობს ამ სახეებს შორის განმასხვავებელი შტრიხები შექმნას. აი, ტიპობრივი სახეცვლილებაც. ნატო პირველად ასრულებს დედის როლს ფილმში „ქაჯანა". ამ ფილმის გადაღება ომის პერიოდში მიმდინარეობდა. „ნატო — მართა, შვილების მოყვარე და ცრუმორწმუნეა". — წერენ თითქოს განსხვავებულ შტრიხებს. (მაგრამ ავიწყდებათ, რომ დედა ყველაფრის მიმართ ფრთხილია, დიახ, მან შეიძლება მისნობაც კი

დაიჯეროს შვილების გამო. ალბათ დედობრივი თავდაცვისათვის). ნატო ხომ დედა იყო უპირველეს ყოვლისა, ამიტომაც მას არ გაჭირვებია ამ როლის თამაში. დედობა ნატოს ცხოვრების უმთავრესი როლი იყო.

ახლა უკვე 1942 წელია... ჩვენ გავიარეთ ნატოს ცხოვრების დიდი ნაწილი, მთავარი და მეორეხარისხოვანი როლებით. კინომატიანედ ქცეულ ნატოს რუსთაველის თეატრშიც განუსახიერებია დედოფალი, ვახტანგ ტაბლიაშვილის „დავით აღმაშენებელში". დედოფლის სეფექალი ვერიკო ანჯაფარიძე ყოფილა. სცენაზე ამ ორი ტიტანის გამოჩენას თურმე გასაოცრად უმოქმედია მაყურებელზე. ძნელი გასარკვევი იყოო, რომელს უკრავდნენ ტაშს. წერდა მაშინდელი პრესა. ვერიკო — ხმა, ნატო მდუმარება. მხოლოდ ამ ორი არცთუ ისე პოეტური, მაგრამ იდუმალებით მოცული ეპითეტით შეამკეს ქართველი ვარსკვლავები. მდუმარე მშვენიერებამ უმძაფრესი ტკივილი განიცადა.

1942წ. ომის დანგრეული განწყობების მიუხედავად ნიკოლოზ შენგელაია იწყებს ახალ და მისთვის უკანასკნელ ფილმზე მუშაობას — „ის კიდევ დაბრუნდება". ნატო – სოფლელ გოგონას ასახიერებს, რომელიც სატრფოს ფრონტზე აცილებს იმედით, რომ ის კვლავ დაბრუნდება. კოლია ამ ფილმის გადაღების ბოლოს დაიღუპა. თითქოს ეს კადრებად დაწერილი გამოსამშვიდობებელი ბარათი იყო, ბარათი ნატოსადმი. დაბრუნება კი, ზეციურ საქართველოში მათი სულების პაემანი იქნებოდა. უკვე გარდასული სულები კვლავ დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ჭეშმარიტ საწყისს – მარადიულ თავისუფლებას.

ამ დღის შემდეგ ნატოს კინოგმირები მსახიობის ცხოვრების მსგავსად ხანმოკლეა. თუმც მსახიობის ხსოვნა მარადიულია ადამიანთა მეხსიერებაში. ნატო მხოლოდ ფურცლებსა და კადრებს ვერ დაუტევიათ. და ცხოვრების არცთუ ისე დიდი ტირე 1904 წლიდან 1953 წლამდე ყველა მისი ნაცნობ-მეგობრის მოგონებების თანამდევია. ქალბატონ ნათელა ურუშაძის თვალებსა და სიტყვებიდან თვალნათლივ ვხედავ გაჭირვების პერიოდში (როცა მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა) როგორშეიყუჟებოდა ქართველი სტუდენტობა ფატი თვალთვაძის ერთოთახიან ვიწრობინაში, (რომელსაც არამცთუ სტუმრები, მცირე ავეჯიც კი ვერ დაუტევია).და აი, ნათელა ურუშაძე, გია მარგველავილი, ნატო და მისი უფროსი ვაჟი -თენგიზ ვაჩნაძე ხალისიანად მოთავსებულან ფატის ფეხმოტეხილ სავარძელსა და პანაწინა ტახტზე. დიასახლისი მათ კაკაომოყრილ ჭარხლით უმასპინძლდება. თან რა მადიანად შექცევიან არცთუ ისე გემრიელ კერძს. მაგრამ, მათ ხომ უბრალოდ ერთმანეთის ნახვა და ფატის მშობლიური მზურნველობა სწყუროდათ. ზოგჯერ უგერგილო-კაკაომოყრილი ჭარხალიც კი ლამაზი მოგონების ანდამატად იქცევა ხოლმე. ნეტა, ბატონ თენგიზს თუ ახსოვს იმ ჭარხლის გემო?

აი, დამთავრდა კიდევ ერთი მოგონების მოკლემეტრაჟიანი ფილმი, ჩემს ბარათს აღსარებასავით რომ გაენდო. ახლა კი ხსოვნის კადრებს კინო ენაცვლება, მერე ფურცლის ხიზნებად რომ განაგრძობენ არსებობას - მარადისობის მკერდზე წარუშლელი ნატერფალები...

1947 წელი... ნატო კ. პიპინაშვილის ფილმში — „აკაკის აკვანი", პოეტის ძიძის — მანოს როლს თამაშობს. ნატოს ეძნელება ახალგაზრდა ქალიდან — მოხუც ძიძად გარდასახვა. და, აი, საკუთარი თავის შესამოწმებლად მსახიობმა ჩინებული თამაში მოიგონა. გადაღებებზე მყოფი ნატო შვილებს ურეკავს და აფრთხილებს, რომ სტუმრად მათი მამის მოხუცი ბიცოლა ჩამოდის და მისი არყოფნის დროს უმასპინძლონ. ნატო მოგვიანებით ბრუნდება შინ, — მანოს გრიმითა და სამოსით. კარს პატარა გიორგი აღებს, ბავშვებმა ვერ იცნეს დედა, — სანამ ხმა არ ამოიღო. ნატომ ცხოვრებაშიც გაითამაშა და სასურველი შედეგი მიიღო. ის უნაკლოდ ასრულებდა როლებს...

ნატო ვაჩნაძე და მედეა ჯაფარიძე ფილმში
„მწვერვალთა დამპყრობნი"

ნატო კინოში უკვე დედის ამპლუაშია. დავით რონდელის „მწვერვალთა დამპყრობნი" ვაჩნაძის უკანასკნელი ფილმია, რომელშიც ის ალპინისტ და-ძმის დედას — ელისაბედს ასახიერებს. ტრაგიკულია ფილმის გმირის სახე და ნატოს იმდროინდელ ტკივილებს ერწყმის. ნა-

ნატო ვაჩნაძე ვაჟიშვილებთან: გიორგისთან, თენგიზთან და ელდართან ერთად

ტო თითქოს საკუთარ განწყობებს კადრებად ჩეხავს...

50-იან წლებში რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილს „ქეთევან წამებულის" გადაღება განუზრახავს. ფილმის მთავარ გმირად ნატო აურჩევია. მაგრამ... განზარხვა ამაო აღმოჩნდა.

ნატო სიცოცხლის ბოლოს კინომ თითქოს დაივიწყა. დავიწყებას მიეცა მისი განუხორციელებელი ოცნებებიც. არადა, რარიგ სწადდა „ოთარაანთ ქვრივის" სახე შეექმნა (ალბათ, საკუთარ ბედთან სათამაშოდ).

ხალისიან ქალბატონს ცხოვრებაზე ხელი არ ჩაუქნევია. და მე, ცხადად ვხედავ, როგორ მომხიბვლელად თამადობს ნატო — ქეთევან მაღალაშვილის დაბადების დღის სუფრას. აგერ, ავტორალშიც ღებულობს მონაწილეობას თავისი „პობედით", 1951 წელს თბილისში რომ გაიმართა. საჭეს უზის ქართველი კინოვარსკვლავი. რა საოცარი სანახაობაა არა?! საოცარია და სასიამოვნო მასთან თანაარსებობა თუნდაც წარმოსახვით სამყაროში. მე კი გავკადნიერდი და მასთან ერთად 1904 წლიდან 1953 წლამდე გადავწყვიტე მემოგზაურა. მეხსიერება მღალატობს, არც გამემტყუნება ალბათ 1904 წელს დაბადებულს (ეჰ, ისევ თვით ირონია თუ იხსნის სამყაროს თორემ...) მავიწყდებოდა მნიშვნელოვანი მოგზაურობა ევროპაში, მოგზაურობა არა, მიწვევა, საერთაშორისო კინოფესტივალზე — ვენეციის ბიენალიე — „წმინდა მარკოზის ოქროს ლომის" — კინობაზრობა.

ნატო აღტაცებული დააბიჯებს ევროპის ქუჩებში. ვერონა — ამ ლამაზ ქალაქში ნამდვილი მეზღაპრეები არიან — გაკვირვებას ვერ მალავს ნატო. თურმე მათ საფლავი ჰქონიათ, სადაც ვითომდა დაკრძალულია შექსპირის ჯულიეტა. ნატო ღიმილნარევი ხმით ჰყვება ამბავს და სიმორცხვის ნიშნად სიტყვა — ვითომდას უფრო გამოკვეთს. ის ხომ „მზის მორცხვი სხივი" იყო საქართველოს კალთებზე გადმოფენილი, სადაც „მთებს თოვლის ქუდები" ახურავთ. და მაინც, ნატო ვაჩნაძემ — „ქართველი ქალის მშვენიერებაზე არსებულ ყველა თქმულებას სიცოცხლე მიანიჭა ეკრანზე".

ეს ბარათი კი უბრალოდ ჩემი სიზმარეული თავგადასავალია... ზღაპარივით გაუჩინარებულ წარსულში, უიღბლო მგზავრი რომ აღმოვჩნდი. და აი, ეპილოგისკენ მისულ ჩემს სიზმარ-ცხადს გამოფხიზლება ეძნელება.

1953 წელი... მოგონებებმა შეწყვიტეს არსებობა, რადგან ცაშივე „დაიფერფლა", „მზის მორცხვი სხივი". ვიგრძენი გრძნობებს ფურცლებში ვერ გამოვამწყვდევდი... განწყობა მხოლოდ ცრემლი იყო, ცრემლი რეალობასა და ილუზიას შორის გაუჩინარებული...

„და ლამაზი სიყვარულის საფლავი, მთელ სიცოცხლეს გლოვისათვის ეყოფა"-ო უთქვამს ვაჟა ოთარაშვილს. დღეს კი, ჩვენი უსაფლავო მშვენიერება მარადისობამ მიიბარა...



ნოდარ ცანძე

ფერისა და აზრის ჰარმონია

რენო თურქია ორიგინალური ხელწერის შემოქმედია, პროდუქტიულიც. ამდენად, მისი მრავალმხრივ და შთამბეჭდავად წარმოჩენა საგანგებო ჩაღრმავება-რუდუნებას მოითხოვს. ამჯერად ორიოდე მხარის აქცენტირებას ვესწრაფვი.

ჩემს ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, იპყრობს სულის აპოთეოზი. მხედველობაში მაქვს არა ცალკეულ პირთა შინაგანი სამყაროს ჩვენება, არამედ საკულტო დანესებულებებიდან მომდინარე უჩვეულო და „უხილავი“ აურა.

თქვენ, არ ვიცი, მე კი ბატონი რენოს „მეტეხში“ არა იმდენად არქიტექტურულ მომხიბვლელობას და ისტორიული სინამდვილის სიზუსტეს ვეჭვრეტ, რამდენადაც „ტაძრიდან ზეცად ასულ ლოცვას“. დაუკვირდით ხაზებს, ფერებს, გამებს, საგანთა კონტურებს. აქ ფონს გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება. ზოგჯერ კი ასე მგონია — ფონი საერთოდ არ არსებობს.

ტაძრის ფერი — რუხი, ხოლო შემოგარენი — ნათელ ფერადოვანი საგანგებო დატვირთვის მქონეა და მხატვრის ფილოსოფიის ქვეტექსტის გამმჟღავნებელი. აქ ჩანს ამ და იმ სოფლის დაპირისპირება.

„მეტეხი“ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ჩავუღრმავდეთ **„გრემს“**. აქაც ცად ატყორცნილი სულის ზეობაა. სხვაგვარად ვკითხულობ **„იყალთოს“** მიწიერი და ზეციერი რამდენადმე გათანაბრებულია.

შეიძლება ჩემეულ გააზრებას ზედმეტად მკაცრი ოპონენტი არ დაეთანხმოს. არაფერია, სააზროვნოდ ხომ მაინც განგაწყვეთ.

მხატვარი ინტუიციის, გამახვილებული ალღოს გარეშე ვერასოდეს გახდება დიდი და სწორვუპოვარი. რენო ამ მხრივაც დაჯილდოებული იყო უფლისგან. მას შეეძლო მიზნის მისაღწევად ყველაზე ოპტიმისტური გზის გამონახვა. ეს იგრძნობა კომპოზიციასა, ფერსა და დეტალთან დაკავშირებითაც. იგი კარგად ჭვრეტდა, თუ რამდენად მოიგებდა ნაწარმოები ამა თუ იმ ხერხის მომარჯვებისას.

რენო თურქიას სიმბოლიკასა და ქვეტექსტს თუ ვერ ჩაწვდით, მაშინ ჩათვალეთ, რომ ვერ წაგიკითხავთ იგი.

„ალიოხინის პორტრეტი“. მომაკვდავ მსოფლიო ჩემპიონს მარჯვენა ხელი ჭადრაკის დაფაზე ჩამოვარდნია. წაქცეულია პაიკები, მეფე კი დგას. სიმბოლიკა გამჭვირვალეა. ჭადრაკის მოტრფიალენი, გნებავთ დიდოსტატები მოვლენ და წავლენ. ხელოვნებაში გადაზრდილი ეს სპორტი, ინტელექტუალური თამაში კი მარად იარსებებს. ღირს მისთვის სიცოცხლის განირვა.

აქ ვერ დავსვამთ წერტილს. სურათზე კარგად ჩანს კედელზე გაკრული ნახატი, რომელზედაც რუსული პეიზაჟია გამოსახული. და ბუნებრივად ჩნდება ასეთი გააზრება: ალიოხინისთვის ორი რამ იყო უწმინდესი და უძვირფასესი — ჭადრაკი და სამშობლო.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას დეტალის გამოყენებაზე, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. საგანგებოდ შევჩერდები ბატონი რენოს არცთუ ძლიერ გახმაურებულ ნამუშევარზე.

მოგეხსენებათ, გალაკტიონის პორტრეტი არაერთს შეუქმნია. ეს ბუნებრივია. გენიოსის გამოსხივება მრავალმხრივი და უმძაფრესია. ამდენად, განსხვავებული სკოლის, სტილის, ხელწერის ხელოვანნი ადვილად პოულობენ მის შემოქმედებაში საკუთარი სათქმელისათვის შესაბამის მოტივს, მასალას თუ ფორმას. დიახ, თანხვდომი წერტილები საკმაოდაა და ჩანაფიქრის გამჟღავნებაც რამდენადმე ადვილდება. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ არათუ სხვისი, არამედ საკუთარი ბუნების ყოველმხრივ გამოძერწვა ჭირს. შემთხვევითი როდია, რომ რუბენსმა 90 –ზე მეტი ავტოპორტრეტი დაგვიტოვა. ხაზს ვუსვამ — ავტოპორტრეტი.

და აი, ბუნებრივად იბადება კითხვა, რა თავისებურებით ხასიათდება რენო თურქიას **„გალაკტიონი“**?

გავიხსენოთ გ. მესხის, უ, ჯაფარიძის, კ. სანაძის, მ. ვადბოლსკის, ა. ბანძელაძის, მ. ბობოხიძის თუ სხვათა ნამუშევრები. ისინი განუმეორებელია იმიტომაც, რომ თითოეული ორიგინალურად კითხულობს გალაკტიონს, საკუთარი მსოფლგაგებისა და მსოფლმხედველობის შესაბამისი მხარეების აქცენტირებით. ზოგან რომანტიკული განწყობა მძლავრობს, ზოგან რეალისტურ-დრამატული. ეს განაპირობებს კიდეც ფერთა სიმუქეს თუ სინათლის სიჭარბეს. მაგრამ თითოეული ცდილობს, გახსნას პოეტის შინაგანი სამყარო ინდივიდუალურის ტიპურში გადასვლით.

უჩა ჯაფარიძის ნახატიდან ამაყი პოეტი შემოგვცქერის, რომელსაც ღრმად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ღირსება; რომელმაც იცის, რომ საუკუნეს თან წაყვება მისი ქნარი. ამიტომაცაა იგი ესოდენ მშვიდი და სვიანი.

კორნელი სანაძის გალაკტიონი სოფლის უკულმართობაზე ჩაფიქრებული შემოქმედია. მისი თვალებიდან უდაბნოს სევდა ილვრება. ფერთა შერწყმაც შესაბამისია. უცქერი და გესმის „დედაო ღვთისა, მზეო მარიამ, როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე“. უცქერი და მტკივნეულად განიცდი — „სძინავს ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს“.

ალექსანდრე ბანძელაძის ნაწარმოებებში შინაგანი რიტმია გამახვილებული, იგი ყველაფერს იპყრობს. აშკარაა, რომ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა“.

მანანა ბობოხიძის ნაწარმოებებში ფერი ხმას გამოსცემს და გალაკტიონთან ერთად უსმენ გაზაფხულის წვიმის წკრიალს.

რენო თურქიას **„გალაკტიონს“** ერთდროულად ნაცნობ და უცნობ პოეტურ განზომილებებში გადაჰყავს მნახველი. ცხოვრებისეულ სიმძაფრეს დიდი მხატვრული განზოგადება ენიჭება.

მიაქციეთ ყურადღება გამომეტყველებას — ფარული ღიმილი და სხივჩამდგარი თვალები. ძალზე მეტყველია სხვა დეტალებიც: გადაწეული პიჯაკი — ყველაფერი გულიდან მოდის; თეთრი პერანგი — ვეთაყვანები სიწმინდესა და სისპეტაკეს; მარცხენა ხელის საჩვენებელი თითის აქცენტირება — მითითება და გაფრთხილება.

წარმოჩენილია მგოსანი, რომლის „მზერა ქართულით სივრცის დაუნჯებით“, რომელიც ხარბად სუნთქავს და ხმამაღლა აცხადებს: მშობლიურო ჩემო მიწავ, გიცავდი და კვლავ დაგიცავ. მართლაც რომ „შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა“.

რა თქმა უნდა, თუ უფრო ღრმად წავალთ, გაცილებით მკვეთრად გამოკრთება თითოეული ფერმწერის ხელწერა.

თავიდათავი ისაა, რომ რენო თურქიას საკუთარი სათქმელი აქვს და მიზანსაც აღწევს.

სიდიდე შემოქმედისა ხშირად ნალვაწის ნაწილთა გაერთიანება – შეჯერებიდან მოდის, ე.ი. კრებსითი ასპექტი იწევს წინ. ზოგჯერ კი ერთი გაელვებით ცნაურდება. ეს უნიჭიერესთა ხვედრია. რენო თურქია ხელოვანთა მეორე ჯგუფს განეკუთვნება.



ქეთევან ცოტაძე

უხვღავი მემხვიდრეობა

რენო თურქია 1926 წლის 11 აგვისტოს აფხაზეთში, ქალაქ სოხუმში დაიბადა. მშობლები, მრავალმხრივ განსწავლული ადამიანები, მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ. ისინი ქართული ინტელიგენციის იმ თაობას წარმოადგენდნენ, ვისაც რთული ეპოქის სიმძიმე უშუალოდ შეეხო და მრავალი უსამართლობა დაატყდა თავს.

სრულიად ჩვილი იყო რენო, როდესაც ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და დედაქალაქის ერთ ძველ უბანში, ფურცელაძის ქუჩაზე დასახლდა. მომავალი მხატვრისთვის, რომლის ფაქიზ და შთამბეჭდავ ბუნებაზე, ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო დეტალიც კი მყისვე აისახებოდა, ამ ფაქტს განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა. რენო აღიზარდა ქალაქურ გარემოში, სადაც ევროპულ და აზიურ კულტურათა ნაზავი ადამიანთა ხასიათებსა და ურთიერთობებში ისევე იჩენდა თავს, როგორც მის განუმეორებელ რელიეფსა და არქიტექტურაში. მომავალი მხატვარი სახლიდან გასვლისთანავე საოცარ სამყაროში ხვდებოდა. მისი საცხოვრებელი ბინიდან სულ რაღაც ათიოდე მეტრში, ქალაქის ცნობილი საკოლმეურნეო ბაზარი მდებარეობდა, რომლის სიჭრელე და მრავალფეროვნება, ბოსტნეულით, ხილით, ხორცითა თუ ფრინველით სხვადასხვა ეროვნების მოვაჭრეთა, მყიდველთა თუ გამყიდველთა გარეგნობა, ჩაცმულობა და მეტყველება მომავალ მხატვარს ფერზე, ფორმასა და ადამიანთა ხასიათებზე უშუალო დაკვირვების საშუალებას აძლევდა. ყმაწვილი თვალს ადევნებდა, როგორ თანდათან ბარდებოდა წარსულს ასე მშობლიური და სევდისმომგვრელი ძველი და ჯიუტად იჭრებოდა უცხო და ახალი დედაქალაქის ცხოვრებაში, როგორ აღიბეჭდებოდა სოციალისტური ეპოქის ტლანქი და ძლიერი მაჯისცემა თბილისის, ადამიანთა და მთელი ქვეყნის ბედზე.

რენო თურქიას სიყმაწვილის ულამაზესი წლები უკავშირდება მაშინდელი პიონერთა სასახლის ლიტერატურულ წრეს, კერძოდ, შესანიშნავი პიროვნების, ღრმად ერუდირებული, გონიერი და არაჩვეულებრივი ტაქტის მქონე პედაგოგის ქეთევან ანანიაშვილის სახელს. სასახლეში შექმნილი შემოქმედებითი ატმოსფერო რენოსთვის, რომელსაც განგებამ უხვად დააბერტყა მრავალმხრივი ტალანტი, ჟანგბადის ტოლფასი იყო. მას ანდამატივით იზიდავდა გარემო, რომელიც ახალგაზრდებს ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გაღრმავების გასაოცარ იმპულსს ანიჭებდა. იმ წლებში შექმნილი ფერწერული ტილოებითა და გრაფიკული ნამუშევრებით რენომ ჩამოყალიბებული მხატვრის სახელი მოიხვეჭა. თოთხმეტი წლის ასაკში შესრულებული ნამუშევრები უკვე აოცებდა მნახველს სიმწიფითა და ფერწერის ტექნიკის ფლობის არაჩვეულებრივი უნარით. თუმცა, გატაცებათა ფართო სპექტრი ბევრს აფიქრებდა, საით გადაიხრებოდა ახალგაზრდა კაცის ინტერესები, რა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა მისთვის — ჭადრაკი, მუსიკა, ლიტერატურა, თუ მუდამ, სიცოცხლის ბოლომდე ფერწერის ერთგული დარჩებოდა. მაგრამ ის კი ყველას სჯეროდა, რომ რა მიმართულებითაც არ უნდა წარემართა ბედისწერას მისი ცხოვრება, ნიჭი, ანალიტიკური აზროვნებისაკენ სწრაფვა, ნებისმიერ შემთხვევაში, საუკეთესო ნაყოფს გამოიღებდა, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავდა, ყველგან, ყველა სფეროში იგი, უთუოდ, მნიშვნელოვან კვალს გაავლებდა.

მრავალმხრივ გატაცებებს ბოლოს მაინც ფერწერის სიყვარულმა სძლია. საზოგადოებას კარგად დაამახსოვრდა, სიყმაწვილეში რენო თურქიას მიერ ოსტატურად შესრულებული პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები. იგი სხვადასხვა მასალით მუშაობდა და ამაშიც თვალნათლივ იკვეთებოდა მომავალი მხატვრის მაძიებელი ბუნება.

სწავლისა და დაუცხრომელი ექსპერიმენტების წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. სამხატვრო აკადემიის კარი რენომ შეაღო როგორც უკვე ბევრის მცოდნე ახალგაზრდამ და, ფაქტობრივად, დასრულებულმა ფერმწერმა. სასწავლებლის კედლებში საბოლოოდ უნდა გაფორმებულიყო მხატვრის მიზნები, სტილი და შემოქმედებითი კრედო.

იმხანად, ორმოციანი წლების დასასრულს, რენო თურქიას აკადემიაში სწავლის პერიოდში დაიწყო რუსეთში ფორმალიზმთან ბრძოლის კამპანია, რომელიც საქართველოსაც მიწვდა. გახშირდა დასავლური იდეოლოგიის აპოლეგეტობაში შემოქმედ ადამიანთა დადანაშაულება. უსამართლო ბრალდებებმა და ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ მრავალი ნიჭიერი, მზარდი და იმედის მომცემი შემოქმედის პოტენციალი ჩაახშო, ბევრს კი, ფიზიკური განადგურების შიშით, უკვე მიღწეულზე უარი ათქმევინა.

რენო თურქიასათვის, ბუნებით ლაღი და თავისუფალი პიროვნებისათვის, მიუღებელი იყო ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი ძალადობა. ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ მხატვარმა შინაგან მოწოდებას ვერ უღალატა და არჩევანი თავისუფალი აზროვნებისსასარგებლოდ გააკეთა. მაგრამ ამგვარი არჩევანის საზღაური ძალზე მძიმე აღმოჩნდა — რენო ოთხი წლით ჩამოაშორეს სამხატვრო აკადემიას იმ ფერწერული ექსპერიმენტებისთვის, რომლებსაც გულისა და გონების კარნახით ახორციელებდა და არა დასავლური ტენდენციებით მოდური გატაცების გამო. ამიტომაც იყო ასე ორგანული დასავლეთში დამკვიდრებული მიმდინარეობების მისეული მხატვრული ინტერპრეტაცია.

მართალია, რენო თურქია აკადემიიდან გააძევეს როგორც არასაიმედო პირი, სოციალისტური ეპოქის სულისკვეთებისთვის შეუფერებელ და მიუღებელ მიმართულებათა აპოლოგეტი, მაგრამ თავი არავის შეუწუხებია, აეხსნა, კონკრეტულად, რა იყო მხატვრის მთავარი დანაშაული, რას თვლიდნენ ზემოდან მიღებული დავალების უსიტყვოდ შემსრულებლები საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელს მის მხატვრობაში. რენომ თავად ყველაზე უკეთ იცოდა აკადემიის ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილი ვერდიქტის მიზეზიცა და საფასურიც. იმპრესიონიზმითა და პოსტიმპრესიონისტული ძიებებით ახალგაზრდა შემოქმედის გატაცება, თანდათან ყველასათვის თვალსაჩინო რომ ხდებოდა, სასწავლებელში შექმნილ ატმოსფეროს რადიკალურად ემიჯნებოდა და სათავეში მოკალათებულ ულიმღამო ხელმძღვანელობას (ფაქტობრივად — პარტიულ ნომენკლატურას) აღიზიანებდა, ჭეშმარიტი ტალანტის მიმართ შურის გრძნობას აღუძრავდა.

ხელოვნურად შექმნილი სირთულეებისა და წინააღმდეგობათა მიუხედავად, რენო თურქიამ არ უღალატა ერთხელ არჩეულ გზას, დამოუკიდებლად განაგრძო მუშაობა და ორიგინალობითა და განსაკუთრებულობის ელფერით აღბეჭდილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების ციკლი შექმნა.

რენო აკვირდებოდა და შეისწავლიდა ბუნებას, გარემოს, ცნობიერების ურთულეს პლასტებს. გარედან მიღებულ ინფორმაციას მკვლევარის დაჟინებით ამუშავებდა, საკუთარ შემოქმედებით დულაბში აწრთობდა, ტილოზე გადაჰქონდა და ძლიერ ემოციებს ამგვარად უხსნიდა გზას. წლობით დაგროვილი გამოცდილების ფონზე თანდათან იკვეთებოდა მხატვრის ინტერესები და პრიორიტეტები.

მდიდარი ტრადიციების შესწავლა და ანალიზი, ცნობილ ოსტატებთან თამამი შემოქმედებითი შეჯიბრი ეხმარებოდა რენო თურქიას მის წინაშე დასმული ურთულესი ამოცანების გადაჭრაში. მხატვარს სწამდა, რომ მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შესწევს ჭეშმარიტი სიყვარულის უნარი და ძლიერი გრძნობის გარეშე არაფერი ღირებული არ იქმნება. იგი მთელი არსებით იყო მინდობილი გულის კარნახს. ამასთან, ურთულესი აღმართის ავლასა და მაღალი მწვერვალების დაპყრობაში ფართო ერუდიცია ეხმარებოდა. მისი შემოქმედების ვექტორი წინამორბედთა დიდ მემკვიდრეობაზე გადიოდა და საკუთარი სულის წიაღისკენ იყო მიმართული.

მრავალწლიანი შინაგანი ემიგრაციის მიუხედავად, ან იქნებ სწორედ ამიტომ, რენომ ყველაფერი იცოდა, რაც ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, ინტელექტუალურ სფეროში ხდებოდა, ყველაფრის საქმის კურსში იმყოფებოდა და ამითაც გამორჩეული პიროვნება ბრძანდებოდა. განსაკუთრებით ფილოსოფიით იყო გატაცებული და სამყაროს ყოველმხრივი შეცნობის იდეითა და დიად საიდუმლოში წვდომის სურვილით ანთებული, ეზოთერიზმის ფენომენსაც ეუფლებოდა. ეს გატაცება თანდათან კიდევ უფრო გაღრმავდა და სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა მხატვარს. . .

რენო თურქია სამყაროს, დასაბამიერსა და უსასრულოს, ჟამიერსა თუ მარადიულს მოუხელთებელ, აბსტრაჰირებულ პლასტებად კი არ მოიაზრებდა, არამედ იმ მთლიანობად, რასაც აბსოლუტური გონი განაგებს, აწესრიგებს და კოსმიურ ჰარმონიასთან კავშირში, თითოეული ელემენტის კუთვნილ ადგილს განსაზღვრავს. ამიტომაც იკვლევდა და აკვირდებოდა ასე დაჟინებით და მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს შემოქმედებითი თავგანწირვის მაგალითს აძლევდა. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ რენო თურქიას ფუნჯის თითოეული მონასმი წმინდა და გულწრფელია, მუსიკალური ბგერის მსგავსად ჟღერს და ვიბრირებს, სუნთქავს და ცოცხალი ორგანიზმის განცდას ბადებს, თავისკენ რაღაც უხილავი ძალით გიზიდავთ და, თუ ერთხელ იხილეთ, არასოდეს დაგავიწყდებათ. რენო თურქიას პალიტრა უაღრესად მდიდარი და ორიგინალურია. მხატვრის მიერ თამამად გამოყენებული იისფერი და მწვანე, ლურჯი და წითელი, ცისფერი და ყვითელი მთელი სპექტრი არაჩვეულებრივი ფერებისა, რენოს შემოქმედებისათვის სრულიად ორგანული და განსაკუთრებული ღირებულების მქონეა. მხატვარი ქმნის ფერთა გამას, რომლითაც ის აღიქვამს სამყაროს და რომელსაც შემდეგ ჩვენ თავად ვეძებთ ამ სამყაროში.

ფერწერა რენო თურქიასათვის მედიტაციის თავისებური საშუალება იყო. თითოეულ ფერს იგი განსაკუთრებულ მეტაფიზუკურ დატვირთვას ანიჭებდა, ისევე როგორც მთლიან ფორმას, ან მის ერთ, რომელიმე დეტალს. იქნებ ამიტომაც, რაც უფრო დიდხანს აკვირდებით მხატვრის ნამუშევრებს, მით უფრო ითავისებთ მისეულ სამყაროს, გრძნობთ იმ მისტიკურ ძალმოსილებას, რომელიც გიზიდავთ და დადებითი იმპულსებით გავსებთ.

მნიშვნელობა არა აქვს, რას ქმნის მხატვარი: კომპოზიციას, პეიზაჟს, ნატურმორტსა თუ პორტრეტს. მთავარია პრინციპი, იდეა, რისთვისაც იგი ქმნის — ეს არის მშვენიერების ჭეშმარიტი არსის, მისი ათასგვარი გამოვლინების მოხელთება ტილოზე ფერის, ფორმისა და ბგერის უსასრულობაში.

რენო უხილავი სულიერი ძაფებით იყო კოსმიურ სივრცესთან შეკავშირებული და მუშაობის პროცესში თავდავიწყებისა და შემოქმედებითი წვის უნეტარეს წუთებს განიცდიდა. ამიტომაც ქმნიდა მხოლოდ მისი ხელწერისთვის დამახასიათებელ, სამყაროს არაჩვეულებრივ ფერწერულ ხატებს, რომლებშიც ასე გამოსჭვივის სიკეთე და მშვენიერება. მხატვრისთვის მთავარი და მნიშვნელოვანი იყო ქვეცნობიერი იმპულსებიდან მომდინარე განცდის ფუნჯით ამეტყველება, შემდეგ კი იმის მკაცრი და ზუსტი ანალიზი, თუ რა, როგორ იქმნებოდა.

რენო თურქიას უზომოდ უყვარდა სიცოცხლე, ხარობდა ყოველი დღის გათენებითა და მზის ამობრწყინებით. გარესამყაროდან მიღებული შთაბეჭდილებები ტილოზე ვირტუოზულად გადაჰქონდა, ყოველივეს სულს შთაბერავდა. თითოეულ მოვლენას ის შესაბამის გამომსახველობით ხერხს, ნიუანსს უძებნიდა. მას შეეძლო, ერთი ჩვეულებრივი ფაქტით, მთელი სამყარო განეცადა და ეს განცდა სხვისთვისაც ახლობელი გაეხადა — იყო ეს ბუნების ჭირვეულობა, წვიმა თუ ქარი, ღრუბლიანი ცა, თუ მისი ერთი პაწია, გაცისკროვნებული მონაკვეთი, სოფლისა და ქალაქის პეიზაჟი თუ პორტრეტი — ყველაფერი, რასაც მხატვარი უდიდესი სიყვარულით ქმნიდა და საკუთარი სულის ნაწილს უშურველად უწილადებდა.

რენოსთვის უცხო იყო ეპიგონობა. წინაპართა მემკვიდრეობის შემოქმედებითი გადამუშავება და ქართული კულტურული ცნობიერების

სილრმეებში წვდომა, უახლეს მეცნიერულ მიღწევათა გააზრება, ყველაფრის საფუძველზე საკუთარის, თუნდაც მცირეოდენის მიგნება და დამკვიდრება, დიდ მხატვრობაში შესვლისთვის მზაობა — აი, რა იყო მხატვრის უმთავრესი ამოცანა, მის დაუცხრომელ ძიებათა მამოძრავებელი ძალა.

მიღებული შედეგებით რენო არ კმაყოფილდებოდა და განვითარების ახალ გზებს ეძებდა, გეგმებს წინასწარ სახავდა. სულის ეს მოძრაობა სინათლის სხივივით გარდატყდება მის ნამუშევრებში და დიდ სიკეთედ მოედინება. ძალზე სამწუხაროა, რომ შემოქმედებით ძიებათა ბოლომდე, მისთვის სასურველ კონდიციამდე მიყვანა მხატვარს არ დასცალდა. მაგრამ რენო თურქიამ მოახერხა გადაეჭრა მთავარი ამოცანა — დაგვანახა და შეგვაყვარა გარემო ისეთი, როგორც ის ხედავდა, გვიჩვენა, რაოდენ ამოუწურავია მხატვრული ხერხების, ფერის შესაძლებლობები. კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ადამიანი, ჩვეულებრივ, სამყაროს მოვლენათა მხოლოდ ორ პროცენტს აღიქვამს, დანარჩენის გათავისებასა და შეცნობაში კი მას რენო თურქიას მსგავსი პიროვნებები ეხმარებიან.

რენო თურქია კარგი მოჭადრაკე იყო. იოლად არავის ნებდებოდა. სამხატვრო აკადემიიდან გარიცხვის შემდეგ, სერგო ქობულაძემ, რომელიც რენოს, როგორც მხატვარსა და ინტელექტუალს, არაჩვეულებრივი ბუნების ადამიანს უდიდეს პატივს სცემდა, ამასთან ჭადრაკის თამაშიც ძალზე უყვარდა და იგი ძლიერ და ღირსეულ მეტოქედ მიაჩნდა, ყველა ღონე იხმარა, რათა მხატვარი აკადემიაში აღედგინათ. რენო თურქია გარიცხვიდან რამდენიმე წლის შემდეგ, მართლაც, აღადგინეს და იმხანად ძალზე პრესტიჟული, რეპინის სახელობის სტიპენდიაც დაენიშნა, მაგრამ ძლიერმა განცდებმა, უკომპრომისობამ და მძიმე ყოფითმა პირობებმა საგრძნობლად შეარყია მხატვრის ჯანმრთელობა.

რენო თურქია შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში, უამრავი საინტერესო იდეითა და მიზნით აღსავსე, 1979 წლის 14 იანვარს, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მხატვარმა დაგვიტოვა უკვდავი მემკვიდრეობა, რომელსაც სათუთად უფრთხილდება მისი მეუღლე, თანამოაზრე და სულიერი მეგობარი ესმა გომელაური. ქალბატონი ესმას კეთილი ნებით, მის მიერ გადარჩენილი და შეგროვილი უსაყვარლესი მეუღლის ნამუშევრები, მთლიანად, საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის კულტურის გადარჩენის საერთაშორისო ფონდს გადაეცა მემორიალური მუზეუმის შექმნის მიზნით და რენოს სულის საოხად.

რენო თურქიას შემოქმედების თაყვანისმცემლები — ყველა, ვისაც გაცნობიერებული აქვს ხელოვნების როლი ერის სულიერი განვითარებისა და ზნეობრივი გაჯანსაღების, კაცობრიობის პროგრესის, ადამიანში კეთილი საწყისის გამარჯვების, სამყაროს საფუძველთა საფუძვლისა და მამოძრავებლის რწმენის დიდსა და რთულ გზაზე, მადლიერების გრძნობითა და მოწიწებით მდაბლად ხრის თავს საქართველოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის წინაშე და მადლობას სნირავს საპატრიარქოს რენო თურქიას უკვდავი მემკვიდრეობის გადარჩენის, თანადგომისა და ამ კეთილ საქმეში უშუალო მონაწილეობისათვის.

ჩარგალი, 1912 წ.

ვეჟა ფშაველა

ის ახის თავისუფლება?

ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღენთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენი ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე. ი. რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?.. თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რადღა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყრიან თავითავს, შაერთდენ, მოიფიქრონ, როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელად ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს, ეგრეთვე თუ ცხვარი — ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, — ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხოვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...

დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შეგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალ-მომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოვსპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისათვის, იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და

დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნება დაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუღს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარი ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვ. და სხვ...

არ მინდა ვილოცო ის შვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! — სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველაზე ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდე მიდის, მაშინ დაჩაგრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!...

არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით "სიკვდილი ან სიცოცხლეო" (ე. ი. თავისუფლება)?! — იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ, აშკარად ვგრძნობთ ყველანი... მაშასადამე, სჩანს მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენაა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება, თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვიმეორებ, ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად... და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურობის მეტი? — არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტახანს, რადგან ცხოვრების ლოლიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას. აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბედნიერება — წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს, წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? — სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, — სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემუსროს თავის დამმონებელი...

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? — თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდან ყოველი ავაზაკი, თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, — არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის, ყველა ჩვენგანის, ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელ-

ში როდია თავისუფლება. იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით არა მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია.

მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე. ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

ვაჟა-ფშაველა თანასოფლელებთან

მარჯვნიდან მარცხნივ პირველ რიგში სხედან: აკაკი ხორავა (მეორე), ელენე ახვლედიანი, აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე, უცნობი, ნატო ვაჩნაძე;
მარცხნივ მესამე ნიკო ნიკოლაძე;
მეორე რიგში მარჯვნიდან მარცხნივ დგანან: მე-5 დოდო ანთაძე და მე-6 დიმიტრი მჟავია.

საოჯახო ალბომიდან ფოტოსურათი მოგვაწოდა ბატონმა ელდარ შენგელაიამ, რისთვისაც ჟურნალის რედაქცია დიდ მადლობას მოახსენებს.

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება „სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მასშტაბით; ხოლო თბილისში რუსთაველის №31, „სახალხო ბანკი“, მთაწმინდა №2 სერვის-ცენტრი.

3 თვით 9ლ.
6 თვით 18ლ.

ჟურნალის გამოწერა ასევე შესაძლებელია სს „მაცნეს“ პუნქტებში.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ამირან ჭანტურია

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge



ლადო ასათიანი

ნატურმორტი



ბესანაურთან

მურმან ლებანიძ

b49/14

ფასი 3 ლარი

ISSN 1512-3189